


644  
2011

# საქსი

ქართული  
საინფორმაციო  
ქრონიკა



კომუნალიზმის  
შობი-სხარე წყნარ!

12  
2011

# ასი წელიწადი

რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს

## ქართულმა



ბესიკი

### ტანო ტატანო

ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო,  
ზილფო, კავებო, მომკლავებო, ვერსაკარებო,  
წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო, შემაზარებო,  
ძონ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთწამარებო,  
პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!

თვალთა წარგისი დამდაგისი შეგშენის მწველად,  
ყელსა ბროლებსა, უტოლებსა გველი გყვა მცველად,  
გესხნეს ხალეზი მაკრძალეზი ამარტის ველად,  
წარინჯნი ორნი, ტოლნი, სწორნი მიქმოდენ ხელად,  
მინვედენენ შენად შესამკობლად, დამამწარებო.

ალვაო, გესხნეს ორნი წორჩნი მოსარხვეელნი,  
მკლავნი მომკლავნი, თითნი თლილნი, მოსახვეველნი,  
ზარისა წელსა დაეკვირვნეს ქვეყანად მვლელნი,  
ოდეს გნახვიდი, შევიმატინი ათასნი წელნი.  
ან დამლევინ ყოვლნი დლენი, უცხოდ ვარებო.

ბაგემდუმრიად გიალერსებ, ბაგეო ვარდო,  
თვალთა სურიან ხილვა შენი, კეკელა მარდო,  
გულსა სწყურიან დამაშვრალსა, რას შეგაფარდო?  
თუცა შენ დაგთმო, ვინცა ვჰპოვო, სად გავიზარდო?  
უშენოდ ხილვა არგისი მსურს, შევიზარებო.

შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულს მთვარეს,  
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს,  
მოდით, მიჯნურნო, შემიბრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს,  
მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს!  
ვა სიცოცხლეო უკულმართო, დანაცარებო!

# ცისკარი

ქართული  
სივცყვირჭიითი  
ჭქუნალი

2011/12

რედაქტორ-გამომცემელი  
სერგი კაკალაშვილი

რედაქტორის მოადგილეები  
ბლათერ არაბული  
ანდრო ბუაჩიძე  
ელზა მეტრეველი

PR მენეჯერი  
ქეთევან აკოლაშვილი

მხატვარი  
გიორგი წერეთელი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე  
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო  
ლაშა ბაქრაძე  
ანდრო ბედუკაძე  
ამირან გომართელი  
ლევან თაქთაქიშვილი  
თეონა იაშვილი  
როსტომ ჩხეიძე  
გიორგი ჭანტურია  
ედიშერ ჭელიძე

დამკაბადონებელი  
თამარ ტყაბლაძე

კორექტორი  
ნანი ჭულუხაძე

ფინანსური მენეჯერი  
თამარ გიგუაშვილი

დაარსებულია 1852 წელს  
გამოდის თვეში ერთხელ  
იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები

© „ცისკარი“, თბილისი, 2011

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1

ტელ.: 98-36-43, 98-47-62

emciskari@gmail.com

www.jurnaliciskari.ge

# სარჩევი



## პოეზია

### უჯრავი ჩაკეტილი ლექსები

გიორგი ლეონიძე 3

### პოეზიის უსახელო უფლისციხელები

თომა არაბული 111

## პროზა

### უჯრავი ჩაკეტილი რომანი

ავთანდილ კვასხვაძე – სიკვდილ-სიცოცხლის როკვა 40

## დებიუტი

ბექა ელბაქიძე – ნაპოლეონი 5

## პოეზია

ნინო დარბაისელი 29

მზია ჩხეტიანი 26

დავით შემოქმედელი 35

მაკა ლომაძე 63

თამილა ჯაფარიძე 65

### გვასროდეს აუზნავეთი

ნოდარ ხუნდაძე – სონეტები 68

### ახალგაზრდა პოეტების

#### სამართაშორისო კონკურსი

ბექა ახალაია 75

ნიკა ჩერქეზიშვილი 78

აშოტ გაბრიელიანი 81

ალიკ ალიოღლი 82

გისმათი 84

მამა პეტრე (პაატა კვარაცხელია) 86

ზაზა ჭერელი (სუყაშვილი) 88

ლექსო დორეული 90

თორნიკე კომლაძე 91

ნიკა ქერივიშვილი 93

მინდია ცეცხლაძე 95

თამთა დოლიძე 97

მინდია არაბული 99

მარიამ ადამაშვილი 101

## უახლესი ქართული ლიტერატურა

ანდრო ბუაჩიძე – შეხება ცოცხალ ისტორიასთან 102

## უშიშროების ჯურღმულეზი

ბონდო არველაძე – მწერლის ბედი 71

## მემშარები

ჩეკას პირველი

თავმჯდომარის – კოტე ცინცაძის მოგონებები 112

## ასი სამარცხვინო ლექსი

გიორგი ქუჩიშვილი 120



# გიორგი ლუტნიძე

28160

●  
გახსოვს, ტაბახმელაე,  
ბრძოლები გმირული  
და მკერდი მრავალის  
შენთვის განგმირული.

ქალებო, შეამკეთ  
მათი საფლავები,  
საქართველოსათვის  
ვინც დადეს თავები.

1922 წ.

●  
„უარესმა გაჭირვებამ მალე მწარედ გაგვაშტერა:  
რუსის მეფემ, სისხლის მსმელმა, ქრისტეს ჯვარზე ჰფიცა ჯერა,  
მერე ცეცხლით შემოვიდა, სიკვდილივით დაგვეძგერა, -  
ხიშტებით და ბორკილებით კავკასია მოამტვერა.  
მას უნდოდა ოქრო, ვერცხლი, მინა, მსხვერპლი ყველა მხრიდან,  
ჰგვიდა, თხრიდა ყოველივეს, თავს რომელი არ უხრიდა.  
საქართველო წინ გაიდო აზიისკენ გზად და ხიდად...  
ამოგვართო მეფემ ენა, სიტყვის კარი ამოჰქოლა,  
ათასწლოვან ჩვენს კულტურას მოეხვია ცეცხლის რგოლად,  
უდევნელი არ დასტოვა არც თეატრი, აღარც სკოლა,  
ხალხის ზრდა და მომავალი საუკუნოდ დააბრკოლა.  
კავკასიის ერთა შორის აღარ დარჩა ძველი ნდობა,  
ნავგისიეს ერთმანეთსა, შეგვაძულეს ძმათა ძმობა,

შულღმა, მტრობამ, გამცემლობამ, ერთმანეთზე გაგვაცოფა,  
 მუხანათურ თავდასხმებით შევირცხვინეთ ვაჟკაცობა.

....

გაფიცინეთ გული საძმოთა, როგორც ვარდს ჰყინავს ზამთარი,  
 ძმათ სიყვარული დავკარგეთ, დიდი ხნით გულში ნატარი,  
 წავეკიდენით სასისხლოდ ლეკი, სომეხი, თათარი, –  
 სულ რუსის მეფის ბრალია, იმისი ნაოსტატარი.  
 გვატირა – ვაი ოჯახო, გადამშეულო ბავშვებო,  
 გვაჩვილა – ბედო, შავბედო, ვაებავ ნაერთბაშეო...”

## პეზნი

*(ვეფხი, მოკლეული დილომში 1922 წელს, ნოემბერში).  
 ვალერიან გაფრინდაშვილს*

სარაცინების თესლით ამტყდარი  
 და პამირების ბურში მყვირალი,  
 მოატყდა სივრცეს გასაკვირალი,  
 პანმონგოლიზმის ბაირახტარი.

ხალიფატების დასტოვე ტახტი  
 და სისხლი მღვრიე ვერსად დასტიე,  
 ალბათ შენ ყავდი ბრწყინვალე რახტით –  
 უკანასკნელი ძველ დინასტიებს.

რომელი უნდა გელენნა რასა  
 და მერამდენე გემტვრია რომი,  
 როცა დაეშვი დაუდგრომელი  
 და მზე გტეხავდა ბარბაროსული.

ვერ გაჰხეთქავდი რომელს ავშარას,  
 რომელ გუმბათზე ხმალით დადგები?  
 ბერდუჯის წყალზედ წივის ჯავშანი  
 გამოქცეული ათაბაგების.

მაგრამ ავია ბედის ტრიალი.  
 შენი ვარსკვლავიც ყოფილა მკვდარი.  
 ველარ დალაშქრე შენ დარიალი.  
 სისხლი შაასხი მსუჟან კედარებს.

გადმოვარდნილი წითელი ფაშვი  
 შენ აზრაილის შუბზე მბრუნავი,  
 ურემზედ ეგდე ვით ქუჩის ბავშვი  
 ასპიტ ღამეში დასახურავი.

და საყვირების ხმები გრგვინავი:  
 მემკვიდრის გული აღარა ტოკავს.  
 თესლო! ყველაზე ნაგვირგვინარო,  
 გადაგეფარა სიკვდილის ტოგა!

1924 წ.



დებიუტი

# ბექა ვლბაძიძე

ამ მინი-რომანის ავტორი 25 წლისაა. თუ ჩემი ლიტერატურული აღლი არ მღალატობს, ვფიქრობ, ბექა ელბაძიძე მომავალი დიდი პროზაიკოსია.

*მინდა, გზა დაეულოცო ამ შესანიშნავ ახალგაზრდა მწერალს.*

ნოდარ გრიგალაშვილი

## ნაკოლეონი

### (სიშურეალისტური ნამცხვარი)

#### უძღვნი ჩემს მეგობრებს

- მალინა, მალინაააა! - ძველ უბანში ქალის წვრილი, გამყინავი ხმა ისმის.

- მალინააააააა! - იტალიური ეზოდან ნითელთმინი, ფაშაფაშა ქალი გამოჩნდა. ორივე ხელში ჟოლოთი სავსე კალათები უჭირავს, მოტკეცილ ფორუზისფერ ქურთუკში მკაცრად იკვეთება მუცელს შერტებული მკერდისა და თქოს ქონები. ღანვები, როგორც ჩანს, ხელოვნურად შეუნითლებია. სევდიანი და კეთილი თვალები აქვს ჟოლოს გამყიდველს.

- შეიძლება, 2 ცალს ავიღებ? - ქალს წინ გადაუდგა მალალი, შეგვერემანი ბიჭი.

- აიღე, შეიღო, აიღე... ორი კი არა, მეტი აიღე, თუ გინდა. - ქალმა კეთილად გაუღიმა და კალათი გაუნოდა. ბიჭმა რამდენიმე ცალი ჟოლო ამოარჩია და გაშლილ მტევანში ჩაიყარა.

- დიდი მადლობა! - გაუღიმა გამყიდველს და გზა განაგრძო. ჯერ ორი ცალი შეჭამა, მერე კიდევ ორი, შემდეგ მთელი მუჭა ჩაიყარა პირში. მომთავო და სასიამოვნო გემომ კარგ განწყობაზე დააყენა, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა და შემობრუნ-

და. ქალი საცოდავად მოათრევდა კალათებს. ისეთი გათიშული სახე ჰქონდა, თითქოს დაიწყებოდა, რა საქმისთვის მოსულიყო ამ ქუჩაზე. ბიჭმა ერთხელ კიდევ აათვალიერა ქალი და ხმამაღლა შესძახა:

- მალინა, მალინაა!

ჟოლოს გამყიდველი ჯერ გაოგნებული იდგა ერთ ადგილზე, მერე თითქოს სტიმული მოეცაო, ისევ ის გამყინავი ხმა ამოუშვა პირიდან, როგორც რამდენიმე წუთის წინ:

- მალინა, მალინაააააააააააააააააააააააააააააა!

ბიჭი უკვე მინისქვეშა გადასასვლელში იყო, მაგრამ ქალის ხმა მაინც ესმოდა და ბედნიერად იკრიჭებოდა. გრძელ გასასვლელში ცისფერი ელექტრონები ბუჭტავდა. ერთმანეთში ირეოდა პიტნის, ბუკინის-ტების მიერ გამოტანული ძველი წიგნების, ოფლისა და შარდის სუნი. ახალგაზრდა კაცი ტურისტით ათვალიერებდა მინისქვეშა გადასასვლელის კედლებზე მიმაგრებულ სარეკლამო ბანერებს, რომლებზეც ტურისტებისთვის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ამსახველი ფოტოები გაეკრათ. ჯერ

დავით აღმაშენებლის ნახევრად ჩამოგლეჯილი პოსტერი გამოჩნდა. მეფისთვის თვალები დაეჩირქნა „ეინმე კეთილმოსურენე მოქალაქეს“ და ფლომასტერით სახეზე გადაენერა გელას+მარეხი=ს.-ს; შოთა რუსთაველის ბანერისთვის მინები ჩაემსხვრიათ, იმივე მდგომარეობაში იყო ქვის კედელზე გაკრული ძველი თბილისის პეიზაჟები.

- მალინა, მალინააა! - ბიჭმა ცხოველური ხმა ამოუშვა, სიმწრით გადაანერწყვა და გვირაბის ბოლოს გამოჩენილ სინათლეში გაუჩინარდა.

- თავისუფლება კოტეს! - ეს შეძახილი უკვე რუსთაველის გამზირიდან შემოეგება. თავისუფლების მეტროდან პარლამენტისკენ ორმოცდაათამდე აქტივისტი მიემართება. ხელში საქართველოს ძველი, შინდისფერი დროშები უჭირავთ, უმრავლესობა ქალია. მომიტინგეები განწირული ხმით სკანდირებენ:

- თავისუფლება კოტეს!

- თავისუფლება კოტეს!

- ძირს მკვლელების რეჟიმი!

90-იანი წლებიდან მოჩვენებასავით გადმოუსული მასა პარლამენტის შენობის წინ ნაწილდება. აფექტში შესულ შავოსან ქალებს გვირაბიდან გამოქცეულმა ბიჭმა გადაურბინა წინ, აღმაცერად გადახედა და კეფა ნერვულად მოიქეცა.

9 აპრილის მემორიალთან შეჩერდა ერთხანს, ნაოჩრდო სვეტებს ახედა და გაბრაზებულმა შესძახა:

- დაეილაღეიეიეიეთ!

- და-ვი-ლა-ლეთ!!! - ახლა უკვე დამარცვლა და ისე გაიმეორა. აუტირებულმა მასამ არაფრად ჩააგდო ბიჭის უცნაური შეძახილი. მომიტინგეები რობოტებივით განაგრძობენ:

- თავისუფლება კოტეს!!!

- თავისუფლება კოტეს!..

ბიჭმა მაიტი ხმა რომ ვერ გადაფარა, შემობრუნდა და გზა განაგრძო.

იმედაცრუებული მიჰყვება პროსპექტს. ქუთუთოები უძილობისგან ჩაშავებული და ოდნავ შეშუპებული აქვს. დაღლილობას არ იმწნევს, მაღალი, მოქნილი ტანი ჩოხოსანივით გაუფჯამიანს და ასე შემართებით ტკეპნის ნაგვით მოხატულ ასფალტს. ბიჭს ნაპოლეონი ჰქვია, 25 წლისაა. გარეგნულად ქართულ სეფდასა და იტალიურ სიამაყეს დაატარებს, თუმცა იტალია არასოდეს უნახავს. ერთი ის იცის, რომ პეტრე ბაბუამ და სონია დე ლაროკამ ერთმანეთი ომის დროს გაიცნეს - „პიეტრო ჯორჯიანი“ პარტიზანი იყო, ერთ-ერთი შეტაკებისას დაჭრეს და დე ლაროკას ოჯახაყეს შეიფარა. ბიჭისთვის სახელი არა ბონაპარტეს, არამედ სონიას მამის პატივსაცემად დაურქმევიათ. თბილისში ნაპოლეონი ცოტა სასაცილოდ ჟღერს, ამიტომ მან იდილი ბაბუის სახელი შეკცევა და ნაპო დაირქვა.

ნაპოს არისტოკრატიული მიხრა-მოხრა თბილისის ნაცრისფერ პეიზაჟში გამომწვევად ჩანს. ჩაცმულობაც სახელივით უცნაური აქვს ბიჭს - ნაცრისფერი ლაბადა, ასეთივე ფერის ყელსახვევი, შლაპა, შავი კედები და ლურჯი ჯინსი. თითქოს ორი ეპოქა ტანზე შემოუხვევია ნაპოს და თავი კინოში პკონია. რაც შეეხება კინოს, ესეც მისი ცხოვრების ნაწილია, რადგან მოხეტიალე მსახიობი ყოველდღიურად სხვადასხვა ფილმის ფრაგმენტების გათამაშებით ერთობა.

I love you for sentimental reasons

I hope you do believe me

I'll give you my heart

I love you and you alone were meant for me

Please give your loving heart to me

And say we'll never part...

ნაპოს კინოგანწყობას ნეთ ქინგ ქოულის ძველი სიმღერა შეუერთდა. ბიჭი თითქოს გონს მოეგო, ადგილზე რვიანი მოხაზა და მუსიკას მიჰყვა. „სანტიმენტალური მიზეზი“ კობალტისფერი კაფე გახლდათ. ბიჭმა ფრთხილად შეაღო კარი, თავდაჯერებულად შეერა ესროლა ჭორებიტ გაბრუებულ მასას და შუაგულისკენ გაემართა. ნაპოს თავი ისე უჭირავს, თითქოს ამ ხალხზე მალა დგას, არადა, მხოლოდ ტალახიანი კედების კვალს ტოვებს იატაკზე.

I think of you every morning

Dream of you every night

Darling I'm never lonely

Whenever you are in sight...

განაგრძობს ნეთ ქინგ ქოული. ბიჭი თითქოს ეიფორიაში ჩააგდო სიმღერამ და სულ გამოეთიშა რეალობას. ეს ლირიკული გადახვევა რომ არ ჩავთვალოთ, მას მუდამ თან დააქვს ჭრელ, რომანტიკულ ყუთში შეფუთული დიდი ტყეილები, რითიც ნაცრისფერ ყოველდღიურობას ცვლის. მიუნ-პაუზუნის ყუთი რომ არა, წარმოიდგინეთ, როგორ გაუჭირდებოდა, ჰაერში მფრინავი ფერად-ფერადი ნაგვის პარკები ჩინური სანთლებისთვის მიემგასავებინა, ოპერის სკვერი - ლუქსემბურგის ბალისთვის ან თუნდაც ეს თავმოხილი, ყველის სუნით აქოთებულ კაფე წარმოედგინა, როგორც პარიზული „გრან კაფე“. ისე პარიზი მაინცდამაინც არ უყვარს.

- ნაპო! - გოგოს ხმა გაისმა და ქოულის „სანტიმენტალური მიზეზი“ დასრულდა. რომანტიკულ ბურუსში განხვეული აყლავდა უცებ გამოერკვა. ფანჯარასთან იდგა, მრგვალი მაგიდის წინ. მაგიდასთან შებერტიანი ოკვიოდ წლის გოგონა იჯდა და დიდრონი ცისფერი თვალებით ამოჰყურებდა.



– მარია?! – ნაპო დაიბნა, გოგო კი მორიდებულად გაიპრანჭა, ხავერდის ნამწამები დაფაფხულა და ძალიან თეთრი კბილები გამოაჩინა.

– დამიგვიანდა, – ნაპო სწრაფად ჩამოჯდა.

– ჰო, – მარიაკამ ალუმინის კოვზი ჭიქის ფსკერზე აწკარუნა. – რას შევინ?

– რალაც ვადაფეყვიტე, – ნაპომ მოინდომა, მარიკას თვალები დაეჭირა. გოგომ მაშინვე მორცხვად დახარა თავი და ჩაის წრუპვა განაგრძო. ბიჭმაც თითქოს შეგნებულად მოარიდა მზერა, ფანჯრისკენ გაიხედა. ქუჩაში ისევ ნაირფერ პარკებს ათამაშებდა ქარი – უღიმღამოდ ფრიალებდა პოლიეთილენის გაბერილი ფორმები.

– ნამოხვალ ჩემთან?

– სად? – ვითომ ვერ გაიგო მარიკამ.

– სად და ჩემთან სახლში, ამაღამ მარტო ვარ! – მხრებში გაიშალა ნაპო და ოფიციალტს ხელი დაუქნია.

– არ გამომიშვებენ, – მარიკამ კვლავ დაიმორცხვა.

– ვინ არ გამოგიშვებს, შენ ხომ... – თუმცა ნაპოს თეთრებში გამოჩეკილიმა ოფიციალტმა ბიჭმა არ დამთავრებინა შეკითხვა, ის უკანალის რწევით მიიჭრა შავიდასთან.

– რას ინებებთ? – იკითხა მიმტანმა. ნაპო უეცრად გააღიხინა განაზეხულმა ტონმა.

– დალის უღვაში თაფლითა და შოკოლადით! – სრული სერიოზულობით მიმართა. მიმტანი დაიბნა.

– იცით... ქალბატონი დალი დღეს ისვენებს...

– თქვენ მისი ახლობელი ხართ? – შეიშაშა ოფიციალტი, მერე უცებ გაიჭიმა და თხელი, ამაზრზენი ტურები მოკუნა.

– არა, არა, – ხელი აიქნია ნაპომ, თან მარიკას გადახედა, რომელიც გაოგნებული შეყურებდა ხან ერთს და ხან მეორეს.

– არადა, ჩვენს კლიენტებს ძალიან უყვართ მისი მომზადებული კერძები... – მიმტანმა შუბლზე ჩამოყრილი ქერა თმა ნაზად გაისწორა.

– ჩვენ კი ნახატები! – მარიკას თვალს ჩაუკრა ნაპომ.

– დახს, აი გახედეთ... რაც აქ კიდია, ყველა მისი დახატულია, – ბიჭმა მოპირდაპირე კედლისკენ გაიშვირა ხელი. ნაპომ და მარიკამ თვალი გააყოლეს – მოყვითალო კედელს სერიებად ამშვენებდა თეთრი ცხენების კოლექცია.

– როგორი დამთხვევაა! – თავი გაქანია ნაპომ. მარიკას მხოლოდ ჩაელიმა. – თუ შეიძლება, ერთი „ამერიკანო“ მომიტანეთ... და ქალბატონ დალის – მოკითხვა!

– დახს! – კვლავ დაიბნა მიმტანი, მაგრამ კითხვა აღარ შეუტრუნებია, ისე გაკუნტულად ბარისკენ.

– რატომ აბნევ ადამიანებს?... უხერხული დუმილი დაარღვია მარიკამ.

– რავი, შევასება, – ირონიულად ჩაელიმა ნაპოს.

– შენც იბნევი?

– ნაპო...

– დალის გამოძცხვარი თაფლიანი უღვაში და გოაშის ნითელი ლიქიორი... აბა, როგორია, ნამოხვალ ჩემთან? – ნაპოს სახე გაუბადრა თავის-სავე იდეაზე. მარიაკა მორცხვად იჯდა მის წინ, ცალი ხელით ჩაის ფინჯანს ატრიალებდა ლამბაქზე, ცალი კი თმაში შეეყო.

– ჩვენ სულ ერთი კვირა ვიცნობთ ერთმანეთს...

ძლივს ამოთქვა გოგომ.

– მერე რა? – გაანწყვტინა ბიჭმა – აი, ჩვენი დამპალი მენტალიტეტი... შენ მე არ მენდობი, მარიაკა!

– არა, ეს არაფერ შუაშია, – მარიკა უხერხულად აინურა.

– აბა, რა არის შუაში? – ნაპომ ხშირ ნარბებს მაღალი შუბლის შუაგულში მოუყარა თავი. გოგომ უმწეოდ ააყოლა მზერა, მერე იტალიური შავი კოლხურ ცისფერს შეხვდა და კიდევ ერთხელ აუწითლდა მარიკას ლოყები. სწორედ ისე, როგორც პირველი შეხვედრის დროს, თეატრში.

ეს არ იყო ერთი ნახვით შეყვარება ან რალაც მსგავსი სისუღელე. ეს ყველაზე დიდი ვნება იყო, რომელიც ამ ასაკში უწინდებთ ხოლმე გოგონებს ენება, რომელიც ისე არღვევს ყოველგვარ ჩარჩოს, როგორც გაზაფხულის პირას მოვარდნილი ნიაღვარი.

– მე მინდა, რომ კარგად გაგიცნო, ნაპო... – მგონი, თვითონაც არ მოელოდა, ისე ნამოსცდა მარიკას.

– მერე... ამისთვის უფრო ახლო ურთიერთობა საჭირო, – ტონი დაიბრძენა ნაპომ, – თუ შენ მხოლოდ კაფეებსა და ბალებში სეირნობას ეძახი ურთიერთობას?

– რა უცნაური ხარ! – ესეც გაუაზრებლად თქვა გოგომ, მგონი, უფრო გაიფიქრა.

– მე არ მომწონს ასეთი ურთიერთობები... – ნაპომ ცუნცულა ოფიციალტის მოტანილი „ამერიკანო“ მოხერხა და გაისუსა...

– გამოიბრძვი? – კნუტცივით მოიბუზა გოგო და თან ნაპოს მსხვილ ტურტებს შეაღლო თვალი. ბიჭს „ამერიკანოს“ არმატული წვეთი შერჩენოდა ტურჩის კუთხეში. მარიკა კიდევ უფრო შეიპყრო უცნაურმა გრძნობამ, რომელიც მუცლიდან იწყებოდა და სადღაც მკერდში ფეთქავდა.

– არა, შენ როგორ უნდა გამაბრაზო... – ნაპომ გოგოს ხელი თავის დაგრეხილ თითებში მოიქცია.

– რა სველი ხელები გაქვს, ეტყობა, ჩაიმ შევახერა... – ბიჭმა ზუსტად იგრძნო უპირატესობა და ისარგებლა კიდევ. მარიკა უმწეოდ თრთოდა, სხამოვნებისა თუ უხერხულობისგან ხმას ვერ იღებდა. ასე გაგრძელდა კიდევ ერთი საათი, მერე ორივეს სუფთა პაერი მოუნდა და თავმოხდილი ყველისგან დამზადებული ხაჭაპურის სუნიც მტერისა და

ბენზინის ომბივარმა შეცვალა. ქუჩაში ცალ-ცალკე მიდიოდნენ, ისე არა, რუსთაველებზე რომ დადიან ხოლმე შეყვარებულები, თუმცა ისინი არც იყვნენ შეყვარებულები. ნაპო დინჯად და თავმომშონედ, მარცხა კი მორიდებული და თავდახრული მიუყვებოდა ქვაფენილს. ბიჭი ჩვეული ოუმორით ისწავლდა თავს, ვაგონს კი რაღაც უფრო მეტი უნდოდა. უფრო მეტი, ვიდრე მისი ეგოისტური მანერები იყო.

ლამდებოდა. შავ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები სამსახურიდან სახლისკენ ან სახლიდან რესტორნებისკენ მიემართებოდნენ გაყინული სახეებით, ცაში ატყორცნილი ქართული კეჩიხა და აქაურო გუმი-პრადას შემოდგომის კოლექციებით. ცნობილი ბრენდების იარლიყით შემკული თუ ინდური გრძელცხვირა ფეხსაცმელი ისევ სტუმბებს ცეკვადა მტვრიან ასფალტზე, ოღონდ ქართული სიღინჯით. გზის შუაგულში მამიკოს ფულებით ნაყიდი „ვეროპული ავტობაზრობა“ ღრინავდა. ავტობაზრობებით დაღლილი შუქნიშნები კი ვერცხლისფრად ახალშეღებულ ბოქებზე უღიმვამოდ ციმციმებდნენ.

ნაპოს ხშირად აღიზიანებდა ეს ყველაფერი, მაგრამ მაინც უყვარდა. უყვარდა, როგორც კოჭლი ნათელა ბებო და დათა პაპა, რომლებიც ზაფხულობით სოფელში ელოდნენ. უყვარდა მამადავითზე მოულოდნელად ამოვარდნილი ქარიც, რომელიც უნაშუსოდ მიეჭრებოდა და უცებ აფორიაქებდა პოეტებით ჩაფიქრებულ წინვოვანს. უთანადგრობდა ნვიძის დროს მთანმინდის ვინრო ქუჩებში აცეტებულ ნიაღვარსაც. აშარი მთვარეც მოსწონდა ნაპოს, ფუნისულიორზე რომ ეკიდა ხოლმე. მოკლედ, ბიჭს თბილისი ძალიან უყვარდა. ეს იყო ქალაქი, სადაც დიდადა; სადაც მასზე მშობიარობას გადაყოლილი დედა განისვენებდა; სადაც გაიზარდა, ისწავლა და ახლა თამაშობს. მართალია, პატარა სცენაზე, მაგრამ ხომ თამაშობს, არა? მერე რა, რომ მამა „უღიბლო მსახიობს“ ეძახის. ნაპოს მაინც საჯერა, რომ უთუოოდ გამოჩნდება ვინმე ქართველი ლუკინო ვისკონტი და მასაც ისე აღმოაჩენს, როგორც თავის დროზე აღენ დელონი იოვა დიდმა რეჟისორმა. ისე, „როკოს ძმებზე“ კვლავ იტალია ახსენდება ბიჭს და მეორე სამსობლო. ოცნებას კაცს არ მოუკლავს და, დღის სონისა ქვეყანაში რომ წავა ოდესმე, ამისიც სწამს.

საოცნებოდ მართლა კარგი ადგილია მისი ნეორეალისტურად მოწყობილი იტალიური ეზო და სახლის მესამე სართული. აქედან თბილისის ულამაზესი ხედი იშლება. ნაპოს მუხუბიც მთანმინდის ამ მაღალჭრიან ბინაში ბუდობენ.

ბიჭმა უღიმვამოდ გამოაღო გადაახუნებული, ერთ დროს ყვითლად შეღებილი კარი და სახლში შევიდა. ოთახი შებოლილი თევზისა და ლუდის

სუნით იყო გაუფენილი. ძველებური ხის აფეჯით განწყობილ მისაღებს ქალის ხელი აკლდა. მომწვანო დივანზე უწესრიგოდ ეყარა ტანსაცმელი, ხის მრგვალ მაგიდაზე კი გაურეცხავი თევშები და ჭიქები. ნაპოს ზიზღი მოერია, მაგიდასთან დადებულ უზურგო სკამს ფეხი გააკრა, მერე მაცივარი გამოაღო და სულ ბოლო თაროვან ნაქცეული ბოთლი გამოიღო. გამჭვირვალე შუშაში მოყავისფრო სითხე ჩანდა. ცოტა ხანს იდგა ასე, გამომცდელი თვალბით შეჰყურებდა ბოთლს. მარტოობის ასი ნაპო მაცივრის კარის ჯახხვანა გარკვევა, რომელიც წამოიწიხის კვრით მიხურა და მეორე ოთახისკენ დაიძრა. ის ახლა იმაზე უფრო მკაცრი იყო, ვიდრე სცენაზე მისი ლაერტი. ნაწყენი ჩანდა – ალბათ, მარცხზე. იქნებ, უფრო იმედგაცრუებულ, პირველივე შეთავაზებაზე რომ არ წამოჰყვა. ნაპო აჩრდილივით დადიოდა ბნელ ოთახში და კონიაკს წრუპავდა. მერედა გაახსენდა, რომ ოთახში ბნელოდ და სანოლთან ჩამოკიდებულ ბრას ხელი აპკრა. სწრაფად გაიძრო ლაბადა, არეულ ლოგინზე მიაგლო და ფანჯარას ეცა. ოთახში ოქტომბრის სიგრილე შემოიპარა და სიგარეტის ბოლს გაეარშიყა. ჟანგბადმა და ნიკოტინმა იმწამსვე ურცხვად დაიწყეს ხვევნა-კოცნა. ერთადერთი, ვინც მათ აფხორცობას უყურებდა, მერილინ მონრო იყო და ისიც – კედლის პლაკატიდან. თუმცა მას რა უნდა გაკვირებოდა – თვითონაც, კაბახადილი, უზომო ეროტიკულობით საესე, პარტიორს ელოდა.

ნაპო სავარძელში გადაწვა და კონიაკით შეეცადა უმისამართო ფიქრების გაბრუნებას. ფიქრობდა ძველ და მომავალ რომანებზე, კინოზე, როლებზე, მამაზე, რომელიც ახლა, ალბათ, რომელიმე იაფფასიან კაბახასთან ნებივრობდა და, რაც მთავარია, ფიქრობდა იტალიაზე. ეს ქვეყანა ისევ აუხდენელ ოცნებად რჩებოდა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვერა და ვერ იმოვა ეს დაძაბული ურო, რომ მაკრონი აფრინდეს“. მეგობრები ხშირად დასციინან კიდევ – რა უნდა აკეთო იმ მაკრონიშვილების ქვეყანაში; მე შენ გეტყვი, თვითონ ბერტოლუჩი გელოდება, ერთი სული აქვს, ჩახვიდე, რომ ახალ ფილმში გადაგიღოსო. ნაპომ არც ბუბია სონისა ნათესავებზე იცოდა რამე, ერთადერთი ახსოვდა ის, რომ სიცოცხლის ქალაქ ტაორმინადან იყო. ოცნება იტალიაზე ძველებური ტელეფონის ზარმა გაფანტა. ბიჭის შავ თვალბით ერთი საათის წინანდელი ცეცხლი დაბრუნდა და სიხარულით ეცა აპარატს.

– ნაპო, გცალია? – ყურმილში ქალის დებრესიული ხმა გაისმა. ბიჭის უცვარი სიხარული ისევ უსიამოვნო შეგრძნებამ შეცვალა.

– ჰო. – ნაპომ ღრმა ნაფაზი დაარტყა განახლებულ სიგარეტს და კონიაკი მიაყოლა.

- წერილი კიდევ გამოგიგზავნე, ნახე?
- არა! - თითქოს ხორხში გაჩხერილი ბგერები ძალით ამოყარა ნაპო.
- შენთან შეხვედრა მინდა!
- ზანდა, აღარ არის საჭირო ასეთი ლაპარაკი...
- არ მინდა დავიჯერო, რომ ნაძირალა ხარ...
- ეს რა შუაშია?
- ასე უცებ გადაყარე სანაგვეში ჩვენი ორწლიანი ურთიერთობა?

- ყველაფერი, რაც ძველდება, სანაგვეში ხვდება! - განრისხებული ნაპო ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. - და, საერთოდ, რატომ მეკითხები იმას, რაც ორივემ ძალიან კარგად ვიცით?

- ასეთი ტონით ნუ მელაპარაკები, ძალიან გთხოვ, - ქალს ხმა აუჩვილდა. - არ შემიძლია... ასე გაძლება აღარ შემიძლია!

- მე კიდევ ამის მოსმელა აღარ შემიძლია.
- მიყვარხარ, ნაპო...
- რა ბანალური ფრაზაა, როგორ ვერ ვიტან!
- როგორ არ გრცხვენია - ჩემს გვერდით იწევი, მეხვეოდი, თვალებში მიყურებდი...

- შევთანხმდეთ იმაზე, რომ ამით ორივემ დიდი საიმოვნება მივიღეთ, - გაანწყვეტინა ბიჭმა.

- მე შენში ყოველთვის ის მომწონდა, რომ არც ერთ სხვა კაცს არ ჰგავდი!

- კარგი რა, ზანდა, 35 წლის ქალი ხარ, წესით აღარ უნდა გჯეროდეს ამ ზღაპრების... - ნაპომ კიდევ ერთ ღერს მოუკიდა - ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა.

- დაიმახსოვრე ეგ სიტყვები და, როცა მართლა შეგიყვარდება, მერე გამიხსენე! - ზანდამ ტირილი ვერარ შეიკავა.

- არც სანტიმენტებია საჭირო!.. - ნაპომ კონიკის ბოთლი ბოლომდე გამოცალა და ყურმილიც გაითიშა. ბიჭს ერთდროულად მოაწვია ბრაზი, ბოლმა და ცარიელი ბოთლი კედელს გაუქანა.

კედლიდან ისევ მაცდურად იღიმებოდა მერიონი მონრი, ოღონდ კაბა გახეივდა საუდომთან.

- ჰოლივუდის სექს-სიმბოლო დაუმსახურებლად ჩახვია ქართულ შუშას. ნაპო კი, ღია ფანჯარაში გადამდგარი, იმედინად ეძებდა ფუნქციონირზე დაკიდებულ მიფარეს, რომელიც ჭორიკანა მეზობელივით უთვალთვალებდა ყოველდღე, ახლა კი შერცხენილი ბავშვივით იმალებოდა საღდაც.

მერე აჭრიალდა ნერვული ნაბიჯები ნახევრად აყრილ პარკეტზე და ერთსაათიანი როლა მაინც მოაწყო, სანამ არ დაიღალა. ამასობაში თაბაშირის საფერფლეც გავიგო და სიგარეტის კოლოფიც დაცარიელდა. ასე ემართებოდა ხოლმე ბიჭს, როცა წარსულიდან თავს ახსენებდნენ. ნებით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომები გონებას უჭრიდა,

თუმცა არასოდეს აღიარებდა. ხის სავარძელში ჩამხოზილსა და ძილგატეხილს მუშები სჭირდებოდა. ახსენდებოდა მარიკა, დიდი ცისფერი თვალბრძოთა და შავი ბერეტი, ზოგჯერ ძალიან ქალური, ზოგჯერ კი ჩვილივით უშნო. არა, ეს არ იყო სიყვარული - და, საერთოდ, მსგავსი აბსტრაქტული ცნებები არაფრისდიდებით არ სჭირდებოდა ნაპოს. მარიკა ამ ნაცრისფერ გარემოში, რომელსაც ყოველდღიურად ლეზავდა ბიჭი, ახალი ფერი იყო, ახლად ამოსული ყვავილი, რომელსაც გაზაფხულის ქარიც კი ელოლიავება, რომ შემთხვევით არ მოწყვიტოს ვნებით ავსებულ მიწას.

- „ახლა რაც არ უნდა იფიქრო ჩემზე, მე მაინც უნდა ნაწიდე. იმედია, ხვალ დილაზე არ გაგვეცა ეს წყენა და, გაიღვიძებ თუ არა, მაშინვე დამირეკავ... მომწონს შენი ახალგაღვიძებული ხმა, ცოტა გაბუტული და ცოტა სექსუალური,“ - და მარიკამ ისევ გადაიკისკისა, თეთრი კბილები გამოაჩინა და წავიდა.

ნაპომ ზემდეტი რომანტიკულობა იგრძნო ამ ფრაგმენტის გახსენებისას და არ მოეწონა. სწრაფად ნაპოხტა სავარძლიდან, სიგარეტის ნაწმენვებით სავესე საფერფლეს ხელი ნაშოავლო და ისიც კედელს მიადგუნა. მერიონი ისევ არ იმწმენდა ამ უმისამართო შეურაცხყოფას, რომელიც მას, ალბათ, სიცოცხლეში იმ ქალებისგანაც კი არ მიუღია, თავიანთი კაცების გამო რომ ვერ იტანდნენ.

დილის 6 საათამდე ბორგავდა ქართულ-იტალიური სისხლს გაურსიულად დაბერილ ძარღვებში. საკუთარ თავს გაორებულს ხედავდა, აწუხებდა მარტოობა - როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი. ნაპოს ქართული კონიაკი მოჰკიდებოდა. კარგა ხანს იარა იაფფასიანი სევდით გაბრუნებულმა შებოლლილ თევზისა და სიგარეტის სუნით აქოთებულ ოთახებში, მერე ძველმოდური ტელევიზორი ჩართო და მოცელილივით მისევნა საწოლზე. რომელიღაც არსზე „უკანასკნელი ტანგოს“ უჩვენებდნენ. რამდენიმე წამში მარლონ ბრანდომას ნაპოს მოძრაობა გაიმეორა - გაოფლილი და ძალაგამოცლილი გადაწვა, ოღონდ მარია შნაიდერთან სექსუალური აქტის შემდეგ.

მთანმინდაზე თენდებოდა. ნაცრისფრად, ძალიან უბრალოდ და თავისებურად. მხოლოდ მახათასკენ მოჩანდა მოკრძალებული ვარდისფერი. თბილისური მზე ნაბახუსევზე გამოდიოდა, აღმოსავლეთის აივანზე იზმორებოდა და ნიერის წნენანის შესახვერე-პად ამზადებდა ნამთვრალეც უსაქმურებს... ნაპოს არც შზის სხივები ენახა და, მით უმეტეს, არც ნიერის წნენანი გაესიწვა, რადგან ჯერ კიდევ ძინდა. ძილბრანში პირის სიმშრალე აწუხებდა, მაგრამ თავის ნამონწვე ვერა და ვერ შეძლო. ღია ფანჯრიდან შემოპარული ოქტომბრის სივრილე ურცხვად კბენდა ბიჭს

შიშველ ტანზე, მოპირდაპირე კედლიდან კი მერი-  
ლინ მონრო უთვალთვალებდა უცვლელი ეროტიკუ-  
ლობით. ქაღს თითქოს არც ახსოვდა გუმინდელი  
ოჯახური კონფლიქტი. ნაპო არც მერილინის მზე-  
რას შეუნუხებდა და არც ეზოდან შემოჭრილ ხმაურს,  
თითქოს რაღაც ძალამ გამოაღვიძა. სახეზე ეტყუ-  
ბოდა, ბევრი ჰქონდა სათქმელი. მოყვითალო ოთახს  
ნამძინარეები თვალები შემოათარა და წამოდგა. ადა-  
მიანი არ ჩანდა, ვისაც გულისნადებს გაანდობდა,  
თუმცა ეს უკვე ჩვეული მდგომარეობა იყო. თბილისი  
შემოდგომის ხიბლით ტკებებოდა. იტალიურ ეზოში,  
დიაგონალურად გაჭიმულ თოკებზე ჯერ ისევ სველი,  
ჭრელ-ჭრელი ტანსაცმელი ქანობდა. გაფხვილი  
შუშბანდიდან დიდბუბუბიანი მაცაცოს ქოთქოთი  
და რობერტას უხამსი გინეა ისმოდა.

- სად წაიღე ამდენი ფული, შენი დედა მოვ-  
ტყანი?! - ღრიალებდა რობერტა.

- შენ ნაღილე მინაში, სად წავიღებდი, ბავშვებს  
ჭამა არ უნდათ? ჩემთვის კიდევ უკაცრი ვიყიდე  
მეორადებში, აღარ შემიძლია ყოველდღე ამ დახეუ-  
ლი კაბით სიარული, - აქაქანდა მაცაცო.

- აი, სად მიდის ფული - შენს ჭინჭებში, მე  
კიდევ ტრეკი ჩამომივიდა ამდენი ავეჯის თრევით...

- ავეჯის თრევით კი არა, ლოთობით, შე უსირ-  
ცხელი, შენა. ჩემს ჭინჭებზე როგორ ლაპარაკობ?  
შენ ის კაცი არა ხარ, ყოველ დღლით სახინკლებში  
რომ დათარე ამ უბნის გათახსირებულებს... -  
ხმას უმატებდა მაცაცო, რომ მეზობლებსაც გაე-  
გოთ, რა დღეში ადგებდა ქმარს.

- დედაც მოგტყვნიათ, თუ არა ჭამთ და არ  
ჩაიცვამთ! - მიძახა რობერტამ და ეზოში გაეარდა.

აი, ესეც ნაპოს ბედნიერი მეზობლები! - ბიჭმა  
ძიძიმედ ამოისუნთქა, თეთრი თაბახის ფურცლები  
წამოკრიფა იატაკიდან, ფანჯრის რაფაზე გაკვეზე-  
ბულ ფანქარსაც მისწვდა და დაბუბუბული ხელი  
გაავარჯიშა. ფრაზები აღარ იცდიდა, რითმასაც  
ასწრებდა და აეტორსაც, დალუული, შავი ფანქარი  
კი ამ დროს ყველაზე მეტად მიაგავდა დიდი ხნით  
საკანში გამოკეტილ მაშრს. ქალბატონი ფურცელი  
უხმოდ გათრმულიყო მაგადის კუთხეში, მხოლოდ  
წამიერად თუ გაიშრიალებდა ნაპოს დაგრეხილი  
თითების გადამკიდე.

... და ასე სველიანს

ტიკვილზე დაწერა მომინდა დილიდან,  
დილიდან ვეძებდი ლექსების ძველ რეკულს  
და კალამს, შავი მელანი რომ ჰქონდა...

მე ვნერდი სიტყვებით,  
შეს - თერთზე და მინდოდა პირიქით...

მე ვნერდი ეთერზე, ოზონზე,  
მაგრამ არასოდეს დამიწერია შენის ვადასაბდეზე,  
ჩამქრალ ლამპასა და დალუქულ ვაზზე...

ყოველთვის პრინციპულად ვამბობდი, რომ  
მე ვარ რომანტიკოსი  
და არავითარ შემთხვევაში - სოციალისტი!!!  
მე ყოველთვის ვეძებდი ქალებს,  
რომლებსაც სავე თვალივთ ჰქონდათ,  
ჰქონდათ მეკრდიც და ჰქონდათ საჯდომიც,  
მაგრამ მე უფრო სული მინდოდა.  
მინდოდა, თვითონ გამეხსნა ზეცა  
და... ნვიშის ნაცვლად ქვიშა ცვიოდა,  
ცვიოდა სვედა, ტყუილი, არსება  
და რომანტიზმსაც თავი სტკიოდა...  
და რომანტიზმიც დაკარგე ერთ დღეს  
ბაბუას ნაქონ დამბარასათი.  
ალბათ, იქ, სადაც, მინაში იწვა  
და თავს ეყარა ქვეყნის ნავაგი...  
ნავაგი სუფთა პარკების შიგნით,  
ნითელ-ყვითელი - მაინც ნავაგი.  
თანამედებობაც ჰქონდა ამ ნავაგს -  
ის იყო მინის დეპუტატი, ოღონდ დროებით...

ნაპოს სიურრეალისტური სამყარო მხოლოდ  
აქ არ მთავრდებოდა. უბრალოდ, კარზე ნერვული  
ბრაზუნი გაისმა და ბიჭმაც წერა მიატოვა.

კარში თამაბურდგინლი, ლოგინში წოლისგან  
სახეაჭრელებული ზორბა მამაკაცი იდგა. ნაპოს წარ-  
მოსახვაში ეს ბატონი მარჩლო მასტროიანის მიაგავდა.

- ჩამოვიდე კარი! - აბუზუნდა კაცი.

- რაო მადონამ, უზმოზე აღარ ვიძლევიო? -  
უხამსი ხუმრობით შეხვდა ბიჭი.

- გაიწო, ერთი, გაიწო... - მასტროიანის აჩრდი-  
ლი ჯაყოს ნაბიჯებით შეიჭრა ოთახში. ჯერ კარადებს  
აუტეხა რაზარუხი, მერე მაცივარი გამოაღო, შეათვა-  
ლიერა და გუნებანამბდარმა მამინეე მიხურა.

- სად წაიღე ის კონიაკი?

- დავლიე... - მეორე ოთახიდან გამოსძახა ნაპომ.

- მეტი ვერაფერი ნახე?

- მეტი არ იყო, თორემ იმასაც მივაყოლებდი...

- მეტიც, თეატრიდან რომ ფულს აიღებ, მერე  
გექნება... ლამარას მალაზიში ვალია გადასახ-  
დელი... გაზი ხომ დავგილუქქეს, ამ კვირის ბოლოს  
შუქსაც ჩაჭრიან... მერე დამიჯექი სანთლის შუქზე  
და ჩემი ბოზების ისტორიებს მოგიყვები...

- რა გინდა, მამა, ის ჩემისა ლალი თუ აღარ  
გაძლევეს ან ორთაჭალელი ჯულია ორგაზმის დროს  
ვეღარ კივის, ჩემი ბრალია? - ნაპო წესისყლაპია-  
სავით გამოვარდა ოთახიდან.

- შენს პრასტიტუტკებს მიხედე შენ! - შეულ-  
რინა კაცმა.

- რა გავაკეთო, ამ დედაფეთქებულ თეატრში  
არ ჩინს ეს ფული და რა ვქნა?

- რა ქნა და, რომ არ დაიჯერე არავისი, წადი  
ახლა და კლოუნითი იქნავე იმ სცენაზე. გამომი-  
ვიდა, რა, ესეც დე ნირო...

— რა სამწუხაროა, რომ ისევ კომუნისტების ეპოქაში ცხოვრობთ, ბატონო პავლევი... — ბრაზი ცინიზმით შეკვალა ნაპომ, არადა, ზუსტად იცოდა, რომ პაველს დედამისზე ყველაზე მეტად ეზიზღებოდა კომუნისტები და მათი შთითხნილი წითელი ეპოქა.

— რა ვანი, შვილო, შენ ხომ დავახარ დემოკრატიის შუქურაზე, ადექი ახლა და ათამაშე ტრაკი მულენ-რუჟის ბოზივით სარდაფის სცენაზე, უფასოდ. ტამი გეყოფა საქმელადაც და სასმელადაც! — პაველმ დაფანქული, ხშირი წარბები სვედიანად მოღუპა და მომწვანო დივანზე გადაგორდა. ნაპოს ხმა აღარ ამოუღია, უსიტყვოდ გავიდა თავის ოთახში. სწრაფად ჩაიცვა და მხედრული ნაბიჯით, თითქმის დემონსტრაციულად დატოვა სახლი.

შემოსასვლელში დაკიდებული ბაროკოს სარკისთვისაც კი არ შეუფერია თვალი, ისე გავარდა. არადა, აქამდე დიდი ხნის გაუწმენდავ, გაჭვარტულ სარკეს ყოველთვის ჰქონდა პატივი, რომაულ პროფილს აერეკლა. გაბრაზებული იყო ბიჭი, უფრო ზუსტად, ნაწყენი. ნაწყენი არა მამაზე, არამედ ცხოვრებაზე. მაგრამ ოპტიმიზტური ტონი მაინც დაკრავდა მის გაქვავებულ რომაულ სახეს. ფეხით დაეშვა მთანმინდის ვინრო ქუჩებში. მიდიოდა და ფიქრობდა, რომ რაღაც უნდა შეეცვალა. მაგრამ ეს რაღაც, არ იცოდა, საიდან დაენწყა. უმრქმეოც არ იყო ნაპო. რა აღარ სცადა — ბანკშიც იმუშავა, ნატურალური წვევნების დისტრიბუციამში, სტამბაშიც და „ფოტოსამყაროშიც“, თუმცა დიდი ხანა მიხვდა, რომ ფულისთვის ვერ გააკეთებს იმას, რაც მისი საქმე არ არის.

„გიჟი ხარ, ნაპო! თვითონ არ იცი, რა გინდა,“ — ახსენებოდა ზანდას სიტყვები. კონკრეტული ვნებების გარდა, მან მართლა არ იცოდა, რა უნდოდა. მთელი ის წლები, რაც გონება გაუნათდა, საკუთარი თავის ძიებაში იყო. ქებდა, ჩერდებოდა და მერე მალევე ტოვებდა, რადგან ბეზრდებოდა. ასე იყო ზანდას შემთხვევაშიც.

ეს ქალი — ამ სიტყვის სრული დატვირთვით, — ფოტომოდაზიში გაიცნო — ფოტოაპარატიო ხელში და ფორუზისფერი „შარფით“, რომელიც მაშინ განსაკუთრებით უცესულურად ეჩვენა ბიჭს, რადგან მაღალ და მიმზიდველ კისერზე ისე შემოხვეოდა, როგორც კლეოპატრას გველი. ზანდამ კავალერი თავის სტუდიაში მიიწვია გადასალებად და მათი რომანტიც პირველივე დღეს დაიწყო. ათასი ლამე, უამრავი ბედნიერი წუთი, სიხარული და ცრემლი აწუქეს ერთმანეთს. უცნაურია, მაგრამ ბიჭმა სწორედ მაშინ დატოვა ზანდა, როდესაც იგრძნო, რომ ქალს უყვარდა.

— აიცილდე, რომ ასე არავის ეყვარები, ასე არავინ იზრუნებს შენზე და ვერავინ გაიგებს შენს ახირებებს

ისე, როგორც მე“, — ახლაც ეგოსისტურად ეჩვენებოდა ნაპოს ზანდას ბოლო, სანტიმენტალური სიტყვები.

უდრიოდ მოძალბებული სანტიმენტები ყავის თავბრუდამხვევმა არომატმა გათიშა. ნაპო ყავახანასთან შეჩერდა. შუბით შეფუთულ გაბრანჭულ კაფეში დეკორატიული, გარყვნილი ახალგაზრდები კოფეინით იბრუებდნენ თავს. ლატესა და კაპუჩინოს ეროტიკული სისველე ირწეოდა მრგვალ მაგიდებზე. ბიჭს პირველად მოუნდა, ყოველგვარი კომპანიის გარეშე, მარტოს დაეღია ერთი ფინჯანი და კარი შეღო. აქაც, ჩვეულებისამებრ, ფირაფივით ყვლომორებულ შევიდა, ფანჯარასთან მიდგმული მაგიდა ამოირჩია და ჩამოჯდა. ისევ „ამერიკანი“ შეუკვთა და ისევ გაახსენდა ზანდა, ყოველ დღით ნახევრად გამჭვირვალე, იასამინფერი მოსახამით რომ შემომრიალებებოდა სანლო ოთახში და ყავას მოართმევდა. მერე უზენაინი კოცნით გაუხსნიდა ღამით გადაღლილ, შენებებულ ტუჩებს და თავიდან გამოიწვედა მის მამაკაცურ ღირსებას საბრძოლველად.

საერთოდ ასე იყო, ნაპოს ცხოვრებაში ვნებას უფრო დიდი ადგილი ეჭირა, ვიდრე სხვა რაღაცებს. ემოციებით უფრო მოქმედებდა, ვიდრე გონებით. მოკლედ, დიდი არაპრაქტიკული ადამიანი იყო. არასოდეს უფიქრია ოჯახის შექმნაზე. მიაჩნდა, რომ ეს უაზროდ აკიდებული ხურჯინია, პასუხისმგებლობითა და მივლინებითი სავსე. მისი რომანტიც, ალბათ, ამიტომ მთავრდებოდა ძალიან მალე, რადგან ყველა გოგოს ან შვილის გაჩენა, ან საქონიზმო გვირგვინის დადგმა უნდოდა.

ასეთი გოგონები კი მრავლად იყვნენ აქაც, ამ ყავახანაში. ამას ნაპო „ეპოქის კრიზისს“ ეძახდა. თუმცა იმავე საუკუნეს სხვა მარგალიტებიც მრავლად ჰქონდა, რომ აღარაფერი ვთქვათ გლობალურ თავსატეხზე. მამაზე ტვინის ჭყლეტა კი აღარ მოუნდა ბიჭს. სიგარეტს მოუკიდა, თვალები დაჭყიტა, უკვე გაციებული „ამერიკანი“ მოხვრიპა და თითქოს საკუთარი ფიქრებიდან გამოიპარა. კაფეში ბანანის რესპუბლიკის მომავალი თაობა სტუდენტობის საუკეთესო საათებს ფალსიფიცირებული თამბაქოს კვამლით ახრჩობდა. ნაპოს ბატონი ვაჟს სიტყვები გაახსენდა, მისი დირექტორი რომ იყო სტამბაში: „ერთი ჭაბურღილი გვინდა კუვეიტში და სუყველას გვეშველებოდა“. მთლად ჭაბურღილი არა, მაგრამ იტალიის რეისზე ერთი ბოლუთი ნამდვილად უშველდა ბიჭს. ცვლილებების გზა — აი, რა იყო ნაპოსთვის აპენინის ჩქემაზე მდებარე კულტურული მისტერიის ქვეყანა. უკვე ქალაქ ტაორმინასკენ ჰქონდა გეზი აღებული, რომ ნაცემბა ხმამ გამოაფხიზლა.

— ეი, შალიაპინ! როდის მერე დაიწყე კაფე-ბარებში მარტო სიარული? — ნაპომ ალიგიერის ჯო-

ჯოხნეთში მოხარშული ძალლივით ცქვიტა ყურები. კაფეში მალალი ბიჭი გამოჩნდა, კეხიანი ცხვირი და ბრილიანით აპრიალბებული თმა ჰქონდა. ახალ-მოსული ქართული ცეკვის შესაფერი გასმებით მოუახლოვდა ნაპოს მაგიდას.

- ვაა, გუგააა! - ნაპოს ახალალებული კოცონით მოედო სიხარული სახეზე. - შენ აქ საიდან? ჩამოვჯექი...

- თინათოს მოვაკითხე. შენ რა გჭირს, რაღაცა მთელი დედამიწის სატკივარი მოგიკიდია ზურგზე! - გუგა უახროდ გაიკრიჭა და მოყავისფრო, აპრიალბებული ქოჩორი სამი თითით უკან გადაიყარა.

- არა, უბრალოდ, როლში ვარ. - ხუმრობა სცადა ნაპომ.

- რას შეგები, რა ხდება თეატრში?

- სად, ბროდვეიზე?

- არაა, საერთოხეში, - გუგა სარდაფის თეატრს ეძახდა ასე.

- რავი, პენსიას ველოდებით, რა! - ნაპომ სიგარეტის ახალ ღერს მოუკიდა და თვალები მოჭუტა ბოლისგან დასაცავად. - თქვენსკენ რა ხდება, სადმე ხო არ მიდხარო?

- ბერლინში, თვის ბოლოს...

- მერე, გერმანელებს უნდათ ქართული ცეკვა?

- რავი, ერთი მაგათი ჭჭუაც ვატირე; გასტროლია, რა... ისე, გერმანელები არ გევასება, თორე ნაგეყვანდი.

- არა, მანდ მე პას... - ნაპო უეცრად აგრესიული გახდა.

- ხო, ძმაო, შენ კოსტა-ბრავაზე ნაკლებს არ კადრულობო, - გაიკრიჭა გუგა.

- აუუუ! მაგრად გაასწორა ესპანეთმა, - ნაპო სიამოვნებისგან გაიჭიმა.

- იქნება, იქნება, კიდევ გამოჩნდება რამე ეგეთი... მაგრამ მანამდე აქაც მემეგობრე, რა, ნუ გადაყევი მაგ „საერთოხეს“...

- ჰო... ისე, დეიდოფიჩის ადგასს კი დალევდა კაცი...

- გამოდით მერე, სანამ აქ ვარ... რას შერებთან ბიჭები?

- რავი, სანდრიკას ნახვა თუ გინდა, ყოველ საღამოს შარდენზე ზის...

- ვაა, ასე იმოქმედა თამირი? - ჩაეღიმა გუგას.

- ჰო, ალბათ, - უკმაყოფილება ვერ დაძალა ნაპომ. - ნიკუმა რაღაც გაურკვეველ სასტამბო მოძრაობს, ჯინიმ კიდევ მუშაობა დაიწყო, - რომელიღაც პარტიკაში გაეტენა, მგონი...

- ჰა-ჰა-ჰა, ვერ მოეშვა, ხო, ეგ პოლიტიკას?... - გუგამ გულიანად გადაიხარხარა.

- გერეა, ძმაო, ეს ქვეყანა, ან პოლიტიკაში უნდა გავერიო, ან არადა, ჩემსავით ხუთლარიან სპექტაკლებში უნდა ითამაშო. - ნაპოს თამბაქოს კვამლისგან მოჭუტული თვალები გაუფართოვდა.

- არა უშავს, ჯეკ ნიკოლსონმა ფოსტალიონობით დაიწყო...

- მერე, შე ჩემე, ნიკოლსონი „პარამაუნტის“ ფოსტალიონი იყო და მე აგერ ვმუშაობ რუსთაველის ფოსტასთან. - ორივეს სიცილი აუვარდა.

- კიი, გავედით, აბა, გოგობთან, შენ არ გადმოვჯდები? - გუგა ნამოდგა.

- არა, არა, მე გავალ რეპეტიციავზე უნდა მივიდე.

- დარეკე, რა! - მხარზე ხელი შემოპკრა გუგამ. ნაპომ სწრაფი მოძრაობით მოისხა ნაცრისფერი პიჯაკი და ზოლიანი კანზე მარცხენა მხარზე გადადგმო.

მკაცრი სახით, როგორც იცოდა ხოლმე, დატვავა კოფეინით აურიამულებული მასა და ქუჩას შეუერთდა. ყავის სმისას გაფანტული დარდები ისევ შეეყარა და მილიანად დამძიმდა ბიჭი. ისე მიდიოდა, თითქოს მთელი დედამიწის სატკივარს დაატარებდესო. მისი მატერიალურ-აბსტრაქტული ინსტიქტებით გამოწვეული კატალიზმები მალევე შეცვალა სარდაფში ჩაბურღულმა, ვადაგასულმა თეატრალურობამ.

თეატრში მისულს ისევ განავლებული შექსპირი დახვდა სარეპეტიციო დარბაზში. ათი არტისტული ლანდი იზმორეზოდა გაცვეთილ სავარძლებში. თეთრად გატყეცილი ფურცლები ნერვულად შრიალებდა არმემდგარი მაკეტის ხელებში; ნახევრად ბნელ სცენაზე ეჭვისგან გაიფიქრებული ოტლო დეპქებდა დეზდემონას, მეფე ლირი კი მოთმინებით იტანდა ბიძია ულიამის მითითებებს მალალი სკამიდან; სადღაც ბიანკა ვიშვიშებდა; რომელიღაც კუთხიდან როზენკრანცი და გილდესტერნი იზზირებოდნენ; სულ რამდენიმე წუთით ოფელია დქეული არსება დაჰყვებოდა ჰამლეტის აჩრდილს - გასახდელიდან დარბაზში, დარბაზიდან გასახდელში... ცენტრში მოკალათებული რომეო რაღაცას ეჭურულებოდა ჯულიეტას, კორდელია კი მზაკერულად დღუდა. აქვე, ზურგს უკან, მაყურებლის ადგილი ეჭირა ნაპოს. ზიზღით უყურებდა ოლიმპზე მყოფ რეუსორს, რომელიც შექსპირის გიმირებს გამასხარავებთ ერთობოდა. „ვაა, ნუ-გოვო?! თავი, ალბათ, ჯონ უილმოტ როჩესტერის ჰკონია, - ფიქრობდა ნაპო, - როგორი გარყვნილი თვალებით შეჰყურებს ამ უსუსურ ვირთხებს. ამათაც მეტი რა უნდათ, ოღონდ სცენაზე დააყენე და, თუ გინდა, ფალოს განასახიერებენ! როგორ მეცოდებოთ...“ - ხმამაღლა აღმოხდა ნაპოს ბოლო სიტყვები. კიდევ უფრო ყალბი ეჩვენა ყველაფერი, ვიდრე აქამდე, და პირველად ექვსი წლის შემდეგ თეატრიდან წასვლა მოუნდა.

- აბა, ვიმოდრაოთ, მეგობრებო, ენერგეტიკა, ენერგეტიკა... ეს ყველაზე სკანდალური დადგმა იქნება. ნამდვილი შოკი, სადაც ჯულიეტა რომეოს ჰამლეტთან ულაღობებს. აქ ოფელია თავს მო-

ჰვეთს მაკეტს, დეზდემონა კი მეფე ლირისგან ტყუპებს გააჩენს. კორდელია, შენ სადღა ხარ? — პო, შენ ბიანკასთან ერთად ოტელოს გათეთრებაზე იზრუნებ. როზენკრანც და გილდესტრენ, თქვენი ნაჭრის კუბოებს დაამაზადებთ ამ გმირებისთვის. — სცენიდან გაჰყვიროდა ბატონი ნუგზარი, საკუთარი იდეით მეტისმეტად აღფრთოვანებული.

მასობრივი ანტიშექსპირიზმი მარტოხელა აპლოდისმენტმა შეაჩერა. რეჟისორიც გაჩუმდა და სათვალედან ამოყრილი, წვრილი თვალელებით დაიწყო ტაშის ატყორის ძებნა. მზერა პარტერზე შეჩერდა. ათივე მსახიობი შემოუბრუნდა მასურბელს, თუმცა სიბნელეში მხოლოდ ორი დაგრეხილი ხელის მტევანი ჩანდა. ბატონი ნუგზარი ნელ-ნელა მიიწვედა მიზნისკენ.

— ვინ ერთობა აქ? — სვლა არ შეუჩერებია, ისე შესძახა „მაესტრომ“.

— თქვენ ერთი გმირი გამოგრაჩათ, ბატონო ნუგზარი! — საეარძლიდან წამოდგა ნაპო.

— ოჰ, ლაერტი... — უეცარი სიხარულით, მაგრამ უხერხულად შესძახა ნუგზარმა.

— არა, არა, ბატონო ნუგზარ, ლაერტი უკვე ვითამაშე...

— მერე რა მოხდა, ჩემო ნაპო, ამჯერად დიდებულ გერტრუდას ამოსჩიჩქნი ორივე თვალს... — გაასყვივტინა იმან.

— ბატონო ნუგზარ, როგორ ფიქრობთ, ბიძია უილიამი რას იტყოდა ამ ყველაფერზე? — ნაპოს ეტყობოდა, რომ აღარ ხუმრობდა, თუმცა ირონიული ღიმილი მაინც დასთამაშებდა პროფექტორით განათებულ სახეზე.

— ალბათ, უზომოდ ბევრს იცინებდა, — გადაიხარხარა რეჟისორმა, მას მთელი დასი აჰყვა და დარბაზში ნაძალადევი როხროხი ატყდა.

— ნამდვილი სავიროთხეა!!! — დაიღრიალა ნაპომ. ყველა გაჩუმდა.

— აი, რა აკლდა ჩემს დადგმას — ვ ი რ თ ხ ა! ყოჩაღ, ნაპოლონ, ყოჩაღ... — ნუგზარი ისევ ასარხარდა. — შენ ხომ არ მოგნონს ლაერტი, მაშინ ვირთხა იქნები... ვა-პა-პა-პა-პა-პა — ამჯერად მხოლოდ რეჟისორი იცინოდა.

— ბრავო, ბრავო, ბრავო! — ტაში შემოკრა ბიჭმა.

— მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ თქვენს უკან ჰენრი მილერი იდგა, რომ ალბერ კამიუსა და ალფრედ დე მისუსეს ტყუილად არ დაუხარჯავთ მეღანი, — თქვენი იმედი ჰქონდათ. ბატონი ნუგზარ, და რას ამბობდა ბიძია უილიამი? მთელი სამყარო თეატრიკო? მაგრამ დარწმუნებული ვარ, ძალიან იცინებდა, თქვენ რომ თეატრში დაეხახეთ! „დრა-მადრატუნები შექსპირის მიხედვით...“ სექტაკლის რეჟისორი ნუგზარ უსულოშვილი... მაგრად უფერს, არა? — ნაპომ დასს გადახედა.

— რა დაგემართა, ნაპო? — ნუგზარი უეცრად დასერიოზულდა.

— არაფერი, დავიღალე ამდენი მარაზმით, დავიღალე ხუთღარიან დრამებში ტრაგიკული გმირების თამაშით და აღარ მინდა... არ მინდა, მართლა ვირთხას დავემსგავსო...

— მიბრძანდით, ბატონო, მიბრძანდით... თქვენ ლონდონის სამეფო თეატრში, პარიზში, რომში გელოდებიან... — ნუგზარს გოჭვივით სახე აუწითლდა.

— თქვენ მეცოდებით, — ნაპო მსახიობებს მიუბრუნდა. — მსახიობობაზე ოცნებობდით, თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრეთ და მერე რა? აქ რას ისწავლით? ალბათ, იმას თუ როგორ მოჭრის თავს ოფელია მაკეტს ან როგორ დაირსულდება დეზდემონა მეფე ლირისგან, და ესეც ხუთ ლარად...

— გეყოფა ამ დემაგოგიური ლექციების კითხვა და რეპეტიციას ნუ მიშლი! — დორბლები გადმოსცივიდა პირიდან ნუგზარს, — თუ არ მოგნონს, მიბრძანდი აქედან!

— წავალ, ბატონო ნუგზარ, წავალ, თავს აღარ შეგანწყენთ, — ნაპომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, — მაგრამ მეცოდება შექსპირი თქვენს ხელში... რაიმე თქვენი მოიგონეთ, თუნდაც სისულელე, ოღონდ მაყურებლებს აღარ აჩვენოთ, როგორ გამოიყურება ნაფტალინიანი განავალი! — ეს თქვა და მაშინვე ქურთუქს ნამთავლო ხელი. არც ერთ მსახიობს არ ამოუღია ხმა, არც ბატონ ნუგზარს.

ბიჭი არავის გამოშვებდებოდა, ისე გაეცალა თეატრის შენობას. ზუსტიად იცოდა ნაპომ, რომ აქ აღარასოდეს დაბრუნდებოდა. მიდიოდა და არაფერზე წყდებოდა გული, თითქოს ნატურალური წვენების დისტრიბუციას ანებებდა თავს.

ნაპოლონი ელბაქიდის დაღმართზე დგამდა, მუდმივად მოუწესრიგებელი მოძრაობით გვატრიკოული ქუნა გადაჭყლა და დეკორაციონის ხიდზე შეჩერდა. მტკვარი ყველაზე მშვიდი იყო ახლა. ცხოვრებით დაღლილი ბრძენკაცივით მიუყვებოდა საუკუნეების წინათ გაჭრილ კალაპოტს. ცოტა ხანს ათამაშა შავი თვალეტი მომწვანო-მოყავისფრო მასაში, ნაპოს ეტებდა მეტროპოლი სული ტლახის-ფერ მდინარეში და პარალელურად მობილურს აწვალებდა. ათიოდე წუთის შემდეგ ვარსკვლავივით მოწყდა ხიდის მოაჯირს და სანაპიროზე დაემვა. მარტოსული იყო ნაპო, მაგრამ ეს მოსწონდა კიდევ. არ უნდოდა არც ერთი მეგობრის ნახვა, მით უმეტეს, სახლში დაბრუნება. მხოლოდ sms-ი გაუგზავნა მარიკას, ოღონდ დარწმუნებული არ იყო, შეხვედებოდა თუ არა.

დემრესითი განებვირებული გმირი პურის მოედანს მიადგა. ევროპული მარკის ავტოებს ჩაეკეტა ვინრო ქუჩები. აქვე იყო ნაპოსთვის თბილისური

„როტონდა“ – კაფე „პურ-პური“. კარი შეიღო თუ არა, მანილიური მანგოს, უენშენისა და როიბუსის სურნელი შემოეგება. ეს სუნი ძველებურ მაგიდებზე შემოდგამული ჩაიდნებიდან მოდიოდა. გასული საუკუნის ინტერიერიდან ვადმოტანილი თითოეული ნივთი ამიტომპტილინივით მოქმედებდა ბიჭზე. ნაპო თითქოს დამშვიდდა. ფანჯარასთან პატარა მრგვალ მაგიდას მოუჯდა და გააბოლა. თვალი მოავლო თამბაქოს კვამლში გახვეულ მასას – ბუნუელის „ბურ-უზაზის მოკრძალებული ხბოლი...“ ესენი სწორედ იმ ხალხის შემკვიდრეები ფყვნენ, ვინც ლაყე კვერცხებს უშენდა ფილმის გამოსვლის შემდეგ რეჟისორს. მარტოსული ცინიკოსის სარკასტული ფიქრები ედიტ პოაფმა დაარღვია. „Non, je ne regrette rien“ „მე არაფერს არ ვნანობ“ – ფლერდა ამაყი შანსონის მელანქოლიური ხმა და ოპტიმისტური ტექსტი. ჰოდა, ნაპოც დაეთანხმა ფრანგ ბელურას. ამყად გადანი თავი, გლინტვეინით საგსე ჭიქა მოიყუდა და მოდუნდა. საამოდ იღვრებოდა თავმომწონე ნონ-კონფორმისტის სხეულში ადულტული ღვინო.

ბიჭმა უეცრად იგრძნო ბედნიერების მოზღვავება. ასე იყო ყოველთვის, მუდამ ცვალებადი და სპონტანური, თანდაყოლილ უცნაურობებში გახლართული – „მეოცე საუკუნის მოჩვენება“. ახლაც, ასე უეცრად ალტკინებოდა, კვლავ იტალიურ ოცენებში დაუბრუნდა.

... მარადიული არის პეტრარკა.

დაარისებენ სან-პიეტროს მქუხარე ზარებს,  
ნარიჯის ფონზე მოიჭრება ავგუსტო სარკა  
და ტრომფები მოუნდება ისევე ცეზარებს... –

საიდანღაც ამოუტივტივდა თავში ეს სტრიქონები და კმაყოფილება იგრძნო. ნაპოს მკაცრი ნაკვეთი ნელ-ნელა იბრუნებდა კეთილშობილურ იერს. გლინტვეინით საგსე ჭიქას ცარიელი ცვლიდა და მერე ისე უშალ ივსებოდა. ალკოპოლით გაბრუნებული გონება უკ უკვე, ევროპის სამხრეთში დაქროდა. ვინ იცის, მერამდენედ ტრიალებდა კონსტანტინის ნანგრევებში; ფეხით შემოიარა რომინის ფელინის ქუჩები; ფლორენციის რენესანსულმა ფერებმა მოსჭრა თვალი; ნესტისგან აქითებული ვენეცია დაათვალიერა; დიდხანს იბოდილა ბარიში, ევრონასა და პერუჯაში და სიცილიასაც მიადგა.

აფროდიტესავით იდგა ხმელთაშუა ზღვაში გაზრდილი ტაორმინა. თეთრი ქვით ნაშენი, კლდეზე შეფენილი ქალაქი ქანდაკებასავით დაჰყურებდა თავზე სანაპიროზე მდგარ ბიჭს. შორიდან ისმოდა მეთევზეების მზიარული შეძახილები, ნაპოც მათ მხარეს მოტრიალდა. თეორებში გამაწყობილი შავგვრემანი ქალი მოდიოდა მისკენ. წითელი ბერეტიდან კუპრისფერ კულულებს გამოყოფო თავი. წითე-

ლი იყო მისი მსხვილად მოხატული ტურმეტიც. ქალი რალაცით სტეფანია სანდრელის ჩამოშვებდა. ნაპო უშნეო ბავშვივით შეყურებდა მომხიბვლელ არსებას. ქალი ჯერ სითბითი აღსასე, მუქი თვალებით ეფერებოდა, მერე შეჩერდა და რალაც შესძახა იტალიურად. ერთადერთი სიტყვა, რაც ნაპომ გაარჩია Meraviglioso იყო, ჩვენს ენაზე სასწაულს რომ ნიშნავს. ეს მართლაც სასწაული იყო, რადგან ბიჭმა ამ თეთრ ქალში ბებია სონია ამოიცნო.

ნაპო წინ გამოეჭია, უნდოდა, რაიმე ეთქვა სინიორა დელარკასთვის, მაგრამ ენა დაება. კარგა ხანს ინვალა, ბოლოს ველარ გაუძლო და ამოიხლავლა.

– ნაპო!.. – ქალის ძალიან მშვიდმა ხმამ შეაკავა ბიჭი...

ოლონდ მისი სახელი ქართული აქცენტით წარმოთქვა.

ნაპომ თვალი გაახილა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა – ქუთუთოებზე თითქოს ლოდები დაეწყო ვინმეს, ისეთი სიმძიმე იგრძნო. ოდნავ გახსნილი თვალის უპიდად ბიჭმა საკუთარი ოთახი ამოიცნო. თავს ძალა დაატანა და ნამოინია. ფანჯარაში ყოყვალვით იდგა ალიონთან მებრძოლი ლამე. მერილინ მონროც თავის ადგილზე იდგა და ჩვეული ეროტიკულობით ეფერებოდა ბიჭს. კედლის კუთხეში მიდებული სავარძლად ისევ გაისმა ქალის მშვიდი ხმა:

– ცუდად ხომ არა ხარ, ნაპო? – ახლავა იცნო ბიჭმა მარიკას ხმა და სიხარულისგან გააჟრიალა. მიძიმედ წამოდგა საწოლიდან. თავბრუსხვევამ შეანუხა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და სავარძლისკენ გაემართა. იმავე თეთრ ტანსაცმელში, წითელი ბერეტი ივდა ნამძინარევი მარიკა. ერთადერთი, ბებია სონიასგან განსხვავებული თვალები ჰქონდა, დიდი და ცისფერი.

– მარიკა?!

– ჰო, რა გჭირს? – გოგო უხერხულად შეიმშენა სავარძელში, თვალი თვალში გაუყარა ბიჭს, მერე თავი დახარა და ქვემოდან ამოხედა.

– აქ სადღან? – ნაპო ფანჯრის რაფას მიეყრდნო და იქვე მიგდებულ სიგარეტს მოკიდებდა დაუპირა.

– შენ რა, არაფერი გახსოვს? – თავდახრულ გოგოს მაინც გაეპარა მზერა ნაპოსკენ, რომელიც ტრუსის ამარა იდგა ფანჯარასთან.

– მახსოვს რომ „პურ-პურში“ ვიყავი და შენ გელოდებოდი...

– მერე მე მოვედი და ერთად ვსვამდით გლინტვეინს, სანამ არ გვითხრეს, კაფე იხურებო... –

სულელურად გაიცინა მარიკამ.

– ვაა, ასე გავჭედე, ტო? მერედა, აქ როგორ მოვედი, მე არაფერი მახსოვს? –

– მეტყობოდი, თუ არ ნამომყვები, ქუჩაში დავნებებო. მერე ტაქსი დავიჭირე და ნამოვედით...



ნაპო მოილოშა.

- ვაა, რამდენ ხანს გეჩალიჩებოდი, აქ რომ ნა-  
მოყოლოდი. ესე იგი, სიმთვრალემ გაჭრა... - ბიჭი  
კმაყოფილებისგან გაიკრიჭა.

- ისე, არც ახლა გვიან, - ვითომ გაბრაზდა მარიკა.

- კარგი, პო, ვიხუმრე, - ნაპომ სერიოზული  
სახე დაიჭირა და გაიარ-გამოიარა. - კი მაგრამ,  
მე რომ გამაშიშველ და დამაგდე, შენ რატომ არ  
მომინეკი გვერდით?

- მთელი ღამე მეხვეწებოდი, გვერდით მომინე-  
ქო. რამდენჯერმე ნაპომდგომაც სცადა, მაგრამ  
ვერ შეძლო...

- შენ კიდევ არ გჯერა ჩემი? - ნაპო სავარძელ-  
თან დიხაზრა და გოგოს ხელები თავის უშნო თი-  
თებში მოიქცია.

- არ ვიცი, - ნერწყვი ძლივს გადაყლაპა მარიკამ.

- ყველაფერი ძალიანაც კარგად იცი! - ნაპოს  
ახლა ზუსტად ისეთი ხმა ჰქონდა, რომელზეც მა-  
რიკა გიჟდებოდა - ყოველ დღილი რომ ურეკავდა  
ახალგაღვიძებული და სულელურ შეკითხვებს უს-  
აგებდა, აი, მაგალითად, ასეთს: „რამდენი კოვიზ შა-  
ქარი ჩაყარე ჩაიში“, „აბა, თუ გამოიცნობ, რომელ  
მსახიობს ვგავარ ახლა?“, „რა უნდა ჩაიცვა?“ „იცი  
შეგბა თუ ზამთრის ალუბალს?..“ და ასე გრძელ-  
დებოდა მანამ, სანამ ვითომ გაბრაზებული მარიკა  
ყურმილს არ დაკიდებდა.

- ნაპო, არ გინდა, დაიძინო? - ნაპოცდა გოგოს,  
რომელიც უღონოდ მისვენებოდა სავარძელს, ნაპოს კი  
ღამის მის ცხვირთან მიეტანა ვნებით შეძრული სახე.

- მე შენთან მინდა! - გოგოს უფრო მეტად და-  
ბურჭვლა ტანში, რადგან სულ ახლოს, ყურის ბიძი-  
ლოსთან იგრძნო ნაპოს სუნთქვა, ხმა კი მერე გაიგო.

- არ შემიძლია... - მარიკამ უნებურად გაშალა  
ხელები და ნაპოს შიშველ მხრებზე შემოხვია. მოუ-  
ლოდენლმა სიშიშველემ კიდევ უფრო აღაგზნო და  
ძალა წაართვა.

ვნებაშიორულმა და ნამთვრალეგმა ნაპომაც არ  
დააყოვნა. ჯერ მარიკას ტუჩები დაიმორჩილა, მერე  
რისიყვრი ტანი დაუკოცა. ნელ-ნელა შემოხვია,  
როგორც სარეველა ბალახი ყურძნით დახუნძლულ  
ვაზს. გამოთინამდე წრიალებდა მამალი ხელიკი თიარ  
სარეცელზე, მდებრი კი ყველა ქალისთვის სანუკვარ  
განცდას პირველად ეზიარებოდა. უცხო, მტკიცენულ,  
სასაიმოვნო შეგრძნებებს მორიდებული კვნესით გა-  
მობახავებდა ამიერიდან უკვე ნამდვილად ქალი.

ამ შემთხვევით თუ ბედით გათენებულმა ღამემ  
ნაპო უფრო ამაყი გახადა, მარიკა კი უზომოდ მაც-  
დური. თუმცა ეს არ იყო ყველაფერი, რაც მათ მდ-  
გომარობას გამოხატავდა. ისინი ისხდნენ გემში,  
რომელიც ინერციით მიარღვევდა ვნებით ატეხილ  
ტალღებს. არავინ და არაფერი არსებობდა ამ ეი-

ფორიულ სამყაროში ორი სხეულის გარდა.

რა ცოტა რამ სჭირდება ადამიანს ბედნიერების-  
თვის?! ამ ათასოიანი სიტყვის განცდა საკმარისია,  
რომ დაგავინწყდეს ყოველგვარი მატერიალური თუ  
პოლიტიკური პრობლემა. ნაპოც, როგორც ემო-  
ციური მამალაყინა, სანერ მაგდაზე შემოვდა და  
კაცობრიობას ფურცლიდან გადმოხედა. ის აღარ  
იდგა სცენაზე, სამაგიეროდ, მისი კალმისტარი თა-  
მამობდა პოეტის როლს. აღარ წუხდა თბილისის  
ნაცრისყვერ დღეებზე, მხოლოდ კობალტისყვერი  
ბრით გენათებულ ღამეებს ათენებდა. ამ ღამეც-  
ბის მიხედვით, არ თქმა უნდა, მარიკა იყო, რომელიც,  
ნაპოს აზრით, არ ჰგავდა სხვებს - არაფერს ითხო-  
ვდა მისგან, პირიქით, აქეთ უქმნიდა სიმყუდროვეს,  
რაც ეგოისტის მამაკაცისთვის ყველაზე მნიშვნელო-  
ვანია. მარიკაც, უნებურად აყოლილი ამ ერთგვარ  
თამაშს, დამოკიდებული იყო ნაპოზე. როდესაც  
გოგო ცდილობდა, მისი თანდასწრებით აეხსნა ეს  
უცნაური მიჯაჭვულობა, ნაპო მამინეკ აჩუქებდა:

- ხომ კარგად ხარ?

- კი...

- მაინც, რაღაც-რაღაცებს ნუ დავარქმევთ სახე-  
ლებს, მოეშვი ამ სტერეოტიპებსა და სტანდარტებს!

სტანდარტები - აი, რაც ყველაზე მეტად ალი-  
ზინებდა ნაპოს. ეს სიტყვა და მით უფრო მისგან  
გამონეგული კომპლექსები... ამ სიტყვასთან ასოცირ-  
დებოდა დანერწყვილი ბეჭვით დამტკიცებული პირ-  
ნიკები: „არ შეიძლება!“, „მერე ხალხი რას იტყვის?“,  
„ეს ჩვენს ტრადიციებს ეწინააღმდეგება!“. თუმცა  
არც სტანდარტების ჯიბრზე კანიდან ამომხტარი თა-  
ვისუფლების მედროშეები უხატებოდა მაინცდამაინც  
გულზე. მაგალითად, ისეთები, ყოველდღიურად რომ  
ისხდნენ ტელევიზორებში და ხალხს წენიანის მომზა-  
დების ახალ რეცეპტებს სთავაზობდნენ:

„მეგობრობო, დროა წენიანიჭ ქარხლის ნახარშის  
მაგიერად ალოეს ან ვირისტერფას სახარში გამოიყე-  
ნო. როდემდე გინდა ბოლშევიკების მიერ დათესი-  
ლი კომპოსტოსგან მომზადებული წენიანის ხერვა?!“

ან კიდევ ისინი, მიწისქვეშა გადასასვლელებში და-  
საბან-დასავარცხნები რომ ქოთქოთებენ, სიმბადაყ-  
ვეტლ ელექტროგიტარას ანკარუნებენ შავად შლენ-  
ბილი ფრწილებით და ეს ჰკონიათ „ანდერგრაუნდი“.

ნაპოსთვის სტანდარტი იყო მარიკას ზოგიერთი  
მოსაზრებაც. მართალია, ის არ ეკუთვნოდა იმ გო-  
გონების კატეგორიას, რომლებიც ფიქრობენ, რომ  
ქონწინებამდე სექსი ბოზობისკენ გადაადგილები პირ-  
ველი ნაბიჯია, რომ ბიჭს აქეთ არ უნდა დაურეკო,  
თუ თვითონ არ დაგირეკა ან უსიყვარულოდაც  
შეიძლება გათხოვდე, თუ სასიძოს კარგი ოჯახი  
და ბევრი უფლი აქვს. მაგრამ მარიკა ოცი წლისა  
იყო, ამ ასაკში კი გოგონები ისევე ეძებენ იდეალებს

და, თუ გმირთან ოდნავ მიმსგავსებული პერსონაჟი მაინც გამოჩნდა, მაშინ დიდი სტანდარტული ჩარჩო იხაზება. იხაზება სწორედ იმ ცარცით, ბავშვობაში კლასობანას რომ თამაშობენ.

თბილისში მშვიერი მგელივით მიძუნძულებდა ზამთარი – სექსუალური ღამეებით, ალტყინებული სტრიქონებით, ბუხარში ატკაცუნებული ნაკვერჩხლივით და წითელი ღვინით. ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, თან ახლდა სინეფილით შეპყრობილი ნაპოს მონოლოგები, რომლებიც ძირითადად ბერტოლუჩის ფილმების პრობაგანდით შემოიფარგლებოდა. მარიკას კი არც „კონფორმისტი“ ენახა, არც ალფრედო ბერლინგერი იცოდა „ნოვეჩენტოდან“ და, მით უმეტეს, არც „უქანასკნელი ტანგოს“ განცდები ანალვლებდა. მას ტურფა ჯულია რობერტი უფრო ხიბლავდა „Pretty Woman“-იდან, ხოლო ბრანდოსა და მარია შნაიდერის კარაქის ბრიკეტით მახოხისტურ ლაქუცს კიმ ბესინდერისა და მიკი რურკის თაფლში აზულილი მარწყვი ერჩია. ასე გრძელდებოდა მთელი ზამთარი.

ბაკურიანი-ბორჯომი და, ზამთრისთვის რამდენად შეუფერებელიც უნდა ჩანდეს, კიკეი... ეს იყო წყვილის ზამთრის მარშრუტი იმიტომ, რომ მარიკას სამივეგან სახლი ჰქონდა და კიდევ იმიტომ, რომ არც ერთს არ უყვარდა დიდხანს ერთ ადგილას გაჩერება. თითო-თითო ჩემოდანი, ბერტეტი და „კალიფორნიული შოლა“, ტუქსი და „უკუშუკა“, ცხელი „ამერიკანი“ თერმოსით და ვნებიანი სტრიქონები ყოველდღე.

*წყდება ქმარი...  
ღამე მოცვისფერად დანრიალებს  
მათ საბნის თავზე.  
იხევა კაბა...  
ნამებს ანამებს გაღეშილი საათი სკამზე  
და ორ სივარტეს საფერფლეში ენევა ტანი...*

ან კიდევ:  
*საათის ორზე ღამის ჯაზი დაიწყო წრები  
თავბრუ დაებვა მოცვისფერში ორივე ისარს,  
უხერხულად ლექსების წერა ორგაზმის ფონზე,  
მაგრამ კალამი სუფთა ფურცლის დანახვისას  
მოვიდა გონზე...*

მარიკა ამ დროს ძალიან ბედნიერი იყო. ხმა-მდლა არასოდეს ყვებოდა თავის გრძნობებზე, მაგრამ ყველაფერი სახეზე ენერა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ნაპო მისდამი მიძღვნილ სტრიქონებს უკითხავდა. ის ამ წუთებში განიცდიდა იმას, რაც დღეს ყველაზე მეტად აკლიათ ქალებს...

გოგო, ალბათ, რას არ მისცემდა, ეს შეგრძნებები, მთელი ცხოვრება თუ არა, რამდენიმე წელს მაინც გაგრძელებულიყო. როდესაც რძისფრად მოთხოვნილ თბილისში გაშიშვლებულ ჭადრებს

პირველი კვირტები გამოუბურცათ და მთაწმინდაზე ყოჩივარდებმა ამოყვეს თავი, ნაპოს უსაქმურობამაც გამოიზამთრა. ბიჭი კინოში მიიწვიეს და დიდი ხნის ნანატრი ოცნებაც აუსრულდა. ფურცელი და კალმისტარი კინოკამერამ შეცვალა, მარიკას კომპლიმენტები კი მაგიურმა შეძახილმა „Action“. განსაკუთრებით საინტერესო ამ ამბავში ის იყო, რომ ბიჭს ეს შეძახილი ორიგინალში ესმოდა.

ამერიკელი რეჟისორი ჯო ბარნი ნაპოსთვის ახლა ბერტოლუჩიც იყო და ვისკონტიც. თვალაფართოებელი შესციცინება მთელი დღის განმავლობაში. აკვირდებოდა, ეკითხებოდა, იზიარებდა და ბედნიერი იყო, რადგან ამ პროცესს თურმე მთელი ცხოვრება ელოდა. ამ დროს არც ჭამა ახსოვდა, არც პრობლემები და, უცნაურია, მაგრამ – აღარც ქალბები. სხვა დანარჩენთან ერთად მარიკამაც უკანა პლანზე გადაიწინა. გოგო სულ ტყუილად ელოდა ნაპოს ზარებს, შემთავაზებებს „წამოდი, გავისიერნოთ“, ან „ყავა დავლიოთ სადმე“. მარიკას მისი ინიციატივის იმივე აღარც ჰქონდა, ტელეფონზე თუ დაურეკავდა ხოლმე და ისიც ორი წუთით:

– „რას შვები? ... ხო... კარგად ხარ, ესე იგი. კაი, ნავედი, გადალება მაქვს...“ – ესეც ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა. მერე მარიკა ურეკავდა აქეთ. ნაპო თავდაპირველად რამდენიმე არაფრისმთქმელი სიტყვითა და აგრესიული ტონით შემოიფარგლებოდა, ბოლოს კი ტელეფონსაც აღარ პასუხობდა.

მარიკას ყველაზე მეტად გაზაფხულის მოსვლა უხაროდა ხოლმე, თუმცა ახლა ამის შეგრძნება სრულიად დაკარგა. ძველი ჩვეულებიდან მხოლოდ ის დარჩა, რომ ღამნაკში ყვითელგულიანი იები ეწყო. ამჯერად არა ვინმეს ნაჩუქარი, არამედ თავისი ხელით, ქუჩაში 50-თეთრად ნაყიდი. ღარნათან ფურცლები ეყარა. ეს ნაპოს ლექსები იყო. ერთ-ერთი ბოლო, დაუმთავრებელი და თაბახის ნახევზე გაურკვეველად მიჯღაბნილი, რატომღაც ზემოდან დაედო გოგოს:

*ამ გაზაფხულზე დამრა  
ამარი მარტის გუბე.  
გუგებს ფართოდ რომ ახელ –  
ნახე, გადარჩი ნუხელ???  
ქალისფერ სიზმარს გაცვლი  
ქუჩაში შემხვედრ ქალზე,  
ქალი დაეინგრეს ბუდეს  
და რქებს დაგადგამს თავზე...  
ვიტყვი, სიზმარში იყო.  
ენახე, გადარჩი ნუხელ...  
ეს გადარჩენა არის –  
„ორგადარჩენის მახე“ ☹  
ნახე, რა მოხდა ნუხელ?–  
ქალი ჩემს სანოლს არხევს...*

„ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ უშენობას უფრო ადვილად გადავიტან, ვიდრე შენთან შეხედრას... რა ვენა, არ ვიცი?! ყველაფერს ვუძლებ, მაგრამ მე მონატრებას – ვერა! რაც დრო გადის, შეგრძობებებზე მეცვლება შენზე, როგორც მზის ფერი ზამთრის პირველ დღეებში, ნემის ნვეთები ყინვის დროს, როგორც ჩემი ნაბიჯები თოვლში ან შენი თვალების ფერი ამინდის მიხედვით... სულ უფრო შორს რჩები... მაგრამ ეს მონატრება მაინც არ იცვლება... დღეს დილით შენმა სუნმა გამაღვიძა და ძალიან მომიხნო. მერე ოცნება დავიწყე... წარმოვიდგინე, რომ მე და შენ გვექნებოდა პატარა სახლი, სადაც ერთად ვიცხოვრებდით. ფანჯარაზე გვირილებს გავახარებდი მაშინ, როცა გარეთ თოვლის, რომ ღამე სულ ჩემთან ჩახუტებულს დაგეძინა. და ინებობდი ამ საწოლში ისეთი, როგორც მე მიყვარხარ... ძირს საფერფლეს დაგიდამდი, რომელიც სულ შენი სიგარეტის ფერფლით იქნებოდა სავსე. როცა დილით ზამთარი გაგვავლევდებოდა, მაგრამ ჩამეხუტებოდით... და შეიძლება არც კი გყვარებოდი... მაგრამ თოვლის დროს მომიჩვენებოდა, რომ გიყვარვარ...“

მარიკას ამ წერილმა ნაპო, ცოტა არ იყოს, გააზიზიანა. არა იმიტომ, რომ არ მოეწონა, უბრალოდ, გული აუწყუა. სანტიმენტებს კი ვერ იტანდა ბიჭი. გაბრაზდა იმიტომაც, რომ არ შეეძლო ამხელა ტვირთის ტარება, არ შეეძლო, იგივე უპასუხა. არც მისი ფეხებზე დაკიდების უფლებას აძლევდა ის დღეები, რომლებიც ერთად გაატარეს. მარიკამ ხომ მას ყველაფერი მისცა, მათ შორის ისიც, რასაც მთელი ცხოვრება უფროსობლებიან ქალები.

მთელი ღამე ტვინს უღრღნიდა ასეთი ფიქრები. საკუთარ თავზე თუ გოგოზე დაბოღმილმა დილით უკვე ვეღარ მოითმინა და დარეკა. პატარა ბავშვივით დაბნეული იყო ნაპო და თავს ძლივს იკავებდა, რომ ხმა არ წასვლოდა.

– არ ვიცი, შენ როგორ ხარ, მაგრამ მე ასე არ შემიძლია...

ძლივს ამოილულულა დაზაფერულმა.

– რა არ შეგიძლია, ნაპო? – მარიკას თითქოს იმედი მიეცა, ბიჭის მორჩილი და ოდნავ სევდიანი ხმა რომ გაიგონა.

– მე... სიყვარული არ შემიძლია ...

– აბა, სექსი თუ მინდა, შენზე უფრო სიმპათიურ ბიჭთან დავხვები...

– ეს რაღას ნიშნავს? – ნაპომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

– ბიჭი რომაული პროფილით“ მხოლოდ მანეკენია, შეგიძლია კინოში ითამაშო ასე! – გოგო

ცდილობდა, მკაცრი ტონით გადაეფარა ტკივილი. – შენ მხოლოდ აქეთ გინდა მიიღო ყველაფერი, სხვებზე არ ფიქრობ... ძალიან დავიღალე!

– კარგი...

– აღარასოდეს დამირეკო!

– კარგი. – ნაპოს ახლა უფრო მეტად აუწყდა გული.

– არ იფიქრო, რომ ავტირდები... – მარიკამ ყურმილში სულელური სიცილი ატყა.

– კარგი. – ბიჭმა თითქოს ნერვულად ჩაიხვია ეს სიტყვა.

– როცა მეტირება, არ ვტირი... – გოგომ აქ უკვე ვეღარ შეიკავა თავი და ასლუკუნდა.

– მიგელო უტირო და სიღვა, – მკაფიოდ გამოთქვა ნაპომ და ის წიგნი გაახსენდა, ახალგაცნობილი მარიკა რომ კითხულობდა, მერე მისივე თხოვნი თვითონაც რომ წაიკითხა და განსაკუთრებით სათაური რომ მოეწონა: „როცა მეტირება, არ ვტირი“. მარიკამ ტელეფონი გათოშა, რადგან არ უნდოდა, მისი ტირილი მოესმინა ნაპოს. იმიტომ, რომ რცხვენოდა და თანაც იცოდა, როგორ ვერ იტანდა ბიჭი მტირალა ადამიანებს. ეს მათი ბოლო საუბარი იყო.

გადაღებები მთელი ორი თვე გაგრძელდა. ნაპოსთვის თითქმის ყველა პრობლემა წარსულში დარჩა, რადგან როლში იყო. ის ე.წ. „პერსექტროიკით“ ანთეუსულ ანტიკომუნისტს თამაშობდა ქართულ-ამერიკულ დრამაში. ასე რომ, თავისი გმირის ცხოვრებით ცხოვრობდა. ფილმშიც ებრძოდა იმას, რისი წარჩენები დღესაც ბევრია და რაც ასე ალიზინებდა ყოველდღიურად. რადგან ფილმს არმაზის ხეობაში იღებდნენ, თბილისსაც მოწყვეტილი იყო ცოტა ხნით და ეს ძალიან შეელოდა. მარიკასთან გატარებული დღეებიც თბილისის დარჩა ძველი ლექსებივით. ახლა შემოქმედებითი ცეცხლი წავადა მის ორგანიზმში დაგროვილი ცილებსა და ცხიმებს. კინოკამერა ბიჭისთვის მუზაც იყო, ნარკოტიკიც და ქალიც, თუცა ეს უკანასკნელი მაინც ვერ ამოაგდო რაციონიდან.

მაღე გადასაღებ მოედანზე გერმანული წარმოშობის მსახიობი ქალი, ემანუელა შარი გამოჩნდა. ამერიკულმა სურპრიზმა მამონე დაახვია თავგრი სრულად გადაღებულ ვეგუსს და უკონტროლოდ ააფორიაქა ქართული პორნოზები. მარპარილოსავით თვითრი ტანში, მომაკვდინებლად წითელი ტუჩები და ცივი, მაგრამ უზომოდ ეროტიკული მხერა – ემანუელა მართლაც შარი იყო ქართველი მამრებისთვის, თვით მოურიდებელი, გამამრიკებელი ევროპელისთვის კი ეს ყოველივე დადართობდა იქცა. თითქოს შეგნებულად გადაწვებოდა ხოლმე მცხუნვარე მზის ქვეშ და ძუძუებს ირუჯავდა. არ ერიდებოდა არც ბავშვს და არც მოხუცს, ისე უსინდისოდ იხელდა ბაყაროულ



ბორცვებს მზისგან დამცავი საცხით. სწორედ ამ სცენას მოსდევდა ხოლმე მომაბეზრებელი ბღ-ლარძინე აქაური კაცებისგან, რომელიც ხშირად ცემა-ტყეპით მთავრდებოდა.

ნაო პირველ ხანებში ვითომ არ ერეოდა ამ მასტურბაციულ ალიაქოთში, შორიდან ადევნებდა თვალს ბინიერი ემანუელას ეროტიკულ სენსებს. მაგრამ, როცა არაგვი მოხანავე აფროდიტე ნახა და მერე მთლად ერთ სცენაში მოუწიათ თამაში, მახე-ში გაება. შეიძლება ითქვას, როგორც კაცს, ბევრი არაფერი გაუკეთებია მის მოსანადირებლად, უბრა-ლოდ, თითქოს დაბნეული ჭუჭუადა თვალეებს ქალის დანახვაზე. ჰოდა, აქ ემანუელამ იაქტოურა, რადგან ნაოს თავშეკავებამ და შეფარულმა ვნებამ უფრო გააღიზიანა. მისის ვარდივით იფეთქა დაუკუბრუნებლად სურვილმა, არაგვივით გადაირია და ორივეს ისეთი ძალით დაატყდა თავს, რომ ლამის „ახალი ცხრანახე-ვიანი კვირით“ შეიცვალა არსებული სცენარი.

ემანუელა პირველი ქალი იყო ნაოს ცხოვრება-ში, ვინც სიყვარულს არ ითხოვდა. არმაზის ქალებ-ში ატეხილი ვნებებიც მეოცნებე კაცის ფანტაზიას უფრო ჰკავდა, ვიდრე რეალურს. გადაღება მორ-ჩებოდა თუ არა, მაშინვე მწვანედ შეფენილ გორა-კებს მოექცეოდნენ ბოლოში. ემანუელა წინ გარ-ბოდა, ნაოც აღტყინებული ერთეობდა თამაშში, მერე თმით დაიჭერდა გამომწვევი კისკისით გუ-ლამოვარდნილ ქალს და თვითონაც აქოშინებული ცვირინ ბალახზე დაგაგორებდა. ამ დროს მენამული ფერი ჩაგრაგდა ბავარიულ თეთრს და აღმოდე-ბული ქალი დრაკულას ალქაჯივით იკბინებოდა, უარესად რომ გაეგვიყვინა ბიჭი. მხოლოდ ათას ომგადავლილ არმაზის ტყეებს ესმოდათ ჭკუიდან გადასული ნაოსა და შაირი ეგრემანელის კვნესა.

კიდევ ორი თვე გასტანა ნაპოლეონის სიურ-რეალისტურმა რომანმა, ცოტა ხანს იბორგა და მიიღია, უფრო სწორად, ემანუელა ნიუ-იორკში გაეგზავრა. შარი ისე წავიდა, ნაოს არც კი გა-მომშვიდობებია, ამასობაში ფილმი დამთავრდა და თბილისური უსაქმურობაც დაიწყო. ამ შუალედურ გამონათებებს ნაო ყოველთვის იოლად გადაა-გორებდა ხოლმე ქალების დახმარებით, მაგრამ ახლა მუხუბის გარეშე აღმოჩნდა. აღარც ლექსე-ბი ინერებოდა და, მით უმეტეს, არც თავფლანი ჩაი ხვედებოდა ყოველ დილით სანოლთან. ეს კია, ძალიან ბევრ წიგნს კითხულობდა. ასე დაათენდე-ბოდა თავზე და გარიგრაჟზე, ძლივს რომ მოხუჭა-ვდა დაბრეცილ ქუთუთოებს, ისევ ატყდებოდა დედქუშეებიანი მაცაცოს ნივლი და უხამსი რო-ბერტაც გინება. ძველებურ საოჯახო ინტერიერს ტრადიციულად თან ახლდა თევზისა და ლუდის სუნნი, რომელსაც პავლეს აყროლებული თამბაქოს არომატი ერწყმოდა დროდადრო.

- უსაქმური, ზარმაცი... შენა, ბიჭო, მართლა თა-ვადი ხომ არ გგონია შენი თავი? - შეუღრინა პავლემ.

- აუუუ, რა გინდა, მამა? - საბნიდან გამოსძახა ნაომ

- რა მინდა კი არადა, ამხელა კაცი მიძორს რომ დაემსგავსე თუ ატყობ? კაი, დღე და ღამე აურიც, ფეხებზე გკოდი... ამდენ ელექტროენერჯიას რომ წეავ, მაგაზე რას ფიქრობ? თუ შენც ხვალვე გა-ვარდები და გადაიხდი?

- შენც რობერტასავით დაინწყე, ატყობ?

- რობერტასავით კი არადა, ტრაკი გაანძრიე და რამე იშოვე, აქ რომ ჩამომიფექი...

- რა ჩემი ფეხები ვიშოვო. რამე რომ იყოს, შენ შემოვამერდებოდი თუ ამ პრუტენებამოყრილ სანოლ-ში მსიაოვნენებს წოლა, როგორ ფიქრობ? - ყვირილი დაიწყო ნაომ. გააღიზიანა მამის ტონმა და მიმართვა.

- გამაგიჟებს ეს ხალხი! აქ თუ ნამომინქი, სამ-სახურიდან აქეთ მოგაკითხავენ, ბებიაშენისამ... თუ ბი-ზნესები გაქს სადმე, დეღარები რომ გამოიგზავნონ? - საღოლ, პავლე, რა, საღოლ, ჯიგარი ხარ! შენ ვინ რას გიგზავნის, ერთი ეს მითხარი?

- არც არავინ, მთელი ცხოვრება ჩემი ფული მქონდა და აქეთ ვუგზავნიდი ყველას...

- მერე სად წაიღე ეს ფულები, რატომ არაა გაქს?... მიდი, გაუგზავნე ნათელას და დათას, რას მიკეთებ... - გაღიზიანებული ნაო სანოლიდან ნა-მომხტა და ჩაცმა დაიწყო. - არავინ შემინუხებია, ისე გავაკეთე ყველაფერი, და კიდევ მე მეუბნები რამეს?

- გააკეთე, თორე შენც გახდი, რა, მარლონ ბრანდო, ერთი კუანა თეატრის მსახიობი იყავი და იქიდანაც გამოგადგეს, რაზე მელაპარაკები? - აღ-რიოლდა პავლე.

- შევეცი ამ ცხოვრებას და მოგიტყანთ თეა-ტრი! - ნაომ ნიხლი გაჰკრა სანოლთან მდგარ პატარა მაგიდას და ააყირავა.

- სულ გაგაგიჟეს ამხელა კაცი...

- შენ ხომ ხარ, მამა, სრულ ჭკუაზე, მიდი... მიდი, გააჭენე, რა... - ნაომ ესდა მიაძახა შესას-ვლელი ამრიალბებულ კაცს და კარი ლამის ჩა-მოიღო, ისე გამოიფახუნა.

აქომინებული გარბოდა ქუჩაში და გზადაგზა იფურთხებოდა. ზაფხულის სიცხე უწვავდა ნერ-ვულობისგან ისედაც ახურებულ ტანს, გარბოდა და ეგონა, დედამინას გასცდებოდა. ეს უმისამარ-თო რბოლა საკუთარი თავისგან გაქცევას უფრო ჰკავდა, ვიდრე სახლიდან გაქცევას. ახლა ყველა ეჩიზლებოდა: მამაც, თბილისიც და მთელი ქვეყ-ნიერებაც. მენყერივით მიერეკებოდა გულსამრევი ფიქრების გროვას ჯერ რუსთაველზე, მერე ბარა-თაშვილზე. არც ღვინის აღმართზე გაჩერებულა, არადა, უყვარდა იქ მოდიანი. სიცხითა და ბღ-მით გაოფილმა ჩაიბრინა მეტეხისკენ და ლექე-

ლიძეს აუყვია. თვითონაც არ იცოდა, სად მდიდროდა და რატომ ზახავდა წრეები ამ ძველ უბნებში. ასე ააღებულები ამოვარდა თავისუფლების მოედანზე და თვალები ცაში აატრიალა. კარგა ხანს ითვლიდა ღრუბლებს გრიმალდების შთამომავალი თბილისის ცაზე. ისე გავართო ამ მამალაყინწერი პოზით, რომ ლამის კისრით შეეფარდა მანქანების რიგს, რომელიც მისგან განსხვავებით კონკრეტული მიმართულებით მოძრაობდა წრეზე.

მანქანის გაბმულმა სიგნალმა გამოაფხიზლა. პირდაპირ მის ფეხებთან გაჩერდა შავი „BMW“ და მამინეც გახსნილი წინა კარიდან „Cafe Del Mar“-ის რომელიღაც კომპოზიციამ დაუგუბა ყური.

- აურიე, შე ჩემბა, რაებს აკეთებ? - შესასხა მძღოლის სავარძლიდან გადმოსულმა მალაღმა ბიჭმა.

- ვაა, ჯანო!... - ნაპო უცებ მოეგო გონს.

- კონლამ ავაკაპოტე, ბიჭო, რა გათმული დადიხარ?

- რაიე... - ნაპო უაზროდ ატრიალებდა დამძიმებულ თვალებს.

- დღეს მთელი დღეა გირეკავთ, სად გიგდია ტელეფონი? - ჯანომ შეშლილივით აათვლიურა მეგობარი.

- რა ხდება? - ბიჭმა ისევე ცისკენ აატრიალა თვალები.

- ნაპო და ნახავ...

- სად? - ნაპო ვერ გამოერკვა.

- კიკეთში ავიდვიართ, ნიკუშას დაჩაზე. არ მითხრა ახლა, არ მცალიაო...

- არა, არა... - ძლივს ამოილულლულა ნაპომ, თან გაუხარდა, - ახლა ყველაზე მეტად სჭირდებოდა ქალაქიდან გაქცევა.

- ნაპო, ბიჭო, რა გჭირს, რა დაბოლილივით ხარ?! ... - ჯანომ სიცილით მოხვია ხელი და მანქანის უკანა კარი გაუხსნა. ნაპოს მამინეც ნესტოებში ეცა „Coco Mademoiselle“-ის სუნის და წამიერად გამოაფხიზლა, რადგან მარიკა გაახსენდა.

- ეს მაკოა და ნინია, ალბათ, იცნობ, - გადმოსძახა ჯანომ წინა სალონიდან.

- ნაპოოოო, როგორ ხარ? - საკოცნელად გადმოიწია ნინია, რომელიც ჯანოს გვერდითა სავარძელში იჯდა.

- კარგად, ნინ, შენ როგორ ხარ? - აკოცა ნაპომ და ახლა მაკოს მოუბუნდა:

- ჩვენც გამარჯობა, - გულიანად გაიღიმა ბიჭმა, ოღონდ ეს არ იყო ყალბი, ზრდილობისთვის მიგდებულ ლიმილი. ნაპო მაკოს სანდომიანმა ხახემ საბოლოოდ დააბრუნა მინახე.

მანქანა დაიძრა. Jamiroquai - „Virtual Insanity“-ის ფონზე ერთმანეთს ცვლიდა ზაფხულის მზისგან გათამამებული პეიზაჟები და ხრიოკად ქცეული ზეგნები. ნაპოს მოციმციმე არითმია მაღალი წნევით იფარებოდა, ადგილადაგილ კი ტურისტული

მზერიტ გამოწვეული ეიფორია ცვლიდა ყოველგვარ ჩივილს. ეს ეიფორია წამიერად ისეთ აბსურდამდე აღწევდა, რომ ბიჭს ისიც კი უჭვირდა, როგორ ხედავდა ერთი პატარა ფანჯრიდან ათასობით ნაძვის, ფიჭვის, ნეკერჩხლისა თუ მუხის ხეს. ამ ტყეეების იმდენად მძაფრი იყო სველი ბალახის, მცენარისგან გამოღრღნილი მერყენისა და ნიავისგან აართობლებული ფოთლების სუნის, რომ ლამის ერეკვიამდე მიიყვანა ბიჭი. ნაპომ პირველად იგრძნო სუფთა სიმწვანის სიამე, რომელიც ყველა პარფიუმზე მეტად ადაგზნებდა თბილისში გაჭვარტლულ სხეულს. ამ შვანამ თითქოს თავისუფლების განცდა აუშალა.

გზადგავა წაწვრიანის სურნელს ისევე გამოერეოდა „Coco“-ს არომატიც. ეს მაკოს ყოველ მოძრაობაზე ხდებოდა და ნაპოს ძლივს მოდუნებული მზერაც ისევე გოგოს ჭორღლიან დეკოლტეზე ეცემოდა. სუნის გასულ ზამთარში აბრუნებდა ბიჭს და კვლავ მარიკას ხმა ჩაესმოდა ერთ-ერთი ბოლო საუბრისას:

„გთხოვ, პირველმა შენ დამივინეც იმიტომ, რომ, სანამ შენ გენატრები, მეც გენატრები! შენ სითბო დავივინეც ჩემი გულის, მე მის სინათლესა და შენს თვალებს დავივინეც!“ - არადა, ამ სიტყვებმა მხოლოდ გააღიზიანა თავის დროზე, ახლა კი რაღაც სანტიმენტალური განწყობა მოუტანა.

ნაპო დიდი ბავშვივით იყო: „პერესტროიკის გარიჟრაჟზე“ დაბადებული, ნაადრულად ჩამოყალიბებული და ემოციურად გულგრილი. მთელმა ბავშვობამ მიტინგების, სროლებისა და ააღებულები სახლების ფონზე ჩაიარა. ასე რომ, სიყვარულიც იმ დროში ჩამწვარი აბსტრაქცია იყო მისთვის, რატომ - არ იცოდა. არც არავინ გამოუყენებია მისი ვენებების დასამშვიდებლად, არც ბოზებში ყოფილა არასდროს. ის კი არადა, მამამისი რომ ეტყოდა ხოლმე, წავიდეთ სეტვას სალონიში, არ გინდა დიდძალეუბანი ბლანშინკებს მოუფეროო? - პროტესტის ნიშნად ხელს აუქნევდა. ნაპო მამინაც ასე ფიქრობდა, რომ, თუ ქალი არ მოსწონდა, მასთან მხოლოდ ჰორმონების დასაოკებლად ვერ დანეშობდა. ამიტომაც ბიჭებისთვის ასე მნიშვნელოვანი სექსუალური ცხოვრების პირველი ეტაპი მან თავისით მონადირებულ გოგოსთან გადალახა - პირდაპირ კოლევის აუდიტორიის იატაკზე.

რაც შეეხება სიყვარულს - ბალისა და სკოლის გაუცნობიერებელი გატაცებების შემდეგ ესეც იყო. ოღონდ გიჟივით მოვარდა, თავგა აუზნია და ისე გაამწარა, რომ მისი ხსენებაც აღარ უნდოდა. მამინ, ახალკურსდამთავრებული, ასევე ახალმოპარსულ უღვაშზე ხელს ისევამდა და თავი ბოჭემა ეგონა, მილა კი ყველაზე პოპულარული გოგო იყო თეატრალურ ინსტიტუტში - ნახევრად უკრაინელი

მანქენივით ჩამოთლილი და თითქმის მთელი თბილისის ბიჭების ყურადღებით განვიხივრებული. ნაპო იმდენად გააგვიყა „სლავურმა გულახდილობამ“, რომ ლამის ქუჩაში დასდევდა – მიყვარხარო. მერე ლექსები დაუნერა, ბოლოს კი ძალიან სულელურად მოიქცა და ერთ-ერთ ნეულელებზე პირდაპირ ყურ-ნი უთხრა – მე უშენოდ აღარ შემძლილო. მელამ ზრდილობიანად გაუღიმა, თავზე ხელი გადაუსვა და ოთახის ცენტრში აცეკვებულ ნაპოს მძაკაცს ჩამოკვიდა კისერზე. სწორედ მას შემდეგ დაისახა ბიჭმა სტრატეგიად, აქეთ ჩაერთა ყველა გოგო სასიყვარულო თამაშებში და არა პირიქით. ამ დღის შემდეგ იქცა სიტყვა „სიყვარულიც“ გაურკვეველ აბსტრაქციად. იმედგაცრუებული ნაპო კი ნახევრად ეროტიკული თამაშების მთავარ გმირად.

მოგონებებმა კიკეის ტყეებთან ერთად ჩაიარა. მანქანა გაჩერდა. მეგობრები, ბიჭების უხამსი ხუმრობა და სიცილი, გოგოების დაყენებული კისკისი, თვატრის წყალობით მონატრებული სითბო და წითელი ღვინო. ნაპო სპონტანურად მოქმედებდა. ერთადერთი, რაც მის ვატიშულობას აფხიზლებდა, მთიდან ნაპოსული გრილი ნიაგი იყო. ბიჭებმა მინდორში გაშალეს სუფრა, მწვადი შეწვეს და ჩვეული როხროხით ნაპოინეს ტრადიციული სადღევრძელები.

– მოდი, გიგუშას თამაშობით ყველა ჩვენგან ნასულის სსოვას იყოს, – ნამოინყო ნიკუშამ.

– მაგრად ტეხავს, თავი დაიბრინდა ტიპმა იმიტომ, რომ ვერაფერი ვერ გააკეთა ამ ტრაკების ხელში, არსად არ გაახარეს, ტოო... – გამოუპასუხა სანდრიკა.

– გიჟი იყო ტიპი, მაგრად უყვარდა ცხოვრება, მაგრამ გადაუარეს... – თავი დახარა ნიკუშამ.

– შენ რა გგონია, ჩვენ არ გადაგვიარეს? იმენა, ყოველდღე გვშახამევენ; არ მინდა, ძმაო, არც შენი პოლიტიკა მინდა და არც შენი მიტინგები – შემეშვი რა; მაგრამ არა, ბოლომდე უნდა შეგიდონ თავისი ლოზუნგებით და მერე დაიშლებინან! – აყვირდა უკვე კარგად შეზარხოშებული ჯანი.

– კარგი, ხო, შენც დარბოდი ფლაერებით ერთ დროს, მაგრამ რა – შეიცვალა რამე? – გამოაჯავრა ნიკუშამ.

– გააჯვი რა. მე თუ დავრბოდი, ფული არ მქონდა და მაგიტომ. აბა, რა ჩემ ფეხებად მინდოდა მაგათი პარტია... – გაბრაზდა ჯანი.

– კარგი, რა პარტია და პოლიტიკა, გაუმარჯოს ყველა კარგ ხალხს, ვინც ჩვენ ვაკვალა, – ღვინო გადაკრა სანდრიკამ.

ბიჭებმა კიდევ გააგრძელეს კამათი პოლიტიკაზე, ქართულ ოცნებებსა და ტკივილზე, რომელიც ბავშვობიდან მოჰყვებოდათ.

ნაპომ ვეღარ გაუძლო და დაძმობული განწყობის გამოკეთება ეზოს გადაღმა გადაწყვიტა. გვი-

რილებითა და ვირისტრეფებით მოფენილი სერი პირდაპირ ტყეს უერთდებოდა. უცნაური სიმშვიდე ეჭირათ დაფარჩხულ რცხილებსა და ნეკერჩხლებს, ხანდახან რომელიმე გულყვითელა თუ შეიფრთხილებდა ან გუგული ნაიმღერებდა. ბიჭი ნელა მიდიოდა ტყისკენ და თითქოს ბალახსაც კი ეფერებოდა, ისე ფრთხილად აბიჯებდა. ბოლოს უკან მოიხედა. როგორც კი დარწმუნდა, მეგობრებისგან მოშორებით იყო, მამხინვე გაგორდა სიმწვანით აპრიალბებულ მინდორზე. გადაწვა და სახე ცას მიუშვირა. ახლა ნამდვილი მეოცნებე იყო ნაპო, რომანტიკულად შეზარხოშებული ქართული ღვინითა და მზით. პეიზაჟმა ისევ აღფრეოდ ბერლინგერი მოაგონა ემილია-რომანოვის მამულებიდან და იტალია გაახსენდა. ფიქრებით აღტაცებული მალევე მოსწყდა ცას და პირქვე დაემხო ბალახებზე. ხელები გამაღა და მინას შემოხვია, თითქოს დედამინის ხელში აყვანა მოუნდაო. მერე ისევ გადმობრუნდა და ბაბუნაწერას ნაავლიჯა თავი, რალაცას ბუტბუტებდა, თან სულს უბერავდა. ასე ერთობოდა ბიჭი, სანამ მის წინ, ბალახებში, ჩრდილმა არ გადაიბრინა, მერე კი მზეს გადაეფარა. პირველი, რაც თვალში მოხვდა ნაპოს, რძისფერი ფეხები იყო, მუხლისთავებთან ოდნავ შეწითლებული. თვალმა დრო იხილთა და ლამის ფეხებშუა შერუნდა გადაწყვიტა, მაგრამ მოყვითალო კაბამ დაფერა ინტიმური ადგილი. ორი შავი ნამცვეცი ახლა ბორცვებისკენ გაემართა, მაგრამ არც ისე მაღალი ჩანდა ყვითელკაბიანის სიმღიდრე. ხოდა, შავი ნამცვეციები არხინად მოკალათდნენ ორივე ზეგანზე, მერე აქაც მობუზრდათ და მწვერვლისკენ გადაინაცვლეს. მწვერვალზე წითლად ღვიოდა ტუჩის საბადო, ოდნავ ჭორფლიან ცხვირს წვრილი ნესტოები გაეფარებინა, მწვანე ნამცვეციები კი ნამამების ტომო ბანაობდნენ. მაკო ოდნავ დაბნეული ნამოსტრამოდა თავზე ბალახებში განოლილ ბიჭს.

– გამოიპარე, არა? – ნამოინყო ყვითელკაბიანმა.

– არა, გამოვიქციე, – ნაძალადევი ღმინილით უპასუხა ნაპომ და წამოჯდა.

– რა სიმშვიდა, არა? – ჩამოჯდა მაკო და სიგარეტს მოუკიდა.

– შენც, ჩემი არ იყოს, ალბათ, დიდი ხანია არ დაგისვენია?

ნაპომ პირდაპირ თვალბეში ყურება დაუნყო გოგოს, დაახლოებით ისე, სამწვადე ხორცს რომ არჩევენ.

– ხო, მე ვეგეთი სამსახური მაქვს.

– მაინც როგორი? არ მითხრა ხელა, მთავრობაში ვმუშაობო... – სიცილით უპასუხა ნაპომ და, თითქოს განწყობაზე მოვიდა, ისე გაუნათდა თვალები უადგილო ხუმრობისგან...

– არა, კრედიტოფიცირი ვარ ბანკში.  
 – ოჰო, თქვენც იმ სექტაში ყოფილხართ, ნახევარი საქართველო რომ დაღუპა.

– რატომ?  
 – კრედიტები, განვადებები, პროცენტები... ნარმომადგენია, რამდენი ახლობლის, მეგობრისა თუ ნათესავის საქციელზე აიღე პასუხისმგებლობა და ახლა ყველაფერი შენს ნერვებზე გადადის... – ნაპომ ფეხები მოიკეცა და კარგად მოეწყო, რადგან გასართობი თემა იპოვა.

– დაახლოებით... – ისევ დაიბნა მაკო.  
 – ვერც შენ იტან გარშემო მყოფებს და ვერც მე, ორივეს მართო ყოფნა გვევასება და...

– საიდან ასეთი დასკვნა?  
 – რავი, ჩათვალე, რომ შენს თვალეზე ვმკითხობა... ერთი, ესეც მოთხარი, საზღვარგარეთ ნასვლა ხომ არ გინდა, და ეგ არის.

– უკვე ვიყავი გერმანიაში, იქ დავამთავრე... – ნახევრად ხუმრობით უპასუხა გოგომ.

– ვაა, საღოლ! ევროპაც მოგისწრია...  
 – შენ რატომ გინდა ნასვლა? – დაინტერესდა მაკო.  
 – ოოოო, მე? ეგ ცოტა ჩახლართული თემაა, – გაჩივრა ნაპომ სიამოვნებისგან.

– შენზე მეტად?  
 – შენ რა იცი, მე როგორი ვარ? – გაეცინა ბიჭს.  
 – რავი, გაკვირდებოდი...

– აჰა, ჯერ ჩემზე დაკვირვებები ანარმოე, მერე კაბა გამოიცვალე და ახლა ამ ჩახლართული აბსტრაქციის ამოხსნაც გინდა? – ნაპომ ძველბურთი თამაში წამოიწყო.

– კარგი, არაფერი არ მინდა. სად მიდიხარ? – გულგრილად ჰკითხა გოგომ.

– რავი, იტალიაში მივინდა! – ნაპომ რბილი ტონით სცადა გაემოსწორებინა თავდაჯერებული ხუმრობა.

– ოოო, ძალიან ლამაზია... – თქვა მაკომ და ცას ახედა.

– შენსავით? – გაუღიმა ნაპოს.

– ვაა, ფლირტი? – ალბაცრად ჩაელიმა გოგოს.

– ფლირტი არა, კომპლემენტი! – მკაცრად უპასუხა ნაპომ და ნაპოვდა. მაკო ცოტა დაიბნა, ბიჭი კი მესერთან გადმოტოტოლ აკაციას ჩამოეყრდნო და პირდაპირ თვალეებში მიაბტერდა გოგოს.

– მაინც რატომ გინდა ნასვლა? – სიტუაციის განმუხტვა სცადა გოგომ.

– კარგი, რა მნიშვნელობა აქვს. ნაპოდი, ავიდეთ, თორემ წყინებათ... – ბიჭი წინ წავიდა, მაკოც უნებლიეთ აედევნა. უამრავი შეკითხვა უტრიალებდა ორივეს თავში, მაგრამ თითქოს ღებნებულად დუმდნენ.

კიკეთის ტყეში ზანტად წვებოდა ბინდი, იასამნისფრად გაღვსილი ცა უღრუბლოდ იწონებდა

თავს, ფრინველთა ადგილობრივი გუნდი კი ჟივილი-ხივილით იკლებდა ხეივანს.

შეზარბოშებული მეგობრების კომპანია ორსართულიანი სახლის წინ ანთებულ კოცონს შემოსხდომოდა. ზოგი სავარძლებში, ზოგიერთი კი თბილი მოსასხამით პირდაპირ ბალახში ნებიერობდა. ნაპო ჩუმ-ჩუმად ათვალერებდა მეგობრებს და რალაც სანტიმენტალური განწყობა ეძალეებოდა. უყვარდა ყველანი თავიანთი სისუსტეებით, კარგითა და ცუდით. მოსწონდა მათი ყოველგვარი გამოხდომა, სულელური ხასიათი: ზოგჯერ თავქარიანი, ხანდახან კეკლუცი, ალაგ-ალაგ არტისტიული და უფრო ხშირად არანორმალური. ახლაც ასე იყო, თვითონ დუმდა და ყველას უსმენდა, თითქოს ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ უნდა მოესმინა.

– ინტრიგანი ბარში შევიდა, ლუდი მოითხოვა, მიიხედ-მიიხედა და თქვა: არა რა, მაინც მთა გირჩევნიაო, – გაურკვეველი ანეკდოტების მოყოლას აგრძელებდა ნიკუშა, მერე გადამდები სიცილი ატეხა და, როგორც ყოველთვის, ამ სიცილზე ყველა ჩაბყირდა.

– კარგი რა, აღარ შემძილია... კუჭი გამისკდება უხლაააა... – კისკისებდა ნინია.

– ეს უეჭველად ჯერ თვითონ იგონებს და მერე იზეპირებს ამ ანეკდოტებს, – ხუმრობა სცადა ჯანომ.

– ინტრიგანმა გადანყვებთა, მოდი, ვიხუმრებო და პროტეში მოიხსნა, – თითქოს ანეკდოტით უპასუხა ნიკუშამ, რასაც კვლავ მასობრივი ყიყინა მოჰყვა.

– აუ, გეხევენები რა, ნიკუშ, ჩავიფსამ რა, – სლუკუნებდა თამრი.

– მერე მე რა, უნიტაზი ხო არ ვარ, რომ ჩავერცხო.

ამ ფრაზამ უარესი ისტერიკა გამოიწვია ისე, რომ წაწილი კინალამ სკამებზედა გადმოცვივდა. მერე სანდრომ ნახევრად მორყეული გიტარა აიღო და ნიაზ დიასამიძის „მდინარე“ დაიწყო.

*მდინარე ხიდის ქვეშ*

*დადულდა თითქოს.*

*მზეს სხივი მოაკლდა,*

*მე შენი სითბო.*

*მითხარი, ეს დამე რატომ არის ბნელი*

*და ნაცნობ ჭადრებთან, და*

*საცნობ ჭადრებთან აღარ მელი, კარგო!*

*მინდა, რომ ჰგავდე, მინდა გიყვარდე მაინც,*

*ჩემო ლამაზო,*

*ჩემო ლამაზო გოგოო...*

*სიყვარულის ვერ ნაშლის ახალი წლები...*

*მე ველარ გვიწყებ, მე შენთვის,*

*მე შენთვის ვკვდები...*

– მოკვდა, გოგო, ეს ბიჭი და მიაქციე ყურადღება! – შეანჯღრია სავარძელში გაჭიმული თამრი ნიკუშამ, რომელიც კიკეთის ცაზე ამოგორებულ მთვარეს მიმტერებოდა.

– თუ კარგია, თვითონ მომაქციოს ყურადღება,  
 – გაიპრცა გოგო.

– ამაზე მეტი რაღა გინდა, თავზე გადაიღუნა  
 გიტარა და... – გამოეხმურა ჯანო.

– კარგი უხლა, ნუ აზივადებთ, თვითონ გარკვე-  
 ვენ. მიდი, თამრი! – გამოესარჩლა მეგობარს ნინია.

– ეს თამრისთვის იყო, – ეშმაკური ღიმილით  
 დაასრულა სიმღერა სანდრომ და გიტარა თავქვეშ  
 ამოიღო.

– კოცნა სად არის, კოცნა! – წამოიძახა ნიკუ-  
 შამ და ყველანი აჰყვნენ. თამრი უცებ გაიკრიჭა,  
 წამოხტა და სანდროს ჩაეხუტა.

– ბრავოოოოო, – მიაძახა და სტვენა მიაყოლა  
 ჯანომ. წყვილი მინდორში გადაგორდა ხარხარით.  
 გოგონებმა ტაში დატყეს და ისე ატყდა ალიაქოთი.

ნაპო ბედნიერების ზენიტში იყო ამის შემხე-  
 დვარე. უცნაურად გაბრწყინებული სახე ჰქონდა,  
 უნდოდა, თვითონაც ყველას ჩახუტებოდა, ბოლოს  
 ველარ მოითმინა და ღვინის ჭქა შეივსო.

– მეგობრებო! – ფეხზე წამოდგა და ომახია-  
 ნადა შესძახა. ყველა გაჩუმდა, გაკვირვებითა და  
 მოულოდნელობით გამოწვეული სიჩუმე კიდევ  
 რამდენიმე წამით გაგრძელდა.

– მინდა, თქვენი სადღეგრძელო დავლიო...

– მე მაგონი, დავგივთარა აქტიორი! ჰა? – სიცი-  
 ლით წამოიძახა ნიკოშამ.

– რა იყო, შე ჩემმა, მარტო სიმთვრალეში მიყ-  
 ვარხართ?! – ცოტა განანწყენდა ნაპო.

– შო, კარგი, ვისუმრე რა... – ხელები აწია ნიკუშამ.

– მეც. – გაიკრიჭა ნაპო და ოდნე შეაქანა. ახლა  
 მართლა ეტყობოდა, რომ მთვრალი იყო, თუმცა  
 ისე არასოდეს თვრებოდა, რომ აზრები არ ეოდა.

– მაგარი უბედურია ის ადამიანი, ვისაც მეგობარი  
 არ ჰყავს; მოწყენილია ის, ვისაც თქვენნაირი გიყვები  
 არ ჰყავს გვერდით, და ჩემსავით ბედნიერია ის, ვინც  
 თქვენს გვერდითაა! – ყველა განაბული უსმენდა,  
 ნაპომ ოდნე შეისვენა, მძიმედ ამოისუნთქა და განა-  
 გრო: – ახლა შეიძლება ფიქრობთ, რომ სიმთვრალე  
 მალაპარაკებს, მაგრამ... არც ასეა, ჩემო აფრასიონ, –  
 გაეცინა ნაპოს და ძველი ზუმბოდა გაახსენდა.

– აბა, რავა მია, ჩემო აფრასიონ? – სიცილი-  
 თვე გამოეხმურა სანდრო, რომელსაც იღლიაში  
 მოექცია თამრის კისერი და თმაზე ეფერებოდა.

– მინდა, რომ დიდხანს გაგრძელდეს ასე... მა-  
 გრამ, გათენდება თუ არა, ყველანი დავიმოლებით,  
 ყველას ჩვენ-ჩვენი პრობლემა გვაქვს, ჩვენი საქმე  
 გვაქვს... ისევ იმ ცარიელ ხალხში უნდა გავფრიოთ,  
 ისევ ძალით გავვიღიმებენ, გამარჯობას არ გვეტყ-  
 ვიან – ჩვენ შევავინებთ! ვილაცა ბოროტი თვალით  
 გამოგვხედავს, ეს რატომაა ჩემზე ბედნიერიო –  
 ამასაც ავიტანო! დავილღებთ, გადავიწვებით,

მერე ისევ შევხვდებით და დავისვენებთ... რაც  
 მთავარია, ჩვენ ხომ არ გვერცხვენია ერთმანეთის  
 თვალეგში ყურება, ხო ვენდობთ ერთმანეთის, ხო  
 გვიხარია, რა! ეს არ დაგვეკარგოს, ის, რაც ასე  
 აკლიათ სხვებს... გავიმარჯვოთ, რა, – ნაპოს თი-  
 თქოს ბურთი გაეჩხირა ყელში და სწრაფად გამო-  
 ცალა ღვინის ჭქა.

– დაბერდი, შე ჩემმა? – გაიხუმრა ნიკუშამ.

– დაბერდა კი არადა, მგონი, დარჩენილ ახალ-  
 გაზრდობას ევროპისთვის ინახავენ ეს და სანდრო,  
 – გამოეხმურა თამრი.

– აი, ხელს რომ დაგიქნევთ ტრაპიდან, მერე  
 ენახოთ, ვინ ილადავებს, რა... – ღვინო ჩამოისხა  
 სანდრომ. – ჩვენს გეგმებს გაუმარჯოს, ნაპოშ!  
 ჭქა აწია და მამინევე გადაკრა ბიჭმა.

– ნავალი, სანდრიკ, ნავალი. – დაიმედა ნაპომ.

– ნახვალთ, თორე თქვენც გელოდებიან რა. მერე  
 კელი, ბერლუსკონი და სარკოზი მსჯელობენ, სად  
 დედასაქმით ჩვენი ბიჭებიო! – გაღვიანდა ჯანო.

– ბერლუსკონი არა, მაგრამ, როგორც მამაჩემი  
 ამბობს, მინიმუმ, ბერტოლუჩი მხედება ფიუმჩინო-  
 ნოს აეროპორტში, – გაეცინა ნაპოს.

– აბა, ძმაო, აგვიწყვია ცხოვრება და ეგ არის –  
 შენ სიცოცხლე ვილას დაითრე, მე კიდევ ჩამოვალ  
 და მრგვალტრაკა ნამებს ავყრი! – გაიჭიჭა ნიკუშამ.

– ამასობაში ჯანო ფერმა გააკეთებს და რძე და  
 ყველი არ მოგაგლდებათ, – სიცილი აუტყდა ნინიას.

– აუ, შენლა მაკლი, რა, – გაბრაზდა ჯანო, – არა,  
 ბიჭო, ის ვიზია, ვილაცა გერმანელ ხრონცს ტრაკი  
 უწმინდო ან ზანცის ბავშვებს სდიო, არ ჩაიფანს...

– არა, ძმაო, აქ უნდა დარჩე, შეაკედე ამათ დამ-  
 პალ პოლიტიკას, მერე მიტინგებზე ჩაირბინო და  
 „გადადექი“ იძახო, – აყაყანდა სანდრო.

– შენ რომელ მიტინგზე დადიხარ, შე ჩემმა,  
 შარდენიდან ვერ გამოგიტანე! – გაბრაზდა ჯანო.

– აუუუუუ, დაიწყებს, – მინდორზე გადაგორდა  
 თამრი.

– არა, მე გეტყვით, როგორ სჯობს, – ფეხზე  
 წამოდგა ნიკუშამ, – ყოველდღე თავი უნდა იმართ-  
 ელო გაბოროტებული ხალხის წინაშე, – არა, კი არ  
 ვცხოვრობ, მეც შენსავით ვარსებობო, მერე გამოა-  
 თრიო შენი დაობებული ნახატები და მშრალ ხიდზე  
 გაყიდო იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება გამოფე-  
 ნას ვერ ეღირსები. არა უშავს, არა უშავს. ჩვენ ხო  
 დიდი კულტურა და ტრადიციები გვაქვს, ჩვენზე  
 მაგარი ერი ხო არსად არ არის, ყველაფერი უნდა  
 მოვითმინოთ, ძმაო. ყელში ამოხვედით, რა, ამდენი  
 პატრიოტები.

– ეგ თქვენი ევროპა იყო, ფეხებზე რომ დავგიკიდა  
 ომის დროს, შემფოთებელი ვარ, ძალიან ვწყურავო!!!  
 მიდი და ირბიდე უხლა... – მიაძახა ჯანომ.



- დაგიკიდებს, ძმაო, შენები დარბიან და ყვირიან ამ ქვეყანას ნაგლეჯ-ნაგლეჯ და ინგლისელი რატომ დაგიბახებს, მოდი, მოგეხმარო? - შეუღია ნიკუშამ.

- არ ვიცი, ვინ რას ყვირს, მაგრამ მე ამ ქვეყანას გჭირდება და არსად წასვლასაც არ ვაპირებ... - გაჯოჯტდა ჯანო.

- კარგი რა, შენ რა გგონია, გამოსასრობებ ამდენ უყიესა და ნაბოზარს? - ისევ აყყანდა სანდრო.

- მე შევეცდები, ძმაო... აბა, დავადლოთ თავი და გავიტყუო ყველანი, ამით რამეს ეშველება? გატყუვა ადვილია; მთავარია, სანაგვიდან როგორ ამოხვალ... - პოზიცია არ დათმო ჯანომ.

- ხოდა, იჯექი ამ ნაგავში, დაელოდე, სანამ შენც არ ამოგხდება სული უმუშევრობით! - სანდრომ ვედრო მოთმინა, ფეხზე წამოსხტა და სახლში შევარდა, თაბრიც უკან აედევნა. ცოტა ხნით ყველა დადუმდა. მხოლოდ ნაპო ფორიაქობდა, რომელიც აქამდე თავდახრული იჯდა და ნელ-ნელა ნრუპადა ღვინოს.

- ყველაფერი კარგი, მაგრამ ამისხენით, ერთი, რა უნდა ვაკეთო აქ? მითხარო, რა, ჯანო, რომელსაღ კლდეზე დავიწყო მუშაობა? ხო ვერ იტყვი ჩემზე, რომ მატერიალისტი ვარ და ფული მევასება?! აი, მსახიობი ვარ და ჩემი მოვალეობა, ვითამაშო, მაგრამ სად? - ნაპომ პირდაპირ თვალელებში შეხედა მეგობარს და მორიგი კონტრარფუნქტის მოსმენას დადგოდა. ჯანო გაჩუმდა და თავი დახარა.

- მე გეტყვი, ნაპო, - ფერმაში!!! - გაიფხუკუნა ნიკუშამ.

- შენ კიდევ სულ ნუ ლადაობ, რა, - ხელი აუქნა ნაპომ. - ფერმაში, ადექი და, შენ გამოფინე შენი ტილოები!

- მე ვფიქრობ, არც ასე ტრავიკულადაა საქმე. - დუმილი დაკარვია მაკომ, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ჩუმად იჯდა ნაპოს გვერდით.

- ოპო, სიტყვით გამოვიდა ფროლიან ჯანაშია, - გადაიციკა ნინიამ. - როგორ ფიქრობ, რამდენი ოჯახი უნდა დაკოტრდეს კიდევ შენი კრედიტებით?

- ეტეც მე დამაბრალე ხელა? - გაელინა მაკოს.

- ხო, მთელი მადონას სერვიზები რომ გაყდა ბებიაქემმა, აბა, ეისი ბრალია? - ისევ გაატყუორდა ნიკუშა. გოგონებმა სიცილი ატყეს, გაციინა ნაპოსაც.

- გამოუსწორებელი იდოლიტი ხარ, რა, - სიცინისგან ცახცახებდა ნინია.

- მოდი, ჩემო იდიოტებო, საქართველოს სადღერძელ ვთქვათ! - აღაპარაკდა ჯანო.

- არ გავცვლი სალსა კლდეებსა სხვა ქვეყნის სამოთხეზედა, - გამოაჯავრა ნიკუშამ.

- ჰო, აი, ეგ არის, რა, - ჭიჭა შეივსო ჯანომ. - ამდენი უბედურება გამოვიარეთ, მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ანაკონ-ნაკუნ, ნაგლეჯ-ნაგლეჯი კი არა, გაუმარჯოს საქართველოს მოლიანადა!!!

- აფორუმ შენს პატრიოტიზმს, ჯანო! - ფანჯრიდან გადმოსახა სანდრომ.

- მოდი აქ, მოდი, სანდრიკ, საგზურებს რომ გამოეუგზავნით ჯანოს, მერე თუ არ წამოვა, მაგასაც ენახავთ, - შესახა ნაპომ და თვითონაც ღვინით საგვე ჭიჭა მოიქცა და დარეხილ თითებში.

- მოკლედ, ჩემო პატრიოტო ხალხო, „ჩიარზ ფორ ჯორჯია!!!“ - აქცენებით გამოთქვა ნიკუშამ და დანარჩენებს ჭიჭა მიუჭახუნა.

- მომაგალ წელს ჯანოს ფერმაში ვსვავაამთ! - გადაიციკა ნინიამ.

- ამალამ ვილაცა მართლა ფერმაში დაიძინებს! - სიცილითვე უპასუხა ჯანომ.

კიდევ დიდხანს გაგრძელდა ფსევდოპატრიოტულად აალებული ჭიჭების ჭახაჭახი, ნიკუშას ზემრობებზე ისტერიული სიცილი, მერე ისევ სანდროს გიტარა და რომანტიკული სიმღერები. ამასობაში მამლებმაც იყიელეს. ზარმაცი მთავრეც სადღაც გაიპარა. კიკეშიმ გათენდა. მზე ბალურინასავით ამოფარფარდა აღმოსავლეთ ფერდობზე, სხივებიც ისე გაანაწილა გარშემო, ფიზკულტურის გაკვეთილზე რომ აყენებენ ხოლმე მოსწავლეებს. სხივებმა პირველი-მეორეზე გაითვალეს, ყველა სახლის ფანჯარაზე რიგრიგობით გადანანილდნენ და ოქროსფერი შუქით აავსეს მთავრისგან მიძინებული ადგილები.

ერთ-ერთმა „მოსწავლემ“ ხის საზაფხულო სახლის მეორე სართულამდეც მიადინა, ნახევრად ღია ფანჯარაში იისფერ ჩითის ფარდებს გაეპრანჭა და იმათაც გზა დაუთმეს. ვინრო ოთახის შუაგულში ხის საწოლზე გართხმული, წელს ზემოთ შიშველი ახალგაზრდა კაცი ოდნავ შეიშმუნა, მერე რომაული პროფილი დაემანჭა და აგრესიული მოძრაობით გვერდი იბრუნა. მზის მოსწავლემაც თითქოს განგებ მეორე მხრიდან მოუარა. ბიჭი ახლა გულაღმა ამოტრიალდა, მაგრამ კარის ჭრიალმა შეაფხიზლა და გუშინ ღამით გატეხილი ძილი საბოლოოდ დაუფრთხო. თვალები მიძიმედ მოჭუტა და ისევ საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა. ოთახში დატრიალებულიმა ცხელი ყავის სურნელმა, რომელიც მალე სულ ახლოს, ცხვირის ნესტოსთან იგრძნო, კიდევ უფრო გამოაფხიზლა.

- თქვენი ყავა მზად არის, სენიორ! - ქალის სასიამოვნო ხმა ჩაესმა ნაპოს. კარგა ხანია, ასე არავის გაულეძიებია, ამიტომ სასწრაფოდ გაახილა თვალი, რომ გაერკვია, სიზმარში იყო თუ რამე ახალი ხდებოდა მის ცხოვრებაში. საწოლთან მაკო იდგა მწვანე საზაფხულო კაბით, რომლის სამკუთხედი ყელიდან ჭორფლიანი მკერდი მოუჩანდა. ოდნავ ხვეული თმა სიმინდის ულვაშოვით მოეგროვებინა მარჯვენა მხარზე და ბალახივით მწვანე თვალებს უხეხულად აფხიხულებდა.

- ვაა, ფროლიან ჯანაშია!! - გაეცინა ნაპოს.  
 - იმედია, არ გაბრაზდი, რომ გაგაღვიძე.  
 - არა, რა გაგებრაზდი, - სიამოვნებისგან გაიჭი-  
 მა ნაპო, - და რატომ ასეთი პატივი?  
 - ეს პატივი მხოლოდ თქვენ არ გეხდათ წილად,  
 პირველი ნიკუშა იყო, - ეშმაკურად ჩაიციხა გოგომ.  
 - სხვები სად არიან? - ნაპომ თითქოს განგებ  
 შეცვალა საუბრის თემა.  
 - ჯანო, სანდრიკა და თამრი უკვე წავიდნენ,  
 ნიკუშა წვეს, ნინია კი საუზუმეს ამზადებს...  
 - ვაა, მაგან ეგეთებიც ისწავლა? - გაიცინა ბიჭმა.  
 - აბა რა, სულ შარდენის მენიუს მიხედვით ამ-  
 ზადებს! - სიცილითვე უპასუხა მაკომ.  
 - ანუ დღესაც ვრჩებით?  
 - ხო, ჯანომ ბაზარში გავივლი და სამწვადეს  
 წამოვიღებო... შენ რა, წასვლას აპირებ?  
 - საერთოდ, კი, - გაეცინა ნაპოს.  
 - ეს აკვიტებული აზრები... - თავი გაიქინა მაკომ.  
 - კარგი, ახლა შენც ჯანოსავით არ დაიწყო  
 ფერმის ამბავი.  
 - არა, ფერმა რა შუაშია. ეს აქედან ჩანს მომზიბ-  
 ვლელი ევროპა და ამერიკა; იქ რამდენიმე თვე რომ  
 გაჩერდები, მერე მიხვდები...  
 - რას მიხვდები? - ჩაცმა დაიწყო ნაპომ.  
 - იმას, რომ იქ სამოთხე არ არის!  
 - შენ რა, გგონია, იქ სამოთხის საძიებლად მი-  
 ვდივარ? არა!!! ჩემი გეგმები არაკომერციულია და  
 არამატერიალურია, სინიორინა.  
 - არ ვიცი, რისთვის მიდიხარ, მაგრამ გაგიჭირ-  
 დება... - თითქოს გული დაწყდა გოგოს.  
 - კარგი რა, ისე მელაპარაკებ, თითქოს მეც  
 ხეალვე ვიფიქროდე, - გაეცინა ნაპოს და კარისკენ  
 გაემართა. - არ გინდა, ბაღში გავიაროთ?  
 - არადა, როგორი რომანტიკოსი ხარ? - მაკო  
 ლიმილით გააყვავა უკან, ბიჭს უღვაშებში ჩაეღიმა,  
 მაგრამ არ შეიმჩნია, ისე გაუძღვა წინ.  
 ეზოში უკვე ცხლოდა. პირველი სართლის  
 სამზარეულოდან ახლად გამოიწვარი ღვეზელის  
 სუნნი გამოდიოდა; ამ სურნელს ბობ ფოსის „კა-  
 ბარეს“ მუსიკალური დრამენტიები ერთვოდა იმავე  
 ოთახიდან. ღია ფანჯარაში პერიოდულად ჩნდებო-  
 და ქერთამიანი, 25-იოდე წლის გოგონა, რომელსაც  
 გვირილებიანი წინსაფარი გადაეკრა მაღალ ძუძუე-  
 ბზე. ეტყობოდა, დიდი მონდომებით უტრიალებდა  
 თავის კულინარიულ ნაშრომს.  
 - ვაა, დიასახლის, რას გვიმზადებ? - ბაღის  
 შუაგულიდან შესძახა ნაპომ. წინსაფარიანი გოგო  
 მაშინვე ფანჯრის რაფაზე გადმოწვა.  
 - ხორცის ღვეზელებს... - სიამაყით უპასუხა  
 და გვირილებიანი წინსაფარი შეისწორა ტანზე.  
 - შენა და, ლაიბა მიწელიც მაგარი მზარეული  
 იყო, არა? - სიცილით მიადახა ბიჭმა.

- დიხაც! - გაიბრანჭა გოგო და მუსიკას უფრო  
 აუწია, ჯერ რამდენიმე სიტყვა გაიმორა მინლის  
 ინტონაციით სიმღერიდან „Money“, მერე კი ცეკვა  
 წამოიწყო, რაზეც ნაპოს უკან მდგარ მაკოს სიცი-  
 ლი აუტყდა.

- ნიკუშა სად არის?  
 - რაჟი, ეზოში დაბოდიხლბდა... - ცეკვა-ცეკ-  
 ვით უპასუხა ნინიამ ბიჭს.  
 - კარგი, ღვეზელს მიხედ, არ დაგვენას! - ხმა-  
 მალა მიადახა ნაპომ და ბაღის შუაგულიკენ დაიძრა.  
 - ამოდით, არ გპოთ? - მუსიკის გადაფარვას  
 თითქმის ყვირილით სცადა მოცეკვავემ.  
 - ცოტა ხანში. დამაცადე, ჯერ გავიარო ბიჭთან  
 ერთად! - კისკისით უპასუხა მაკომ და ნაპოს უკან  
 აედევნა.

ბაღის შუაგულში შედარებით გრილოდა. საცეკვაოდ  
 გამზადებული კაკოსა და ლეღვის ხის ტოტებით  
 ფლორით ერთობოდნენ. ჭორიკანა მზე აქ უკვე  
 ველარ აღწევდა და ტანმალაღი აკაციების კენწე-  
 როებს შორის იჭყიტებოდა. მიდიოდნენ ორნი და  
 ბუნების თითოეულ გამოძახილს იმპულსურად ეხ-  
 ნებოდნენ. ნაპო ახლაც ბედნიერი იყო, თუმცა  
 ამ ბედნიერებას რაღაც სანტიმენტალურად ახლ-  
 და. მაკო კი, როგორც ყველა ქალი, გაზაფხულის  
 მინურულს გრძობებით სასე, განსაკუთრებულად  
 ლაღი და კეკლეუცი, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ  
 შეერდებოდა და თითქოს მზეს ებრანჭებოდა, ისე  
 მიუშვერდა მაღალ ყელსა და ვარდისფერ ლოყებს.  
 ბიჭი ვითომ პეიზაჟებით ტკებოდა, მამლაყინასა-  
 ვით წაიგრძელებდა კისერს, არემარეს მოავლებდა  
 მოჭუტულ თვალებს და ბოლოს მზერა მაინც მაკოს  
 მწვანე კაბში გამოკვართულ ტანზე ჩრდილობდა.

- ალუბალი გიყვარს? - კარგა ხნის დადილის  
 შემდეგ წამოიწყო ნაპომ. ეს თქვა და არნივის მზე-  
 რით დაეცვლა მაკოს მსხვილ ტურებს, რომლებმაც  
 სწორედ ალუბლის ასოციაცია გამოიწვია ბიჭის  
 ფანტაზიაში.

- კი, ძალიან! - მაკომ მაშინვე იგრძნო ბიჭის  
 ვნებიანი მზერა ისე, რომ ტურებიც კი აენვა.

- ხო და მალე დამწიფდება!  
 ნაპოს გაეღიმა და ალუბლის ხეს შემოხვია ხელი,  
 რომელიც უკვე თეთრი ყვავილებით დაპნტილიყო.  
 მაკო კატასავით გაინაბა, ჯერ წელი მოძრაობით წა-  
 ვიდა ალუბლის ხისკენ, მერე კი მისკენ გამოშვერლ  
 ტოტებს გაეთამაშა და მთელი სხეულით აცეკვდა.  
 ქალის სიბოროტი აღზნეულმა ტოტებმაც რწვა  
 დაიწყეს. ბიჭი დაბნეული შეპყრებდა გაზაფხულის  
 ნიაკივით აცელქებულ გოგოს და ნერწყვებს ყლაპ-  
 ვდა. მაკომ ისე ატყუა აყვავებული ალუბალი, რომ ხის  
 ყველაზე მსხმიარე ტოტი პირდაპირ მწვანე კაბის  
 დეკოლტემი გაიხლართა. ცოტა ხანს უყურა ბიჭმა ქა-

**პროზა**

ლისა და ხის შეფარულ ალერსს, მერე ვეღარ მოითმინა შურით აღესილმა სხეულმა და ახლოს მიეჭრა. ჯერ ალუბლის ტოტი მოტეხა ვნებით არეულმა რომაელთა ნაშვირმა, მერე კი მწვანე ქსოვილზე იძია შური. მაკო ვენერასავით უდრეკი იყო ამ დროს, მისი გაქვავებულ სხეული უფრო აგვიბდა ბიჭს და ნელ-ნელა თავს კარგავდა. ალუბლის ხიდან წყვილმა ობლად ამოსულ გვირილებსა და ქიამაიებზე გადაინაცვლა. ყველაზე ამაყი ამ დროს ბალახი ჩანდა, ჯერ კიდევ სველი, რომელსაც უკვე მოესწრო ალიონთან ალერსი.

ყველაზე მინიერი აქტის დასრულების შემდეგ თითქოს განგებ დაინყეს ქრიჭინებმა ხმაური, ამათ კალებიც შემოუერთდნენ და ბალში ნამდვილი აურზაური ატყდა. ვნებადამცხვრალი წყვილი კი წამოდგომას არ ჩქარობდა. მხოლოდ ფეხებით გადახლართულნი ერთმანეთს შეჰყურებდნენ და თვალებით უზიარებდნენ განცდილს. ალბათ, მთელი დღე გაგრძელებოდა ეს უდარდელი განცხრომა, რომ არა ნინიას კივილი, რომელიც ბალის მოპირდაპირე მხარეს გაისმა და რამდენიმე წუთში უფრო გაძლიერდა. ნაპო გველნაკბენით ნამოხტა და წინ გაეარდა, მაკოც გაედევნა, თან გზადაგზა იცვამდა შემოსხნილ კაბას.

- ვაიმეეეეე, მიშველეეთო!!!! - ნინია ისტერკულად იმეორებდა ამ ფრაზას და ტყისკენ გა-

დატოტილი კაკლის ქვეშ ხტუნავდა. სახე თთრად გადატეტკოდა, გვირილებიანი წინაფარი კი ნახევარ ზონარზე შერჩენოდა მკერდს.

- რა მოხდა, ნინია, რა დაგემართა? - ღრიალებდა ნაპო და თან აქეთ-იქით ატრიალებდა შემინებულ თვალებს. რადგან ვერ გაეგო, რა მიზეზით კიოდა გოგო.

- ვაიმეეეე!!! შეხედეთ... მიშველე, ნაპოოო!! ნინიას თითქოს იმედი მოეცა, მეგობრები რომ დაინახა. ნაპო მიუახლოვდა თუ არა კაკლის ხეს, ისეთი შეაქანა, თავი ძლივს შეიკავა, რომ არ წაქცეულიყო. პირდაპირ მინდორში იწვა ნიკუშა, სახე მთლიანად გალურჯებოდა, თავი ისე ბედნიერად გადაეგდო გვერდზე, თითქოს ცას შეჰყურებო. ცისფერი თვალები შუშასავით გახდომოდა, თხელ ტუჩებზე კი კვლავ მეოცნებე ღიმილი გადაკრავდა.

- ნიკუშ! - ადგილიდან დაიყვირა ნაპომ, მერელა შეამჩნია, რომ ნიკუშას მარჯვენა მკლავთან ინსულინის ნემსი ეგლო...

- რა მოხდა, მითხარით? - ტირილი აუვარდა მაკოს.

- ნიკუშ, ნიკუშ! მითხარი რამე! - ნაპო გიჟივით აჯანჯლარებდა მეგობრის უსულო სხეულს, თითქოს რალაცის იმედი ჰქონდა, მაგრამ მეოცნებე მხატვარი უკვე ღრუბლებში ნებივრობდა, - მონეს ფერები აერჩია და თავის ახალ სამყაროს ხატავდა.

**გაგრძელება იქნება**



## მზია ჩხეციანი

### ხმ რად არ ვიყავ

*თანამედროვე მწერლებს*

დღე ჩამოთავდა... ხვალ-ზეგ მოვკვდები,  
რა მოვინატრო, რა უნდა მსურდეს?  
ხე რად არ ვიყავ, რომ ჩემს ტოტებში  
ჭრულ ჩიტუნიებს დაედოთ ბუდე!  
ხე რად არ ვიყავ, –  
კვლავ ნატვრად მრჩება, –  
მეშრიალა და ჩუმად მელოცა...  
სანერ მაგიდად ან კარ-ფანჯრებად  
გამოვეთალე თქვენთვის ხელოსანს.  
მოგწონებოდათ ლალი ლივლივი  
ჩემთა რტოთა და მწვანე ფოთოლთა,  
ამომივლიდით, ჩამომივლიდით,  
დაგვიწყებოდათ სოფლის გოლგოთა.  
ხე რად არ ვიყავ, მეფორიაქა,  
მეთრთოლა ჩვენი მზით და მთვართა,  
ზეაყოლილი ფიქრს და ნიავქარს  
ჩუმ ზმანებებში ჩამოვმხმარიყავ.  
ერთი შეხედვით ჩუმი, მორჩილი  
მალლა ლივლივა ცას ავწვდენოდი...  
მერე რა, თუკი შეშად მომჭრიდით –  
ხომ სიყვარულში ჩავნაცრდებოდი.

## იღბა დაისი

*შარლოტა კვანტალიანს*

ჩიტი გალობდა წყაროსთან,  
 იღბა დაისი წყნარი...  
 შენ გამახსენდი, შარლოტა,  
 მწყაზარი ლექსის პწკარით.  
 სიო ლურჯ სათიბს ფურჩქნიდა,  
 ჟრჟოლად უვლიდა ფერდობს,  
 ცას თითქოს ლექსის შუქი და  
 ღვთიური ცეცხლი ედო.  
 ჩინჩხლები მიმოიფანტა,  
 ბინდში განიმქრა ალი,  
 მაგრამ კვლავ ხმობდა იფანთან  
 ჩიტი – პოეტი ქალი.  
 ბუდე თუ ჰქონდა დალოცვილს  
 და შიგ ბარტყები ჰყავდა...  
 იფანს ბინდბუნდის სამოსიც  
 იდუმალ შუქად ადგა.  
 ჩიტი გალობდა წყაროსთან  
 ხმით, ამა სოფლის მშენით...  
 შენ გამახსენდი, შარლოტა,  
 და სათნოება შენი.

## ამჟჳრად

შენ ისევ ცოცხლობ...  
 მაინც რას ელი?  
 ჩათავდა ველი, – ვრცელი, ფერადი...  
 ყველა პერანგი გაგიცვდა,  
 მრთელი  
 შემოგრჩა ერთი – ეკლის პერანგი!  
 როგორ აწყდება სარკმელს ვერაგი  
 ძალმომრეობა, ხარბი და ბილწი!  
 მაინც რამდენჯერ?  
 რამდენჯერადი  
 სიკვდილით გკლავენ...  
 ცოცხლდები, იწვი!  
 ვილაც გამორბის ცეცხლში...  
 ვინ არის?  
 ვინ გაგიქარვებს სადარდელს ულევს?  
 თუ სიყვარულის ლექსი, მტკივანი,  
 ისევ გფლეთს,  
 ისევ გასკდება გულზე!

## არამიცი იყოს

*პური მთხოვა და ვაჭმიე,  
 ვურჩევდი თავთუხისასა,  
 ღვინო მთხოვა და ვასმიე,  
 ვურჩევდი ბადავისასა,  
 ცოლი მთხოვა და ვერ მივეც...*

*ხალხური*

შენ ისევ ქართლის მინდვრებში დაძრნი,  
 ავს რასმე გითქვამს ეგ გული, კრული...  
 არამიცი იყოს მონვედილი ყანნით  
 ბადავის ღვინო,  
 თავთუხის პური!  
 გაგინყრეს ღმერთი,  
 დაგიბრმეს თვალი,  
 – არკი გცოდნია კაცობის ყადრი!  
 მეგონა, გსურდა, ლამაზი ქალის  
 ხვევნით ჩაგეკლა ტრამალზე დარდი.  
 მაგრამ ვაითუ ქართველი კაცის  
 ცოლისკენ ავად გაგექცა მზერა!  
 არ გაპატიებს, მოგიზღავს ასნილ –  
 გაგხადოს შავი ყვავე-ყორნის წერა!  
 და ჩემმა ქმარმაც შეგაკლა თავი!  
 შენც ინექ სისხლის მორევში, ლეხში,  
 ნამით ახდილი ლეჩაქი, შავი,  
 უხმოდ, უაზროდ მეჭირა ხელში...  
 და ჩემმა ქმარმაც შეგაკლა თავი  
 (ამ ცეცხლისაგან ვინ და რა მიხსნის?),  
 მაგრამ იმ გზისპირ ბევრ ლამაზ ყვავილს  
 შეახმა შენი მდულარე სისხლიც!  
 ბაგე-ბადაგით რომ კვლავაც დათერე,  
 მაინც აქ დაძრნი... დაძრნი და ცდილობ,  
 უყელო სადმე მიამიტ ქართველს  
 დახარბებულმა ქალსა და ღვინოს!  
 მანყდეები მზერით, ხარბით და ლირნით,  
 კვლავ სისხლს დაეძებ, სისხლითვე მთვრალი,  
 გდის ოხშივარი ნაზამთრი მიწის,  
 გადაგდის ბასრი ფრანგულის კვალი...  
 მე კი კვლავ მწარე ტკივილად მიჩანს,  
 აღარ მოედო ამ ხსოვნას ხავსი...  
 ვერ შეგიტკბია უმადურ ყივჩაღს  
 ალაღად მონვედილ პურ-ღვინის ფასი!

# ნინო დაბბაისყლი



## ბოცო

ამ ძველ ნაძვებთან როცა ჩავეივლით,  
მძლოლებს ვთხოვ ხოლმე,  
ნელა იარონ.  
სადღაც,  
ხის ძირში შენ მარხიხარ.

ბოცო,  
რა ვისი ბრალი იყო,  
მე რომ მინდოდა,  
საკუთარი ძალი მყოლოდა,  
რომ სულ პატარა ლეკვი იყავი,  
იქ, ბაზრობაზე  
კოჭლმა თათარმა  
შენი თავი  
კავკასიურ ნაგაზად რომ შემომასალა,  
არადა, მართლა როგორ ჰგავდი!  
სანოვარათი როგორ გაჭმევდი,  
ისიც ხომ გახსოვს,  
ღამე როგორ გიხუტებდი,  
გაიზარდე და  
სიმაღლის ნაცვლად  
ვაგონივით სულ სიგრძეში როგორ წახვედი  
და დამცინოდნენ ახლობლები,  
რომ ასეთი გამომადექი,

როცა მოვლილი,  
 ძვირზე ძვირი საყელურით  
 სხვა ჯიშინი ძალღებვიით  
 გამომყავდი სკვერში სარბენად.

ბოცო, არ უნდა დაგეკბინა პატარა ბავშვი!  
 რალა გზა მქონდა,  
 ჯერ ერთი თვე გაკვირდებოდნენ  
 და, ყველაფერი როცა ჩაცხრა  
 და სამშვიდობოს ვიგულეთ თავი,  
 მაშინ გადანყდა,  
 რომ შენი სახლში გაჩერება  
 უკვე აღარ შეიძლებოდა  
 და ჩვენც რა გვექნა,  
 აქვე, სოფელში აგიყვანეთ,  
 გაგაძიძავეთ.  
 მინაზე დაგსვი და გითხარი:  
 – მისმინე, ბოცო,  
 ახლა მე უნდა ნავიდე და შენ აქ დარჩები.  
 კარგი ბიჭი ხარ,  
 პატრონებს უნდა დაუჯერო,  
 მეც მალ-მალე გნახავ ხოლმე,  
 გასაგებია?

როგორ მორჩილად მომისმინე,  
 რა ღირსეულად!  
 უკან იმდენჯერ მოვიხიდე!  
 მეგონა, ყეფით გამომყვებოდი,  
 ისე, როგორც წიგნებში ან ფილმებშია.  
 ვიდრე თვალს არ მიეფარე,  
 არ განძრეულხარ!

მერე რამხელა გაიზარდე!  
 გლეხი ამბობდა,  
 რომ კარგა ავი ძალღი დადექი,  
 ეზო-კარის ნაღდი პატრონი,  
 რომ შენი შიშით უბანში უცხო ვერ ჭაჭანებდა.  
 როცა შემეძლო,  
 სანახავად ხომ მოვდიოდი,  
 ხომ ამომქონდა შოკოლადი, შენ რომ გიყვარდა,  
 ხომ მახტებოდი ძველებურად ისევ კალთაზე,  
 ხომ დამდობლავიდი,  
 ვითომ „მე ისევ შენი პატარა ბოცო ვარო“,  
 ხომ მატყებდი.

ბოცო, ცხოვრება ისეთია,  
 ძალღს კი არა, თავს დაგავინყებს.  
 როცა დავბრუნდი,  
 პატრონმა ხენემით:



– დიდმა მანქანამ გაიტანა,  
 სალამო იყო,  
 უცებ ხმა ველარ მოგანედინეთ.  
 აბა, რა გვექნა,  
 ნესი ეგრეთ,  
 მკვდარი ძალღი  
 მზის ჩასვლამდე მიწას უნდა მიაბაროო,  
 ჰოდა, ავიღეთ,  
 მაინც თქვენ ახლო,  
 ტრასის პირას დავმარხეთო.

ეზოში უკვე სხვა ყვფდა და  
 შენი წილი შოკოლადიც იმას ერგუნა.

ბოცო, ჩვენ გვიყვარს,  
 როცა გვისმენენ და პასუხს კი არ გვადირსებენ.  
 თავს ვიკატუნებთ, ვითომ განვიცდით,  
 მაგრამ ეს დიდი იმედია,  
 დიდი შეებაა:  
 მხოლოდ თქვა,  
 გული დაიცალო,  
 მერე შენი გზა გააგრძელო, ახალ დარდამდე.

აი ეს კითხვაც,  
 ვიტყვი,  
 დავაგდებ ამ ნაძვებთან და გავივლი,  
 ჩემს გზას ვენევი:  
 – ადამიანი როდის არის ადამიანი –  
 როდესაც ახსოვს თუ როდესაც გადავიწყებს,  
 ვინ სად ცოცხლობს და  
 ვინ სად მარხია.

## ზიარჭურჭელი

კარგია, როცა ბავშვი ერთის ხელში იზრდება.  
 მე კი ორი ბებია მყავდა,  
 ერთი – გამზრდელი და მეორე – გამართობელი.

პირველი:

„– ქალი საწოლიდან რომ წამოდგება,  
 ქვეშაგებს ერთი ნაკეციც კი არ ემჩნევოდე!  
 მუხლი დაფარე,  
 მხრებში გასწორდი,  
 ნუკი გადმოყრი მაგ სავაშლე კბილებს უტიფრად,  
 თუ გეცინება, გაიღიმე!“  
 შუბლშეჭმუნხილი  
 დაძარღვულ მუშტს ზეალმართავდა,

ან საჩვენებელ თითს ჰაერში შემოიქნევდა:  
 „- ყველაფერს თავის ადგილი აქვს,  
 თავისი დრო,  
 დაიმასხოვრეთ,  
 ამ მიდამოში უჩემოდ კენჭიც არ გადაბრუნდეს!“

ხანდახან,  
 თავის დარგულ ვარდებს რომ შეხედავდა,  
 რაღაც,  
 სიჩვილისმაგვარივით მოერეოდა.  
 „- მერმის ამ დროს თუ ცოცხალი დავრჩი...“  
 - იტყოდა ხოლმე  
 და გარეგნულად მორჩილ ბავშვებს,  
 ო, რა სასტიკი იმედები გვეძლეოდა  
 „მერმისამდროსი!“

(გვიან გავიგე,  
 მაგრამ დღემდე მაინც არ მესმის,  
 დაძინებულებს რატომ გვკოცნიდა).

გამართობელი, - დედის დედა,  
 ზაფხულის ბაბო,  
 პომადიანი,  
 „დადუხული“,  
 როგორც ამბობდნენ, მიწის არ იყო.  
 სახლი რომ ძაან აერეოდა,  
 მეზობლის ქალებს მოიხმობდა,  
 თვითონ ბანტიან გიტარაზე ათამაშებდა  
 კოტიტა თითებს  
 ან წიგნით ხელში  
 სარწველაზე მითვლემილი ილიმებოდა.  
 გაიღვიძებდა და იმ ქალებსაც გააზანტებდა:  
 „- გეყოფათ ახლა,  
 ნამეტანსაც ნუ გადაყვებით!“  
 ტახტზე მიწოლილს  
 კნუტებივით სულ ზედ ვეკვროდით.

არკი იმჩნევდნენ,  
 მაგრამ ეგრძნობდით შვილიშვილები,  
 სინამდვილეში,  
 ერთმანეთს როგორ ვერ იტანდნენ.

ჩემს ატირებას რა უნდოდა!  
 როცა ტოლები გულს მატკენდნენ,  
 ის, მკაცრი ბაბო  
 ხმაში ტყვიას ჩაისხამდა:  
 „ - მეორედ ასე,  
 თვალცრემლიანი არ დაგინახო,  
 ერთი ჩაგარტყა?!  
 ისეთი ხურდა დაუბრუნე,  
 აღარ მოუნდეს!“

ჩემს ატირებას რა უნდოდა!  
 მეორე ბაბო:  
 „– რა მოხდა, მერე,  
 თამაშია,  
 ხან შენ ატკენ,  
 ხან – შენ გატკენენ.  
 მოწმინდე ანი ცრემლები,  
 გაიზრდებით და ქორწილამდე დაგავინყდებათ“.

ჩემი ბავშვობის ძველი ბუდე – აი, ეს არის!  
 კარედებიან ამ სარკეში,  
 საუკუნეა, არ ჩამიხედავს:  
 ერთის – ანფასი, ერთის – პროფილი,  
 ერთის – ნიკაპი, ერთის – თვალეზი,  
 ხასიათი – ზიარჭურჭელი  
 (ერთმანეთს როგორ ვერ იტანდნენ!).

ჩვენ სიკვდილამდე  
 უფროსებად გადაცმული ბავშვები ვართ:  
 მეც,  
 თქვენც,  
 ყველანი.

როცა არ ვიცი,  
 როგორ მოვიქცე,  
 გარდაცვლილთა ხმებს ვაყურადებ:

„რა მოხდა, მერე...  
 ... მეორედ ასე,  
 თვალცრემლიანი არ დაგინახო!“

სარკეში –  
 – ნინო მოქსუტუნე –  
 – ლოყებს ინმენდს და ელიმება.

## თვალდახელშეხება

გიჭირსო?! –  
 – არა!  
 როცა მოვიწყენ,  
 აი, ჩემი ჩვეული პოზა –  
 – სანერ მაგიდას იდაყვებით ჩამოვეყრდნობი,  
 თვალეზზე ხელეებს ავიფარებ  
 და ეს თითები  
 უპეებზე რაც არ უნდა მჭიდროდ მივიკრა,  
 მაინც შემოდის თითებშეხა  
 რალაც სინათლე


მონითალო-ნარინჯისფერი  
 და თითის წვერებს შუბლზე ოდნავ თუ შევატოკებ,  
 გამოჩნდებიან ამ ცივ ცეცხლში  
 ცოცხლები და ნასულეები,  
 ერთმანეთისკენ რომ ილტვიან ან შორდებიან  
 და  
 ირევიან მოციმციმე ფანტელებში  
 თეთრი ღრუბლების ნაფლეთებში,  
 მერე ქრებიან.

სცადე და ნახე, მაინც რამდენი სხეულია,  
 რამდენი სახე!  
 როგორ ირევა და იღევა ყველაფერი  
 თვალდახელშეშა,  
 ვიდრე დაფარავს  
 აჭრელებული თოვლი-ნაცარი.

და მომავალსაც წარსულივით ნაცარქვეშ სძინავს.

გიჭირსო?! -  
 - არა!

სად - სიმარტოვე, სად - უსასრულო მარტოობა!  
 იმან რაღა ქნას,  
 ვინც ერთია,  
 ერთადერთია,  
 ვინც შესაქმემდეც მარტო იყო,  
 რა არ იღონა,  
 მარტოობას რომ მორეოდა  
 და ხედავს,  
 ხედავს,  
 როგორ ეცვლება და ეცლება  
 ეს სამყარო თვალდახელშეშა  
 და ალსასრულის მერეც ასე მარტო დარჩება.



# ღავით შემოქმედელი

## ბრანელი

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი“,  
რაა ის, სულში ასრე რომ იწვის,  
ქარების ცემით ღონემიხილი  
გაექცე უნდა ტყვეობას მინის.

სანუთისოფლო, ო, ეს წესია  
თუ ჩამოშლილა საყდრის ქვითკირი,  
აედევნები ცივ პროცესიას,  
თითქოს საკუთარ ცხედარს მისტირი.

გულშიც საფლავი რალად დაგჩემდა  
ან ამ ცრემლ-ხილვებს რად არ ეხსნები,  
ზოზიას ლოცვაც ვერ მოგარჩენდა  
სიტყვების ჯვარზე გაკრულს ლექსებით.

ზაფრით მზემ, გულზე განაბზარებმა,  
გამოანათა თოთო ნათელი,  
კაცი ხარ?! ლექსი თუ სახარება,  
თუ ცა და მინის შუა სანთელი...

## რა უფრო მიჯობს

ის მეუბნება, ფოთლებივით დაცვენილ დღეებს  
 ყველა ისარი მომიზნული უბრალოდ აცდა,  
 ბავშვობა – ეკლის საფენებზე წოლა და – მერე  
 სიკვდილზე უფრო მძაფრი არის სიცოცხლის განცდა.

ნახე, ტკივილი ცრემლებივით დაცვივდათ თვალებს,  
 მადლიერების ღიმი დაჰკრავს ბედმორჩილ ფარას,  
 კიდევ რას სცოდავს ეს სამყარო, ვინ იცის, ზვალე,  
 მხესაც იანვრის პროფილი თუ ღრუბელი ფარავს.

რა უფრო მიჯობს, ჩაყვვე შავი დინების მორევს  
 თუ საფეთქელზე აღმოდებულ დამბარის დახლა,  
 ვილაც ფარულად დამჩურჩულებს: – „მემენტო მორი“,  
 მჭირისუფლობს თუ ჩემს ტკივილებს დასცინის ახლა.

ამალამ მაინც დამენახოს სიზმარში დედა,  
 ყურს ვილა უგდებს სასაცილო ბებერ არაკებს,  
 ამ ძველმოდური ლექსის დარად დავობდა ელდა,  
 იმას რა ვუყო, კვილით რომ მალაპარაკებს...



დილა... პალმების ეროტიკა, სხივი წევს ჭერზე,  
 სხეულის ყოველ უჯრედ-ნერვში სინორჩით თბილა,  
 ზაფხულის სიო ეფერება ლამპიონს ყელზე  
 და ზღვის საშოში მზე კვარივით ჩამოღვენილა.

ეს გაზაფხულიც დაითვრება გვალვებით, მგონი,  
 ბინდების გრილოს მე მოგიტან – სიტყვას დაენდე,  
 ფიცმიჯნურების ვერ მოვირგეთ ვერაფრით როლი,  
 იები, ნახე, ცვრების კოცნას როგორ დანებდნენ.

ერთ ზიარ ჭურჭელს ვეზიაროთ, დრო არის სანამ,  
 ვერ იქნებიან ცა და მთვარე ასე უბრები,  
 ვალაგებ ფურცლებს, ვხურავ კარს და ვიფარებ საბანს  
 და ძილწართმეულ სიზმრებიდან გესაუბრები...

●  
 ბავშვობა ხელში შემრჩა ფიფქივით,  
 თქვი ეს და იგრძენ, ნამში გასრულდა  
 დრო – გაცრეცილი ბინდში ნისლივით,  
 დრო – მეომარი შუბი წარსულთან.

სისხლი წვეთ-წვეთად დაგდის მაჯაზე,  
 ღამის ცა ღრენით ხევ-ხევ ყიალობს,  
 დააბი ხსოვნა ყრმობის ბაგაზე  
 და ნუ გაუშვებ სახეტილოდ...

## რა რჩება...

*შაბურა არაბულს*

წარსული – წარმავალ დღის უარმყოფელი,  
 წავიდა, ცარგვალი ბინდებით დაბურა,  
 მე კიდევ ბევრს მათრევს ეს ნუთისოფელი,  
 ამ აშლილ აბურდულ ბილიკზე, შაბურა.  
 სად არის ის წამი, ცასთან სიახლოვე  
 მდელის რომ ასწყვიტე, ის სიღბო სამყურა,  
 ახლა იმ მთის ძირზე ნისლები სახლობენ  
 და შურთხებს აფრთხობენ ჯიხვები, შაბურა.  
 ეჰ! რისი პოეტი ან რისი ლექსები...  
 პატივი ეკრანთან მეფის ცრუ მასხარებს,  
 ხანდახან ხატის წინ ბერივით ვეცემი,  
 მგონია, მცხეთის ჯვარს ზარები აჰყარეს.  
 შირივით გეშარა დაბღურა ცრუ ბედი,  
 დრო არის, ქარები ავობენ გმობილი,  
 მწერალთა სასახლეს ღამეებს უთევდი,  
 ვით დაჭრილ მეომარს მესანგრე ძმობილი,  
 ლოჟაში ჩამომსხდარ გენერალ პოეტებს,  
 ზოგს დაფნა ერგო და ზოგს ოქროს ვარაყი,  
 უჩინო პოეტის ხმა არ სურთ მოედნებს,  
 თუმც ჩრდილშიც ღამაზად ბიბინებს ბალახი.  
 რას იზამ, თუ ჟამიც გედავა მდევარი,  
 არავინ შემნედ და არავინ საშველად,  
 ვინ იყო პირველი ის დამანწყევარი,  
 სიზიფეს ლოდი რომ დაგადო სასჯელად.  
 სიცოცხლე – იმედის ხმააო ლიტონი,  
 ვინა ვართ?! – ამ სოფლის მირაჟი, ღანდი.  
 რა რჩება – ცრემლივით უმანკო სტრიქონი  
 და საფლავს დათოვილ ფოთლების დარდი...

## ქვა

დღემ მზერა უნით გაილამაზა,  
 მზემ ზღვის ზვირთი რომ გაინაპიროს,  
 ჰგავხარ მწველ ხვატში დაბმულ ავაზას,  
 როცა თვალებით მამრზე ნადირობ.

ღაფა, ო, არა, უფრო მწველია,  
 შენი თმების და ტანის აღმური,  
 მზე თითქოს ზეცის სავარცხელია,  
 სხივის თოკებით ჩემ წინ დაბმული.

ახლა მე ვიცი, ვინ არის ევა,  
 ბორგეები... ღამე ვნებაშიხდილი,  
 ეს ზღვის მოქცევა და უკუქცევა,  
 სულში ამოცლილ ნეკნის კვილი...

●  
 შენს საფლავთან ახლა  
 ამის სათქმელად ჩამოგიჯექ...  
 დაგვიბერდა კახამბალი, მამაჩემო,  
 ზეცისკენ არა, მიწისაკენ ჩამოიხარა,  
 ვინ იფიქრებდა, საცაა ცას უნდა მიეზღინოსო,  
 ახლა, პირიქით, თითქოს მიწას  
 უნდა ჩაეკრას, ჩაებლაუჭოს.  
 ტოტებიდან ველარ იყურება,  
 ვერ ყვაფილდება.  
 სულ დაბრმავდა ეს საცოდავი.  
 ეპ...

რა დიდი, ნითელ-ნითელი,  
 ლუა-ლუა ბლები იცოდა –  
 ჩემი ბავშვობის სიტკბო.  
 შემომიჩნდნენ მეზობლები,  
 მოჭერი, ნაყოფს ეგ არ იძლევა,  
 ეზოს აღარ ალამაზებს,  
 რა თავში იხლი,  
 სულ ზედმეტია, აქ სხვა ხილი  
 გაიხარებსო...  
 მე რა ვქნა ახლა,  
 ჩემივ ხელით როგორ მოეჭრა  
 ჩემი ბავშვობა...

.....  
 გიბერდება შვილიც, მამაჩემო!  
 მეშინია!..



## წვეთები მინაზე

- ჩემს ბავშვობასთან ნაგეყვანე,  
 სოფლის ბილიკო,  
 სასაფლაოსკენ როცა გარბიხარ...

- რას მეტყვი, ცაო,  
 უხიფათო შენაც არა ხარ,  
 სამხრეთის ცაზე,  
 წუხელ ძერამ გადაიფრინა...

- დედის საფლავზე  
 ამოსულო ყვავილო,  
 ნიაზე რომ ირხევი,  
 დედის სუნთქვა მგონიხარ...

- დაეცა სხივი  
 აიენის რიკულს,  
 მეზობლის ქალმა გაიხადა  
 ამ დილით თალხი...

- ჩამოისვენა ნიაზე რტოზე  
 თუ ბელურას აკანკალებს  
 ყინვით გათოშილს...

- ატმის ყვავილობა –  
 საკინძმეშესნილი გაზაფხული...  
 მზე ნისლის უბეში.  
 გაჰკიდა ქალმა  
 მთვარის შუქზე  
 ძილის წინ კაბა...



# ავთანდილ კვასხვაძე

## სიკვდილ-სიცოცხლის როკვა

რომანი  
ნაწილი მერო

VI

ანტი ნადირაძე დორბლებს ყრიდა, ტალახაძე შხამსა და გესლს აფრქვევდა, ბერია, როგორც არასდროს, წონასწორობიდან იყო გამოსული და თვალებიდან ცეცხლსა და რისხვის ნაპერწკლებს ყრიდა. ჯერ კიდევ ვერ მოენულებინათ ის, რომ ყაჩაღებმა საქვეყნოდ გაამასხარავეს, აბუჩად აიგდეს, სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ოჯახში, ისიც მანდილოსანთა თანდასწრებით, კაკალი თავზე დაამტკრიეს, მთელი საათი ხელებანულები ამყოფეს, არც შენვეს, არც მოხარშეს, ზრდილობის ანბანი უკითხეს და შემდეგ ისე გაქრნენ და მიიმალნენ, რომ მათ ნაკვალევსაც ვერ მიაგნეს, სირცხვილის ლაფის მოსანმენდად ერთი მათგანიც ვერ იგდეს ხელთ.

ლავერნტი მთელ ჯავრს ანტი ნადირაძეზე და იუდა ტალახაძეზე იყრიდა, დოყლაპიებსა და ლაჩრებს ეძახდა, რომლებიც ყაჩაღი ქალის უბრალო ხსენებაზეც კი ხაფანგში გაბმული მაჩვივით კანკალებდნენ.

სამაზრო ჩეკას უფროსი ნადირაძე და ტალახაძე იტანდნენ დაცინვასაც და რისხვასაც და მთელ ჯა-

ვრს ხელქვეითებზე იყრიდნენ. აბა, რა უნდა ექნათ იმაზე მეტი, რაც უკვე გააკეთეს? ყველა გზა-ბილიკი ჩაკეტეს, გასაძრომ-გასასვლელებიც კი ამოქოლეს, ჯაშუშები მოამრავლეს ყველა სოფელსა და დაბაში, ხალხს თავზარი დასცეს და გაუგონარი ტერორის ქვეშ დააყენეს, აჭარა-გურუის მთებში დამსჯელი პოლკის ჯარისკაცებმა ზოტ-ჩხაკოურამდე მიაღწიეს და ბახმაროს გასასვლელი შეკრეს. ვაკიჯვრიდან სომლიამდე აღწიეს გაუვალ თოვლით მამაცმა ჩეკისტებმა, სამი კაცი კიდევაც გადაიჩხა უფსკრულში და დაიღუპა. მთელი ზღვის სანაპირო მზვერავებს უპყროიათ ხელთ, მალთაყვას საიდუმლო მეთვალყურეები იცავენ. ფიჭორ-რიონის გადასასვლელი მთლიანად ჩვენს ხელთ არის. ტყეებში გადაცმული ჩეკისტები შეუფუზავნეთ შუშის დამამზადებლებად და მონადირეებად; მეტი რა უნდა გაგვეკეთებინა, რა უნდა გველონა? – ჩუმად, ჩურჩულით შესწიოდნენ ერთმანეთს ანტი და იუდა, მხრებს იჩივდნენ, მაგრამ ერთმანეთს მაინც ვერ ენდობოდნენ და ჩეკისტთა უფროსის საყვედურს ვერ ბედავდნენ, რომელსაც ყველა ხელქვეითთან მიჩენილი ჰყავდა თავისი თვალი და ყური, ჯაშუში და საიდუმლო მზვერავი.

გაგრძელება. დასაწყისი „ცისკარი“ №7-8, 9, 10, 11, 2011.

ც.ს.კ.

# უპრაზო ჩაკეტილი რომანი

ბერიკ მთავარ დამანაშვედ ხალხს თვლიდა. ხალხის მხარდაჭერაში ჩვენი მონინააღმდეგეების მთელი ძალაა. რა არ მოვიმოქმედეთ, რა არ გავაკეთეთ, მაგრამ ამ უცნაური ხალხის ნებისყოფის გატება ვერ შევძელით. არადა, სანამდე უნდა გტკეპნით ერთი ადგილი? რაღაც უნდა მოვიგონოთ ისეთი, რომ ხალხი და ყარაღები ერთმანეთს წაკვიდეთ. პირდაპირ უცნაური, უზარმაზო თანხას ვპირდებით თითოეული ყარაღის თავში, მაგრამ რა გამოდის აქედან? თითქოს არც გავგონოთ, თითქოს მილიონერები იყვნენ და არ უჭირდეთ. თუ სადმე გამოჩნდა ფულის დახარბებული გამცემი, გზაში უხედებიან, კლავენ, გზის პირას ხეზე ქრისტესავით აღურსმადვენ და მკვრდზე დიდი ასოებით წერენ: ამის ბედს გაიზარებს ყველა მოვალატე და გამცემი იუდაო. გვაჯობა ამ მშვიდმა და მინის მუშა ხალხმა. ხალხს, რომელსაც თავზე რისხვას ატებს, ტანჯავ, ჯვარს აცმევ, მაგრამ მაინც ხუმრობის გუნებაზეა და ირონია ბოლომდის არ ღალატობს, ვერაფერს მოუხერხებ.

- ვფიქრობ, ჩვენდათავად ყოველგვარი ღონისძიება ვიხმარეთ, მთელ გურიაში ხაფანგები დავაგეთ, შეიძლება ახლა მაინც ხელიდან ვერ გავციდრეს ღლონტის ბანდა. თუ ეს შევძელით, ხალხმა შეიძლება საბოლოოდ ინსავლოს ტყუა, ლევიდით მოგვეყვეს და ხუმრობა-ირონიის განხეობილება დავუკარგოთ.

- ენახოთ! აბა, ენახოთ! - ვილაცას უხმოდ დაემუქრა ნაცადი ჩეკისტბ.

ანტი ნადირაძის დორბლორეულ გაფართებას, იუდა ტალახადის გაცოფებამდე მისულ ბნედიან კრუნჩხვას და ბერიკს თავშეუკავებელ გაგოფებას საზღვარი საბოლოოდ მოერღვა, როცა ფოსტიდან დიდი ამანათი მიიღო. ამანათში გოგია ღლონტის და ხათუნას კარგად ნაცნობი ტანსაცმელი, ორი ხელყუმბარა და ერთი მოკლედ დანწირილი ღია ბარათი იყო. ამანათი ქობულეთიდან იყო გამოგზავნილი და გამოგზავნის მისამართთან ერთად სახელი და გვარიც კარგად გასარჩევი ხელით იყო დანწირილი.

ამანათის გავხილდნენ გოგია მშვიდობაძე და ხათუნა კეთილამე. ეჭვიც ვერ აიღეს, ვინ უნდა ყოფილყვნენ მშვიდობაძე და კეთილამე, მაგრამ, როცა ყუთი გახსნეს, ელდა ეცათ. ტანსაცმელმა ამხილა გამოგზავნთა ვინაობა. სანამ ღია ბარათის ნაიკითხავდნენ, სასწრაფოდ ტელეფონთან სალაპარაკოდ გამოიძახეს ქობულეთის ჩეკას უფროსი, საქმის ვითარება დაეცნეს და გადაამწყვეტი მოქმედებისათვის მითითება მისცეს, მაგრამ როცა წერილი ნაიკითხეს, ყველაფერი ნათელი გახდა: არც ქობულეთის ჩეკას უფროსს და არც რესპუბლიკის მთავარ ჯალათს აღარაფერის გაკეთება აღარ შეეძლოთ.

გოგია ღლონტის დავალებით უცნობი პირი ოსწყებოდა:

"ღაფრეტი, ანტიფო და იუდაე (ბოდიში, იოსებ)! ამ ამანათით ვერ გასაიამოვნებთ, მაგრამ სულგრძელად უნდა გვაპატიოთ. ჩვენზე ნადირბამ ფუჭად ჩავაიართ, უნიჭო და უნათო მონადირენი აღმოჩნდით. ჩვენ ხალხს მოვერდეთ, თორემ შამფურზე წამოუგებელი არც თქვენ დაგვრჩებოდით. შესხენება არ გინდათ, საამისო შესაძლებლობა ჩვენ გვექონდა, როცა თქვენზეა ფაფანგში გაგაბოთ და დასაწყლებულეებმა სიცოცხლე იმათხოვერეთ. ამანათს, მართალია, ქობულეთიდან გიგზავნით, მაგრამ წერილს ხოფიდან გწერთ. ამჟამად ლავ მემედ შეროზიას სტუმრები ვართ. ყარაღობას რომ საბოლოოდ მოვეხსენით, ამის ნიშნად ჩვენს ტანსაცმელს და ხელყუმბარებს გიგზავნით. ჩვენი უკანასკნელი გაფრთხილება ასეთია: ხალხის მტრობას და მშვიდობიან მინის მუშებთან ბრძოლას მოვშვით. გახსოვდეთ, ჩვენ დროებით ავიღეთ ხელი, მაგრამ ერთმანეთის მიმართ დაუძინებელი მტრები მაინც ვრჩებით. ასე აჯობებს თქვენთვის, ჩვენითვის და ქვეყნისათვისაც: დამშვიდდით, ბატონებო, და ხალხიც მოასვენეთ!

ნართმული სამშობლოდან გადმოხვეწილი და სიკვდილის ბრჭყალებიდან თავდაღწეული, მარად ხალხის ერთგული

გოგია ღლონტი და ხათუნა მუხაშავრია".

იმდენად შემზარავი იყო ამანათიც, წერილის შინაარსიც და თვით გოგიასა და ხათუნას უფინელად და მშვიდობიანად საზღვარგარეთ გასვლა, რომ ათი წუთის განმავლობაში ერთმანეთს გამოლენენებულეებივით მიშტერებოდნენ და ხმას არ იღებდნენ. ათი წუთიდან სათქმელა? ბოლოს მყუდროება ისევ რესპუბლიკის ჩეკას უფროსმა დაარღვია.

- ვითომ მართლა გაგვაცურეს? დავიჯვროთ, რომ ხელიდან გავვისხლტნენ? ემპაკის ნდობა განა შეიძლება? იქნებ სწორედ ახლა გვაცურებს ღლონტი და ახალ ხაფანგს გვიგებს? იქნებ არსად წასულა, სადმე აქვეა, ყურისძირში და ჩვენ კი თურქეთისაკენ გვახედვებს? - ჩამოქნა თავისი აზრი ანტი ნადირაძემ და სახეზე შეტყუო, რომ თავისი ნათქვამით კმაყოფილი დარჩა.

- ისე არ გამოგვივიდეს, რომ ფოცხვერის კვალის დევნაში მგლების ხროვა ხელიდან გაგვიქრეს! - გამოთქვა თავისი აზრი ბერიკამ.

- უნდა ვირწმუნოთ, რომ ღლონტი ამ შემთხვევაში, მთელ თავის ცხოვრებაში ერთხელ მაინც მართალს წერს. ის იმითაც კმაყოფილია, რომ ცოცხალი გადაგვირჩა და ტყავი მრთელი გაიტანა საზღვარს იქით, - განაცხადა ტალახაძემ.

- შემოწმებით ყველაფერი უნდა შევამოწმოთ, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, ბრძოლაზე ავიღოთ ხელი და სიფხიზლე მოვადუნოთ. თუ გოგია ღლონტი და მისი ცოლი მარტო გადავიდნენ თურქეთში, მაშინ დანარჩენები, უნდა ვიგულისხმოთ, სადმე აქ

იქნებამ ერთად ან გაფასტულნი და სულ სხვაგვარად მოქმედება გვმართებს, თუ მათაც მოახერხეს გურიიდან გასვლა და მიმალვა, მაშინ მოქმედება სულ სხვა ხასიათს მიიღებს და ამაზედაც გვმართებს დაფიქრება, - დაასკვნა თავის მხრივ ჩეკისტმა და ამით ყველას საბჭომელი მოუჭრა.

- ლავრენტი პავლეს ძე! ეს საქმე მე მომანდეთ და ორ დღეში ყველაფერი გვეცოდინება, - გამარჯვებული რაინდის ღმილით მიმართა ბერიას ნადირაძემ.

მზერეკებმა სარწმუნო წყაროებიდან შეიტყვეს, რომ თურქეთში მხოლოდ გოგია და ხათუნა იმყოფებიან, სხვებს არც კი უცდათ საზღვრის გადალახვა და მათი ადგილ-სამყოფელი გურიშია საძიებელი.

იმ ღამეს ძილი არა და არ მიეკარა ბერიას. საძინებელ ოთახში ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ ფარდებდაშვებული ფანჯრებიდან უკვე გატრეცილი ღამე იზიზრებოდა. აღმოსავლეთით ვარსკვლავები უკვე ზუზუგდნენ თვალს და ვარსკვლავური ძილი-სათვის ემზადებოდნენ. მთებს გადაღმა ცას მტრედისფერი მოსძალებოდა და დღის დედოფლის გზას უხილავი ძალა ია-ვარდებით ჰფენდა.

- თუ თურქეთში ვერ მივწვდები მტერს, აქ დარჩენილები ხომ ჩემს ხელთა არიან, დამაცადონ, ნახონ, როგორ გაფუსქილდები, ჯერ კიდევ არ გაუსწავათ მათ ჩემი შესაძლებლობის ძალა და ღონე! - მარჯვენა მუშტი მოულერა ფერგამკრთალ ღამეს, მარცხნივ გადაბრუნდა, ხელისგული სასთუმლად მოიმარჯვა და სცადა ძილის ალქაჯთან მორიგება.

ყაჩაღების უგზო-უყვლოდ გადაკარგვას სამაზრო ჩეკამ და დამაჯელმა პოლკმა საშინელი რეპრესიებით უპასუხა. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გოგიას ტყის რაზმელები ისევ ძურღიაში იყვნენ საიდუმლოდ მიმალულნი და ხალხი ძველებურად მფარველობდა.

გურითამბოლის, მამალაბის, ქიქოძის, კლანდაძისა და სხვა პარტიზან-ყაჩაღების სოფლები ერთიანად ამოაბრუნეს, ამოაბრეს და ამითოხნეს. ათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი ჩეკას დიდებებში ჩაამწყვდის, სადაც ბევრი შიმშილით და ავადმყოფობით იხოცებოდნენ. ვინც ბუნებრივ სიკვდილს დააღწედა თავს, ჩეკას დაქირავებული ჯალათები უღებდნენ ბოლოს.

საკმარისი იყო, ვინმეზე ეჭვი მიეტანათ, რომ გამოუძიებლად და შეუმონმებლად სასიკვდილო კარცერში უკრავდნენ თავს. ჩეკაში მოხვედრილს განაჩენი წინასწარ ჰქონდა გამოტანილი. ამიტომ იყო, რომ, როდესაც სოფელში ჩეკისტი გამოჩნდებოდა, ხალხი ერთმანეთს აფრთხილებდა: სოფელში სიკვდილის მოციქული დაიარება და ფრთხილად იყავით.

არნახული რისხვა დაატყდა ორაგვის. ვიღაც უცნობმა პირმა ლანჩხუთის ჩეკას უფროსს, ბონდო კვიციანს საიდუმლოდ აცნობა, ყაჩაღები თავს აფარებენ ორაგვის ნისქილებს და მთებში მიტოვებულ სასიმიანდეებს.

ბონდო დანაშაურობაზე ოცენობდა. მისი კომუნა ცოლი, თბილისში ცხოვრებაზე დახარბებული, მოსვენებას არ აძლევდა ქმარს, რაიმე ელონა, გასცლოდა მოსაწყენ რაიონს და ბერიას წყალობა დაემსახურებინა.

საიდუმლო დაბეზლებამ ააფორიაქა კვიციანი. კინი ურიდო იხმო და ყაჩაღების ხელში ჩაგდებას გეგმა შეადგინა. მას უნდოდა, თავებრუდამხვევი კარიერის უკანასკნელ საფეხურზე მარტო აღმოჩენილიყო და კარს მომდგარი დიდება-ბედნიერება სხვებისთვის არ გაენანალებინა. ამიტომ სამაზრო ჩეკას უფროსისათვის არაფერი უცნობებია, ისე შეუდგა საიდუმლო ოპერაციის შესრულებას.

ბონდომ ფეხზე დააყენა ჩეკა და მილიციამ გულადი და თავგულაღებულ „კომსომოლა“ პარტიის ნევრები შეაიარაღა ყოველმხრივ და თითოეულ მათგანს საიდუმლო დავალება მისცა.

ორაგვის შესასვლელ-გამოსასვლელი გზები და ბილიკები მლინიანდ ჩაკეტეს. მთის ყველა სასიმიანდეც და მიტოვებულ კარვებს მეთვალყურები მიუჩინეს. ნისქილებში ღამის გასათევად გადაცემული ჩეკისტები გაგზავნეს საფეხავით. კვიციანის რწმუნებულ-გაუშავებს მთელი ერთი კვირა ფეხი არ მოსცვლიათ სათავაღოვლო ადგილებიდან, მაგრამ იმედ გაუტრუვდათ, რადგანაც არამეტოუ ყაჩაღი, უბრალო გლეხიც ვერ გააბეს მახეში.

ნისქილებში დოლაბები ისევ ბრუნავდა და საფეხავს ფეხავდა. გლეხები შრომობდნენ, ტყეში შემას ამზადებდნენ, პირუტყვებისათვის ჩალა-ბალახი ჩამოჰქონდათ, ჩეველებრივად სადილობდნენ, დიასახლისები დიასახლისობდნენ, გვიდნენ, კვრავდნენ, თხა-ძროხას წველიდნენ, ნისქილებში საფეხავი მიჰქონდათ. მზევრავ-მკველელებმა სხვა რამ, ახალი თუ უჩვეულო, ვერაფერი აღმოაჩინეს.

ასე უხერხულად განზილებამ ბონდო კვიციანი დაალონა. არ მოელოდა ნარუმატებლობას კარგად ჩაფიქრებულ და მომზადებულ საქმეში. ფიქრობდა, რომ ვიღაცამ გათქვა და გამაყვავდა საიდუმლო. მონიხალმდეგეებიც მომზადებული შეხვდნენ ჩენს ოპერაციას და სოფლიდან გაიხივნა დაგვასწრესო. თავს იტყვდა კვიციანი, თუ ვინ უნდა ყოფილიყო საქვის ჩაშლის მთავე, მაგრამ ყველა გზას ჩიხაბედ მიჰყავდა.

მდგომარეობით შეშფოთებულმა ბონდომ თავის კაბინეტში სასწრაფოდ იხმო მოადგილე კინი ურიდია, მილიციის უფროსი მეგრელაძე, კარები ჩარაზა და სახელდახელო თათბირი გამართა.

- როგორ ფიქრობთ! - მიმართა კვიციანმა თანამეგობარს და მილიციის უფროსს, - რატომ უნდა გავგებდეთ მომდინარე ხელიდან ყაჩაღები? იქნებ დამაყენით სწორ გზაზე?

- შესაძლებელია არავითარი ყაჩაღები არ ყოფილა ორაგვეში და ვილცამ განგებ გაგავლიზიანა და აგვაფორიაქა?! - გამოთქვა მოსაზრება მეგრელაძემ.

- არა, რაღაც რომ იყო, აშკარაა. ცეცხლთან საერთოდ არ თამაშობენ და ჩვენ ტყუილ-უბრალოდ არ ჩაგვაყენებდნენ საქმის კურსში; ერთი რამ მისაღებია მხედველობაში: ორაგვე აუღებელი სოფელია. იქ ბევრი რამ ისეთი ხდება, რაც ჩვენთვის უცნობია და რაც ჩვენს წინააღმდეგ შენიღბულადაა მომართული, - დაიწყო მათემატიკის აზრის გადმოლაგება კინი ურიდიამ, მაგრამ აზრის გაგრძელება შეაწყვეტინა ბონდომ და ერთი კითხვა მისცა:

- მოკლედ გვითხარი, კერძოდ, ვისზე გაქვს ეჭვი?

- ნასაკირალში დახვრეტილი კაჟიას და - ელენე კაჟია, ხალვაშის ქვრივი, არ არის სანდო. ისეთი გაქნილი და მოხერხებულია, რომ ჩვენზე უფრო გამოცდილ ჩეკისტებსაც გააცურებს. არც ამას ნინათ დახვრეტილი ალმასხანა ლორიას შვილია უცოდველი ანგელოზი. ის მათემატიკის მასწავლებელია ბათუმის რომელიღაც სკოლაში, მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება უტყუარი ცნობები, რომ მათემატიკის სწავლებასთან ერთად კონტრრევოლუციური აზრებითაც წამლავს მოსწავლეებს. საექჟოა ისიც, რომ ყოველ შაბათს ჩაბოღის სოფელში, სახლშია ჩაკეტილი და ორშაბათს ჩუმად ბრუნდება ქალაქში. ძალზე საექჟო პიროვნებაა ცალხელა მეგაზეთე ლუკაია ურუშაძეც. მისი ჯიხურიდან ბევრი რამ საიდუმლო უნდა გადიოდეს და შემოდიდდეს ქალაქში და, საერთოდ, რაიონში. ჩვენ დავამავეთ, რომ ამდენ ხანს საშუალება მიეცეცით მეგაზეთეს, თავისუფლად გაება თავისი ბნელი ქსელი. დიდი ხანია, აგრეთვე აღრიცხვაზე გვყავს აყვანილი გონია მეჩხეკელე. ის გარეგნულად უწყინარი და გულბრყვილო მოხუცია, მაგრამ მის წისქვილში ბევრი რამ ჩვენი საწინააღმდეგო ხდება.

- მერედო, როგორია შენი გეგმა, როგორ უნდა ვიმოქმედოთ?!

- ოთხი პირი, რომლებიც ნაწილობრივ დავახასიათე, და კიდევ ხუთი გლეხი, რომელთა შესახებაც მათ პირად საქმეებში საკმაო მამხილებელი ცნობებია, უნდა დავაპატიმროთ დღესვე. დღეს შაბათია და ლერი ლორიაც ხელიდან ვეღარ დავკვივრებ, დასახლებული პირების ფიზიკურად მოსპობის შემდეგ სოფელი დამოშინდება, დანყნარდება და ორაგვეში ყაჩაღებსაც მოესპობათ ყოველგვარი დასაყრდენი და მხარდაჭერა.

- შენ რას იტყვი, ამხანაგო მილიციის უფროსო? - მიუბრუნდა კვიციანი მეგრელაძეს.

- რა მეთქმის! თქვენ ყველაფერი უკვე შესწავლილი და დაზუსტებული გქონიათ. ახლა მხოლოდ უნდა ვიმოქმედოთ, სხვა არაფერი მაქვს დასამატებელი.

- ამხანაგო კინი! მტრის სალიკვიდაციო სამუშაოს პირადად შენ ჩაუდგები სათავეში.

- ყველაფერი ისე გაკეთდება, როგორც ამას რევოლუციური კანონიერება მოითხოვს.

●  
ბონდო კვიციანი ტელეფონით ელაპარაკა სამაზრო ჩეკას უფროსს ანტი ნადირაძეს. სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად განსაკუთრებით ყურადღება გაახანებია სოფელ ორაგვეზე და მის ჯოტ-მოურჯულელებელ ხალხზე. დაუსახელა რვა დამატებელი, გააცნო მათი ვინაობა და ბრალდებები. მეცხრე, ელენე კაჟია, რომელიც ავადმყოფი გამოიყვანეს სახლიდან, გზაში გარდაიცვალა. კვიციანმა სთხოვა, მიეღო პატიმრები და შესაბამისი მსვლელობა მიეცა საქმისათვის.

- სამაზრო ჩეკას დილეგები, საპატიმრო და დროებითი დამხმარე ბარაკები გადატვირთულია, დამატებითი პატიმრებს ვერ მივიღებთ! - გაისმა ყურმილში სამაზრო ჩეკას უფროსის ხმა.

- მაშ, როგორ მოვიქცე?

- ამ საქმეებში გამოცდილება არ გაკლიათ! დანაშაულები მხილებულნი გამოგზავნეთ და გზაში ააორთქლეთ, - მოისმა ყურმილში მოგვდილი ხმა.

- გმადლობთ, ჩემო ანტი!

კვიციანმა ყურმილი ადგო, თავი ხელისგულზე დააყრდნო და ფიქრს მიეცა.

- გამოსავალია! - დასაცხა ლანჩუთის ჩეკას უფროსმა.

- სიკვდილში დამნაშავეები თვით პატიმრები იქნებიან, მორჩა და გათავდა!

უდანაშაულო ხალხის დახვრეტაში სამი ჯალათი ჰყავდა გამოყოფილი კინი ურიდიას. ამ დიდ და საპასუხისმგებლო საქმეს ყველას ვერ ანდობდა. ბუღა ჩახვამე, მეგლკაცა ბურჟუკური და ლაერენტა ასანიძე საგანგებოდ მოძებნა და შეარჩია.

არც ერთ ჯალათს მოკეთე და ახლობელი არ ჰყავდა. ამბობდნენ, სამივე უპატრონო ბავშვთა თავშესაფრიდან არიანო გამოყვანილნი, ამიტომ არც სისხლი ეძახის, არც გული და არც მშობლიური სითბო და ამაგიო.

კინი ურიდიას თავი მოსწონდა ერთგული ჯალათებით და, თავადაც ბუნებით ჯალათი, საერთოს ყოველთვის ამ სამეულში პოულობდა.

დასახვრეტად თითხმეტი კაცი მოამზადეს. აქედან რვა ორაგველი, ჩოლო დანარჩენი ექვსი - ქვიანელი, აკეთილი, ჩოჩხათელი და ვკომბლაურიელი გლეხები იყვნენ, ორ შვიდეულად დაყვეს.

პირველ შვიდეულში სამი ორაგველი, მათ შორის გოგია მენისქვილევ შედიოდა, მეორე შვიდეულში – ყველა დანარჩენი, მათ შორის ლერი ლორია და ცალხელა ლუკაია.

პირველი შვიდეული ორშაბათს უნდა გაესტუმრებინათ მამაუფალთან, დანარჩენები – სამშაბათს.

პატიმართა მოსაზრება ასე იყო გახატებული: ორშაბათს და სამშაბათს, დღის ხუთ საათზე, ხელებშეკრულ დასასჯელებს გაიყვანდნენ ლანჩხუთის ჩეკას დილექტიდან, გეზს აიღებდნენ ოზურგეთისაკენ დაფნარ-მალაღჯუშათის გზით და საყვიარასთან მიახლოებისას, სადაც მარჯვნივ რცხილნარი უსიერი ტყეა და მარცხნივ – ზვავით ჩატანილი ფლატე, მალალი ციცაბო კლდე, შვიდივეს სამი კარბინის ჯვრით მოკლავდნენ და კლდეში გადაუხაზებდნენ. დილითვე, რვა საათზე, ჯალათები დაბრუნდებოდნენ ადგილზე და კინი ურიდასავან შეპირებულ ჯილდოს, ქების სიგელსა და დამატებით ულუფებს მიიღებდნენ.

ყველა წერილმანი დაზუსტეს, სამივე ჯალათი გამოიძახეს და გადაწყვეტილების შინაარსი გააცნეს.

როცა ჯალათები თავის საქმეს მორჩებოდნენ, ერთი-ორი საათის შემდეგ მათ გზას მესაფლავე ჩეკისტები მიჰყვებოდნენ ბარებით, წერაქებით და თიხებით; კლდიდან გადაყრილ მკვდრებს გაიტანდნენ, მიწდვრის დასაწყისში, ბექობიძირას სამარგში ჩაყრიდნენ და მსუბუქად მიწას მიყრიდნენ.

ასე მგორდებოდა უამიდან უამამდე, გაზუპირებული ჰქონდათ, რადიოს, სივლი და როგორ ემოქმედათ. ყველამ თავისი საქმე იცოდა, გარდა სიკვდილმისჯილებისა.

ასე მოხდა იმ დღესაც, ორშაბათს.

მესაფლავეები ადგილზე მივიდნენ, სამარე გათხარეს, მკვდრები ჩამოხიდეს და მორებივით ერთმანეთზე დაანყვეს, შვიდეურ დაითვალეს შვიდი დახვრტილი, მაგრამ მეშვიდე არსად იყო. უკანასკნელად რომ დათვალეს და საფლავში უთავოლოდ ჩაყარეს, მაშინ შეაშინეს, რომ სწორედ ერთი აკლდა და ის ერთიც გოგია მენისქვილე იყო.

შენუხდნენ მესაფლავეები, იტაურობა გადაჩრჩიკეს, მაგრამ გოგიას გვამი ვერსად აღმოაჩინეს. მკვდრის დაკარგვის დაფიქრება არ შეიძლებოდა და ურიდას უკან დაბრუნებისთანავე აცნობეს.

შეიძრა ჩეკა და მილიცია, კომკავშირი და პარტია. მთელი სოფელი საგულდაგულოდ გადაქექეს, მეზობელი სოფლებიც არ დაუტოვებიათ შეუმონმეხელი. მთაში სასიმინდეები, მესაქონლეთა კარგები, საფარ-გამოქვავებულებიც დაათვალიერეს, მაგრამ ვერსად ვერაფერი აღმოაჩინეს და, როდესაც ხელმოცარებთ პირზე დროზმორეული ურიდია უკან ბრუნდებოდა, გზის პირად აღმართული ჩამოთლილ კლდეზე ცარციით დიდი ასოებით წარწერა დაუხედა. უცნობი ავტორი იუნყებოდა:

„რატომ იწუხებთ თავს და რატომ თხრით ქვეყანას? დღეიდან ბედუღუღმართი გოგია მენისქვილე ვერაფერს გაეგნებ. დღეს დლით უცნობმა პირებმა მისი გვამი მოიპარეს და ნისქვილის ზემოთ ეზოში კაკლის ხეებს შორის დამარხეს. ახლა მაინც მოისვენებენ! უფალო, შეუნდე გოგია მენისქვილეს, ამინ!“

ამ წარწერამ ურიდია მთლად გამოიყვანა წონასწორობიდან. ჩანდა, საიდუმლო ხელი კიდევ მოქმედებდა. დაპატიმრებამ და დახვრეტამ ხალხს დამბლა მაინც ვერ დასცა.

– მე თქვენ გინგებებთ შენდობას და ამინებს! – შეჰყვირა ხმაბალა კინიმ, ცხენს მათრახი გადაუჭირა და გოგიას ნისქვილისაკენ გაექანა.

ყველაფერი მართლა ისე დაუხვდა, როგორც უცნობი წერდა. ცხენიდან ჩამოხტა ურიდია, ბექობზე აირბინა, ხის ჯვარს სწვდა და შორს მოისროლა. უნდოდა საფლავიც მოეხიზარა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. მთლად სასაცილო გავხდებოდა ხალხში.

განკარგულება გასცა, დინამიტი მოეტანათ, ბრძანება შეუსრულეს უფროსს.

ურიდამ დინამიტი ნისქვილის საძირკველში ჩაადგინა. აფეთქების ხმა არცმარე შეაზანზარა. ექოს გამოძახილი ხევიდან ხეგს და სოფლიდან სოფელს გადაეცა. კაკლის ხეებს შორის დარჩა მოსწორებული საფლავი და ნისქვილის ადგილზე გოგიას ნანისქვილარი.

ჩეკამ ვერაქითარი საშუალებით ვერ შეძლო გოგია მენისქვილის სახელის წაშლა. აღარც გოგია იყო ამქვეყნად და აღარც ნისქვილი, მაგრამ იყო გოგიას ეზო, გოგიას საფლავი, რომელსაც ვიღაც უცნობი უწვლიდა, და იყო გოგია მენისქვილის ნანისქვილარი.

სამშაბათს, განთიადისას, ჯერ კიდევ ფრინველებიც არ იყვნენ გამოღვიძებულნი, მორიგი დასახვრეტი შვიდეული გამოიყვანეს და გაუყენეს პირველის გზას. ჩახეაძე, ბურუკური და ასანიძე კვალში ჩაუდგნენ განწირულებს. ცალხელა ლუკაიას ცალი ხელი ნელზე ჰქონდა მიკრული და ზურგზე ხელებგაკრული ლორიას წინ მიდიოდა. დანარჩენები უკან მიჰყვებოდნენ თავჩალულნი, მოშვებულნი და სიკვდილთან შერიგებულნი.

ჯუწუჯუათი და ენერი აათავეს, გასცდნენ სოფლებს. შეუდგნენ დაფნარის აღმართს. მალე საყვიარას სასაფლაოც გამოჩნდა.

მოემზადნენ ვალოები. რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხიეს და... იგრალა რევოლვერების ერთობლივმა ბათქმამ.

მოჭრილი ტოტებივით მიწას დაენარცხნენ დახოცილები, მაგრამ დახვრეტილები აღმოჩნდნენ არა დასაცხრილავად გამზადებულნი, არამედ თვით ჯალათები.

– გყყოთ სხვისი სისხლის ღვრა და ხვრეტა, ახლა საკუთარიც ნახეთ, როგორია! – გადმოხტა ბურქები-

დან ყაბლახითი თავმჯდომეული უცნობი; დასჭყვილა გამყინავი ხბით და ხელმეპყრელი პატიმრებს მივარდა; კიდევ ორი გადმოეშვა ზემოთ ბუჩქნარიდან, ასევე სახეშებურული, ჩაუქი და მარდი. თვალის დახამამებაში გადაჭრეს თოკები და სასიკვდილოდ განწირულები ერთბაშად გაათავისუფლეს.

- ვინა ხართ, ვითხარით მინც! - ძლივს ჩაკანავლა ცალხელა ლუკაიამ.

- ჩვენი რაც შეგვეძლო გავაკეთეთ; დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული; ხელმოორედ ხელში არ ჩაუყვარდეთ ამ ძალღატაკებს, თორემ თვით ქრისტე დღერთიც ვერ გიმშველით; აბა, ვის, სად და როგორ შეგიძლიათ. ჩვენი ვინაობა კიკაცობაა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! - თქვა ერთ-ერთმა, როგორც ჩანდა, მეთაურმა, იმავე ბუჩქებს თავზე გადაეხლან და ხშირ რცხილნარში გაუჩინარდა.

ერთხანს გაოგნებული გასცქეროდნენ განთავისუფლებული პატიმრები საკუთარ სისხლში მიბანავე ჯალათებს, რომლებმაც უკანასკნელად სიკვდილთან საცეკვაოდ გაუსვეს ფეხები. წითელი მინა და ქვიშარი სისხლში შეზილეს; ხელები მოკრუნჩხეს, გრძლად გაიშოტნენ, გადმობრუნებული თუთრი თვალებით საყვიარას ფლატეს გახედეს, უკანასკნელად ამოიხრიალეს და გათავდნენ.

სიკვდილს თვდალწულმა რამდენიმე პატიმარმა მკვდარი ჯალათები განაჩინა, მუზერ-კარანები მხარსა და წელზე მოირგეს, გამოგვადგებო, - თქვეს და თვალსა და ხელს შუა ტყესა და ბუჩქნარში გაუჩინარდნენ.

მთელ ამ სანახაობას დალონებული გასცქეროდნენ ცალხელა მეგაზეთე და ლერი ლორია და, სანამდე ველაფერი არ მიწყნარდა, ადგილიდან არ დაძრულან. შემდეგ კი ფაცხაფუცხით გაუყვნენ მალაღუჭუმათისაკენ მიმავალ გზას და მარჯვენე გრძლად განოლონ ხევის მალალი ტყის შქერნალსა და იღუნარში გადნენ.

ჩეკამ საყვიარაში დატრიალებული ტრაგედიის კვალს ვერ მიაგნო.

ცოფს ყრიდნენ პირიდან კვიციანი და ურიდია, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მათი წარმოდგენით, ყაბალთა უხილავ ძალებს შვიდი კაცი შეემატა. გამარტივების მაგიერად მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, დაიძაბა და დაიხლართა.

სამი თვის შემდეგ თურქეთის საელჩოში მოქმედმა საიდუმლო მზვერველებმა ხმა მიანდინეს სამაზრო ჩეკას, რომ საყვიარაში გადარჩენილმა ორმა კაცმა - ცალხელამ და მათემატიკის ყოფილმა მასწავლებელმა ანკარაზე გავლით სტამბოლისაკენ გასწიეს. შემდეგში ეს ცნობა კიდევ უფრო დააზუსტა: ლერი ლორია სტამბოლში დარჩა ერთი მდიდარ ქართველთან და მის შვილებს ქართულ

ენასა და მათემატიკას ასწავლისო, ხოლო ცალხელამ პარიზამდის ჩააღწია და ქართველ ემიგრანტებს შეერიაო.

გურია გარეგნულად თითქოს დაშოშმინდა, მაგრამ სინამდვილეში ხალხის უკმაყოფილების ვულკანი ისევ ბორბავდა და დროგამოშვებით ძლიერ ბიძგებსაც იძლეოდა. ამაზე მეტყველებდა ორავგე-საყვიარას შემთხვევა, ლიხაური, ზემოხეთი და ხიდისთავი. მთავარი ყაჩაღ-პარტიზანები მართლაც საღლაც გადაიკარგნენ და უკვალოდ გაუჩინარდნენ.

ბერიას განსაკუთრებით ის აღონებდა, რომ გოგია ლლონტის რაზმის ვერც ერთი ტყის ხიზანი ვერ იგდო ხელთ და დარწმუნებული არ იყო იმაში, რომ ხვალ ან ზეგ არ დაიძვროდა ეს მოუხელთებელი ძალა და დროებითი სიმშვიდე აფულებულ კუპრის მორგედად არ იქცეოდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ყაჩაღი - ზებედე ბარამიძე იქნა მოკლული სურების მთებში, ალპურ საძოვრებზე, ისიც - ლალაბით საკუთარმა ძმისწულმა, თითხმეტი ნლის „კომსომოლამ“ მოკლა ის.

ჩოხატაურის ჩეკამ მოისყიდა უწლოვანი ვალერი ბარამიძე და მიუგზავნა ბიძის მთაში. ზებედე დაენდო ალალ ძმისწულს, მოეფერა, გაუმასპინძლდა და, როცა ცეცხლის დადარში კვერს აკრავდა, ძმისწულმა ზურგიდან ტყვია დაახალა და მოკლა. ბავშვი დამფრთხალი, დაფეთებული და შემინებული გამოიქცა სახლში, მაგრამ გზაში მეჯოგემესაქონლე ვურულ-მეგრელებმა დაიჭირეს, ფეხებით ხეზე დაჰკიდეს და წარწერა გულზე გააკრეს: „მოსყიდულს, მოლაღატეს, ჩეკას მიერ გახრწნილს, მიპარვით მკვლელს მსგავსი სასჯელი არ ასცდება“. დიდხანს ეკიდა ხეზე მკვლელის ჩამოდინილი სხეული, სანამ ყვავ-ყორნებმა ბოლო არ მოუღეს და ჩონჩხი მინაზე არ ჩამოვარდა.

ზებედე ბარამიძე მესაქონლეებმა პატივით დაკრძალეს და იმ გორაკს, სადაც მკვლელობა მოხდა, ხალხი ახლაც „ლაღალტის გორას“ ეძახის.

ეს იყო და ეს. სხვა ყაჩაღთაგანი სათოფედაც არ გაჰკარებია ანტი-ოუდას. სამინელი ტერორი თუმცა ისევ მძიმვარებად, მაგრამ თანდათან ძალს კარგავდა და ქვეყანა მშვიდობიან კალაპოტში დადებოდა.

ბერიამ შეუცვლელად გადაწყვიტა: შაბაოს, ჩვიდმეტ ნოემბერს საბოლოოდ დაეტოვებინა გურია და მიტოვებული საქმეებისათვის მიეხედა თბილისში. კარგ და დასამშვიდებელ ამბებს მოადგილე არ იტყობინებოდა დიდაქალაქად. ახალგაზრდები კიდევ ხედებოდნენ ერთმანეთს შეკრებებზე. განსაკუთრებით შფოთავდა და ღელავდა სფუდენტობა. მთებში ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმები მუსრს ავლებდნენ

საგანგებოდ გაგზავნილ დივიზიას და ჩეკას რჩეულ ასულს. მარცხს მარცხზე განიცდიდნენ შეტევებზე გადასული ჯარის ნაწილები და ჩოლოყაყილი ლამის ეროვნულ გმირად და მხსნელად გამოცხადებინა ხალხს; ყოველივე ამას მიხედვით სჭირდებოდა და სხვაც ბევრი რამ იყო მოსაგვარებელი.

მას კი, საქართველოს ჩეკას უფროსს, ძალზე შეაგვიანდა გურიამში, ხალხის წინააღმდეგობას კი ბოლო არ უჩანდა. მეტი დაყოვნება უკვე აღარ შეიძლებოდა.

ორვაგონიანი საგანგებო მატარებელი ნატანების რიში იდგა და ელოდა გურიის უმაღლეს სტუმარს.

ხუთშაბათს დილით, 15 ნოემბერს, ღრეჯით შევიდა ბახჩო ქობულაძე ბერიას სანოლ ოთახში და ხუმრობით შეაპარა:

ლავერნტი პავლეს ძეგ, ისე როგორ ნავიდეო გურიიდან, რომ გურულ გოგონებს გემო არ გაუვინჯოთ?

– ვინ გვაცალა საამისოდ, ჩემო ბატონო, თორემ კარგი დაგემართოს, კარგი ეს იქნებოდა!

– ახლა ვინღა გვიშლის ხელს?

– ამ ახირებულ ქვეყანაში ყოველგვარი ფათერაკია მოსალოდნელი!

– ფათერაკი და ლავერნტი პავლოვიჩი?! რაღაც არ მესმის!

– კარგი, კარგი, თუ რამ საჩვენოდ გამოდგება, იმოქმედე.

– მერე იცი, ლავერნტი პავლეს ძეგ, რა გოგონები არიან?

– ვინ გოგონები, რას ამბობ?

– გემნაზის უკანასკნელი კლასის მოსწავლეები არიან, ასე, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისანი იქნებიან. ნამდვილი სასწაულები არიან, ვერ გაარჩევ, რომელი რომელს სჯობია.

– შენი აღტაცება ძვირად არ დაგვიჯდეს, ჩემო ბახჩო, წინდახედულბამ არ გილაბატოს!

– დარდი ნურაფერისა გაქვს, საქმეს ისე გავჩარხავ...

– მაინც ვინ არიან ეს ქალიშვილები? – ცნობის-მოყვარეობით იკითხა ბერიამ.

– ერთი აქვე მახლობელი სოფლიდანაა, ხავთასის ქალიშვილი, მეორე – არობელიძის ქალიშვილია, არც დედა ჰყავს, არც მამა, არც დიდად ახლობელი გულმემატკივარი. მინდობიან ქალიშვილები ერთმანეთს და არობელიძე, როგორც მეორე შვილი, ერთთავად ხავთასის ოჯახში ცხოვრობს.

– ხომ იცი, ბახჩო, ყველაფერი დღეს ან ხვალ უნდა მოგვარდეს.

– სწორედ ამიტომ გვახელით ამ დილით და ლოგინში ნებიერობა და დასვენების საშუალება წაგართვით, – ღრეჯით და მლოქენულურად მიმართა ბერიას ერთგულმა თანამზრახველმა.

– კარგი, ნულად დაიგვიანებ.

– ორი რომ არის, კარგია. თქვენ და ოსები სახლში ცხოვრობთ; გოგონებსაც თანაბრად გაიყოფთ. რაც შემეხება მე, ხომ იცით, ნასუფრალითაც იოლად გადავიყარ, – ერთხელ კარგად ჩაითხოხითა გესლიანად და ორაზროვნად ბახჩო ქობულაძე, კარები ნელა მიიხურა და ფეხკარეფით აივანზე გაიარა, კიბეზე ჩაირბინა და მწვანე მოლით მოფენილი ეზო გადაჭრა.

მეორე გაკვეთილი დაწყებული იყო, როდესაც სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული ორი ჩეკისტი ეახლა ქალთა გიმნაზიის დირექტორს და წარუდგინა ანტი ნადირაძის ხელმოწერით ორდერი მერვე კლასის მოსწავლეების – მარინე არობელიძისა და ელვისა ხავთასის დაპატიმრების შესახებ.

– ეს როგორ?! – გაიკვირვა დირექტორმა, – ჩემი მოსწავლეები და პოლიტიკური დამნაშავეები? წარმოუდგენელია! მერე და, ხავთასი და არობელიძე? ეს მეტისმეტია! დაუჯერებელია!

– ამხანაგო დირექტორო! ჩვენს საქმეებში ნუ ჩაერევთ. შეუმომწებლად და გაუკითხავად არავის ვაპატიმრებთ.

– მაინც რა მოხდა, რაღაც გაუგებრობა იქნება!

– მხრებს იჩქნა დირექტორი და დაბნეული თავისთვის ბუტბუტებდა.

– ზედმეტი ლაპარაკის დრო არ არის, ახლა გამოიყვანო ორთავეს გაკვეთილიდან. პოლიტიკურ მოვლენებში იქ უფრო ერკვევიან, დროს ნუ კარგავთ.

დაბნეული დირექტორი ხან მაგიდის უჯრას ალებდა, ხან კარადის კარებს. ფანჯარასთანაც მივიდა, პალტო და ქუდი ერთი საკიდიდან მეორეზე გადაიტანა და, ბოლოს, როგორც იქნა, გააღო კარები, გარეთ გავიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ წიგნებით ხელში, დამფრთხალი და შემინებული ქალიშვილები შემოიყვანა.

– ამ კაცს მიჰყევით უკან, უხმაუროდ და თავდახრილი. არავის არაფერი ანიშნოთ, არავინ არაფერი შეგამჩნიოთ. წიგნები და რეგულები აქ დატოვეთ. როცა საჭირო იქნება, ჩვენ თვითონ მოვიკითხავთ! – მიმართა ქალიშვილებს, როგორც ეტყობოდა, უფროსმა ჩეკისტმა.

გოგონებს ხმა არ ამოუღიათ, აკანკალებულები და ფერნასულები გაჰყვნენ უცნობ მოქალაქეს.

– არავითარი განგაში, არავითარი ხმაური! იცოდეთ, საკუთარი ტყავით აგებთ პასუხს! დაპკითხვენ გოგონებს და, თუ ბრალდებები არ დადასტურდა, საღამოს ან ხვალ დილით გაათავისუფლებენ. კარგად ბრძანდებოდეთ! – გაფრთხილა სკოლის დირექტორი უცნობმა ჩეკისტმა. სწრაფი ნაბიჯით გადაჭრა გიმნაზიის ეზო, გავიდა ქუჩაში და კვალში ჩაუდგა წინ მიმავალ თეთრბაფთიან გოგონებს.



## შპს-ში ჩაბმული რომანი

საზოგადოების გზა-კვალის ასაბნევედ ერთდროულად ვაუთა გიმნაზიის სამი ვაჟი და ქალაქში კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა დააპატიმრეს. მოსახლეობაში სწრაფად გავრცელდა ხმა: მოსწავლეები მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გადასცეს გამოძიებას და მისაბლენდო კიდევ უფრო მკაცრი რეპრესიები.

იმავე დღეს, დაახლოებით თერთმეტ საათზე, როდესაც ზურგზე ჩალამოკიდებულმა კონსტანტინე ხავთასმა ჭიშკარში ხარბი შემორეკა, ოდა-სახლის წინ გადააჭრელ ხეზე ჩამომჯდარი უცხო სტუმარი დანახა. არ მოეწონა ასე მასპინძელით თავისუფლად ეზოში შემოსული უცხო კაცის დანახვა, გულმა რაღაც ცუდი უგრძნო, მაგრამ არ შეიმჩნია, ტერორმოკიდებულ პირდაპირ მივიდა უცნობთან და გურუღებისათვის დამახასიათებელი სიტოთი მიესალმა.

- ჩალა და ხარები დააბინავე, შემდეგ გამოხედე, საქმეზე ვარ მოსული!

- ბატონო ბრძანდებით! - მოკლედ მოჭრა კონსტანტინემ, საქმეს მიხედა და დაუგვიანებლად სტუმართან გამოცხადდა.

- უპაცრავად, ვერ გიცანით, ბატონო?

- სამაზრო ჩეკაში ვინაბრებენ, უნდა დაგკითხონ. - ჩეკისტმა შეატყო, რომ კონსტანტინეს ფერი ეცვალა, ტუჩი აუკანკალდა, ხმა ჩაუწყდა და რომ დაემშვიდებინა, განაგრძო, - საშობი არაფერი, ადრე გაგათავისუფლებენ, აბა, ნაივადეთ! - და ნამოვდა დაუპატივებელი სტუმარი.

ხავთასი არც არავის დაუკითხავს, არც არავის არაფერი გამოუძიებია. იმავე ღამით, ასე დაახლოებით სამ საათზე, სხვა რამდენიმე ხელათნ ერთად ექაიდა გადაღმა ვეცინოვარ სერზე ხელებმეკრული აყვანეს და უხმაუროდ დახვრიტეს.

ისე გაისტუმრეს საიქიოს კონსტანტინე ხავთასი, რომ ელვისას დაპატიმრების ამბავი არ გაუგია, არც სიგიჟის ზღვარზე მისულ ქალიშვილს მოსვლია აზრად, რომ საბრალი, მისნამდე დამცირებულ მამას ვერასოდეს იხილავდა.

ელვისა და მარინე ქალთა განყოფილების ერთ ნესტანს დილეგში ერთად მოათავსეს. განყოფილების ჩეკისტები ქალი ვართანულ მნაცაკანოვა ხშირად აკითხავდა ქალიშვილებს, წყალსაც აწვდიდა, საქმელსაც, არც უხეზად ეპყრობოდა. არც ისეთი ჯოჯოხეთი ყოფილა ჩეკა, როგორც ამბობენ, - გაუზარეს ერთმანეთს შთაბეჭდილება ქალიშვილებმა, მაგრამ აშშორებული დილეგის ატანა ფაქიზად აღზრდილი გოგონებისათვის არც ისე ადვილი იყო.

არაფერი იცოდა, საიდან ჩამოებტა ვართანულ მნაცაკანოვა ოზურგეთში; ერთხანს შინამოსამსახურედ მუშაობდა ოჯახებში, ორი ბუშის გაქნაც მოასწრო სამი წლის განმავლობაში და უპატრონი ბავშვთა

სახლს საზრუნავი გაუჩინა. ერთხანს სამაზრო კომიტეტში მუშაობდა დამლაგებლად. აქ, როგორც უთვითსომო და დამლაგებელი, პარტიის წევრადც მიიღეს, ადრე დაანინაურეს და სამაზრო ჩეკაში ქალთა განყოფილების ზედამხედველად გადაიყვანეს.

გარეგნულად ვართანულმა ერთი მახინჯი ვინმე იყო, ქანალი, ჩოფურა სახით, ტუჩებგამობორუნებული, მუჭქუჭყისფერი კანით, ელამი, ფეხებკაუჭა, სავსე ტომარასავით უფორმო და ნელოპკე. ბუნებას ყოველმხრივ დაესავა მნაცაკანოვას ქალი; არც ის უყვარდა ვინმეს და მასაც ცა და ქვეყანა ერთიანად სძულდა. პატიმარმა ქალებმა მას კოლხეთის ჭაობის გომბო შეარქვეს და ეს ზედწოდება ზედგამოჭრილი იყო მისთვის. ჭაობის გომბოს სახელე ციხიდან ადრე გამოვიწას და მთელი ქალაქი მას მხოლოდ ამ სახელით იცნობდა. ვართანულმა, აღარც კი იცოდნენ, ვინ იყო.

განსაკუთრებით ღამაზ ქალებს ვერ იტანდა ჭაობის გომბო და, როდესაც ისინი ჩეკას საპატიმროში მოხედებოდნენ, გულს იფერებდა და, თუ ვინმე ოდესმე თავს დააღწევდა ეშმაკის გალიას, გომბოზე ნაკლებად სულიერად და ფიზიკურად დამახინჯებული არ გამოდიოდნენ.

ნამების დიდი გამოგონების ნიჭით იყო დიდილოდებული ჭაობის გომბო და მის „მალალ მეცნიერულ“ მიხედვრობას ბევრი მშვენიერების განსახიერება ნაადრევად დაუჭენია და ამქვეყნიდან გაუსტუმრებია.

ჭაობის გომბოს განსაკუთრებით ახარებდა, როცა გასაფრენად გამზადებულ გასათხოვარ ქალიშვილებს კურდღლებითი გამოიჭერდნენ და ქალწულობას დაატოვებინებდნენ ჩეკას კედლებში. ვართანულმა მნაცაკანოვა განდობილი მყავდათ ყოველგვარ ბინძურ საქმეში. ქალიშვილების ჩეკას დილეგებში მიყვანამდე იცოდა ჭაობის გომბომ, რომ ისთვის მიყვანეს ისინი და რა ბედი ენეოდათ მათ დღეს ან ხვალ. როცა ანტი ნადირამემ გამოიძახა და ფარულად დაანამუსა, ცას ეწია სიხარულით. იცოდა, რომ ბერია და იუდა საკმაოდ დაუფასებდნენ ამავე დადასაწურებდნენ კიდევ. ვართანულმა თავის საქმეს შეუდგა.

სალამოს ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც კოლხეთის ჭაობის გომბო ელვისასთან და მარინესთან შევიდა დილეგში. აღერსინანდ მოიკითხა, მიეფერა კიდევ, ერთგვარი თანაგრძობა გამოთქვა ასეთი სათნო და ღამაზი მწყურჩიტების დაპატიმრების გამო.

შემდეგ თანდათანობით შეპარა, რომ ამ ღამით აპირებდნენ საქმის გამოძიების დაწყებას. მაზრის უმალესი სტუმარი და პოლიტი უფროსი ტალახაძეაო დაინტერესებული თვეკინი საქმით. - ეს თუ

მართლა ასე მოხდა, კარგი ნიშნით, დასძინა გომბომ. სიმართლეს არ დაგიკარგავენ, ალერსს არ მოგაკლებენ და შეიძლება ამაღამვე ან ხვალ დილით კიდევაც გაგიშვან სახლში.

- დედა, დაგვეხმარე რამე! - ერთდროულად თხოვნი მიმართეს ქალიშვილებმა.

- რაც შემიძლია, ცდას არ დაგაკლებთ. თუ ბერიამ ინება თქვენი საქმისთვის ხელის მოკიდება, მაშინ თავი ბედნიერად ჩათვალეთ. ასეთ ანგელოზებს, აბა, რა დანაშაული უნდა ჩაგედინათ?! მაგრამ გახსოვდეთ, არ კი გაჯიუტდეთ. ყველაფერში ენდეთ და დაუჯერეთ. ის ისეთი კაცია, აუცილებლად წყალობით გადმოგხედვით.

- რას ამბობ, დედა, რას? აბა, როგორ არ დაუჯერებთ.

- გახსოვდეთ, თქვენზედაც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული... - ორპირიდან ჩაილაპარაკა ჭაობის გომბომი.

ამ საუბარში იყვნენ ჩართულნი, როდესაც ვიღაცამ დილეგის კარს მოაკაკუნა. შენუხდნენ და შემოფოთდნენ ქალიშვილები, კაბები და თმები გაისწორეს, მკერდი აბურცეს და კედელს მიეკრნენ.

კარები ვართანუშაბ გაულო უცნობს. დილეგში უბოდნოდ შემოიშარათ ბაზრო ქობულოვი. გოგონები აწყლიანებული თვალებით შეათვალდნენ და მნაცაკანოვას მიუბრუნდა.

- პატივრები მოამზადე. დაკითხვაზე პირადად შენ წაიყვან. ბერიამ და ტლახხაძემ ისურვეს ქალიშვილების დანაშაულში გარკვევა!

- საცვლები და ტანსაცმელი გამოუცვალე. აბა-ნავე კიდევ.

- მესმის! ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა.

ჭაობის გომბომს თვალები უცინოდა, სახიდან კი მკაცრ გამომეტყველებას არ იცილებდა. იცოდა, რას ნიშნავდა ქალიშვილების დასაკითხვად მომზადება, საცვლებს გამოცვლა, ბანაობა და საამოსუნამოების პაკურება.

ქობულოვი შემობრუნდა და მწყერებით გატრუნულ გოგონებს შეაქალო თვალი. გულში გაიფიქრა: ნამდვილად ღირს დავიდარაბად.

- გოგონებო! - ყოველგვარი წინასიტყვიანობის გარეშე მიმართა ბაზრო ქობულოვმა მარინესა და ელვისას, - იცოდეთ, თქვენი ბედი თქვენს ხელთაა. უფროსები არ გააღიზიანოთ და არ შეანუხოთ. დაუჯერეთ და დადემორჩილეთ. თუ ჭკუით იქნებით, თავისუფლება-საც მიიღებთ და შეიძლება უბედნიერესი ქალებიც გახდეთ ქვეყანაზე. მათ მოთხოვნას წინააღმდეგობა არ გაუწიოთ, თუ არ გინდათ, თავი წააცოთ. არც ისე ბავშვები ხართ, რომ ყველაფერი კარგად არ გაითვალისწინოთ. ალბათ ჩემი დარიგების გარეშე ხედვებით ყველაფერს, რას ნიშნავს თქვენი დაკითხვა და რო-

გორ უნდა დაიჭიროთ თავი ისეთი გამორჩენილი და საპატრო ადამიანის წინაშე, როგორც კი საქართველოს ჩეკას უფროსი ბერია და საგანგებო პოლიკის უფროსი ტლახხაძეა. შენ, - თითოთი ანიშნა ელვისას, - ბერია დაგკითხავს, შენ კი, - მარინესაკენ გაიშვრა თითი, - ტლახხაძე, ერთხელ კიდევ ვაფრთხილებთ: უსმოდ და უსიტყვედ დაპყვეთი უფროსების ნებას. თუ გაჭირვეულდით, გახსოვდეთ: შემდეგ ვერაფერს გიშველით. ამის მეტი სათქმელი არაფერი მაქვს. დანარჩენი ვართანუშაბ იცის!

ქობულოვმა გოგონების ჩეკისტური სობრანით შეგონების შემდეგ დატოვა დილეგი და გარეთ გამოვიდა. ერთმანეთის პირისპირ დარჩნენ შემკრთალ-შემინებული გოგონები და კოლხეთის ჭაობის გომბომი.

ელვისა და მარინე ისე იყვნენ დაბნეულნი და გამოთიშულნი, რომ ქობულოვსაც ბურუსში ხედავდნენ და ჭაობის გომბომსაც. არაფერი გაუგონიათ. ესმოდათ მხოლოდ უცხო მამაკაცის გაბმული უშიშარობა ბევრები. არც ცალკეული სიტყვები, არც წინადადებები ქალიშვილების შეგნებაშიდის ვერ აღწევდნენ, ნისლსა და ბურუსში ქრებოდნენ. მხოლოდ ერთი დაამახსოვრდათ: ვიღაც უფროსებს უნდა დაეკითხათ. ის კი არ გაუგონიათ, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეს უცხო ადამიანები, ხოლო აბა უნდა გამოუკითხათ და გამოეძიებინათ, ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ისიც გაუგებარი დარჩა ქალიშვილებისათვის, თუ ვინ იყო ეს უცხო მამაკაცი, რომელიც იმდენ ხანს გაუფიქრებარ ენაზე ქაქანებდა, ან რა უნდოდა და რას მოითხოვდა მათგან.

ბურანიდან და გარეგნებიდან ჭაობის გომბომი გამოიყვანა.

- აბანომი უნდა წავიდეთ, გოგონებო!

- ახად უნდა წავიდეთ?

- ციხის აბანომი.

- რა გეინდა იქ! ჩვენ უდანაშაულონი ვართ, დაგკითხავენ და სახლში გაგვიშვებენ.

- ეს არავინ იცის, თუ როდის გაგიშვებენ სახლში და საერთოდ დაგვიშვებენ თუ არა. აბა, ზედმეტ ყბედობას თავი დაანებეთ. აქ პატივრები ხართ, თქვენს ნება-სურვილს არავინ ანგარიშს არ უწევს.

რა უნდა ექნათ გოგონებს? არჩევანს ვინ ჰკითხავდა? დაპყვენ ჭაობის გომბომის ნებას და აბანომი წაყვენ. ახალი საცვლები და ტანსაცმელი მიართვეს. ძვირფასი ნელსაცხებლით ტანი დაუხოილეს. სუნამოები აპკურეს, მორთეს-მოკაზმეს, ისევ დილეგში დააბრუნეს და მსუბუქად ავახშმეს.

- როდის უნდა დაგკითხოთ? - გულუბრყვილოდ იკითხა მარინემ.

- ნუ ჩქარობთ, ყველაფერი თავის დროზე იქნება.

ამ დროს ვიღაცამ დილეგის კარზე დააკაკუნა და ვართანუშაბ მნაცაკანოვა გაიხმო. ერთი წუთიც არ გასულა, ისევ უკან შემობრუნდა ჭაობის გომბომი.

## შპრაში ჩაპეტილი რომანი

- აბა, მომეყვით! დაკითხვაზე გველიანი - მკაცრად მიმართა ვართანუშამ გოგონებს. ფეხაკრეფით დატოვებს დილეგი და გაურკვეველი მიმართულებით გაემართნენ. მოედნის აღმართი აიარეს, გზაში არავის შეხვედრიან. გზის განაპირა ჩრდილოეთში ვილაკები დადიოდნენ. ჩუმად, აჩრდილებითი დაბალივებიდნენ.

მარჯვნივ აუხეიეს. გამოჩნდა გაჩირალდებული ეზო და სახლი. ნაბრძანები ჰქონდათ და სტუმრებს მოელოდნენ. საგუშაგო ჯიხურთან ქალებს ქობულუოი და გუშაგთა უფროსი შემოეგებნენ. ბაზროსევი სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, გუშაგი ჩეკისტის ფორმაში გამოეჭიმა, დაკითხვაზე გამოძახებულებს კარი მოკრძალებით გაუღო და შედარული ყუსტით გაატარა.

- ვართანუშ, ქალიშვილებს ჩაბარებ უფროსებს და დაუყოვნებლივ ჯიხურში დაბრუნდები! - შეახსენა ქობულუოვმა. შემდეგ გოგონებს მიუბრუნდა: - არაფერი შეცვალაო, არ გატყრვეულდეთ. ისე იმოქმედეთ, როგორც დაგარიგეთ.

უღვისა და მარინე მიდიოდნენ გრძელი გზის ბილიკით, რომელიც ორივე მხრიდან გვიანი შემოდგომის ყვავილნარით იყო დაფარული.

ფართო კიბე ნელა აიარეს და განიერი აივნის დასაწყისში შედგნენ. ოთახების დახურული კარებიდან ჩამიჩუმოი არ ისმოდა.

- მარცხნივ შენ შეხვალ! - გააფრთხილა ელვისა გომბიომ და კარებზე მიუთითა, - მარჯვნივ შენ, - მიმართა მარინეს. - დაუეკუენებლად არ შეხვიდეო! იქ მამაკაცები დაგხვდებათ. დანარჩენი თქვენ იცით, იმათ ნებას მივყევით! ქჭუა არ წავაგოთ! - უკანასკნელად დადარიგა ქალიშვილები ვართანუშამ, კიბეზე ცუხცუხით დაეშვა და ჯიხურისაკენ გაემართა.

დიდი ხუთოთახიანი და ორმხრივ ფართოაივნიანი სახლი განიერ, ხეებით დაბურულ ეზოში იდგა. ეზოს ორივე მხარეს, გაღავნის გადაღმა, ხეხილის ბაღი და ასევე მაღალი ხეებით შეკრული მაღალი საფანე ეკრა. სახლის უკან მხარეს დიდი მინდორი იყო, რომელიც ძველ მეპატრონეს საბოსტნედ და სიმინდის საყანედ ჰქონდა გამოყენებული. ასე რომ, მთელი კარ-მიდამო მახლობელი საცხოვრებელი სახლებიდან საკმაო მანძილით იყო დაშორებული.

სახლი ისე იყო ჩაფლული კაკლის, ცაცხვის, კვიპაროსის, ნელის, მაგნოლისა და დაფნის ხეებში, რომ, თუ წინა მხრიდან არ შემოხვდავდით, ვერაფერს გაარჩევდით. სახლის მარცხნივ, სახლის კედლის განსვრივ, დაფნის ტყერში ჩაფლული ღია მარანი იყო გამართული. ახლა ქვერები ცარიელი იყო და არც მარანი მარნობდა. მარჯვნივ ოთახის ერთადერთი ფანჯარა ზედ დაჰყურებდა მარანს. ლაფაროში შეყუყული გამომშრალ-გამომხმარი

ცაცხვის სანახელი იდგა და ერთადერთ წვერნამახულ ეკლის ხის ტარზე ორშიმო იყო ჩამოცმული. შესაბრალისად გამოიყურებოდა უპატრონოდ მიგდებული მარანი, მაგრამ ახლანდელი პატრონები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ.

მთავარის მკრთალი სხივები ძლივ აღწევდა ხეების ხშირ ფოთლებში და უხმაუროდ ეღვრებოდა მწვანე მოლსა და გამხმარ ფოთლებს, კაკლისა და ცაცხვის ხეები ცამდე ტოტებანვდილი იდგნენ და სვედიანად გადმოჰყურებდნენ მწვანე სამოსელში კოპნიად გამოწყობილ თანამოძიებებს. მაღლარის ხშირ ტყერში ბუ სვედიანად გაჰკიოდა და ეძებდა სიბნელეში დაკარგულ გულის სწორს. მთელი გარემო ერთიანად მოწყენილი იყო და გაუმხელელ სევდას აღძრავდა ადამიანის გულში.

რაზობ? რისთვის? - ამ კითხვებზე ძნელი იყო პასუხის გაცემა.

გოგონები ნელა, ფეხაკრეფით მიდიოდნენ ჭაობის გომბიოს მიერ მითითებულ კარებთან და ფრთხილად, ძლივს გასაგონად დააკაკუნეს.

კარები ერთდროულად გაიღო და ჭალების მძლავრმა სინათლემ თვალისმოჭრულად გაანათა ერთნაირ კაბებში მორთული, თეთრბავთიანი, ცით მოფრენილი უცხო ფრინველები, რომელთა მოფრენასაც ასე გულისფანცქალით მოელოდნენ სახელმწიფობრივ დანაშაულებათა უმაღლესი რანგის გამომძიებელნი.

მარჯვნივ კარებში მარინე არობელიძის გამოეგება ჯშში აღნაგობის შეუხვდავი მამაკაცი - იუდა ტალახაძე, რომელსაც არც ღიმილი უხვდებოდა, არც სიცილი და საალერსოდ წარმოთქმული სიტყვაც ბლავდ დანასავით ჭრდა და სერავდა.

ყოვლად უსიმპათიო და სამომარ კაცად ეჩვენა ქალიშვილს იუდა, მაგრამ, კარგად თუ დაუეკვირდებოდი, ეს იუდა - გამცემი ვალათი რალაც შორეულ შუეცნობელ მიმზიდველობას მაინც ინარჩუნებდა.

აღერსიანი სიტყვებით და გაუგებარი პატივისცემით მიიღო ტალახაძემ არობელიძის ასული, ნელზე ხელმოხვეული პირდაპირ ფაფუკ საკებგადაფენილ ტახტთან მიიყვანა და ნელა დასვა. ქალიშვილს უუხერხულა ლოგინზე ჯდომა - ის ხომ დაკითხვაზე იყო მოსული?

სწრაფად წამოდგა მარინე და მაგიდასთან, თავისუფალ სკამზე სანახევროდ, ყოველი შემთხვევისათვის, წამოსაფრენად ჩამოჯდა.

ბერიამაც შესვლისთანავე ხელი მოხვია გამოუცდელ გოგონას და ოთახის კუთხეში მიდგმულ ტახტისაკენ გააქანა, მაგრამ ქალიშვილი მარდად დაუსხლტა ხელიდან და მეორე კუთხეში მიდგმულ განიერ სანერ მაგიდას მიეფარა.

მარინესათვის სრულიად მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ტრაგედია დატრიალდა იუდას ოთახში.

ბედნიერი ნუთებისათვის შემზადებული ტალახამდე ცდუნებამ აიტანა და მარინეს ფოცხვერივით შუუტია. სწრაფი ნახტომი და ქალიშვილი მძლავრ დაკუნთულ მკლავებში მოიქცია. გაბრძოლა გოგონამ, ერთი არადადამიანურად შეკოვლა, მაგრამ ოდნავ მძლავრი მკლავებით ის ჩაიკრა გულში და დაფარა ნაზი ქნინილება, რომ მარინესაგან აღარაფერი ჩანდა, უნდოდა დაეღალა გოგონა, ქანცი გაეცალა, დაემორჩილებინა და შემდეგ თავისი ბინძური საქმე ძალადობის გარეშე შეესრულებინა.

მამაკაცის მკლავებში მოქცეულ ქალს ძალა ელეოდა, მაგრამ არც გული უღონდებოდა და არც ცნობიერებას კარგავდა. ეძებდა დათვის ბუნაგიდან თავის დაღწევის საშუალებას. თითქმის მიწებდა კიდევ, ცეცხლოვან კოცნას უფრო ვნებიანი კოცნით უპასუხა. გამარჯვების ზეიმობდა იუდა. „დაკითხვა-ძიები“ პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა; ქალიშვილი წინააღმდეგობას უკვე აღარ უწევდა. კაცმა კაბა შევიდობიანად გახადა, ქვედა და ზედა საცვალი აკანკალებული ხელით შემოახია და დედემოძილა უმანკო ქალწული ტახტზე მიაგდო.

გონების წამრთმევი იყო უმანკო ქორუა ქალიშვილი, მსგავსი თავებრუდამხვედი სილამაზე და ქალწულბერივი სურნელება არასოდეს უნახავს და უგრძნია იუდას. ქალიშვილი გულაღმა გადაწოლილიყო ტახტზე და თითქმის არ სუნთქავდა. მკერდზე დაკოკრილი ძუძუები კრიოდა და უტოკავდა. ვეღარ გაუძლიო იუდამ ამ სასწაულბერივი სანახაობას. ქაშარი მოიხსნა, კუთხეში მოისროლა, შარვის ლილები ხელის კანკალით ჩათვალა და, ის იყო, უნდა მისტანებოდა ქალიშვილის მოცახცახე ტანს და სამოთხის კარები შეეღო, ქალი მოულოდნელად ვეფხვივით წამოიჭრა ზეზე და გაუთვალისწინებელი ძალით სახეში ჩაანათა. იბრძოდა გააფთრებოთ, ხელებით, ფეხებით, ფრჩხილებით. დათვივით ბუბნიდა ვაჟიანი, მძლავრად უჭერდა მკლავების სალტეს. სხვა რომ არა იყოს რა, რცხვენიოდა კიდევ: სად უნდა გაეხილა თვალები, რომ ეს პატარა, ნაზი და უსუსური არსება ჯაბნინდა.

მამაკაცთან ბრძოლას აგებდა მარინე, სუსტდებოდა, ძალას კარგავდა, ცოტა კიდევ და გონიც ნაწრთმეოდა.

„ყველაფერი თავდება! ვილუბები!“ – გაივლო გულში ქალიშვილმა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და მარჯვენა ხელი ისეთ ადგილზე მოუჭირა ანგარიშმოუცემლად, რომ ოდნავ საშინლად დაიკვნება, მოეშვა, დაიკლანა, დაიკრუნწა და თავად გაიწია, რათა როგორმე ხელიდან გასხლტომოდა გაავებულ გოგონას.

მარინემ იგრძნო თუ არა თავისუფლება, კატასავით წამოხტა ტახტიდან, წყლით საეჭვ გრაფინის მიუტანა და ხმაპაწლა შესძახა: „არ მომეკარო, თორემ თავში ჩაგარტყამ“, მაგრამ, რომ დაინახა,

გავებებული მამაკაცი უკან არ იხევდა და ახალი ძალით დააცხრებოდა უმწეო და განწირულ გოგონას, გრაფინი მთელი გამეტებით ფანჯარას ესრელა. მიწები დაიმხვრა და ხმაური გაიფანტა იოტკსა და ეზოში. ვიდრე ვნებაშლილი მამაკაცი გონს მოეგებოდა, მარინე ძუ ვეფხვის ნახტომით გადაეველო გატეხილ ფანჯარას.

ხელმოცარული და განბილებული მამაკაცი ადგილზე გაშუშდა. საშინელმა, ძვლებამდე გამყინავმა კვილმა შეძრა არეზარე, მაგრამ მისევ მინყდა და სიჩუმე დაეფულა ლილისფრად ჩალურჯებულ სივრცეს.

გაოგნებიდან გამოსული ტალახამდე მიადგა მინაჩამსხერიეულ ფანჯარას, საიდანაც თვალებდათხრილი ღამე იმზირებოდა და ძლივს შესაძრწევი ნელი ნიავი უბერავდა. გადაიხარა, დაკვირვებით მოათვალიერა მიტოვებული მარანი, რომელსაც დაფინისა და ტოტებგამოლილი წყავის ხეები შემოსჯაროდა. კიდევ ერთხელ მოჩხრიკა თვალებით სიჩუმეში ჩაფლული სივრცე და გაიფიქრა: „სად უნდა გაიქცეს შიშველი ქალი, გალავანზე და ეკალხლართზე ვერ გადავა, ჯიხურთან გუშაგები დაუხვდებიან, სადმე ეზოში იქნება მიყუფული“.

განაპირა მარცხენა ოთახიდან შემწარავი ხმაური მოისმოდა. უხერხულად იგრძნო თავი. ისევ ოთახში შებრუნდა. სინათლე ჩააქრო. სავარძელი ბუხართან მისწია. დაღლილ-დაქანცული დაჯდა და რბილ საზურგეს მიესვენა.

უფრო საშინელი ქარიშხალი დატრიალდა ბერიას ოთახში. ვნებაშლილი მუსუსი ძალით მიეტანა უმანკო და გამოუცდელ ელვისას. კაბა და პერანგი მთლიანად შემოახია და ერთიანად გააშიშველა. ელვისას არაფერს მორიდდა, ჯერ სათვალეები ჩაუღუნა, შემდეგ სკამიც სთხოხმო თავში. ბერია არ ჩქარობდა, ცდილობდა დაექანცა, დაესუსტებინა ისედაც სუსტი არსება, ქალურ მოთეთილობამდე მიყვანა და ასე მიწებებოდა მამაკაცის მიმზიდველ ძილას, ანდა ქალიშვილის გონების დაკარგვას, გულის ნასვლას დალოდებოდა და ასეთ მდგომარეობაში დაეკაყოფოლებინა მსუნავი ნადილი.

ქალიშვილი იბრძოდა, არ ნებდებოდა, ფრჩხილებით კანრავდა, პანია მუშტებს მთელი ძალით ურტყამდა ცხვირსა და პირში. ბერიას სისხლით მოეთხუშნა სახე, მაგრამ უკან არ იხევდა, მთელი ტანით დასწოლოდა ოდნავ ბუსუსმოდებულ თეთრვარდისფერ გამიშვლებულ სხეულს, ძუძუები მძლავრ მკლავებში მოემწყვდია და ელოდა სანტარო ნუთებს.

მეტი ვეღარ შეძლო გულშელონებულმა გოგონამ: გონება დაკარგა, ტახტზე გაიშოტა და გულაღმა გაეციქვენა.

ტაკივით გადავიწყდა აშვებულ მხეცს. სისხლი და ოფლი პერანგის კალთით ჩამოიწმინდა. და-

## შპრაში ჩააბტილი რომანი

ბენილი ლოვა საოცრად უზუფოდა, მაგრამ, როცა ტახტზე მისვენებული ქალწულის თავბრუდამხვევ სიმომვლეს დახედა, ვეღარ გაუძლო სისხლის მოძალებას, მამაკაცის დაუოკებელ სურვილს და კარებშესნილი ციხის ასალებად მოეშადა, მაგრამ, დაიხარა თუ არა და ლეთაბერივ ტანსა და ძუძუების კრტვებს ტუჩებით შეეხო, ქალიშვილი აფთარივით ნაოიჭრა ზეხ და ისეთი ძალით მოუჭირა ხელები კისერში, რომ მამაკაცმა თვალეტი გადმოკარკლა და ძლივს მოიშორა დევის ძალამოცემული გოგონა. შემდეგ „ქართული“ დაუარა ელვისამ და უცნაური მანჭვა-გრეხით ჩაბუქნა. გახელებული გოგონა ახლა, პირიქით, დასდევდა მაგდის ირგვლივ ნრნამხდარ მამაკაცს და ბერია თვითონ ცდილობდა, როგორმე ხელიდან დასხლტომოდა. მხოლოდ ორიოდ სიტყვა შერჩენოდა პირში ელვისას და გაუთავებლად იმეორებდა: „სიკვდილი მოდის, ჯალათი მოდის... თავს უშველეთ...“ და... ისევ არეული როკვა დაუსრულებლად. ბუხართან მივარდა, ნაკვერჩხლები ხელით გადმოყარა იატაკზე. ოთახში შემჩირა ხორცის სუნი დადაგა. „მოდი, მშვირებო, დაძებით“ – ხმამალა გაჰკიოდა ელვისა და იატაკზე გადმოყრილ მუგუზლებს შორის განაგრძობდა ცეკვას. გაეცინავდა, უგრნობლად ხარხარებდა. ბოლოს ქვედა საცავიკო შემოიხიზა: „მოდი, რალას უყუბეთ... – ყვიროდა მთელი ხმით. ხან მავადაზე შეხტებოდა, ხან ტახტზე, ძუძუებს იგლეჯდა, თვალებს თეთრად აბრიალებდა. ერთბაშად გაქრა თაბურდამხვევი სილამაზე, მიმზიდველობა, ქალწულებრივი სურნელეა.

დამთრთხალმა და შეშინებულმა ბერიამ ვეღარ მოითმინა, აივანზე გავიდა და ბახჩოს გასძახა. დაძახილზე მოირბინეს ქობულთოვმა და ჭაობის გომბიომ. თავისი ოთახიდან დარცხვენილი და ვაჟაკცობაშეგინებული ტალახაქვი გამოვიდა.

ელვისა ხავთასს ოთახში არავის შემოსვლა არ გაუგია და არც დაუნახავს, ისევ ნაკვერჩხლებზე ცეკვავდა და იგრინებოდა. იატაკს კვალთი ასდიოდა. „დაძებით!.. რას უყურებთ!..“ – გაჰკიოდა ცივი ხმით, თვალებს უცნაურად აბრიალებდა, კედელზე უხილავ აწრდილებს დასდევდა.

ელვისა ხავთასი გარდაქმნილიყო. შემოსულთა თვალნი იდგა ყოფილი სწორუბოვარი სილამაზის ქალიშვილი, ახლა შეშლილი, რომელსაც გონიერების ქვეყანა მიეტოვებინა და სიგვიის მდინარის გაღმა გასულიყო.

- ბახჩო? ვითომ არაფერი ეშველება ამ გოგოს?
- იეთხა ვაბზარული ხმით ბერიამ.
- უნდა მოვიშოროთ თავიდან, ვითომ დაკითხვის დროს შემოგვაკეცა.
- რას ამბობ, ბახჩო! რალაც სხვა მოვიფიქროთ,
- ჩაერთო არამკითხვ ჭაობის გომბიომ.

ელვისა კი იგრინებოდა. თვალებს უაზროდ აბრიალებდა და ჩამქრალ ნაკვერჩხლებზე ცეკვას განაგრძობდა.

- შენ რატომ არაფერს ამბობ, იოსებ! – ახლა იუდას მიმართა ბერიამ.
- მე ჩემი უბედურება მჭირს, თქვენ რა გირჩიით!
- როგორ თუ უბედურება?
- ფანჯარა გააღებურია, მეორე სართულიდან გადავარდა და გაიქცა.
- რას ამბობ! შენც შენი სადარდელი გაგჩენია! ბახჩო, უნდა გადავარჩინოთ ეს საცოდავი გოგო.
- რაკი ასეა! – ცოტა ხნით დაფიქრდა ქობულთოვი, – ექიმ-ფსიქიატრს გამოვუძახებო.
- ამ ქალაქში არის ერთი გიგების ექიმი; თუ მიბრძანებთ, ნავალ და მოვიყვან, – შესთავაზა სამსახური ქალაქის საპატრიო სტუმარს ჭაობის გომბეშომ.
- მაგრამ ყველაფერი უხმაუროდ და ჩუმად უნდა მოხდეს.

ელვისა კი განაგრძობდა ლანდებთან ლაციცს და როკვას. ძუძუებს იგლეჯდა, ფეხებს მალა ისროდა. მკერდებს, სახიდან სისხლი მოუონავდა და თეთრ-ვარდისფერ ტანზე წითელ ზოლებს აჩენდა. ფსიქიატრი ექიმის, ოზურგეთის მაზრაში ცნობილი ადამიანის, ტიტე ლონრტის მოსაყვანად ბახჩო და ვართანუშა ნაიედნენ.

ელვისა თოკით შერკული და ტახტზე მიგდებული დაახვედრეს ექიმს. თეთრი ზენარი გადაეფარებინათ. ავადმყოფი ილაკნებოდა, ნაწონვეას ლამობდა, თვალებს ისევ უაზროდ აბრიალებდა, ბორგავდა, უაზრო ბეერებს ნანყვეტ-ნანყვეტად ისროდა.

ხავთასის ქალიშვილს არ უცნია თავისი ფსიქოლოგიის მასწავლებელი, განთქმული ფსიქიატრი და სათნო ადამიანი. სამაგიეროდ, ტიტე ექიმმა იცნო თავისი საყვარელი მონსალე, სამაზრო ქალაქში სილამაზითა და ნიქით ცნობილი ქალიშვილი. თვალთ დაუბნელდა, არც კი გაუსინჯავს, ისე მიხვდა, თუ რაში იყო საქმე – მიძიმ ტრამვის შედეგად ძნელი, განსაკუთრებული ფსიქიკური აშლილობა – სიგიჟე. ნაწამმზეზე ორი მსხვილი ცრემლი დაეკიდა, მაგრამ ძალა მოიკრიბა და დაუოკებელი მწუხარება გადაყალბა.

- რით გვიშველი, ექიმო! – ახალა ბახჩომ, დაასწრო სხვეებს.

- ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით არავითარი შველა არ შეგვიძლია. ჩვენ მაინც ჩვენი უნდა ვცადოთ, – ისევ ყელში მოებჯინა ცრემლი ექიმს.

- თქვენიან რა გვაქვს დასამალი! დაკითხვის დროს ქალიშვილი გონებრივად და ნერვიულად გადაიტივრთა, რა არ ვიღონეთ, მაგრამ დამშვიდება ვერ შეგძელით, თანდათან ცნობიერება დაკარგა. ტანზე ტანსაცმლის შემოხევა იწყო, ჩვენ სხვა გამოსავალი ვერ მოგახებთ და, ეს არის, თოკით შერკული



დაგახვედრეთ. სხვა თქვენ ციით და თქვენმა მარჯვენამ, — გააცნო საქმის ვითარება ექმის ბერიამ და, რაც კი შეეძლო, იპირფარა და იცრუა.

— როგორ გითხრათ, ერთადერთი გამოსავალია რესპუბლიკის ცენტრალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანა. მე ექვი მეპარება, მაგრამ შეიძლება იქ გამოიწვიოს გამოსავალი. პროფესორი ასათიანი დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტია. შეიძლება მან შეძლოს რაიმე სასწაულის მოხდენა.

— ექიმო! თქვენ უნდა ნაიყვანოთ ავადმყოფი თბილისში. ორი ყოჩალი და გამრჯე თანაშემწე იახლე პროფესორ ასათიანს გადაეცემა ჩემი პირადი თხოვნა, ჩემს დედაქალაქში დაბრუნებამდე თავი არ დაზოგოს, ყველაფერი ილონოს, რომ ავადმყოფს ცნობიერება დაუბრუნდეს. სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს ხავთასის ქალიშვილის განკურნებას: მან იმდენი საიდუმლო იცის, რომ მათი გამჟღავნება განუსაზღვრელ სამსახურს გაუნეწვს რევოლუციური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, დაგეხმარება ხალხის მტრების განადგურებაში, — იცრუა ხელმეორედ უფრო შენიღბულად და ოსტატურად რესპუბლიკის მთავრობის წევრმა და ჩეკას უფროსმა.

— მიგულეთ თქვენს სამსახურში! — ამოღერდა ტიტე ღლონტმა.

— ბაზო, რომელი საათია?

— პირველს თხუთმეტი აკლია, ლავრენტი პავლეს ძე!

— პირველ საათზე ბათუმიდან ბათუმი-ბაქოს ექსპრესი გამოდის. ჩემი სახელით ახლავე გადაეცით ბათუმისა და ქობულეთის სადგურის უფროსებს, საერთაშორისო ვაგონში ორი კუპე გაათავისუფლონ. ნატანების სადგურის უფროსს გადაეცით, რომ ავადმყოფის დაბრუნებამდის მატარებელი იმდენ ხანს გააჩეროს, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლის!

— მესმის, უფროსო!

— ოსებ! სასწრაფოდ ანტი ნადირაძეს და სამაზრო მილიციის უფროსს მიხმე!

— ამ ნუთში, ლავრენტი პავლეს ძე!

ტიტე ღლონტმა ბერიას სთხოვა, ნება დაერთო, საავადმყოფოს გამგისა და მეუღლისათვის დაერეკა. საავადმყოფოს გამგეს საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით სთხოვა ერთი სანიტარი და ერთი ექთან ამაღამე თბილისში ავადმყოფის გასაცდელად. შერჩეული პირები ათ ნუთში უნდა გამოცხადებულიყვნენ მილიციის უფროსთან.

ცოლს დაელაპარაკა, რომ მძიმე ავადმყოფი მიჰყავდათ თბილისში და სამი-ოთხი დღით დედაქალაქში შეეყოვნებოდა.

საავადმყოფოს გამგე და მეუღლე ცალ-ცალკე გააფრთხილა, რომ მისი ქალაქიდან გასვლის შენახებ არავისთან ხმა-კრინტი არ დაეძრათ.

ლამის ორის ნახევარზე ორმა ეტლმა და ორმა ცხენოსანმა ოზურგეთი დატოვა და მთელი სისწრაფით ნატანებისაკენ გაეშურა.

რაც შეეხება მარინე არაბელიძეს, მას ფანჯრიდან გადახტომის შემდეგ შემზარავი ბედი დაუხვდა წინ.

იულა ტალახაძემ ორი გუშაგი ჯარისკაცი იხმო და დაავალა, მთელი ეზო მოეჩხრიკათ, ყველა კუთხე-კუნჭული შემოიწმინნათ და დაკითხვიდან გაქცეული ქალიშვილი მოეძებნათ.

გუშაგები ძებნას შეუდგნენ. ყველა ბუჩქი და ხის ძირი საგულდაგულოდ მოათვალიერეს, შეფთოილი ხეებზედაც აძვრნენ, გალავნის ყველა სატყეო ადგილი გასინჯეს. მავთულხლართიც კარგად შეამოწმეს, მაგრამ ეჭვმისაბანი რამე თერსად ვერ აღმოაჩინეს. სახლის პირველი სართულის ერთი მტკაველი ადგილიც არ დაუტოვებიათ თვალშეუვლებელი. ბოლოს მიტოვებული მარანი მოინახულეს. სიბნელეში არაფერი ჩანდა. თავლია ქვევრებში ჩაიხედეს, საწნახელში ხელი მოაფათურეს, დაფინსა და წყაყის ხეებიც შეამოწმეს და ბოლოს, როდესაც გატეხილ ფანჯარასთან მივიდნენ, რათა გადმოხტომის ადგილი ერთხელ კიდევ დაეთვალიერებინათ, ერთდროულად ჟრუანტელის აღმძვრელი ამოძახილი აღმოხდათ.

ეკლის ხის მახვილ ნეორზე მუცლით ნამოგებულ, თმაგამლილი და თითქმის ორად მოკეცილი ადამიანის სხეული ეკიდა.

ასი უდანაშაულო ადამიანის დახვრეტას ისე არ უმოქმედია ტალახაძეზე, როგორც უმანკო, უდანაშაულო და თავისი ნამუსისათვის მებრძოლი ქალიშვილი სიკვდილმა მოქმედა. მთელი ღამე არ დაუძინია, ჩაბნელებულ ოთახში საავარტელში გულჩათხრობილი იჯდა და ყალიონს ენეოდა.

VII

გური ხალვაშს თავზარი დასცა დედის სიკვდილის ამბის გაგებამ. ჯერ გამზრდელი ბიძის, ვახო კაყიას, დახვრეტის ცნობამ შეძრა ჭაბუკი. მთელი დღე ტირიდა, ქალაქი პატარა საკანდ ერევენობად და თბილისში ავიგოს ვერ პოულადა, რომ ოდნავი სიმშვიდე ეგრძნო; მთელი კვირის განმავლობაში არც უნივერსიტეტს გაჰკარებია და არც არავის შეხვედრია. ელენეს სიკვდილი ისეთ საიდუმლო ვითარებაში მომხდარიყო, რომ არავინ იცოდა, რა მოხდა, მოკლეს თუ თავისი დღით მოკვდა. ვინც მასთან ერთად მიჰყავდათ დაპატიმრებული, თითქმის ყველა დახვრეტილი იყო. ნამდვილი ამბის მიხრობელი არავინ დარჩა. შიღმა ისიც ვერ გაიგო, თუ სად გაუთხრეს საფლავი დედას. მთელი დღეები ლოგინზე იყო დაშხობილი, არც ჭამდა, არც სვამდა, არც არავის იკარებდა. ელოზბარც

### შპრაში ჩაპეტილი რომანი

ვერ ახერხებდა გამოლაპარაკებას. დღისით და ღამით ჩაეკეტლი ჰქონდა დარბაზები და დღის სინათლის დანახვას გაუბრუნდა.

არჩილი და ბიბი ბუთხუზი – თანაკურსელი მეგობარი, ყოველდღიურად მოდიოდნენ სასუბუქოდ, ჭირის, დადრისა და მწუხარების გასაზიარებლად, მაგრამ მხოლოდ ელიზბარს ხვდებოდნენ.

ბოლოს გადაწყვიტა გურიმ, სოფელში წასულიყო და, რადაც უნდა დასჯდომოდა, მოეძებნა დედის საფლავი, გადმოესვენებინა თბილისში და წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე მამის მარჯვენა ფეხის გვერდით დაესაფლავებინა. ეს იმდენად რთული და ძნელად შესაძლებელი საქმე იყო, რომ ამხანაგების დახმარების გარეშე ამას ვერ შეძლებდა. ვერ ელიზბარს მოეთათებინა, შემდეგ არჩილსა და ბიბის დაეხმარა.

შეეცდნენ და გამხდარი ეჩვენათ ბროძელსა და ბუთხუზს გური ხალვაში, მაგრამ ამის შესახებ არც ენა დაუძრავთ და არც რაიმე უგრძნობინებიათ.

გური დაეინებოთ მოითხოვდა თავისი მიზნის შესრულებას, მაგრამ ელიზბარმა, არჩილმა და ბიბიმ საბოლოოდ აზრი შეაცვლევინეს, რადგან ჩვენს მიერ მოკლული თუ დახვერტილი ადამიანის საფლავის ძიება პოლიტიკურ დანაშაულად ჩაეთვლებოდა შვილს და შეიძლება უარესი და გამოსწორებელი შედეგი მოჰყოლოდა.

მეგობრებთან თათბირის შემდეგ ხასიათი შეიცვალა, გული გაიქვევა და გაიმაგრა, გადაწყვიტა, რომ დედის სიკვდილის ხსოვნის აღსანიშნავად კეთილი საქმე ემრავლებინა, სწავლითა და ხალხის სამსახურში ჩადგომით ბოროტება დაემარცხებინა. ძალიან მოწონდა ბიბია ელიზბარის სალი და ცხოვრებისეული აზრი, თუმცა შვილის გულში არ ნაშლიდა დიდ დარღსა და რწმუნებას?! დედის გადიდებული სურათი სასუსმალთან დაკიდა და, როგორც ცოცხალს, ისე უზარებდა თავის აზრს და შეხედულებას ყოველი საკითხის გადაწყვეტის დროს. დალოცვასა და დარიგებასაც იღებდა ცხოვრების ავ-კარგში გამოუცდელი, ამქვეყნად მარტოდ დარჩენილი შვილი.

არც ერთ ლექციას აღარ აცდენდა, გამოცხლდა. სულ ამხანაგებთან უნდოდა ყოფნა, სიკვდილ-სიკიცხლის ფილოსოფიურ პრობლემებზე საუბარს მოუხშირა.

თითქმის ყოველ საღამოს მათე პაპასთან მიდიოდა ამხანაგებთან ერთად, მცირე პურ-მარილიც მიჰქონდა; მამის მარჯვენა ფეხის საფლავს ზედაშეღონით დასავლელდა, დღისა და ვახო ბიბიას შესანდობარს დაღუვდა, გოგია მენისქვილეს მიიკონებდა, ჯოჯოხეთიდან გაქცეულ ცალხელა ლუკიას და ლერი ლორიას გამარჯვებას უსურვებდა, კიდევ ბევრი სხვა რამით იფურცებდა გულს და გვიან ღამით ბრუნდებოდა შინ.

გური ხალვაშის ცხოვრება თანდათან კალაპოტში ჩადგა. ბოლოთა და დარდით გასიებული გულის

დაცხრობის მიზნით იმდენი კითხულობდა, იმდენი მეცადინეობდა, რომ ბეჯითობით ცნობილმა ბიბი ბუთხუზმაც ვერ გაუძლო მეგობართან ერთად მუშაობას და ერთხელ საყვედურთაც უთხრა: კარგი, ნუ მომკალი, კაცო, მეტი აღარ შემიძლია.

კმაყოფილი იყო ბიბია ელიზბარის. არც მასთან და არც ვანო-მეგობრებთან საუბარს აღარ გაუბრუნებდა გური. ოთახი გაივსო მზითა და სინათლით. ნორმალურად საუზმობდა, სადილობდა და ვახშობდა კიდევ. სალი განსჯა და აზრი დაუბრუნებდა. გლოვანაც საზღვარი დაუდო და ყოველდღიურ საქმიანობასაც თავისი ადგილი მიუჩინა. მხოლოდ ეს იყო, რომ თეატრში, კინოში და სხვა გასართობ-საკრებულო ადგილებზე სიარული აღიკვეთა. ელიზბარი რაღაც ავადყოფურის ხედავდა მის მეცადინეობაშიც და მათე პაპასთან მუალამედ ყოფნაშიც. ერთხელ დრო შეურჩია და შეპარვით კიდევ უთხრა:

– ჩემო გური, უცნაური კაცი ხარ! ყველაფერი გადაჭარბებული იცი. საჭიროა დაიბრუნო ზომიერების გრძნობა.

– ეჰ, ბიბია ელიზბარ, ვინ გვაცდის ამქვეყანაზე, რომ ზომიერების გრძნობა გექონდეს და ზომიერად ვიცხოვროთ? ჩვენ ყველანი ტიკინების თეატრის მსახიობები ვევაართ და უზილავთ ძალა გვაძმორავებს.

– ამ ბოლო დროს რაღაც უცნაური ფიქრები მოგებალა, გური, არც მთლად ისეა საქმე, როგორც შენ ფიქრობ!

– მთელი უბედურებაც ამაშია, ბატონო ელიზბარ, რომ მხოლოდ მოჩვენებით და წარმოდგენებით ვცხოვრობთ. ჩვენი საკუთარი არც სული შეგვარჩინეს, არც გული, არც აზრი და არც ხორცი. როცა უნდათ, მაშინ შეგვენავენ და მოგებარმავენ. იმას გვათქმევინებენ, რაც არ გვნაშ. გვაყვირებენ, ტაშს დაგვაკვრევივნენ, მთელი დღე ქუჩებში სიმღერით გვატარებენ, სულს ამოგხდიან, ჩენიოდ გვაქცევენ და ჩაგვჩინებენ, რომ ბედნიერი ადამიანები ვართ, ქვეყნად ყველაზე თავისუფალი, დამოუკიდებელი და ყოველგვარი სიკეთით ყველამდე ავსებულნი, და კიდევ ამბობთ, რომ ამის შემდეგ უცნაური კაცი გავხდი და ზომიერების გრძნობა დავკარგე?!

– ეს ყველაფერი მართალს ჰგავს, მაგრამ ხომ გაგვირჩია: „რა ქვეყანაშიც მიხვდა, ისეთი ქუდიც უნდა დაიხურო“. ჰოდა, ჩვენც უნდა შევეწყითოთ და შევეთვისოთ დროსა და გარემოს.

– ნახევრად ადამიანებისათვის, არ გვენყნოს კი, ბიბია ელიზბარ, ეს ადვილად მოსახერხებელია და სინამდვილეშიც ასე ხდება. რასაც ჩასძებნენ, იმას ამოიყვირებენ და ჰგონიან, საკუთარი აზრით და ჭკუით მოქმედებდნენ; ნამდვილი ადამიანები კი სისულელეს და სიბრყივეს ვერც შეეთვისებან და ვერც შეეგუებან. ამიტომ არის, რომ გულღვარდ-

ლიანები შესვენებზე ქვეყანას, ჭკუა-მიხვედრილობას ცელავენ და თან დაჰყვირიან, ხალხის ბედნიერებას და მომავლისათვის ხალხის გამარჯვებას აუცილებელიაო. ამ საერთო უბედურებას შეენიწინებ მამაც და დედაც, ბიძია ვახო და გოგია მენისქვილე, ცალ-ხელა ლუკაიას სამშობლო მიატოვებინეს და უცხო ქვეყანაში გადახვეწეს. რატომ? რისთვის?

– ყველა თავისებურად ფიქრობს, მაგრამ მე კი მგონია, საშუალო და ზომიერი ადამიანი ყველაფერს ადვილად იტანს და ბედნიერია. მან ჭირიც ზომიერი იცის და ლხინიც.

– როდესაც ყანას პირნიწინდად ცელავენ, მეორედ გასაცელი აღარაფერი რჩება. რასაკერძეულია, სხვა არა არის რა იმაზე სამინელი, როცა ყველა შენისა დაკარგავ და მშობლებ-შინარების ახალგაზრდები დატოვებინებს უფლებასაც ენაგართმევენ. მაგრამ მე ის მანუხებს, რომ ყოველივე ეს დასანყისია უფრო მეტი უბედურებისა და საშინელებისა, რომელიც კარზე მოგადგომია და ერთიანად შთანთქმას გვიპირობს.

– მე მგონია, ყველაფერი ეს გეჩვენება. ამოიგდე გულიდან ახალგაზრდისათვის შეუფერებელი ფიქრები!

– ნეტავი მეჩვენებოდას და არ ვხედავდა!..

– დაკარგულზე ხანგრძლივი გლოვა ბუნებისათვის უცხოა, ახალსა და მომავალზე ვიფიქროთ. ასე აჯობებს, ჩემო გური, დამიჯერე, ჩემს დიდ გამოცდილებას ენდე!..

ასეთ საუბარში იყვენე ელიზბარი და გური ხალვაში, როცა სასადილო ოთახში შემოირბინა ელიზბარის უმცროსმა ქალიშვილმა და გურის ვიღაც შავოსანი ქალის სტუმრობა აცნობა.

გური თავის ოთახში შეუძდა უცხო სტუმარს, ელიზბარი ადგილზე დარჩა. თავი მარჯვენა ხელის გულს დააყრდნო და ფიქრებში ჩაიძირა.

– ბოდიშს გიხდით, რომ ასეთ უდროო დროს შეგანუხებთ, ბატონო! – ოთახში შემოსვლისთანავე დაიწყო ახალგაზრდა შავოსანმა ქალმა. შავი ტან-საცმელი ხანს მატებდა, თორემ, ასე, თვრამეტ-ოცი წლისაზე მეტი არ იქნებოდა. ეტყობა, რაღაც ღრმა განსაცდელი გადაეტანა, მძიმე კაჟმის დალი სახეზე, გამოხედავზე და ლაპარაკშიც ეტყობოდა. შავი, გამჭვირვალე ქსოვილის თავსახვევი თავ-ყელ-კისერსა და ნახევარ სახეს უფარავდა. როცა ლაპარაკობდა, ასე იფიქრებდი, საცაა ტირილს დაინწყებს და მოზღვავებული სევდა და ცრემლთა დენა დაახრჩობსო.

– მობრძანდით, ქალბატონო, დაბრძანდით! – შემოიპატიფა სტუმარი გურიმ და სკამი მაგიდასთან ახლოს დაუდგა.

პირისპირ დაჩრწენ სტუმარ-მასპინძელი. ცოტა ხნით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ამასობაში არჩილი და ბიბიც შემოვიდნენ მოულოდნელად, მაგრამ, რაკი მეგობარი უცხო შავოსან ქალთან დაინახეს, ბოდიში მოუხადეს და აივანზე გავიდნენ.

– ჩანს, ვერ მიცანი, ან კი რაღა საცნობი ვარ ახლა მამისა და ძმის დამეკარგავი. თუ გაგივინობ ნასაკირალში ასეულის დახვერცხა, იქ დამიხვრიტეს ორივე; ახლა სულ მარტო ვარ ქვეყანაზე. აქ გუშინ ჩამოვედი ბოხგაურიდან სამკურნალოდ, რაღაც მახრჩობს, სულისთქმა მიჭირს. თუ გაგონდებათ, ბატონ კონსტანტინე გაიცანათან, თქვენ, დედათქვენი და ბიძათქვენი რომ ბრძანდებოდით. მე, ღმერთმა აცხონოს მისი სული, კონსტანტინეს ახლო მეზობელი ვარ. იქნებ გაიხსენოთ ნაზი, ნაზიკო ინწკირველი.

– ეგ რა თქვი?! რა სჭირს სულის საცხონებელი ბატონ კონსტანტინე ხავთას?! – წამოდგა ზეზე გური ხალვაში და სტუმართან ახლოს მიიჭრა.

– არაფერი გაგიციათ? – წყნარად განაგრძო სტუმარმა, – ამ ერთი კვირის წინ დაიჭირეს და იმავე ღამეს დახვრიტეს თურმე ექადიის სერზე. ახლა ისეთი მდგომარეობაა გურიაში, რომ სიკვდილი აღარავის აკვირებს, ჩემო ბატონო!

– რაღა ეშველება ახლა მის ოჯახს! რა ეშველება უბედურ ელვისას! ამიტომ არის, რომ წერილებზე პასუხს არავინ იძლევა. რა პასუხისა და წერილების თავი ენება ახლა ელვისას. მიფუსწრებ, კი, ნამდვილად მიფუსწრებ, თორმეტს რომ ოცი წელი აკლია, მაშინ გადას ბათუმის მატარებელი. იქნებ რაიმე ნუგეში მოგვგავრო ბედკრულ ელვისას!

– ნუ ჩქარობ, გური ბატონო! სწორედ ამისათვის გეახელით. ვნუხვარ, რომ წინ უფრო მძიმე, სამწუხარო და საშინელი ამბავი გააქვს.

– რას ამბობ!!! ღვთის გულისათვის, ჩქარა მითხარი, თუ რამ უბედურებაა ჩემს თავს!..

– ელვისა აქ არის. ის მამის დახვრიტის ღამესვე წამოიყვანეს ვაჟდამყოფი და ახლა, ამბობენ, პროფესორი ასათიანი მკურნალობსო სულით ავად-მყოფთა საავადმყოფოში. იმასაც ამბობენ, რომ მძიმე მდგომარეობაში არისო, – ძლივს მოახერხა სათქმელის დამთავრება ნაზი ინწკირველმა.

ყველა ჭრილობა ერთად გაეხსნა გური ხალვაშს, ყველა ტკივილი ერთად მოეძალა. დიდი ხანია, მღვრიე მდინარე მიაქანებდა მორევისკენ. პატარა ხელმოსაჭიდი ყლორტი ელვისა იყო და ისიც ხელოდან ეცლებოდა. ასათიანი იყო უკანასკნელი იმედი და, თუ იმედიც უმტყუნებდა, მაშინ მის სიცოცხლესაც ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა. ასე წარმოედგინა ხალვაშს თავისი ბედი და მომავალი.

ტრიორდა, ღრიალებდა ვაჟკაცი. მშველელს უხმობდა. სტუმარმა შავოსანმა ქალმა ვაჟკაცის საცო-



### შპრაში ჩაპმტილი რომანი

დაობას ვერ გაუძლო და ოთახი ფეხაკრეფით დატოვა. სამაგიეროდ, გურის თავზე ადგნენ ელიზბარი, ელიზბარის მეუღლე, არჩილ ბრიძელი და ბიბი ბუთხუზი. ამხნევებდნენ, ანუგეშებდნენ. ჩვენ ყველანი გვერდში ამოვიდგებით, მთელ ქალაქს შევძრავთ და ერთ ავადმყოფს როგორ ვერ გადავარჩენთო.

თუმცა საკმაოდ გვიან იყო, მაგრამ გურის დაწინებით საგიჟეთში წავიდნენ. ციოდა, წვიმდა, თოვლსაც ურევდა ხანდახან. ნესტიანი და გამჭოლი თბილისური ქარი ქროდა, ქუჩა მოსველებულ-მოპრიალებული იყო. რუსთაველის მოედნამდის, რომელსაც ხალხი ჯერ კიდევ "ზემელს" ეძახდა, ტრამვაით მივიდნენ. ვერის დაღმართს დაუყვნენ. ფეხი უსხლტებოდათ, ძლივს იჭერდნენ ერთმანეთს. ვერის ხიდი გადაიარეს და ზუბალაშვილის სახალხო თეატრის სახლთან, ოფიცერთა კლუბის კუთხეში, მარჯვნივ შეუხვიეს.

წინ გური მიდიოდა; მიდიოდა კი არა, მიბრბოდა, არჩილი და ბიბი მთელი სისწრაფით მისდევდნენ. ელიზბარი საკმაოდ ჩამორჩა და თანამგზავრებს ბურუსში ვერ არჩევდა, მტკვრის ჭუჭყიანი სანაპიროსაკენ ჩაუხვიეს და რუხნითილი აგურის ნაშენი ორსართულიანი სახლის ალაყაფის კარებთან შეჩერდნენ. შესასვლელში ელარის ფინიშზე გარკვევით იკითხებოდა: «ცენტრალური ფსიქიატრიული საავადმყოფო». ეზოს კარები ყრუდ იყო ჩაკეტილი და ეზოში გაჭანება არ ისმოდა.

დაბარახუნეს. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. ვილაცამ ზანჭად გადასანია ურდული და ჯაჭვით დაბმული რკინის ცალპირი კარი ღრჭიალით გამოალო.

- ვინა ხართ?!
- ავადმყოფის სანახავად მოვედი!
- რა დროს ავადმყოფის ნახვას? ხვალ მოდით!
- ოზურგეთიდან ვართ ჩამოსული.
- თუკინდ ახალი ზელანდიიდან იყო!
- პროფესორ ასათიანის ნახვა გვინდა.
- მერე და ვინ დაგიშალათ. სახლი აქვს და მისამართი, - ალაყაფის ცალპირი მოიხურა, ჯაჭვი ახმურდა და ურდული მიმედ დაეშვა.

კიდევ რამდენჯერმე დაბარახუნეს კარებზე, მაგრამ წვერისანი მეკარე აღარ გამოჩენილა. ალაყაფის იქით სიჩუმე იწვა. გეგონებოდათ, კედელს მიღმა ღვთის ტაძარი იდგა, და არა მოუსვენარი და ხმაურიანი სიგჟე.

- ყველაფერს თავისი წესი და კანონი აქვს. ხვალ დილით მოვიხივებდა მოსვლა. სხვა გამოსავალი არა გვაქვს. აქ, ქუჩაში ხომ არ გავათვეთ ღამეს?! - დაარღვია სიჩუმე ბიბია ელიზბარმა.
- თქვენ ნადით, მე კი აქ დავრჩები!
- რას ამბობ, გური! დავაჭერენ და გიყვებთან შეგაგებენ. მე შენ გეტყვი და ისეთი ექიმები ჰყავს,

ადვილად გააჩნით გიჟი და ჭკვიანი, - ჩაურთო კვიმატი ენით ბიბი ბუთხუზმა.

და გაჭირვებული გური ძალით წაიყვანეს სახლში.

●  
მეორე დილით ელიზბარი და ბიბი ადრე მივიდნენ ფსიქიატრიული საავადმყოფოს კარებთან. არჩილი სამქალაქო უნდა გამოცხადებულიყო და მთელი ორი საათით დაიგვიანა.

მნახველები ათი საათიდან მიიღეს. გურამ გადაწყვიტა, პროფესორს დალოდებოდა, მისთვის მოესმინა, ავადმყოფის მდგომარეობას გასცნობოდა და შემდეგ ენახა ელვისა.

ასათიანს დაერეკა, რომ ერთი საათით დაიგვიანებდა. სხვა გამოსავალი არ იყო, უნდა დაეცადათ, რადგანაც, როგორც გაიგეს, პირადად ასათიანს ჰქონდა მინდობილი ვილაც უცნობი დიდი თანამდებობის პირისაგან ქალიშვილის მკურნალობა. ამიტომ პროფესორმა სხეებზე მეტი იცოდა და მისგან ყველაფერს დაწერილებით გაიგებდნენ.

ელიზბარმა წინადადება მისცა გურისა და ბიბის, ერთი თვალის გადავლებით დაეთვალიერებინათ საავადმყოფო; არც ერთ მათგანს არ ენახა არც საგიჟეთი და არც ამდენი ერთად თავმოყრილი სულთი ავადმყოფი.

ეზოსა და დერეფნის შემოვლის შემდეგ ელვისა ვერსად აღმოაჩინეს.

ხეივანს დასაწყისში თავისუფალი ძელსკამი მოიხლეთეს და დალილებმა მცირე ხნით ჩაიმხლეს. მოპირდაპირე მხარეს რამდენიმე ავადმყოფი იჯდა და თითოეული მათგანი თავისებურად ურევდა. ერთ მათგანს, პირწმინდად თავგადაპარსულ ახალგაზრდას, ყველასათვის ზურგი შეექცია, მარჯვენა ხელით ჰაერში უცნაურ ფიგურებს ხატავდა, მარცხენათი კი შეუჩერებლად ჭიპის არეს იფხანდა, გაფიქრებულ სახეს უცნაურად მანჭავდა და მონონოტონოდ ერთ სიმღერას მღეროდა:

*„დედას ვახსოვართ შვილები,  
დედა არ გვახსოვს შვილებსა,  
ამიტომ წუთისოფელი  
სულ მუდამ გვაცოდვლილებსა“.*

დროდადრო ნამოხტებოდა ზეზე, დედას და კიდევ ვილაცას უხმობდა, ხან ტუქსავდა, ხან ეფერებოდა, მშრლად და უსიციცხლოდ გადაიხარხარებდა, ისევ თავის ადგილს დაუბრუნებდოდა და ფხანა-სიმღერას თავიდან იწყებდა.

მეორე ვილაცას თავგამოდებით ეკამათებოდა და დაწინებით უმტკიცებდა, რომ ის გიორგი სააკაძესთან ერთად ებრძოდა ავღანელებს, ერაყელებს, თურქებს და ძღვევამოსილი გამარჯვე-

ბით განდიდებული ბრუნდებოდა თეირანში, წინ მიუძღოდა აქლემების ქარავანს, რომელთა საპალნებშიც სასეც იყო მტრის მოკვეთილი თავები. ახლა ის დაღლილია და ისვენებს. სააკაძეც დროებით უფუნებოდ არის, ცოტა დააცადონ და ნახავენ, როგორ დაიხსნის საქართველოს შაჰ-აბასის შემოსევისაგან. ყორჩიხა-ხანს თვითონ პირადად წამოაგებს სამფურხე და თავის მბრძანებელს გაუგზავნის. ნიკოლოზ იმპერატორს რომ მისთვის დაუფრებინა, ავსტრიასა და გერმანიას ორ თვეში დაიპყრობდა და რუსეთის იმპერიის საზღვარს ატლანტის ოკეანის სანაპიროზე გადაწვდა. არც ახლა არის გვიან, მაგრამ არც მეფეს აქვს ჭკუა და არც ბებერეც გენერალს. გიორგი სააკაძე კი უქმად ზის ნოსტეში და მას არაფერს არაფერს ეკითხება.

ერთბაშად მოწყდებოდა, თავს მუხლებს შორის ჩარგავდა, ხელებს შაერში უცნაურად გაფარჩხავდა, შემდეგ წამოხტებოდა და გაუგებარი ბურტყუნით ხეივნის ბოლოსაკენ გასწვდა, სადღაც კუთხეში განმარტოებულ ადგილს მოძებნიდა და მონოლოგს თავიდან იწყებდა.

უეცრად ხეივანს ზევიდან ცეკვა-ცეკვით ჩამოუქროლა თავგადაპარსულმა, გაცრეცილმა, ოდნავ შავგრემანმა, საშუალოზე მაღალმა, თეთრ სუდარაში გახვეულმა ახალგაზრდა ქალმა. თვალები ხან ნაბავდა, ხან ურუანტელის მომგვრელად აბრიალებდა, ხელებს შეუთანხმებლად შლიდა და კეცავდა, ყოველ ძელსკამთან ჩერდებოდა, ყველას რაღაცას გაურკვეველად ეკითხებოდა, არც არავის ესმოდა და არც თავად ყოფნდებოდა მოსასმენად.

უფლიდა ხან ქართულს, ხანაც დაგულურს და გულის შემაღონებლად წყვეტილი სიტყვებით სიმღერასაც აყოლებდა:

*„პაემანზე მომელის,  
ჩემი საქმრო გივია,  
ხან ცეცხლად მომედება,  
ხან ლოდვით ცივია.  
სიყვარულში დამწვარმა,  
წინ ვერ წავდგი ბივია,  
თქვენს ჩემს საქმროს არ იცნობთ? –  
თმაზუჭუჭა ბიჭია.“*

შეშლილი ქაღალდის გურისთანაც შეჩერდა. მხოლოდ ხელებს შლიდა და იგრძობოდა. სიმღერა ჩაათავა თუ არა, ენა გამოუყო, დაიჭყანა, ჩამქრალი მკერდი წინ წამოწია და თვალების ნაბვა-ბრიალით მიმართა.

– შაბათს ქორწილში გეპატივებით, სიკვიდის მიყვებები ცოლად. სიონში თვით ამბროსი კათოლიკოსი დაგენერს ჯვარს. თამარ მეფე და ქეთევანი დედოფალი დაესწრებიან ჩვენს ჯერისწერას. აანთეთ ჟინფილები, აანთეთ ჟინფილები... ჟინფილები... ჟინფილები...

ჩაქინდრა თავი შემოიღმა საპატარძლომ და არეული ნაბიჯით ქვემოთ დაუყვა.

გურამ ვერ გაუძლო ამ მძიმე სანახაობას. „შეიძლება ელვისაც ასეთ ყოფაში იყოს ახლა! რა მანაც დამაინც სიონში ჯვრისწერა ახსენა? ლმერთო, რა დავაშავეთ ასეთი, რატომ დაგვსაჯე ასე! თუ ასეთ მდგომარეობაში ვიზილავე ჩემს ელვისას, არ ჯობია, მანამდე მომელის ბოლო, მორჩეს და გათავდეს ყველაფერი?!“ – ფიქრობდა თავისთვის გური და, თითქოს მეგობრებზეც გაუგეს გულისნადები, თავდაც ნაღვლიან ფიქრს მისცევს თავი.

ამ დროს დაგვიანებული არჩილ ბროძელიც მოვიდა, მეგობრებს შემოუერთდა და მოსვლისთანავე იკითხა.

- რა ქვით, ნახეთ ავადმყოფი?
- არა, პროფესორს ვუცდიით!
- ისიც აქ არის, ერთად შემოვედით კარებში.
- ნავიდეტ, ენახთ, – თქვა ელიზბარმა. ყველანი ძელსკამიდან წამოდგნენ და პროფესორის მისაღები ოთახისკენ გაემართნენ.
- ასათიანმა სასწრაფო და გადაუდებელ საქმეზე სამი კაცი მიიღო, შემდეგ კი გური და მისი მეგობრები შეიპატოუა კაბინეტში.
- რით შემიძლია გემსახუროთ?
- ერთი ავადმყოფის ბედი გვანტერესებს, – დაასწრო ყველას ელიზბარმა.
- როდის მოიყვანეთ?
- ათი დღე იქნება! – აღარ აცალა სხვებს გურამ.
- როგორ ავადმყოფზე ლაპარაკი?
- აი, ოზურგეთიდან რომ ჩამოიყვანეს, ხავთასი.
- გასაგებია! ექიმმა ტიტე ლლონტმა ჩამოიყვანა, მძიმე ავადმყოფია! ძალიან მძიმე!..
- მინც რაშია საქმე?

– რაღაც დიდი ტრავმა მიუღია, ჩეკაში დაკითხვის დროს ველარ გაუძლია ნერვებს და შეშლილა. მძიმე ფორმის სიგიჟეა.

– მკურნალობის შემდეგ რაიმე გაუმჯობესება შეინიშნება?

- სრულიად არაფერი, პირიქით!
- ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდება?
- როგორ გითხრათ.
- ჩქარა აღდგება ჯანმრთელობა?
- თქვენ ვინ ბრძანდებით ავადმყოფი ქალიშვილისა? – კითხვით მიუბრუნდა პროფესორი გურის, როცა შეატყო, რომ ყველაზე მეტ შემფოთებას და დაინტერესებას ის იჩენდა.

– საცოლა ჩემი, დანიშნულია. ღვთის გულისათვის, ყველაფერი მითხარით, არაფერი დამიმალეთ!

– სიგეთის ისეთი ფორმითაა შეპყრობილი ავადმყოფი, რომ ვფიქრობ... სამწუხაროა, მაგრამ ამ აზრს უნდა შეუთრგავდეთ!..

### შპრაში ჩაპეტილი რომანი

- არაფერი ეშველება? - თითქმის ტირილითა და ნერვების უაღრესი დაძაბვით კბილებიდან გაშოსკრა გური ხალვაშმა.

- ავადმყოფობა პროგრესულად ვითარდება, მგრძობილობა მთლიანად გამოთიშული ჰქონდა თავიდან. მეტად აგრესიულად შფოთავდა, არავის იწვობდა და ყველასაკენ დასახრჩობად მიიწვედა, ამიტომ იძულებული ვიყავით, ცალკე ოთახში მოვვეთავებინა და ჯაჭვით დაგვება.

- ყოველგვარი საექიმო საშუალებები გამოყენებულია, პროფესორ? - საერთო საუბარში ჩაერთო არჩილ ბროძელი.

- თითქმის ყველაფერი.

- და მაინც, თქვენი აზრით, არაფერი ეშველება საქმეს? - ისევ თავიდან იკითხა გურამი.

- უნდა შეურიგდეთ მდგომარეობას.

- ნუთუ ვერ მიცნობს, როცა მნახავს და ჩემს ხმას გაიგებინებს?

- მას ყოველგვარი გრძნობადობა და ცნობილობა დაკარგული აქვს. მხოლოდ რეფლექსებს უჭირავს ძირითადი სიცოცხლის ძატი. ჩემს პრაქტიკაში ასეთი ავადმყოფი ერთიც არ გადარჩენილა. სამწუხაროდ, ქალები უფრო ადრე იღუპებიან.

- ცუდი განაჩენი დავგახვედრეთ, პროფესორო! - ხალვებიანად ჩაილაპარაკა თავისთვის ელიზბარმა.

- ჩემი პროფესია ჭირისუფალთან მხოლოდ სიმართლის თქმას მავალებს.

- პროფესორო! თუ შეიძლება, ნება დამართეთ, ავადმყოფი ვნახო.

- არ გირჩევთ. ჯერ ერთი, მინავლებულ-ჩაფერფლილია სიცოცხლე და მერე დეიდობილია ქალიშვილი, ტანზე არაფერს იკარებს.

- არა, უნდა მანახოთ, ბატონო პროფესორო! როგორ შეიძლება, ელვისამ მე არ მიცნოს.

- ეს რომ მოხდეს, სასწაულივ დაცნებთ. გიჟს, რომელსაც ცნობიერება უბრუნდება, გადარჩენილია. მაგრამ ასეთი სასწაულის მომხსნე ჯერ მე არ ვყოფილვარ.

- თქვენი ჭირიმე, პროფესორო! ძალიან გახოვთ...

- რაკი ძალიან გასურთ, კი ბატონო! აი, ახლავე მკურნალ ექიმს გამოვუძახებ და ის ნაგიყვანთ. ისე კი, გახოვთ, დიდხანს ნუ დარჩებით ავადმყოფთან! ზარი დაანკარუნა ასათიანმა. კარებში მდივანი ქალი გამოჩნდა. - მაგდა, ექიმს დამიძახეთ. თქვენ, ბატონოვრ, - მიმართა სტუმრებს, - ექიმის მოსვლამდე მოსადგელში დაგველოდეთ.

გური და მისი მეგობრები ფეხაკრეფით გავიდნენ ასათიანის კაბინეტიდან. მარტოდ დარჩენილი პროფესორი, გაურიზე არანაკლებ შეწუხებულ-შეშფოთებული, თავდარბილი დიდხანს წინ და უკან დადიოდა თავის კაბინეტში. მიღებაზე ყველას უარი უთხრა და თავის თავთან ჩუმად, უხმოვ რაღაცაზე კამათობდა.

საშინელი, სულით ხორცამდე შემძვრელი სურათი გადაიშალა მნახველების წინაშე. მაგდა ექიმმა არც ისე პატარა, მალალჭერიან მოგარძო ოთახთან მიიყვანა ისინი.

მიუხედავად იმისა, რომ ოთახი საკმაოდ დავილ-დასუფთავებული ჩანდა, ერთგვარი შმორისა და სიმყარის სუნი მაინც იგრძნობოდა.

კარების მოპირდაპირე მხარეს, მარცხენა კუთხეში სულით ავადმყოფი რკინის ჯაჭვით იყო კედელზე მიბმული. ელვისა კედელთან იყო მიკრუნჩხული, მთლიანად შიშველი და მნახველებისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. თუმცა თვალები ფართოდ გაეღო, ფოსოებში ღრმად ჩამჯდარ ნაკვერჩხალივით ანთებულ წერტილებს მუსხვეწრად ატრიალებდა, მაგრამ ჩანდა, არავის ხედავდა, მზერა არავისზე არ შეუჩერებია.

გური ხალვაშმა ვერ იცნო ელვისა. ეგონა - სხვა, უცნობ ავადმყოფთან შეიყვანეს. მხოლოდ წარბები ჰქონდა შეუცვლელი. ეს იყო და ეს.

სიცოცხლით სავე ქალიშვილი მთლიანად ჩაფერფლილ-ჩამკვდარიყო. სავეს მკერდი დამრეტოდა, განიერი თიქობის ადგილზე ძვლების კოლობები ამოშპურცოდა. ფერდის ძვლებს სათითაოდ დაითვლიდი, ხელები ჩამომხრჩვალის თოჯინით ეკდა მხრების სიფრიფხანა კანგადაკრულ ძვლებზე. კისერი დაგრძელებოდა და დაწერილებოდა ისე, რომ ხანგრძლივი ხმარებით გაცვეთილ ყალიონის ტარს მოუგავდა. ლანჯის ძვლები წინ წამოსწროდა, ლამაზი და კოხტა ცხვირი გასცრეცოდა და გასთხლებოდა. ჩალურჯებულ-ჩაფერფლილ ტურებს წამოზრდილი და წინ წამოსული ნიკაბი ფრავდა. ან სადღა იყო ოდნავ ბუსუსმიადებული სურნელოვანი და თეთრ-ვარდისფრად მოღვვარე ტანი? ორი გრძელი ნანწავი? ნანწავებიც კი მოეპარა ვილაცას და სიცოცხლეგამარცული ელვისა ხათასი ახლა ჩვარით იყო მიგდებული კუთხეში, უშფოთვლად, მშვიდად, არავითარი სიგვის ნიშანს არ ამჟღავნებდა. არც რცხვენოდა, არც შიოდა, არც სწყუროდა, არც რაიმე სტიკოდა და ელოდა სიცოცხლის დასასრულს.

ელიზბარმა ვერ გაუძლო ამ საშინელი სანახაობის ხილვას. ჯერ თვალებზე აიფარა ხელები, შემდეგ შემობრუნდა, ეზოში გავიდა და კვიპაროსების ხეივანში ძელსკამს მიაშურა. მას არჩილმა და ბიბიმაც მიჰბაძეს. თითოეულ მათგანს საშინელი სევდა აღბეჭდოდა სახეზე, ხმას არ იღებდნენ და ერთმანეთის ზურგმუქცევით ისხდნენ.

არც ერთი არ იცნობდა ელვისას, არც ნახულთ ჰყავდათ და მათთვის ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ ამ რკინის ჯაჭვით დაბმულ ძვლებსა და კანს ოდესმე სილამაზე და მიმზიდველობა ექნებოდა.

გურამ სცადა გამოლაპარაკებოდა ელვისას, თავისი სახელიც შეახსენა, ახლოსაც მივიდა, მაგრამ ამ შეხვედრას სულით ავადმყოფი ქალიშვილი ოდნავაც არ გამოუყვანია მდგომარეობიდან. შემდეგ უფრო ახლოს მივიდა. დაუფეხავა, საალერსო სკივრიდან ქალიშვილისათვის ნაცნობი სიტყვა-მარგალიტებიც ამოალაგა, მაგრამ ამოიღ! ელვისას ამღვრეული თვალებიდან მხოლოდ არეული მზერა გამოკრთოდა. კიდევ უფრო მიუახლოვდა გური. უნდოდა, თავზე გადაესვა ხელი, როგორმე გამჭრალი მესხიერებიდან სიახლოვით უშიშვნელო რამე მაინც აღედგინა, მაგრამ არაფერი გამოიშინა. ეტყობოდა, სიცოცხლე ღვთისმშობლის წინ ანთებული სანთელივით მილუღიყო და გიჟური რეაქციის გამოვლენისათვის ძალა აღარ ჰყოფნიდა.

გურამ ველარ იტანა გულისსწორის ასეთ მდგომარეობაში ხლვა და დედის სიკვდილის გაგების შემდეგ თავი ველარ შეიკავა, მთელი ტინით აცხატა და ატირდა. ატირდა იმ წმინდა და უმანკო ცრემლებით, როგორც სატრფოსთან უკანასკნელი გამოთხოვების დროს შეყვარებულებს სჩვევიათ.

მაგდა ექიმს წრფელი გულით შეშვრალა ახალგაზრდები, ცრემლები ვერც მან შეიკავა, გურის მკლავზე ხელი წაატანა და სიხოვა, ზედმეტად არ გაელიზინებინა ავადმყოფი და გიჟის სამყოფელი დაეტოვებინა.

- მამ, თქვენი დიაგნოზით ყველაფერი გადაწყვეტილია?

- სამწუხაროდ, გადაწყვეტილია.

- არც სასწაული მოაბრუნებს?

- ჩვენს დროში ასეთი სასწაული აღარ ხდება.

საბრალო გოგონას დღეები დათვლილად უნდა ჩათვალოს. ათი დღეა, პირში არაფერი ჩაუღვია; წვეთი წყალი რა არის, ისიც კი არა. გამოიფიტა და გამოუშრა ორგანიზმი, თუმცა ჩემი თქმა რად გინდა, თავადაც კარგად ხედავ.

- ქალბატონო მაგდა, ნება მომეცი, ხელ კიდევ ერთხელ ვცადო ავადმყოფთან გამოლაპარაკება. პროფესორმა ბოძანა, რომ, თუ ოდნავ დაუბრუნდა ცნობიერება, შემდეგ შეიძლება გადარჩენაზე ლაპარაკი.

- კი, ბატონო! არაფერი მაქვს სანინაღმდეგო, მაგრამ მე ვფიქრობ, ზედმეტი წყლის ნაყვა იქნება. საბრალო გოგონას ისეთი ძალის ტრავმა აქვს მიღებული, რომ ცნობიერება-ფსიქიკის მთელი სფერო ერთიანად მოშლილი და დანგრეულია. ჩეკაში დაკითხვის დროს მომხდარა ეს უბედურება. ვინ იცის, როგორ ანამეს. ხშირად ხარივით ჯანდაბოვნილი ვაჟაკებიც ვერ უძლებენ ჯალათების ჯოჯოხეთურ გამოგონებებს და რა გასაკვირია, ასეთ ნორჩ არსებას წერვები მოშლოდა და გონება არეოდა.

მაგდა ექიმმა უნებლიეთ პირველი გადანიერა. გური კარგად პირველი გაუშვა, ერთხელ კიდევ მიხედა ავადმყოფისაკენ, რომელიც ისევ გაუნ-

ძრევლად კუნძივით კუთხეში ევლო და სიკვდილის ფერი დასდებოდა. კარები გამოიხურა და დაკეტა. მომვლელ ქალს კი დაავალა, თვალი და ყური ედევნებინა ავადმყოფისათვის და საჭიროების შემთხვევაში ყველაფერი დანვრლებით მოეხსენებინა.

გური ყოველდღე დადიოდა საავადმყოფოში. ნახულობდა ელვისას, ესაუბრებოდა პროფესორ ასათიანს და მაგდა ექიმს. ავადმყოფის მდგომარეობა დღით დღე უარესდებოდა, მაგრამ გური ხალვაშს უკანასკნელ დღეებში ამის შესახებ არაფერს ეუბნებოდნენ, რადგანაც ხედავდნენ, თუ როგორ მწვავედ განიცდიდა ახალგაზრდა კაცი სატრფოს სიცოცხლის უკანასკნელი დღეების მოახლოებას.

მეოთხე დღეს, როცა გური საავადმყოფოდან სახლში ბრუნდებოდა, თავს ცუდად გრძობდა: სახსრებში მამტივრესო, - უთხრა ელიზბარს. ცოტა ხნის შემდეგ არჩილი და ბიბიც მოვიდნენ; სცადეს გურის ვართობა, საინტერესო ახალი ანეკდოტებიც მოიტანეს, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ხალვაშის ავადმყოფობა აღარ ზემოქმედებდა, შუაღამოს ელიზბარის მუღუღელ თბილი წყალი გამოიკიდა და ფეხები დაათბილენა. ლოკინშიც ჩააწინა, სიცხე გაუზომეს. სინდისის სვეტმა ოცდაცხრამეტი აწვნა.

შინაური ნაშლობა აღარ იყო საკმარისი და ექიმიც მოიყვანეს. დღებანს გულდასმით სინჯა მკურნალმა. ნაშლებიც გამოწერა და სათანადო დარიგებაც მისცა. საშინო არაფერიაო, უთხრა, გადაიღალა და გამოიფიტულია, რამდენიმე დღე უნდა იწვეს და გაუვლისო. აუცილებელია დასვენება და გამლიერებული კვებაო. შეიძლება ხელს ისცხე აღარ ჰქონდეს, მაგრამ სამ დღეს მაინც არ ააყენოთო.

სამ დღეს ძლივს დაამაგრეს გური სანაშობი. მეოთხე; შაბათ დღეს, სადილის შემდეგ წამოგდა, ტანსაცმელი ჩაიცვდა და გარეთ გამოვიდა. ჯერ კიდევ სისუსტეს გრძობდა და თავბრუ ეგებოდა, მაგრამ დიასახლისის, ელიზბარსა და მეგობრებს მხნედ აჩვენა თავი.

- ცოტა ხნით ქალაქში გავივლი და ადრე დაბრუნდები, ბიძია ელიზბარ, ასე აჯობებს, დამხუთა ნოლაში!

- ნაივდეთ, ერთად გავისეირნოთ! - თითქმის ერთდროულად უთხრეს ბროძელმა და ბუთხუზმა და წასასვლელად მოემზადნენ.

- არა, თქვენ დარჩით, ადრე დაბრუნდები. მე მარტო მიწინა ცოტა ხნით ჩემს თავთან დავრჩე და დარდი გავიქარო. არ გენყინოთ, ბიჭებო! - პალტი ჩაიცვა, ქუდი დაიხურა და გარეთ გამოვიდა.

გრილი, მომწინდელი დღე იდგა. მუხ ალმაციერად ჰჳენდა ქალაქს ძალადაკარგულ სხივებს. დაზამთრების დღეების მიუხედავად, ხალხი მრავლად

გამოფენილიყო ქუჩებში და სახამთრო ჩაცმულობაც გამოეფენათ.

გურიმ ჩაიარა ვერის დაღმართი, ვერის ხიდი, გადაჭრა ჟორესის ქუჩა, გავიდა სანაპიროზე და ისე მიადგა სულით ავადმყოფთა თავშესაფარს, რომ ნაცნობი არავინ შეხვედრია. შეიძლება შეხვდა კოდე, მაგრამ ფიქრებში ჩაძირულმა ისე გაიარა ქალაქი, რომ არავისთვის არ მიუქცევია ყურადღება, მხოლოდ ქუჩაში მოსიარულე ხალხს ხედავდა და არა ცალკეულ პირებს.

გური ხალვაშმა მხახველებსა და სულით ავადმყოფებს გვერდი აუარა და პირდაპირ ელვისასკენ გაემართა. მკურნალ ექიმსა და პროფესორს შემდეგ ვნახავო, - გაიფიქრა.

მოუახლოვდა ელვისას პალატას და შორიდან დაინახა, რომ კარები, ჩვეულებრივ, ჩარაზულ-ეპიტელი იყო, მაგრამ სიღრმიდან ღრილისა და ბორჯვის ხმა მოესმა. გაუკვირდა, როგორ ჰყოფნიდა ძალა ჩერად ქცეულ, სიცოცხლეშინაგლებულ სულით ავადმყოფ ქალიშვილს, რომ ასე ხმამაღლა ეღრიალა და ეშფოთა?!

ახლოს მიიჭრა პალატის სათვალთვალო ფანჯარასთან და ელდა ეცა. ელვისას მაგივრად სხვა დაუხვდა, იმავე ფაქტით დაბმული. ქალარაპერეუსი, ასე ორმოცდაათი წლის მამაკაცი შფოთავდა, ბორჯავდა, ვიღაცის მოსაკლავად მიიწევდა და დაუმტებოთ კედლებს ეხებებოდა. წელს ზევით მიშველი იყო და თავ-პირიდან სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა. ხელები და გულ-მკერდიც სისხლით ჰქონდა მოთხუნილი.

კარგად არ ენიშნა ხალვაშს გიჟი მამაკაცის ხილვა. შუშა ფიქრმა გაურბინა გონებაში: პალატა რატომ უნდა გამოეცვალათო! თვალთ დაუბნეულდა, მაგრამ ძალა მოიკრიბა, როგორც იქნა, საკუთარ თავს მოერია. მოხრილი წელი და მუხლი გამართა, გასწორდა და მკურნალი ექიმისაკენ სირბილით გაქანდა.

მაგდა ექიმს დერეფნის ბოლოს წაანყდა. ექიმს ენიშნა არეული გურის ნახვა და გაიფიქრა: დაუსწრდა პალატის ნახვად და პრეველი შევისიტყვა.

- სად დაიკარგე, გური, ამდენი ხანი? - მაგდა ექიმო, რა მოუვიდა ჩემს ავადმყოფს? პალატა რატომ გამოეცვალეთ?!

- გური! ავადმყოფის საქმე, როგორც ადრე გითხარი, გადაწყვეტილი იყო, მაგრამ, თუ ასე ადრე გათავდებოდა, არ მგონია!!

- როგორ? როდის?! - დაიღრიალა ხალვაშმა, თავში ხელი შემოირტყა. ახლა ძალეშმა მართლაც უღალატა, საკუთარ თავს ველარ მოერია, კანკალი აუვარდა და ჩაიკეცა.

მაგდა ექიმმა სანიტრების დახმარებით თავის სამუშაო კაბინეტში შეიყვანა გური და, როგორც იქნა, მოასულიერა. საკმაო დრო დასჭირდა ხალვა-

შის გონზე მოყვანას და მის მდგომარეობაში, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, დაწყნარებას.

- ახალგაზრდა კაცი ხარ, გური, და გრძნობამ არ უნდა დაგაჯანოს. უნდა გამაგრდე, ზედმეტად გრძნობას არ უნდა აპყვე. დაკარგული უნდა გახსოვდეს, მაგრამ მას არ უნდა გადააწყვე.

- ქალბატონო მაგდა, თქვენ მართალი ბრძანდებით და მაგდა ახლა, ჩემს მდგომარეობაში მყოფ კაცს, კეთილი რჩევა და შეგონება ნაკლებად დაამშვიდებს. მითხარით, თუ შეიძლება, სად არის მიცვალებული?

- ელვისას პოლიტიკურ სულით ავადმყოფად მოიყვანეს ჩვენს საავადმყოფოში, ამიტომ სამოქალაქო წესით მისი დასაფლავების უფლება არ გვექნება.

- როგორ! მკვდრის ნახვა-მოვლის საშუალებაც წამართვს?!

- ნუხელ საავადმყოფოს მესაფლავემ გაიტანა და საიდუმლოდ ქალაქგარეთ დაასაფლავა. აი, რაც ვიცი და რის თქმაც შემეძლო შენთვის.

- არ შეიძლება მითხრათ, ვინ არის მესაფლავე და სად შეიძლება მისი ნახვა?

- მარკოზა მენავგის ნახვას რა დიდი ამბავი უნდა! ერთი უთვისტომოდ გადასული კაცი, მთლად დალაგებული არც ის არის. საავადმყოფოს შესასვლელი ალაყაფის კარების მარცხნივ პატარა ფიცრული ჯიხურია მიშენებული. აი, ის პატარა სადგომია მისი ბინა. შეიძლება რაიმე დახმარება გაგინდია. აი, კიდევ მარკოზა მენავგე, თავის ბუნაგში შეძვრა. თვალიდან არ გაგიქრეს, თორემ ამ ლოთს შემდეგ ვინ მოიძიებს?!

გურის სიტყვა აღარ გაუგრძელებია, ისე მოსწყდა ადგილს და მარკოზა მენავგის ჯიხურისაკენ გაემართა.

გური, ადრე რომ მისულიყო შინ და საჭირო თადარიგი დაეჭირა, ჟორესის ქუჩაზე გაქანებულ ტრამვაის შუახტა და წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოს მიაშურა. მათე პაპა თავის ჯიხურში ძველ ხალათს ნაჭერს აკერებდა და ჩუმად თავისთვის ლიღინებდა:

*„საყვარელ ქალს ვინც ღალატობს, კაცად არსად წერია: სიყვარულზე უფრო ტკბილი ქვეყნად არაფერია. ვარდი ერთხელ აყვავდება, როცა გაზაფხულია; ვინც საყვარელს მინას აყრის, თვითონც დამარხულია.“*

ძველ მესაფლავეს თავზე წაადგა გური, შეუპატივებლად შევიდა ჯიხურში და საღამო მშვიდობისა უსურვა.

- სად დაიკარგე ამდენ ხანს, გური, როგორ გაპატიო ბერიკაცის დაინყება!

- კიდევ ერთი უბედურება დამატყდა, მათე პაპა, თავზე: დანიშნული გარდამეცვალა და შენი დახმარებით ამალამ უნდა დავასაფლაო მამარჩმის ფეხის გვერდით.

- როგორ? როდის? მაგდენ ხანს რომ არაფერი გითქვამს ჩემთვის?! - გაიკვირვა და შეიცხადა ბებრული გულცივობით მოხუცმა.

- ეს გრძელი ამბავია, მათე პაპა, შემდეგში ყველაფერს დანვრილებით მოგიყვები. ახლა წავიდეთ და საფლავის მინა მოვზომოთ. არჩილს ან ბიბის დაგახმარ, გათენებამდე ყველაფერს უნდა მოვრჩე.

- საიდან უნდა მოასვენო მიცვალებული?

- მეც არ ვიცი! ქალაქარეთ არის დამარხული, უკურთხებელ მინაში, უნდა მოვნახოთ და გადმოვასვენოთ.

- არაფერი მესმის, ვერაფერი გავიკვ!

- ამის შესახებაც შემდეგ მოგიყვები, მათე პაპა, ესეც გრძელი ამბავია. თავის დროზე ყველაფერს შეიტყობ.

მოხუცმა ძველი ხალათი გვერდზე გადადო, სკამოვანის საზურგეს ორივე ხელით დაეყრდნო და ხანხალით წამოდაგა.

ეკლესიის მონიშნულ კედელთან შეჩერდა, სადაც გურის მამის ფეხი იყო დამარხული.

- აი, აქ გაეთხრით სამარს.

- კარგია, მათე პაპა, დამხმარეს გამოგიგზავნი. ახლა წავალ და გვიან დავბრუნდები.

მოხუცმა თვალი გააყოლა ალაყაფის კარებში გამაფლ გურის, ხელები გაშალა, თავი გადაიქინა და ჯიხურში შებრუნდა.

განთიადისას, როცა ჯერ კიდევ ბნელოდა და ცისკრის ვარსკვლავი აღმოსავლეთის ცაზე ახლად ამოიწვერა, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ეზო-სასაფლაოს მარკოზა მენავგის ფორანი მიადგა. მათე პაპა, არჩილი და ელიზბარი დიდი ხანია მოელოდნენ საიდუმლო მიცვლებულს. სამარე დიდი ხანია ამოეთხარათ და მოხუცის ჯიხურში ისვენებდნენ. მარკოზას შეძახილზე სწრაფად წამოშალნენ და ალაყაფის კარებთან შეეგებნენ მკედარსა და ცოცხლებს.

მალე ტბებიდან წმინდა ნიკოლოზის ეკლესიამდე გური და ბიბი ფეხით მოდიოდნენ და ძაღვზე დაღლილები იყვნენ.

დამხედურნი სწრაფად მიიქრნენ ფორანთან და სათუთად გადმოიღეს ჯვალის ტომარაში გახვეული მიცვალებული.

მისი ამოსვლისას ყველაფერს მორჩნენ. საფლავი მოასწორეს. მათე პაპამ სადაც სწორკუთხედი თეთრი ქვა მოქმენა და სამარეს სასთუმალიც გაუკეთა. მხოლოდ ეს იყო, რომ ახალ საფლავს, შავად შემკულ მინას არც გვირგვინები ამშვენებდა და არც ყვავილები. რაღაც ეუხერხულა ელიზ-

ბარს სასაფლაოს ასე ლატაკად დატოვება; არჩილი მიუხვდა უფროს კაცს ახალი დარდისა და მსუხარების მიზნებს, სიტყვის უთქმელად სადაც გაქრა და რამდენიმე წუთის შემდეგ ნაძვისა და კვიპაროსის ტოტების მიელი შეკვრა მოიტანა. მათე პაპამ თეთროს გაანაწილა მწვანე ტოტები სველ შეზვიულ მინაზე და მიხვედრილობისათვის არჩილს მადლობა გადაუხადა.

ვაჟაკები ერთხანს თავდახრილი იდგნენ უდროოდ დამინებული ქალიშვილის საფლავზე. ყველა დუმდა, მხოლოდ გურის ქვედა ტუჩი უთრთოდა და თვალთაგან გადმოედინილი ცრემლი ლყავს უსვენებად.

მათე პაპა თოხი და ბარ-წერაქვი აკრივდა და ქოხისაკენ გასწავა, დაიღალა ბერიკაცი, ფეხზე დგომა უჭირდა, ქალ-ვაჟის საცოდაობით იწვოდა, კარგად იცოდა, რომ ამ უსახლგრო მსუხარებას ნუგური ვერ შეარბილებდა და დუმდა.

გური ერთხანად გამოერკვა, ცრემლით დანაბული სახე ცხვირსახოციით შეიმშრალა, თვალი უტანაურად უელავდა და ტირის გამზიარებლებს მიმართა:

- ერთი აზრი გამიჩნდა და სურვილის შესრულებელზე უარს ნუ მეტყვი!

- რა აზრი და სურვილი დაგებადა ასეთი!

- ასე მშრალად ჩემში მიცვალებულს არ მარხვენ. ორიოდ მოქით ზედაზე რომ არ წაუქციოთ, არ იქნება, ვერ მოვიხვენებ. მე დღეს სურვილი მაქვს, უბუნდელი ქორწილი გადავიხადო! ა, რას იტყვი, ელიზბარ ბიბია, შენი სიტყვა ჩემთვის კანონი იქნება!

- არ ვარ წინააღმდეგი, ამ სურვილსაც ავისრულებ, ოღონდ სახლში უნდა წავიდეთ, რალაცას იქ მოვხრეკეთ, მოვიპოვებთ, ჩვენც რალაცას შევმატებთ სურვრას.

- ეს ყველაფერი კარგია, ბიბია ელიზბარ, მაგრამ მე მინდა ყველაფერი აქ მოხდეს, ელვისას მახლობლად, ელვისას საფლავის გვერდით! ვის გაუგონია ქორწილი უდედლოდო?! - გურიმ პირველმა გადმოიბრუნა ჯიბეები და მხოლოდ ექვსი მანეთი აღმოჩნდა, სულ ცხრამეტი მანეთი შეაგროვეს; ელიზბარს უნდოდა სახლში წასულიყო და ნარჩენი საწოლზე მოეხანა, მაგრამ არ გაუშვეს: რაც გაუქვს, ის ვიმყოფინით და ასე უფრო ლამაზი იქნებაო.

გური და ელიზბარი ადგილზე დატოვეს, ჯიხური მალაგ-მალაგეთ და მოამზადეთ საპურმარილო სუფრა, - უთხრეს არჩილმა და ბიბიმ, თვითონ კი სასმელ-საჭმლის საყიდლად წავიდნენ. ჯიხურში ერთი ძველი, კედლებამორღვეული, გაჭვარტლულ-გამავეებული კალათი გამოძებნეს და მახლობლით დაუქმებლსაკენ მოცოცხეს.

მათე პაპა პირდაღებულად უყურებდა მის ჯიხურში უტანაურ გამოცოცხლებას, მაგრამ ვერც იკითხა და ვერც გაიგო, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს.

ც. ს. ჯ.

გურის წვეთი ღვინო არ დაუღვავია სხვებზე მეტი, მაგრამ ისე დათვრა, რომ სახლში უგრძნობლად მიიყვანეს. ბიბი და არჩილი მხრებში მოსდგომოდნენ ხალვაშს და ისე მოჰყავდათ. გურის გონებაში ჩარჩნოდა მათე პაპას სიმღერის სტროფი და თავისთვის ერთ ხმაზე ლიღინებდა:

*„ვარდი ერთხელ აყვავდება,  
როცა ვაზაფხულია;  
ვინც სიყვარულს მინას აყრის,  
თვითონ დამარბულია“.*

გურის წინააღმდეგობა არ გაუნწვია მეგობრებოსათვის, არც ნასვამი კაცისათვის დამახასიათებელი ჭრჭყელობა გამოუჩენია, ტანთ გახადეს და ლოგინში ჩაწვინეს და იმავე წუთში, არც კი განძრეულა, ჩაეძინა.

მთელი დღე და ღამე ეძინა გური ხალვაშს, მხოლოდ ეს იყო, რომ ძილში შფოთავდა, ვიღაცას ენახდა, ეჩხუბებოდა, ხან წამოიყვირებდა კიდეც, კუნწისდა, ბორგავდა, დედას მოუხმობდა, ელვისას ვაღერსებოდა, ბიბია ვახოს და გიორგის ახსენებდა. არჩილი და ბიბი ერთი წუთითაც არ მოშორებან გურის; მხოლოდ თითო საათი მორიგეობით დაიძინეს, ელიზბარი და მისი მეუღლე ფეხაკრეფით შემოდოდნენ ოთახში, საბანს უსწორებდნენ, მინარეს მავას უსინჯავდნენ.

მეორე დღეს, საღამოს, როცა ქალაქს სიბნელე მოჰდა და წყნეთის ქუჩაზე ნათურები ჩართეს, გური ლოგინიდან წამოიმართა, ხელები ჰაერს მოუპოტინა, გოგია მენისქვილეს და ცალხელა ლუკაიას მოუხმო, რაღაც წამოიღულულულა და საბოლოოდ გამოფხიზლდა. პირველი სიტყვები, რომლებიც გამოღვიძებულმა წარმოთქვა, მის ადგილსამყოფელს შეეხებოდა.

- სადა ვარ?  
- სად უნდა იყო! შინა ხარ! გეძინა და გამოიღვიძე! ჩვენც აქა ვართ, შენთან! - საწოლთან ერთდროულად გაჩნდნენ ელიზბარი, არჩილი და ბიბი.

- ალბათ მისიზმრა. გოგია მენისქვილესთან ვიყავი დაყრუებულ ნისქვილში, ცალხელა ლუკაიაც იქ იყო, ვახო ბიბიაც და მამარმეიც. სადაღაც უნდა წავეყვანე, მე კი ელვისა მელოდებოდა მდინარის პირას. თმაგაშლილი იჯდა ოღდზე, გული მისკვე მიმიწვდა, არადა გოგია მენისქვილისა და ვახო ბიბიასათვის უარი არასადეს მითქვამს. ვწუხდი, რომ ვერ მივეყვებოდი, სწორედ ამ დროს გამომეღვია კიდეც.

ოთახში სინათლე აანთეს. გური წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და ხელპირის დასაბანად გავიდა.

ელიზბარმა ცოლს თვალით ანიშნა, რომ გასულიყო და ვახში მიემხადებინა. მთელი დღე ისე მიიწურა, რომ არც მასპინძელს და არც სტუმრებს ლუქა არ ჩაედით პირში.

დიასახლისმა სასადილო ოთახში მიიწვია ახალგაზრდები. სახელდახელო ღარიბულ ვახშამს ხარ-

ბად დაენაწვენ. გურის კი არაფრის გემო არ გაუსინჯავს, მოუსვენრობა ეტყობოდა, ანთებული თვალებიდან ნაპერწკალს ისროდა, სახე ახლად გამშლი ბაიას ყვავილს მიუგავდა. საფეთქლებთან ძარღვი დაშპეროდა და შესამწინეად უფეთქავდა.

- გური, რატომ არაფერს ეკარები?! მიორთვი რამე, სიღარიბით სუფრა არ დაიწუნება, - დაყვავებებით მიმართა დიასახლისმა. თავის მხრივ, ელიზბარიც შეეპატივა, კერძი გადაუღო, ჭიქა ქარვისფერი ღვინით შეავსო.

- გმადლობთ! არაფერი არ მინდა. რაღაც ვერ უნდა ვიყო კარგად. ტანში მამტვრევს, უცნაურად მაჭრფოლებს, თავებრუ მეხეცვა, აზრი მეფანტება, ოფელი მახსამს.

ელიზბარის მეუღლემ სასწრაფოდ თერმომეტრი გამოიტანა. სუფრაზე მყუდროება გამეფდა, ხელები ადგილზე გაეყინათ და შედეგს დაელოდნენ. ორი წუთი... სამი... ხუთი...

სიცხის საზომმა ოცდათვრამეტი გრადუსი აჩვენა. ისევე ლოგინში ჩაწვინეს გური.

ექიმთან თვითონ ელიზბარი წავიდა და ნახევარი საათის შემდეგ პროფესორ ალადაშვილთან ერთად დაბრუნდა.

გურამ და ბიბიმ იცნეს თავიანთი ლექტორი. პროფესორმაც იცნო თავისი სტუდენტები.

ალადაშვილმა დაუყვავა, მოეფერა გურის. მთელი ნახევარი საათი გულდასმით სინჯა, გასინჯვის დროს ხან ხელებს შლიდა, ხან თავს აქნევდა, თან კი თავის თავს ეკითხებოდა: კი, მაგრამ საიდან?

როცა გასინჯვას მთლიანად მორჩა და დიაგნოზიც დაადგინა, ვერ ახალგაზრდები შეათვალღირა, შემდეგ ელიზბარს მიუბრუნდა.

- ავადმყოფი თქვენი შვილია?
- არა, ბატონო პროფესორო!
- ავადმყოფის დედ-მამა სად არიან!
- დედ-მამა არ ჰყავს, არც არავინ ჰყავს ახლობელი, ჩემს მეტი.

- ოცი, რას გეტყვით! - თავი გაიქინა პროფესორმა, ოთახში ვაიარ-გამოიარა, ფანჯარასთან მივიდა, გამოიღო, განათებულ ქალაქს გახედა, შემოიბრუნდა.

- ჩემი სტუდენტი, რომელიც თანატოლებისაგან ბევრი რამით გამოირჩევა, სამწუხაროდ, საცანგებო ვადამყოფია. ჩანს, მძიმე ტრავმა გადაუტანია. მთავარი ორგანოები მოღუნებულა აქვს, სასიცოცხლო ფუნქციები - ერთიანად მოშლილი. ხანგრძლივი დასვენება და მკურნალობა სჭირდება ავადმყოფს, გართობა და ბუნებასთან ახლო ყოფნა. ძლიერი ორგანიზმი აქვს, ახალგაზრდა და შეიძლება რამდენიმე თვეში დაძლიოს კრიზისი და გამოჯანმრთელდეს, მაგრამ დიდი ხელშეწყობა კი უნდა.

- ყველაფერს ვიღონებთ, ბატონო, თქვენი შემწეობით, - ტირილმორეული მღელვარებით მიმართა ელიზბარის მეუღლემ პროფესორს.

– მთელ ჩვენს შესაძლებლობას შუაზე გავუყოფთ, ბატონო! – ერთდროულად წარმოიტყვეს არჩილმა და ბიბი. ელიზბარი კი დუმდა და ელნა-თურას დაჟინებით მისჩერებოდა.

– მე ხვალვე დავაყენებ საკითხს ჩვენი ფაკულტეტის კათედრაზე, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მცირეოდენი თანხა გამოვყოთ ავადმყოფის დასახმარებლად.

– მე, ჩემდა თავად, – არ აცალა სიტყვის დამთავრება არჩილმა ალადაშვილს, – ჩემს ნახევარ ხელფასს ყოველთვიურად გურის სამკურნალო ფონდში შევიტან.

– მე კი, როგორც ნებას დაგვრთავთ, პროფესორო, ჩემთან წავიყვან ყინვალში, ვივლით არაგვის ხეობაში, ტყეში, მდელაში, ცხვარში, ვინადრებით და ვითევზავებით, გაჯანსაღებული დავბრუნდებით და დარწმუნლ საგნებს შემოდგომის სესიებზე ჩავაბარებთ.

– თუ თქვენ ხელს შეგვიწყობთ, ბატონო პროფესორო, და ღმერთიც მოგვხედავს, – ჩაურთო სიტყვა ელიზბარმა, – ავადმყოფს ყურადღებას არ მოვაკლებთ და ფეხზე წამოვაყენებთ.

ალადაშვილმა დარიგება მისცა ავადმყოფს, ცალკე ყმანილებს და ცალკე ელიზბარს და მის მეუღლეს. საჭირო ნაშთებს გამოეწერ და გამოგიზახნითო, დაჰპირდა მასპინძელს.

ალადაშვილმა დაპირება შესასრულა. უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კათედრას ავადმყოფი სტუდენტის დასახმარებლად საერთო ფონდიდან გამოყოფინა ასი მანეთი, ას ორმოცდაათი მანეთი პროფესორ-მასწავლებლებმა გაიღეს თავიანთი ხელფასიდან და ერთი კვირის შემდეგ ორას ორმოცდაათი მანეთი ავადმყოფის მორიგი ნახვის დროს გადასცა გურის.

მოკლდა და ყურადღება არ მოუკლიათ ელიზბარს და მის მეუღლეს გურისათვის. არჩილი სამსახურისა და ლექციების შემდეგ მთელ დროს მეგობრის სანლობთან ატარებდა, უვლიდა, ართობდა, წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს უკითხავდა. ბიბიც არ შორდებოდა მეგობრის სანლობს, ლექციებიდან პირდაპირ მასთან მიდიოდა, უნივერსიტეტიდან ცხელ-ცხელი ამბები მოჰქონდა, ლექციებს ინერდა, ათეთრებდა და გურისთვის ამზადებდა, ბოლოს დასაძინებლად მიდიოდა შინ. ალადაშვილი თითქმის ყოველ კვირას ნახულობდა ავადმყოფს, სხვა ექიმებიც მოჰყავდა, ავადმყოფობის განვითარებას აკვირდებოდა, მსჯელობდნენ, ერთობლივი დასკვნა გამოჰქონდათ, ახალ ნაშლებს უნიშნავდნენ.

ავადმყოფის მდგომარეობა უმჯობესდებოდა, სტუდენტ ამხანაგებს ნება დართეს, კვირაში ერთხელ ენახათ გური, ესაუბრათ, მაგრამ ისე რომ, არ გადაელაღათ.

გურის განსაკუთრებით ახარებდა თანაკურსელი გოგონების სტუმრობა, განსაკუთრებით კი – მეტაინსკირველსა, რომელიც ელევისას თანაკლასელი იყო და მარინე არობელისის შემდეგ ყველაზე ახლომდებამხანაგი. მეტაინსკირველი იცოდა, რაც ელევისა და მარინეს გადახდათ თავს, მაგრამ დუმდა, არაფერს ამბობდა, რადგან პროფესორის დავალებით გააფრთხილა ბიბიმ, ამ თემაზე სიტყვა არ დაედრა, გურის სულიერი ტკივილი არ განახლებოდა.

გურის არც მარინეს სიკვდილი ჰქონდა გაგებული, ძალიან უნდოდა ელევისას დობილის შესახებ ბევრი რამ გაეცო, საუბარში ხშირად ჩაურთავდა გამოიმწევე კითხვებს, მაგრამ ჭკვიანი ქალიშვილი სწრაფად და მოხიზრებულად სხვა საგანზე გადართავდა საუბარს: ახალი ანექლოტიბი მოჰქონდა, ყოველ შაბათს ნახულობდა გურის, ერთ საათს რჩებოდა ავადმყოფთან და შემდეგ ბიბისთან ერთად მიდიოდა.

ავადმყოფობის ორი თვის შემდეგ გური ხალვაშს ნება დართეს, ნახევარი დღე ფეხზე გაეჭარებინა, ნახევარი საათით ქურჩასა და ბაღში გაეჭარებინა; ერთი თვის შემდეგ კი მეტი თავისუფლება მისცეს, შეეძლო მთელი დღე ბინის გარეთ გაეჭარებინა, ქალაქგარეთაც გასულიყო, კინოც ენახა, თეატრში წარმოდგენებსაც დასწრებოდა. ლექციების მოსმენაზე უარი უთხრა პროფესორმა, თავის დროზე მე თვითონ გაგაფრთხილებო.

გურიც ზუსტად იცავდა ექიმების რჩევას: სხვა გზა არც ჰქონდა, ელიზბარი, არჩილი და ბიბი, ბოლოს მეტაინსკირველს შეემატა მათ ჯგუფს, ცერებრებით დარაჯობდნენ გურის ყოველ ნაბიჯს და დღის რეჟიმსგან გადახვევის საშუალებას არ აძლევდნენ. გური ნუხდა, რომ მეგობრები ასე დატანჯა, მათ საკუთარ თავზე ზრუნვაც კი დააიწყა და ხშირად ამბობდა:

– მე რით უნდა გადაგიხადოთ, მეგობრებო, ჩემთვის თავგანწირვა, შეიძლება კი ოდესმე სამაგიერო მოგიხდეთ?

– რატომ არა, – თითქმის ერთდროულად, ერთმანეთს არ აცლიდნენ, ისე ეტყობდნენ და თავიანთ ნათქვამზე ელემბობდნენ, ალალი გულითაც იცინოდნენ, – დიდი დრო არ გავა, უნივერსიტეტს დაამთავრებ, გამოჩენილი ექიმი იქნები, პროფესორიც ადრე გახდები, ჩვენც ხომ რკინის კაცები არა ვართ! ერთ დღეს ავადაც გავხდებით, ან რაიმე გაჭირვება ალაღივით დაგვიქონლებს და შენც დრო დაგიდგება სამაგიეროს გადახდისა.

– მთავარი გული და სურვილია, ყმანილებო, თორემ ყველაფერი იქნება, ყველაფერს მოესწრებით. სადაც სიყვარულია, იქ კაი კაცობას წინ რა დაუდგება, – ჩაურთო თავის მხრივ ელიზბარმა, – ვინც სიკეთეს თესავს, მას ბედნიერება ფეხდაფეხ დასდევს. თქვენც თესეთ და თესეთ სიკეთე და ბედნიერების სამკალად ყოველთვის კარგი ამინდი გექნებათ.

გაგრძელება იქნება





# მაკა ლომაძე

## მენიუ ქალბატონისთვის

მართვით ქალბატონს ღრუბლების ბლომანჟე,  
 წვიმის კოქტეილი და სიო-ბრიზები,  
 მართვით ტორტი და მართვით ბლომად რძე,  
 გთხოვთ, გაანებივროთ ის სიურპრიზებით.  
 უთხარით, უთხარით ხშირად, რომ ქალია,  
 გარეთ კი ქარია და გზები სავალი,  
 თუმც, ჯერ ზამთარია, თუმც, ჯერ ავდარია,  
 მაინც დაუკრიფეთ მას იასამანი.  
 თუ გაგიბრაზდებათ, ნუ ელით დანდობას,  
 მის დაუნდობლობას ბოლომდე მიენდეთ.  
 შხამად ნუ გადუქცევთ მას ყმანვილქალობას,  
 ინებეთ ის, რასაც ქალღმერთი ინებებს.  
 მართვით ბალიში, დაუგეთ სანოლი,  
 ზენრებად ვარდები უხდებათ ასულებს...  
 იხილავთ სასწაულს – ეს ქალი – სასწორი  
 ცოლის დღესასწაულს თუ როგორ ასრულებს.

## სონეტი

დღეს მდუმარებამ მტვერის თხელი კარი შეაღო,  
 საოცარია ახლა მასთან მარტო დარჩენა.  
 და ცისარტყელამ ზეცას ხელი ისევ შეახო –  
 რა იოლია შენი თვალის ფერის გარჩევა.

რად არ მოხვედდი? რად გატეხე ფიცი მიჯნურის?  
 როგორც ნესტანი, შენ – ტარიელს ისე გელოდი.  
 ვარდებს აგლეჯდნენ ეკლებს, იდგა ჟამი მიმწუხრის ...  
 ლომი გალიას აწყდებოდა... ათასფერობდი...

როგორ მინდოდი, ო, იმ ღამით მე როგორ მსურდი!  
 ვით დაჭრილ ძუ ლომს ელანდება ხვადი თავისი.  
 ო, დამიჯერე, სულ ტყუილად შენ მაშინ გძულდი,  
 თუ არ ვიყავი შენი, ვიყავ არც არავისი.

მაგრამ გვიანი არის ახლა მოთქმა-გოდება,  
 რადგან იმ კარის მიღმა უკვე სხვა მელოდება.

## ტრიოლეტი

ქარი უბერავს, ქარი დაჰქრის, სევდა შრიალებს,  
 ვერა, ვერ ვპოვე უკეთესი მე სამყოფელი.  
 ამ დროზე, ალბათ, ქედნების თუ გუნდი ფრთხილდება,  
 ნვიმა უბერავს, ქარი დაჰქრის, სევდა შრიალებს.  
 ვერ გადავურჩი მაინც მარტის გვიან გრიგალებს,  
 ვუსზობდი მამას – ჩემს სამალავს – ერქვა მშობელი.  
 ქარი უბერავს, ქარი დაჰქრის, ქარი შრიალებს,  
 ვერა, ვერ ვპოვე უკეთესი მე სამყოფელი.

# თამილა ჯათატიძე



## ცა ჩამობრძანდა

ცა ჩამობრძანდა ცისფერი კაბით  
 და მოეფინა მიწას იეზად,  
 დღემდე ლექსი თუ ვერ მოგიძღვენი,  
 ეს იყოს ჩუმი მონანიება...  
 თუმცა ამავეს ცრემლის ჩხრიალით,  
 ზოგს გაზაფხულის ეგონა წვიმა,  
 ჩუმად მტკიოდა ის ნატყვიარი,  
 დღემდე რომ დამრჩა გულივით ღია...  
 მერცხლის თვალებით შემომეყარე,  
 ვერ გაგიმეტე – მოსული სამტროდ,  
 გონდაკარგული ისევ გნებდები,  
 ასე მაცდურს და ამგვარად სანდოს...  
 ცა ჩამობრძანდა ცისფერი კაბით  
 და მოეფინა მიწას იეზად,  
 შენ გამიმეტებ – რაც არის, არის –  
 შენ ყველაფერი გეპატიება...

## სვანური ზარღახშიღან


დედულეთ შემოთვალეს – ჩამოდიო,  
 საგზლად წამოიღე ფიქრებო,  
 – გული საგულეში თუ დავმალე,  
 ეხლავ დედულეთ ვიქნებო;  
 უმალ შემატყო მახეშმა კაცმა,  
 გოგოს თვალეში ჰყავს პეპლებო,  
 გზაზედ მარტო აღარ გაუშვათო,  
 ტანზედ მოაცვითო ეკლებო.  
 – არა, ბერიკაცო, არ იდარდო!  
 რჩეულ ვაჟკაცისთვის მიტირნია,  
 ეკალს ნუ ჩამაცმევ, შემომამსხვრევს,  
 მხარ-ბეჭ ისეთი ქვითკირი აქვ!..

## წვიმის სურათი

მიდიხარ ისევ...  
 წვიმს და იწვიმოს...  
 იდინოს, მაინც ბოლომდე შეგსვამს...  
 ნუ გაურბიხარ, სველი გიჟია  
 გამოგედევნა – რა მოხდა, შეცდა!  
 მოცურდა მხრებზე,  
 ტანზე მოგედო  
 კოცნის ნიაღვრად,  
 თმების ქარიშხლად...  
 ტუჩზე ბროწეულს ისე დააკვდა,  
 ალბათ, გაგიჟდა...  
 ჩამოიღვრება, ისევ წაგლეკავს –  
 სახიფათოა წვიმის თამაში!  
 თავს არ განებებს,  
 ნუ გაჯავრდები,  
 ის გიჟი მე ვარ  
 წვიმის კაბაში...

## შტრიხები ავტოპორტრეტისთვის

შენ არ ატარებ ძვირფას სამკაულს,  
რომელიც ასე შეენით შენნაირ ქალებს,  
შენი მკერდი შეეჩვია წვიმის ბრილიანტს  
და შემოდგომის ქარების ვერცხლს...  
შენ დაგაქვეს ძონისფერი მზურვალეობა  
და გიშრისფერი სევდა,  
ყელზე გახვევია ლალისფერი განთიადი  
და ზურმუხტისფერი დაისის ნისლი;  
შენს თვალეებში ყოველთვის ბრწყინავს  
ცრემლისფერი მარგალიტი  
და ბაჯალლო სიყვარულით სავსე გული...  
ფირუზისფერი გახურავს ზეცა,  
ბრინჯაოს მთები გიცავენ მუდამ  
და ოქროსფერი მინდვრებით დახვალ...  
ხოლო ტყისპირას  
გაზაფხულის პირველ შროშანებს, -  
როგორც ჭორიკნებს -  
შური კლავთ ხოლმე,  
როდესაც შენი ოცნების მეფე  
კოცნის სამაჯურს ნამოგაცვამს  
გაყინულ ხელზე...  
შენ არასოდეს არ ატარებ  
ძვირფას სამკაულს...



## ნოდარ სუნდაძე

### სონეტები

#### სინანული

ყველამ იცის, – დევნილობის მარბევს ქარი,  
მე მინახავს დაჩეხილი მტრისგან მოძმე,  
და ტკივილი არ მქონია საძებარი, –  
უამრავი ავკაცობის გავხდი მონმე.

ვგრძნობდი თითქოს, მე ამქვეყნად რომ მოვედი,  
თანამგზავრად დამყვებოდა გულის ხეთქვა,  
ავირჩიე უფლის ნებით მე სონეტი –  
რასაც ვგრძნობდი, სონეტებით უნდა მეთქვა.

მე განგაშის დავარისხე მაშინ ზარი,  
აფხაზეთმა რომ მოისხა შავი რიდე,  
სონეტებში ჩავაქსოვე სატკივარი,  
სტრიქონებმა თითქოს ცეცხლი წამიკიდეს.

ვთქვი ნამდვილად ტკივილით და გულმხურვალედ,  
თუმცა ვხედავ, – ვერ გარგეთ და გიმკურნალეთ...

## მიზანი

უფლის წყალობით რაც შევიცან მე ეს ქვეყანა,  
პირველად დავტკბი მისი ეშხით და სიდიადით –  
არ მომკლებია სულის საზრდო, ტკბილი ხმიადი,  
თავი დიდ გზაზე, შევეცადე, გამომეყვანა.

მქონდა შეძლება, თავს ვირჩენდი ჩემი მარჯვენით,  
გამოკვეთილი დასახული მქონდა მიზანი,  
მე არ ვიცოდი, მერგებოდა ბედი ხიზანის,  
დამაოზლებდნენ, დამტოვებდნენ ძმები, გამჩენი.

მე ანი შევება არ მჭირდება, რა თავში ვიხლი,  
რომ დამიამდეს, აღარ მჯერა, ის ძველი წყლული,  
შემინდობს კია უძლურებას ჩემი მამული?! –  
ვერ ვუპასუხე, მოსისხარმა რომ ჩამცა წიხლი.

ახლა მომავლის ფერად სურათს მავანი ხატავს,  
ბევრი კი ცდილობს, მაგრამ მაინც ვერ აცხობს ქადას...

## უსუსური

დილით რომ ვდგები, უძლეველი მგონია თავი,  
ოთახს ვტოვებ და ხმაურიანს შევერთვი ქუჩას,  
გამვლელთა ტალღას ვედევნები უნიჩბო ნავი,  
მიყვები, მდორე დინებას კი ბოლო არ უჩანს.

გზაზე მხედებიან ნაცნობები, მესალმებიან,  
მე მიხარია – მათ სახეებს აჩნია ღიმი,  
ვის არა ვხედავ – კეპიანებს თუ ჩალმებიანს,  
ერთს კი თან ახლავს – მხარზე უზის მაკაკა მიმი.

მერმე – მოხუცი, გადამღრძვალი და დაკონკილი  
ქალი ძონძებში, მწუხარებით თვალდაშრეტილი,  
პატარა და-ძმა – სამათხოვროდ ხელგამონვდილი,  
დედა – ფოტოთი აფხაზეთში მოკლული შვილის...

უცებ ვჩერდები, გული შფოთავს, მეკმევა სული, –  
თურმე ვყოფილვარ რა უძლური და უსუსური.

## ჯერ კიდევ მზეა

რა დრო გასულა, მომენატრა ისევ ზამთარი,  
 დამძიმებული გორაკები თეთრი ზვინებით,  
 ფანჯრის მინაზე დახატული უცხო მძივები,  
 სახურავიდან გამლზვალ თოვლის მძიმე ზღართანი.

შელამებისას ხეობაში კვილი ტურის,  
 ბუჩქში შემძვრალი, ბელურების შფოთვა და კვნესა, –  
 სიამოვნებით ახრამუნებს ნიკორა ბზესაც –  
 და ბუხრისპირას მოღულუნე ტკბილად ფანდური...

შემოდგომაა, არ იგრძნობა ჯერ ზამთრის სუსხი,  
 აქ, შორიახლო, ხარობს შინდი, ხარობს დანდური,  
 ბერიკაცები ილიმიან თავის კანტურით,  
 მქისე ძახილი... დედის ხმაა მკაცრი და მწუთხი.

ჯერ კიდევ მზეა, იყოს თითქოს ისევ ზაფხული,  
 მივართრევ დღეებს, უძღურებით ვარ დაზაფრული.

## ვეღრება


დედაო ღვთისავე, არ მომაკლო მე შენი ლოცვა,  
 მქონდა ცხოვრება უმადური და ძალზე რთული,  
 ჩემი კუთვნილი მოძალადეს მიჰქონდა როცა  
 და გულს მიფლეთდა უამრავი იარა, წყლული.

როცა ზეობდა გულსაკლავად ჩემი მაცელი  
 და უნაყოფო ზეზეულად ჟღნებოდა ყანა,  
 უღირსი მოძმე კბილს მიკრეჭდა შურით ავსილი –  
 მე გული მტკივა, ასეთები დღესაც რომ გვყვანან...

დედაო ღვთისავე, მიხსენ მათგან, დამწერე ჯვარი,  
 კაცურ ღირსებას ვუდარაჯო, მომეცი ძალა,  
 ამოვიყარო ორგულის და გამცემის ჯავრი,  
 უკან მოხედვა, სულის მოთქმა ვინც არ მაცალა.

მომეც შეძლება, არჩეულ გზას მივყვე ბოლომდე,  
 გაუმართლებელს ამაყდინე და ფუჭ მოლოდინს.





# ბონდო ატყლაძე

## მწერლის ბედი

ლევან გომთაას საბმე #0554-58

*ჩვეა XX საუკუნის რღაღე საბინელ საოცრებას წარმოადგენს, არ ნახულს და არ გაეონილს.*

ლევან გომთაა

*არადღერი არ არის გასაკვირი იმაში, რომ ადამიანები ნამების შედეგად აღიარებენ თავის ბრალს ჩაუღღენელ დანაშაულში.*

დ'კოენი  
(ინგლისელი ფსიქოლოგი)

ბედი იყო თუ შემთხვევითობა, არ ვიცი, ეს კია, რომ პირველი სამოქალაქო პირი, ვინც ლევან გომთაას შვიდ ტომად აკინძულ საგამომძიებლო „საქმეს“ არქივის მტვერი გადააცალა, მე გახლდით. ეს იყო 1991 წლის გვიან შემოდგომაზე, როცა საქართველოს მწერალთა კავშირის ოფიციალური მიმართებით აღჭურვილმა მივაკითხე მაშინდელი სუკის სამუშაოს ბიუროს. ნებართვის მიღების შემდეგ გულისანკალით მივაღვექი სუკის მრისხანე და ცოდვითავე შენობის ქიშკარს. ჩემდა მოულოდნელად, პირივემ თავაზიანად გასინჯა საშვი და გამატარა. სებაბივე თუ არა ეზოში, პირველი, რაც თვალში მომხვდა, იყო ძველ მოყვითალო კედელზე ჩამოკიდებული დიდი მრგვალი საათი. ვინ იცის, რამდენი დანაშაული ადამიანის უკანასკნელი მწერა გაიყიდა მასზე, – მწარედ გამკრა გულში და შენობაში გვედი. ფორმალური კანცელარიული პროცედურის

შემდეგ არქივის მუშაკს იგორ მირონოვს მიმართვის ბარათი ჩავაბარე და მოჩვენებითი სიმშვიდით დაველოდე ლევან გომთაას პირად საგამომძიებლო საქმეს. ამ ლოდინში ფიქრები წამომეშალა, თვალწინ წარმომიდგა აქ წამებულთა სახეები... საღისტური ნამებოთ ნახევრად გონებადაკარგული მიხეილ ჯავახიშვილი, ტიცვან ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ევეგენი მიქელაძე, სანდრო ახმეტელი და სხვა უდანაშაულო ადამიანები. იქნებ, სწორედ ამ სკამზე ისხდნენ, ახლა მე რომ ვზოვარ, და თუჯისთავა გამომძიებელს, ვისაც მათი ბედი წინასწარ ჰქონდა გადანყვეტილი, თავიანთ სიმართლეს გულუბრყვილოდ უმტკიცებდნენ. ამ სურათმა შემზარა, ჩემდა უნებურად წამოვღვექი და ოთახიდან გავედი. ვინრო დერეფნის ნაცრისფერმა კედლებმა უფრო დამიმძიმა გუნება. კიდევ კარგი, მირონოვი გამოჩნდა.

– პირველ სართულზე წამობრძანდით, იქ თავი-სუფალი ოთახია, იმუშავებთო, – მიიხრა გამართული, ზედმინევენი სუფთა ქართულით. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ, შესასვლელადან შიდა ტელეფონით მოვიგეს რომ დაფურცეკ, ქართულად წარუვდგინე თავი, მაგრამ მორიგემ ცვიად შემანყვეტინა – რუსულად ილაპარაკეთო... ოთახი ზედ ქუჩის პირას იყო და საკმაოდ მოზრდილი აღმოჩნდა. ადრე სუკის პარტიკომის კაბინეტი ყოფილა. არ ვიცი, განგებ თუ შერმთხვევით ლენინის დიდი სურათი ახლაც ეკიად კედელზე. იმ წუთებში ისტორიული ლაღაღისის განცხადება დამეფულა და ბიბლიური სენტენცია გამახსენდა – „არ არის დაფარული, რომ არ გაცხადდე...“. და აი, ახლა რეპრესირებულთა საქმეების გამომზეურებას და სიმახროლის გამარჯვებას ბოროტების იმპერიის შესაძირკვლად უძღურად დასცქეროდა კედლიდან. ალბათ, ამასვე განიცდიდნენ ჩემს გვერდით მსხდომი კოლეგები, მეცნიერ-მუშაკები და ჟურნალისტები, მრგვალ მაგიდას შემომსადარანი საარქივო მასალებს გულმოდგინედ რომ ქექავდნენ.

მეც ლევან გოთუას „საქმის“ უზარმაზარ ტომებს ჩაუფუცეკა. ჩემი ყურადღება მიიქცია პირველი ტომის ყედი შუგითი მიკროლმა სქელმა პაკეტმა. მასზე რუსულად მსხვილად და გარკვეულად ეწერა: „მინისტრის ნებართვის გარეშე პაკეტის გახსნა სასტიკად აკრძალულია“. ჩემდა უნებურად წაველი ხელი გახასხინლად, მაგრამ, რაღაც ძალამ შემაჩერა – სიფრთხილეს თავი არ სტკივა-მეთქი, გავიფიქრე და თავი შევიკავე. დღევანდელი ახალგაზრდობა ამას ვერ მიხვდება, მაგრამ სტალინის ეპოქაში გაზრდილი ადამიანი უსათუოდ გაიგებს. 1937 წლის რეპრესიების მიშის ინერციით ავიღე ტომი და სუკის საარქივო სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ მამია აღასანიას კაბინეტისკენ გავნიე. ეს ის აღასანიაა, რომელიც შემდეგ ფილიპ შარტაგას დაცვის უფროსი იყო და აფხაზმა სეპარატისტებმა მასთან ერთად დახვრიტეს სოხუმში. მან ამ პაკეტის არსებობა არ იცოდა. ტომი დაიტოვა და მეორე დღეს დამიხარა.

მეორე დღეს პაკეტისი ტომი კი გადმომცეს, მაგრამ ის საიდუმლო სქელი პაკეტი თითქმის ცარიელი იყო. მასში იდო მარტო ლევან გოთუას „საქმეებთან“ დაკავშირებით დაკითხულ ადამიანთა ვრცელი სია, უფრო სწორად – ვრცელი სექმატური ნახაზი, რომლის შუაში, წრეში ეწერა – „ლევან გოთუა“. ამ წრიდან გამოსული ხაზის ბოლოს მოკლედ იყო აღნიშნული, 1946 წლის განმავლობაში ვის რა რიცხვში, რა დღეს შეხვდა ლევან გოთუა და რაზე ისაუბრა მასთან. ამგვარი, აგენტიური თვალთვალის შედეგად 70-მდე პიროვნება გამოვლიდა „დამუშავებულ“ ჩეკას მიერ. მივხვდი, რაღაც ფრიად საიდუმლო მასალა ამოიღეს და პირთა საძიებელი დატოვეს მარტო. გული დამწყდა – ზედმეტი სიფრთხილედ გამოვიჩინე.

„საქმის“ მიხედვით, ლევან გოთუა პირველად 1925 წელს დაუპატიმრებიათ. ის და მამამისი, ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ «Миражение» რედაქტორი პართენ გოთუა დახვრეტას რაღაც სასწაულით გადაურჩნენ. – მამა გაუთავისუფლებიათ, მაგრამ შვილი სამი წლით გადაუსხვლებიათ. აქვეა დაცული ლევან გოთუას და მისი მეგობრების შესახებ არსებული სასამართლო მასალა და საზრალდებო დასკვნა.

მოვიტან ამონარიდს: 1925 წელი. 3 სექტემბერი, ამ ჯგუფს ბრალად ედება კონტრერევილუციური მუშაობა, რაც გამოხატებოდა მათ მიერ განაღებული ანტისაბჭოთა აგიტაციაში. ისინი იყვნენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდა წევრები: ვაშაკიძე, შონია, გოთუა, ყენია და კახაბრა. ეს ორგანიზაცია ჩეკამ მოწათა ფაშისტურ პარტიად და მსჯავრებულნი სამი წლით სოლოვკის საკონცენტრაციო ბანაკში გააგზავნა.

„საქმეში“ დაცულია ერთი საინტერესო დოკუმენტი. ეს არის აკტიუბინსკის საკონცენტრაციო ბანაკის უფროსის, ვინმე ფედელოვის მიერ პოლკოპატიმარ ვაშაკიძის დასასათება. აი, ესეც – „ვაშაკიძეს არ დაუკარგავს აქტიურობა პატიმრობის დროს და რჩება თავის ანტისაბჭოთა მოზიციანზე, ამიტომ ვაშაკიძის ცხოვრება არ შეიძლება დიდ და საზღვრისპირა ქალაქებში. 1928, სექტემბერი“. ეტყობა, პატიმრებზე მეთვალყურეობას და აგენტურულ „დამუშავებას“ ჩეკა ბანაკშიც ინტენსიურად აგრძელებდა; ცდილობდა, მათში თავისუფლების სული ჩაეკლა, რაც მოთავარა, ეროვნული თვითშეგნება წაეშალა და ჩერად ექცია. ოჯახზე, სამშობლოში დაბრუნებაზე ხომ ლაპარაკიც აღარ იყო. ზუსტად ასე აეკრძალა ლევან გოთუას პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ ცხოვრება საზღვრისპირა და ექვს ცენტრალურ ქალაქში.

ასე თუ ისე, ლევან გოთუამ დააღწია თავი სოლოვკების კატორღას. შემდეგ ამას მოყვა მეორე და მესამე პატიმრობა. სვედამარებულმა მწერალმა თავისი ცხოვრების 67 წლიდან 22 წელი გატარა კატორღას და გადასახლებაში. მისი პატიმრობის და ტრაგიკული ცხოვრების შესახებ დანვრილებით მოვუთხრობ მკითხველს ჩემს დოკუმენტურ რომანში – „ლევან გოთუას ნამების ქრონიკები“. მასში ნაწევრები იქნება გამოძიებულთა მიერ მწერლის დაკითხვის ოქმების გაცალბება, მათი ფაბრიკაცია სუკის შინაგან ციხეში და სხვ.

„საქმის“ მასალებიდან ჩანს, რომ გაუთავებელი თვალთვალით და ყოველნაირი ადამიანური უფლებების შეზღუდვით შეწუხებულ ლევან გოთუას და მის მეგობრებს საზღვარგარეთ გაქცევის მცდელობა ჭკონიათ, მაგრამ გამყოს, ვინმე „აჭარელს“ მათი გან-

### სუიორების ჯურღმულეობი

ზრახვის თაობაზე თავიდანვე უცნობებია ჩეკასათვის, ჩეკას კი ახალგაზრდები ვერ ნებაზე მოუშვია და მერე საზღვრის გადაკვეთის დროს დაუჭერიათ. ისინი „სამულმა“ „გაასამართლა“ და ყველა გააციმბირეს.

ამჟამად ცოტა ვერცლად მოეუხიბრობ მკითხველს ლევან გოთუას მესამე პატიმრობის შესახებ. მწერლის მესამე დაპატიმრების ორდერი გამოცხადებულია 1946 წლის 5 აგვისტოს. დაპატიმრების სასტიკი ხელს აწერს საქართველოს გენერალური პროკურორი შონია. აქვეა დაპატიმრების მომენტში ჩამორთმეული ნივთების სია – ორლულიანი თოფი, ვაზნები, მუწახევილი სალაროსა და უბის ნივანკები. უბის ნივანკებში ვრცელი ჩანანერია მისი პიესის, „ერეკლე მეფის“ შექმნისა და სცენაზე დადგმის შესახებ. ეს ჩანანერი ფასდაუდებელი მასალა იქნებოდა მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესასწავლად.

მესამედ და უკანასკნელად ლევან გოთუა დააპატიმრეს მესხეთში, ხერთვისის ციხის მახლობლად 1946 წლის 7 აგვისტოს. გაივლის ხანი და მწერალი ამ დაპატიმრებას ასე აღწერს: „ხერთვისის ციხის დახურული ადგილები მშვიდობით გავიარე, ვფიქრობდი, რომ ჩეკისტებს თავი კარგად მოვაგრიდე. დრო მოსაგები მქონდა, მაინც შარაზე უნდა ჩავსულიყავი და მტკვარი გადამეკვეთა. სხვათაირად სამშვიდობოზე ვერ გავიდიდი. ეს მძიმე მონაკვეთი იყო, რომელიც მე მქონდა ვასავლელი საზიფთო ზონა იყო. მართკო აქ შეიძლება და ჩემი დაჭრა. ისევ საგონებელში ჩავვარდი, როგორ მოექცეულიყავი, ვერ ვსაზღვრავდი, მაინც გადავწყვიტე ამ უბნის გადალახვა. სწორედ აქ მიმტყუნა ბეძმა. გზაშარაზე სწორილით ჩავიარე, მტკვარში ჩავტოპე და მერე მხარეს გავდედი. მანქანა არ ჩანდა, ვიფიქრე მეშველა-მეთქი, მაგრამ გვიან შევნიშნე, როგორ ქურდულად მომდევდა მანქანა. ისინი შებრუნდნენ, გზას შემოუარეს და წინ გადამიდგნენ, 4 კაცი მანქანიდან ერთდროულად გადმოხტა.

– ჩვენთან ნამობრძანდით, – ისეთი მეგობრული ტონით და მოპატიყებით მითხრეს თავაზიანად, რომ თუ არა ნაცნობი ჯაშუში, ნამდვილად სუფრაზე მოსატიყება მეგონებოდა კეთილმსურველებთან. არავითარი წინააღმდეგობა აღარ შეიძლებოდა. ეს არც თუ ღირსეული იქნებოდა.

მკერდში უჩვეულო სიმძიმე ვიგრძენი. ეხლა კი ნამდვილად მიზეზი, რომ რაღაც საშინელი მელიოდებოდა. ამის გამო მთელი ტანის ტანჯვა და ტკივილი ვიგრძენი. მტკვარს დავენახე, გამშრალი ხახა გავისველე და გავარვარებული თავი გავვიგრძიე.

მთელი გზა ღრმა ფიქრებში ვიყავი ნასული, ამდენხანს ჯაშუშები რომ დამდევდნენ, კიდევ კარგი დაპატიმრეს. მართალია, ყოველი დღე მძიმე გადასახანი და ღამე მოგებულად მიმანდა. ჩემთვის უჩუ-

მრად სულ იმაზე ვდარდობდი, სადმე არ „გადამჩეხონ“ ან „ჩამჩხირონ“-მეთქი და აი, სად მივოვეს.

დასამალი მე არაფერი მაქვს. ჩემი სინდისი სამშობლოს წინაშე პატიოსანი და უღალატოა. იქ ჩეკაში კი ყოველთვის ჩემი ერის მოღალატედ გამოვყავდი, ესეც ჩემი ბედის დაცინვა იყო“.

აუი წინათგრძნობა აუხად მწერალს – სხვა დანაშაული ვერა, საზღვარგარეთ გაქცევის მცდელობის „ბრალდება“ ნაუყენესო, – გავრცელდა ხალხში. სხვა „დანაშაული“ კი იყო ფიქრი იმის შესახებ, რომ 1942 წელს გერმანელი ფაშისტების თბილისში შემოსვლის შემთხვევაში საქართველოს საბჭოთა იმპერიის შემადგენლობიდან ვასალა რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის და ქაოსის გარეშე უნდა მომხდარიყო. ამისათვის ის ნაცნობ-მეგობრებისგან რაზმებს აზხადებდაო.

ჩვეული დაუბნობლობით ამახს, „ალიარებით“ ჩვენება რომ მიეღოთ. ჩეკისტებს უნდოდათ ამ „საქმით“ კარიერა გაეკეთებინათ. ისინი მწერალს ცემით ხდიდნენ სულს. თუმცა სჯობს, მივმართოთ სუკის არქივს, სადაც მის დანაშაულზე დაცული იყო ლევან გოთუას წინასწარი „ძიების დაკითხვის“ ოქმები და თვითმხილველთა ჩვენებები. აქ ვნახე სუკის ციხის ყოფილი მედიცინის მუშაკის, ე. მახათაძის ჩვენება. იგი ამბობს – 1946-47 წლებში სუკის შინაგან ციხეში ნაცემ პატიმრებს სამედიცინო დახმარებას ვუნევედი, განსაკუთრებით ტანჯავდნენ ერთთაქიან კამერის პატიმრებს, მათ შორის იყო ლევან გოთუაო.

მწერლის რეაბილიტაციის დროს მოკვლეული მასალიდან საინტერესოა ერთი დოკუმენტი – სუკის შინაგანი ციხის ზედასმედეული, ვინმე ვ. დოცენკი ასეთ ჩვენებას იძლევა – „ლევან გოთუა გამომთიებელთან დაკითხვაზე მე დამყავდა. ის კი ისე იყო ნაცემი, რომ სიარული უჭირდა. ამიტომ იძულებული ვიყავი, მხარში შევდგომოდი და ნაბიჯის გადადგამი შევეხლებოდი. მას სამედიცინო დახმარებას ხშირად უწევდნენ. ლევან გოთუა „ადინოჩკაში“ ძალიან დიდხანს ჰყავდათ“.

მოგვიანებით ლევან გოთუა ამ „დაკითხვებს“ ასე მოიგონებს – „შინსახკომის ციხეში მაგ ჯალათებმა ძალიან ბევრი მანჯალეს, კინალამ თავი მომაკვლევინეს, მაგრამ საბოლოოდ არც მე დავაკელი, სულ მტარვალები, მატყუარები და საქმის მომჩმახველები ვუძახე. შემდეგ ისიც მივყოლე, უსათუოდ მოვა დრო და თქვენ ყველაფერზე ავებთ პასუხს, ამ სკამზე თქვენ დასხვდნენ, აი, მაშინ ვნახე, როგორი ვაჟკაცები იქნებოთ. გგონიათ შერჩებათ უმიზეზოდ ამდენი ხალხის ნვალება-მეთქი?! გაცოფებული რაფავა სკამიდან ნამოხტა და შეშინებულმა დაიბლაგა: ეს არასოდეს არ მოხდება! ნაიყვანით აქედანო! – ხომ შეგეშინდა?! ნახეთ, თუ ასე არ

იქნება! – რაც ძალი და ღონე მქონდა, ისტერიულად ვლრიალებდი ყველას გასაგონად და ვებრძოდი ოთხ კაცს, გამალებით რომ მირტყამდნენ და ჩემთვის პირის დამუწვა უნდოდათ”.

იხე ყველაფერი კარგი ავიხდეთ, ჩემო მკითხველო, როგორც ლევან გოთუას ეს წინასწარმეტყველო რიგი სიტყვები აუხდა გენერალ რაფავას. გასული საუკუნის 50-იან წლებში, თბილისის რკინიგზელთა სახლში, როცა წერეთელი, საციკი, რაფავა და სხვები გაასამართლეს, დარბაზში მყოფმა ლევან გოთუამ რაფავას მიამხა, – ხომ გითხარით, ეს ბოროტება არ შეგჩნება-მეთქი... სასჯელის უმაღლესი ზომის – დახვრეტის გამოცხადების დროს რაფავამ შიშით ჩაისვარა და იქაურობა ააქეთა..

ლევან გოთუას თვითმკვლელობას რაც შეეხება, ამის მცდელობა მართლაც ჰქონდა. ერთ-ერთი „დაკითხვიდან“ საკნისკენ მიმავალი ნაცემი მწერალი რადიკალიზაციის დასახტომია ზედამხედველს და მესამე სართულის კიბის მოაჯირიდან გადახტარა პირველი სართულის შიგნით კუთხედზე გაჭიმულ მავთულის ბადეზე დაცემულა. ბადემ გადაარჩინა სიკვდილის მართალია, სიკვდილს სასწაულით გადაურჩა, მაგრამ ძალიან დაიჭყუა. თავის მოკვლა არ გამოუვიდა ლევან გოთუას, ასე ინება მისმა ბედისწერამ.

გაუგონარი სისასტიკით მოექცნენ ლევან გოთუას „საქმეში“ გასულ პირებს. რეაბილიტაციის დროს, როცა „საქმე“ გადაიხინჯა, ლევან გოთუა მის ერთ-ერთ ჩვენებაში ამბობს – ვახტანგ ბუნუკელითან დაპირისპირებისას, რომელიც ორჯერ შედგა, ორივეჯერ ბუნუკელი არაადამიანურად იყო ნაცემიო.

გრიგოლ ლალიაშვილი განთავისუფლების შემდეგ საჩივარში წერს, რომ გამომძიებელმა მისი ჩვენებები თვითნებურად გაასწორა და დაამახინჯა. მაგალითად – ის რაიმე არალეგალური ორგანიზაციის წევრი არასდროს ყოფილა და, ამდენად, იოსებ ხუციშვილს ვერ გადაიბირებდა. იოსებ ხუციშვილთან დაპირისპირებაზე გრიგოლ ლალიაშვილი ფიზიკურად დაამუშავებინა გენერალმა ნიბლაძემ, ხოლო გამომძიებელ მარქაროვს „დაკითხვის“ ოქმები თავისი შეხედულებისამებრ გაუფორმებია. ამიტომ მასში უამრავი სიყალბე და ცილისწამება არისო, – წერს ყოფილი პატიმარი.

ივანე გუბულაძე პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ დაწერილ განცხადებაში აღნიშნავს, რომ გენერალი ნიბლაძე და გამომძიებელი მარქაროვი დაკითხვის დროს შურაცხყოფდნენ და ჯალათ-მწამებლებს შუებრალეზლად აცემინებდნენ. მიუხედავად ფიზიკური ძალადობისა, ივანე გუბულაძე ვერ აიძულეს, ცრუ ჩვენებაზე მოწერა ხელი. მას ათწლიანი პატიმრობა მინც მოუსაჯეს. ივანე გუბულაძის ცემის და კბილების ჩამტვრევის ფაქტს ლევან გოთუაც ადასტურებს.

მისი „საქმის“ გადასინჯვასთან დაკავშირებით ნადეჟდა ჯავახიშვილი განცხადებაში წერს, რომ ლევან გოთუასთან მისი დაპირისპირების ოქმი შედგენილ იქნა არასწორად, ტენდენციურად, რადგან მათ შორის არავითარი ლაპარაკი არ ყოფილა არალეგალური ორგანიზაციის შესახებ.

ლევან გოთუა ერთ თავის მოგონებაში წერს – ჩეკა ცდილობდა, შეეკონინებინა ჩემი საქმე და დემტოციებინა, ვითომ ომის წლებში ჩამოვყალიბებ არალეგალური ორგანიზაცია. ეს იმდენად ყალბი ბრალდება იყო, რომ თვით ჩემისტელსაც არ სჯეროდათ. ამიტომ დაკითხვის ოქმებს ხელს არ ვანერძობ.

ჩემ არქივში დაცულ, ქსეროქსზე გადაღებულ ლევან გოთუას დაკითხვის რამდენიმე ოქმს გადავხედე და მართლაც ვერსად ვნახე მწერლის ხელმოწერა. სამაგიეროდ, პუნქტუალურად არის ჩამოინკვივებული რაფავას, ნიბლაძის, მარქაროვის ხელმოწერები.

უსამართლო სამართალმა თავისი ჰქნა: ლევან გოთუას, ამჯერად უკანასკნელად, 10 წელი კატორღა მოუსაჯეს და შორეულ გადასახლებაში გაგზავნეს. მწერალმა გაუძლო ვორკუტის და ინტას საკონცენტრაციო ბანაკების ჯოჯოხეთურ ყოფას, საიდანაც სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა და გააგრძელა შემოქმედებითი მოღვაწეობა. მაგრამ ბატანჯვა სხეულმა უღალატა, ავადმყოფობამ დარია ხელი და სამოცდაშვიდი წლისა 1973 წლის 30 იანვარს გარდაიცვალა.

„არა ღვთისათვის, არა ჩემთვის, არამედ თქვენთვის და ერთობლივ საქართველოსთვის“ – ასეთი ეროვნული სულით დამუხტული ეპიტაფია ამოკვეთილ ლევან გოთუას საფლავის ქვაზე.



სწო. ვინ მოვიდა მსგე მომავლად?

# ბედა ახალაია

პირველი პრემიის ლაურეატი

საქართველოს მწერალთა კავშირმა თბილისის მერიის მხარდაჭერითა და თანადგომით ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150-ე წლისთავთან დაკავშირებით ჩატარა ახალგაზრდა პოეტების საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც ორასზე მეტმა შემოქმედმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის ახალგაზრდებმა სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. უღრნალი „ცისკარი“ სიამოვნებით ვთავაზობთ როგორც კონკურსში გამარჯვებულს, ასევე მასში მონაწილე გამორჩეული ავტორების ნაწარმოებებს.

## ლექსი გაღონები

ოთხი წერილი

სონეტების რკალს ვუძღვნი დედას

„ლექსი მადონა, იკითხავენ ბავშვები ერთ დღეს –  
რაც ხდება, ხდება, რა მოხდება შემდეგ და შემდეგ?“

პოლ მაკარტნი, ჯონ ლენონი

## ლადო ასათიანის წერილი

„ნეტავ სადა ხარ ან რომელ მხარეს,  
სულზე უტკბესო დედილო ჩემო?“

დ – ეკემბერს ყოველთვის, რა გასაკვირია, ახლავს სიცივე. თბილისში კვირაა. ირიბად ბარდნის და თოვლის საფარი მიიწვეს მაღლა და მაღლა და, შესაბამისად, სიჩქარე ფანტელთა ვარდნის

იკლებს. მე ქლექი მაქვს, ძვირფასო დედილო, ახლა, სულ რაღაც დღეები თუ დამრჩა ფინალურ გზამდე, ეგ სენი როდესაც სხეულში მოილევს სახრავს, სტუმრობით გაბრიელს (სხვა შანსი არა მაქვს) დავდე

პატივს და მანამ კი... ველარსად იპოვნი წამლად  
 ლექსს, ღამით ფურცლამდე ამაოდ მივდივარ ფორთხვით...  
 სიკვდილს და ჩემს შორის ხანდახან პარალელს ვავლებ.

მთვარეა ლუდსავსე (ქაფქაფა, ზევიდან) კათხა...  
 ო, როგორ მჭირდება მე შენი მდულარე ცრემლი,  
 წერილსაც აღარ გვწერ, ნეტავი, დედილო, სად ხარ?!

## სერგეი ესენინის წერილი

*„მწერენ, რომ თვალებს განგაშით ავსებ,  
 რომ მძიმე ფიქრებს ჩემს გამო აშლი,  
 მერე მალიმალ გადიხარ გზაზე  
 ძველმოდური და ფართხუნა თავშლით“.*

**ე** – რთგვარი ხიბლი აქვს ქალაქსაც, როდესაც ღამდება,  
 შენ მწერ, რომ (რატომღაც) სოფელში უფრო ვარ საჭირო,  
 მწერ, თავის ქებაში თითქოსდა ძალიან ვაჭარბებ,  
 ტყუილად ვუდგები (გგონია) ჩემს ლექსებს თავდებად.

ჩემთვის ხომ არაა ნაცნობი დედური განცდები,  
 მე უფრო მჩვევია ქალების ქამანდით დაჭერა,  
 ცალ ფეხზე მკიდია, ამისთვის ბევრჯერ რომ გამჭორეს,  
 ვისი რა საქმეა, მე რომელ კახპასთან დავწვები

ან რომელ დუქანში ვთვრები და მერე კი ვხულიგნობ,  
 ან რომელ ჯიხურში შევიძენ გაზეთებს ურიგოდ...  
 მეზმანა წუხელ და ამ დილით პუშკინი გავშალე.

გიგზავნი სასანთლეს, ასევე სპილენძის სამოვარს  
 და იმედს ვიტოვებ, როდესაც სოფელში ჩამოვალ,  
 ნახმარი დამხვდება ის შენი ძვირფასი თავშალი!

## ბალატიონ ტაბიძის წერილი

*„დედა!.. ბევრია გზები სავალი,  
 ხალხს – სამსახური უფრო მრავალი,  
 დამლოცოს შენმა კეთილობა ჩრდილობა,  
 მძიმე ეკლიან გზით მიმავალი!“*

**დ** – უქნები გაიღო, ყორანი მადათოვს დასტრიალებს  
 (თქვენთან კი უბერავს ნახევარნიავა-ორპირული),  
 იღვიძებს ქალაქი ნელ-ნელა (დილაა ადრიანი),  
 მზის ვიწრო ხვრელიდან ცას სითბო ძალუჟად ეპარება...

დღეს სულის სიობემ ჭუჭყიან ცრემლებად გამოჟონა...  
ინყება ბურუსი იქ, სადაც თვალები მთავრდებიან,  
მომბეზრდა სიცოცხლე, ხვალ უნდა ვიშოვო კარბოლმყავა  
ან აქვე მალალი და ჯერაც ქალწული ფანჯრებია.

ვცადე გადაკარგვა (ორი კვირის უკან) მატარებლით,  
მაგრამ რა ხეირი – ბოლო გაჩერება ბათუმი.  
ახლა რომ გენახე, ვიცი, რა თქმა უნდა, მიტირებდი,  
ჰოდა, დაგამშვიდებ: შენი საყვარელი გატუნია

რომც მოკვდეს, სიკვდილი დარჩება ურჩხული უთავებო,  
მე უკვე მეფე ვარ და ვიცი, მომელის უკვდავება!

### ბექა ახალაიას წერილი

*„მანუხებს ის, რომ გრძნობა შენდამი ვერ მოგიტარგმნე ბგერებად,  
ცრემლების სიმსხო ასოთა დაღვრით მგონი ტყუილად მოვცდი,  
ის, რომ მიმანდა ბავშვურ ნაბიჯად მშობელი დედის ფერება  
და მე სულელი შუალამისას მხოლოდ მიპარვით ვკოცნი –*


*დი და კარგ შეილად თავი მომქონდა (არადა სისხლი გავუშრე),  
„დიდა“ (მეგრ.) თბილად მაკრთობდა უფრო, ვიდრე ქართული „დედა...“*

ა – ხლაც (შენ იცი) ჩემი ცხოვრება მიეძინება მდორედ,  
ეს ერთადერთი განძი შემომრჩა (რა ვქნა) – ღირსებას ვერ ვთმობ,  
ჯერ იმ ასაკში მართლა არა ხარ, მოტეხილი რომ ეთქმით,  
ჩემი ასეთი უკულმართობით გაჭალარავდი თორემ.

პოეზიაზე ლამაზი ქალი მე არ მყოლია ჯერ ხომ,  
მას რამდენიმე ჩემზე მაგარი ნამდვილად ჰყავდა გვერდით,  
მეც გალასავით მიყვარს დალევა, თუმცა მასავით ვერ ვწერ  
(პულსის ბგერები შემოელა მაჯის დაბზარულ ჭერხოს)...

ბევრჯერ გატკინე. დრო რომ ფირივით გადავახვიოთ უკან,  
რა ვქნა, კვლავ ასე მოვიქცეოდი, არ შემიძლია რაკი  
სხვაგვარად, ჰოდა, გათხოვ პატიებას ორგზის (წვალებით ნაშენ

ჩვენს ლამაზ სახლში მზეა ყოველთვის ღრუბლიანობის მერე).  
დე, მე ამაღამ კართან დაგხვდები, შუბლზე გაკოცებ და შენ  
თბილი ამბორი გაუნანილე თმის გათეთრებულ ლერებს!



# ნიკა ჩქატიანი

პირველი პრემიის ლაურეატი

## სხვა კაცებს

*მიშა რატანს*

არ შეგვიძლია.

რაც შეეძელით, ის იყო მხოლოდ,  
რომ ჩვენს საკუთარ სამშობლოში წავაგეთ ომი.  
ამ ომში მკვდარი, დაღუპული ბიჭების ბრძოლა  
და თავგანწირვა დავაფასეთ მღუმარე დგომით  
მათ საფლავებთან, მათ შავოსან დედებთან, ძმებთან,  
დებთან, ცოლ-შვილთან, მეგობრებთან... რა ჩვენი ბრალი  
იყო, რომ ასე გამოვიდა?! შეგვინდე, ღმერთო!  
ქვეყნის წინაშე მოვიხადეთ პირნათლად ვალი:  
როცა იბრძოდნენ ის ბიჭები, კედებოდნენ, ჩვენ კი  
ვისხედით სახლში და ძალიან ვენერვიულობდით...  
და კითხულობდნენ პატარები, – რომ იწყეს დრეკა  
მთებმა, როდესაც გორგასალი შედგა. ვტყუოდით  
ყველა ისევე, როგორც ერთი; შიმშილი ვცხოვრობთ,  
რა დაგვრჩენია, – საფლავებთან ვისროლოთ ზაღაპი.  
არ შეგვიძლია.

რაც შეეძელით, ის იყო მხოლოდ,  
რომ სხვები მოკვდნენ კაცებად და ჩვენ ცოცხლად დავვლით.  
არ შეგვიძლია.

რაც შეეძელით, ის იყო მხოლოდ,  
რომ სამონყალოდ გამოწვდილ ხელს გავარტყით მხარი,  
მერე კი მშვიდად შევასრულეთ ჩვენ-ჩვენი სოლო  
გამოსვლა (სულ სხვა სიმღერიდან) და გავიხარეთ,  
რომ დამსწრე საზოგადოებას მოვწყვიტეთ ტაში.



# ახალგაზრდა პოეტების კონკურსი

ადამიანებს, ვინც ჩვენსავით მხარი იტყინა, ვინც გამორბოდა, როგორც ჩვენ და ა.შ და ა.შ. ... ეჩქარებოდა, დრო არ ჰქონდა, ხოლო ისინი, ვინც არ აენწყნენ ფეხის ხმას და მიწაში წვანან, ვინც არ გარბის და არც ჩვენსავით უგვიანდება არსად, ვინც ყელში გამოისვა ამ დილით დანა, რომ კიდევ ერთხელ აღარ ნახოს, როგორ ღამდება ქალაქში, სადაც ჩვენ დავრბივართ, სოლოებს ვმღერით, სადაც ტაშს ვუკრავთ ერთმანეთს და საზიზღრად ვლოკავთ, ქალაქში, სადაც იშოვება არც ერთი ღერი სივარეტის და ყველა ხეზე კიდია თოკი გამონასკველი საიმედოდ, რომ ჩამოხრჩობა არ გაუჭირდეთ, ვინც გადარჩა, იპოვონ ყულფი ადვილად, გაყონ კისერი და ჩვენ-ჩვენთვის „პოპლა“ ვიყვიროთ, სხვების გასაგონად, – „დიდება უფალს!“ არ შეიძლება, თვითმკვლელებზე ვილოცოთ. ვწუხვართ. ავუბათ მხარი ერთმანეთს, ის ნატყენი მხარი, რომელიც გუშინ სიჩქარეში ვიტყინეთ. ნულარ, ჩვენ ნულარავინ შეგვანუხებეს, დრო აღარ არის, დრო აღარ არის დღეს სიტყვების: „შენთან ვართ“, „წყნარად“, „ნუ გეშინია“, „გამაგრდი...“ და მთქნარებით ვკედებით. ყველა თხოვნაზე დასმული გვაქვს ბუჭედი – „არა!“ ჩვენ „პო“-ს სათქმელად (რა თქმა უნდა) არ გამოვდგებით.

არ შეგვიძლია.  
 რაც შეეძელით, ის იყო მხოლოდ, რომ მივატოვეთ მეგობარი ქუჩაში ღამით და გადაიქცა სადარბაზო (ნამდვილად) სოროდ და შიგ თავივით შემძვრალეებმა სულ ერთი წამით (ნეტავ, რა ძალამ გვაიძულა) ვიბრუნეთ თავი და იდგა ჩვენი მეგობარი ქუჩაში, როგორც იესო ქრისტე, ილიმოდა, ამბობდა – „ავე“, ჩემზე ნუ სწუხხარ, მეგობარო, არ მცია, ზოგი რამ ისე მარტივია, ფიქრადაც არ ღირს. დრო, როგორც წესი, არასოდეს ბრუნდება უკან... და ახლა, როცა გვახსენდება ის ღამე, ვაღებთ პირს ისე, თითქოს სასულეში გადაგვცდა ლუკმა.

არ შეგვიძლია.  
 რაც შეეძელით, ის იყო მხოლოდ, რომ ვერ მოვთოკეთ ჩვენი ჟინი, ჩვენი აზარტი, და დავივინყეთ მშობლების და შვილების ყოლა, – ვინც ჩვენ გაგვზარდა და ვინც თვითონ ვეღარ გაგვზარდეთ, ვინც გავიმეტეთ სამუდამო სიდუხჭირისთვის, რადგან წავაგეთ ყველაფერი – სულების ჩათვლით... და დღემდე ჟონავს ცხოვრებიდან ჩვენი „სირისტი“, ჩვენი სისუსტე, ჩვენი, ჩვენი და არა მათი.

არ შეგვიძლია.  
 რაც შეეძელით, ის იყო მხოლოდ, რომ თავხედურად შევუბრუნეთ ჩვენ სიტყვა მამებს, ხმა ავიმალეთ მოხუცებზე, ცოცხლებზე, ხოლო, რომ დაიხოცნენ, მოკრძალებით ვუთიეთ ღამე... მწუხარე სახით ხელს ვართმევდით მონაწილეებს

ამ ჩვენი (დიდი) მწუხარების, რას ვიზამთ, – ყველა დავიხოცებით, ჩვენც მოვკვდებით, როცა ინებებს ღმერთი, დაფიქრებთ ამქვეყანას, არ არის შევლა, ბოლოსკენ მაინც შეილები ვართ მამაც და შეილიც სიკვდილის, რა ვქნათ, თავს ვიმხნევეთ, სახეებს ვიღებთ ისეთს, რომ თითქოს გვანუხებდეს სინათლე დილის, და უფრო მეტად ვილუშებით და ვირტყამთ მჯილებს მკერდზე, რომ ამ მკაცრ ცხოვრებასთან პირისპირ დავრჩით და აღარ გვახსოვს, მამებზე რომ ავნიეთ ხელი... ას-ას წელს ვცოცხლობთ, უფალიც ხომ სხვა კაცებს არჩევს თავისთვის, ვლიზიანდებით და გვიშრება ყელი, გვიანდებიან წამსვლელებიც და დროა უკვე, დაფმარხოთ მკვდარი, შემოვუსხდეთ განყობილ სუფრას და, თუ ვილაცამ ვერ შეგვნიშნა, გამოვრჩით თუ კი, უფრო ხმამალა დავიყვიროთ – „დიდება უფალს!“ წამოვდგეთ ფეხზე, ყველამ ერთად ვთხოვოთ, რომ ბოლო სიკვდილი იყოს ეს ჩვენს შორის, გვაკმაროს, ამინ! არ შეგვიძლია.

რაც შეეძელით, ის იყო მხოლოდ, რომ ჯერ ცოცხლად და მერე მკვდარი დაფმარხეთ მამა.

მერე კი, როცა ჩვენს თავებთან დავრჩებით მარტო, როცა კედლიდან შემოგვხედავს სურათი მამის – მკედრის, გარდაცვლილის, აღარ მყოფის და გვკითხავს – რატომ? და თვალს რომ ველარ გავუსწორებთ და შემდგომ ამის დავიხშობთ სმენას, დავყრუვდებით და მაინც რომ არ, რომ ვერ დავაღწევთ თავს ამ ხმას და დავიწყებთ ხროტინს, რომ გვეპატიოს პურიტანთა რიგებში დგომა და დახურული ფანჯრებიდან ნეკერჩხლის ტოტი, რომ გამოჩნდება საიმედოდ გამოფსკენილ ყულფით, კადრი რომ თვალწინ გაგვიელვებს და ტანში გაგვცრის, როცა ოთახში არ დარჩება არც ერთი ყლუპი ჰაერი, მხოლოდ ხელგანვდილი მოხუცი კაცი იდგება ჩუმად, თავდახრილი და იქვე მასთან ყველა, ვინც ასე უარვეყავით, გავნირეთ, მოვსპეთ, რიგი და რიგი, წყება-წყება, დასტა და დასტა ჩვენი ბინძური საქმეების, დაცინვა, გმობა ღმერთის... და აღარ შეგვიძლია... ეს არის ბოლო, რისკენაც მთელი ცხოვრებაა (ჯიქურ) მივიწვევთ, არ შეგვიძლია.

რაც შეეძელით, ის იყო მხოლოდ, რომ ამ სიზმრიდან ვერასოდეს გამოვიღვიძებთ.



# აშოც გაბტილიანი

პირველი პრემიის ლაურეატი

●

ჩემში რიტმულად ცახცახებს უმნიშვარი სტრიქონი,  
 არ შემოძლია სიტყვების შერჩევა  
 იმიტომ, რომ ღმერთს ვუყურებ თვალებში...  
 და მეჩვენება, რომ მის მცხუნვარე მზერაში  
 იბადება პირველი ნედლი სიტყვა,  
 რომელშიც გატანჯული ნაღველი ხმაურობს.  
 და აი, ახლა, პირველი ადამიანის მსგავსად  
 მინდა, სიყვარულს მოვწყდე და დავიყვირო,  
 მაგრამ ხმა არ მემორჩილება  
 და ტკივილით მელრიცება სახე.  
 გაქცეულს უფალი დამადევნებს  
 უსიტყვო ლოცვებს,  
 იმ სიტყვებს დავეძებ  
 და ვერსად ვიპოვე.

## განცხადება

შენი მოღვაწენი – განდევნილნი,  
 ხალხის მამები – ხელდაუბანელი პილატენი.  
 წმინდა სამშობლოს  
 დავტოვებ ოცდაათ ვერცხლად.

სომხეთის რესპუბლიკა,  
 სოფელი სურენავანი,  
 გადამხმარი ბოსტნების ქუჩა –  
 აშოც გაბრიელიანი.

სომხურიდან თარგმნა მარეზ კეზუამ

ცაყაღი



ქართული კონსტრუქციის ინჟინერული კომპანია

# ალიკ ალიძელი

პირველი პრემიის ლაურეატი

## ახალი ფოტოსურათი

გაშიშვლდნენ ხეები,  
 ყვითელ ფოთოლთა სასაფლაოდ  
 იქცა ქალაქი.  
 ახლა ერთხელაც  
 ღირს დაფიქრება,  
 როგორ სჯობს, ნეტავ,  
 შავ-თეთრი გადაიღო ფოტოსურათი  
 თუ კვლავ ფერადი?  
 ან ეგებ სულაც მთლად გაშიშვლდე,  
 როგორც აი, ამ ფოტოსურათზე,  
 გაიშხლართო და დაივიწყო  
 ყველა პრობლემა...  
 და შეგეძლოს თაზა სხეული,  
 რომელიც შენ ერთს გებოძა,  
 ვაზის ფოთლებზე გადაფინო და  
 ჩამოიბერტყო ცოდვები, როგორც  
 ვაზმა ფოთლები...  
 და იმ წამშივე გადაიღო  
 ახალთახალი ფოტოსურათი.

### გული ბევრს ლაპარაკობს

გულში გავივლე  
კვლავ მავანთა ლანძღვა-გინება.  
გულში გავივლე  
ამ დრო-ჟამის ლანძღვა გინება.  
გულში გავივლე  
გაშიშვლება ლამაზი ქალის.  
გულში გავივლე  
მარტოობაში 50 გრამის გადაკვრა.  
გულში გავივლე,  
ჩამოჯდომა სად არ ეგების.  
გულში გავივლე,  
ფოთოლგაცვენილ ხის კენწეროზე აცოცება და  
შეძახილი: „მოვდივარ, მინამ თავი დაიცვას!“  
და კიდევ ერთხელ გულში გავივლე...

აზერბაიჯანულიდან თარგმნა  
იმიო მამედლიმ



ქონსტანტინე კოსტოპოლიძე  
ქართული კინოს ერთ-ერთი უდიდესი  
მწიფე პირობაა. მისი კინო  
მუშაობაში მისი სტილია  
მთავარი. მისი კინო  
მუშაობაში მისი სტილია  
მთავარი. მისი კინო  
მუშაობაში მისი სტილია  
მთავარი.

# გისმათი

პირველი პრემიის ლაურეატი

## არ უნდა ყოფილიყო

ყველაფერი ასე უბრალოდ არ უნდა მომხდარიყო...

ნაცნობებისგან შენი ტელეფონის ნომრის აღება,  
ხელის ჩაკიდება,  
სახლში გაცილება,  
ჯერ ტუჩებზე,  
შემდეგ სულზე შეხება  
ესოდენ უბრალოდ არ უნდა მომხდარიყო...

ოცნების ციხესიმაგრე ავიღეთ თუ არ გამოვიცალეთ.  
ორივე საჭიროზე  
მეტად დავიცალეთ.

რალაც-რალაცები არ უნდა დაგვესრულებინა,  
არ უნდა გაგვენაწილებინა,  
არ უნდა გაგვეზიარებინა,  
ცოტა გვესაუბრა ტელეფონით,  
მესიჯები შეგვემცირობინა  
და, იქნებ, ტუჩებითაც არ შეეხებოდით...  
ჩვენი დარდი ჩვენვე  
უნდა გვეზიდა.  
წყენებს შორის

# ახალგაზრდა პოეტების კონკურსი

ღიმილი უნდა მიმოგვეფანტა.  
სახლების, მანქანების, ქუჩების,  
ტელეფონში საუბრით ნათევი ღამეების  
დავიწყება,  
სურათების ნაშლა  
და ამ საღამოს  
ამ ლექსის ასე ერთ ამოსუნთქვად ამოთქმა  
ასე ადვილი არ უნდა ყოფილიყო.  
არ მაპატიო!

## სევედა

მურისფერი ღამე ვალივით მძიმედ განევს,  
ქუჩაში კი წვიმს.  
სახლები ირეცხება, ხეები წყალს სვამენ.  
კაცი კი ათას რამეზე ფიქრობს...

სამი საათია.  
გინდა, მეზობელი გააღვიძო და სთხოვო:  
იქნება, ცოტა სითბო გვასესხოთ?

აზერბაიჯანულიდან თარგმნა  
იმიერ მამედლიმ



# მამია ჰვეტყე (პაატა ჰვატაცხელია)

წამახალისებელი პრემიის ლაურეატი



ლოცვის თქმა მინდა, მაგრამ გულში სხვა რამეს ვამბობ, სენაკის კართან თეთრი ჩოხით იღვიძებს დილა და სარეცელთან შიშველ სხეულს ცოდვებით ვამკობ, მერე კი ჩემს ჯვარს ავიღებ და გავდივარ ფრთხილად. წუთიდან წუთი საუკუნო განაჩენს მიქსოვს, რეკავენ ზარებს, მაგრამ გულში სხვა მაქვს ხმაური. უფალთან ყველა დაფიქრებით რაღაცას ითხოვს – ო, ელი, ელი, ამაცდინე ეს საზღაური.

უფალო, იქნებ, ცოტა ხანი გავცვალოთ როლი – შენ გახდი პეტრე და მიხვდები, ძნელია ერთობ, კაპერნაუმში ვიცხოვრებ და არ მინდა ბროლი, შენ ჩემი ზიდე, მე გოლგოთას ავყვები, ღმერთო. სინედრიონთან უფრო მეტად ავიტან შოლტებს – გაჩენის დღიდან ისედაც ხომ ამკიდეს ჯვარი – და ასე ვივლი უსასრულოდ, მოვკვდები ოდეს, ფარისეველთა რა ხანია დამყვება ჯარი. შვიდგზის და ბევრჯერ მოთმინებით ავიტან შიმშილს, ეკლისგან ისევ დავიკანრავ უფერო სახეს, ავიტან ბრბოსაც, ყოველთვის რომ ყველაფერს მიშლის, რა მოხდა მერე – გუშინ თურმე ზაქესთან მნახეს. ცოტაც და, ქარში მოთმინებით გავივლი ზღვაზე, წელგამართული მოვიტოვებ მე განცდის ფერდობს, მერე დიდებით გამოვჩნდები საყვირის ხმაზე – ადამიანად ყოფნა უფრო ძნელია, ღმერთო.



●  
ხომ იცი, ღმერთო, შენ ხომ იცი, რას ვბედავ ახლა,  
როცა ფოთლებში ასე ცელქად თარეშობს ქარი.  
ისევ კარს მიღმა ვიმალები, შენ კი არ ჩანხარ,  
მაგრამ არ მინდა საყვედური, მენეროს ჯვარი.  
ხომ იცი, ახლა რა ცუდად ვარ, ნამერთვა ძალა,  
ვურჩობ და მაინც არ გამიშვა ბოლომდე ხელი.  
ვიღაცამ გულში გულწრფელობა რომ ამიკრძალა,  
მე მივდიოდი გამომშრალი – უცხო და ხმელი.  
ხომ იცი, ახლა რას გავბედავ, არა მაქვს შიში,  
ვერ ავიცდინე ეს ამდენი ნასროლი ქვები,  
გადაუარეს, ნამიბილნეს პატარა ნიში  
და რატომ, ღმერთო, მიმახვედრე მე თუ ვერ ვხვდები.  
ნავალ-თქო, მაგრამ მეცოდება ორსული ცოლი,  
ტკივილს კი უფრო ვინ ატარებს, ეს ხომ შენ იცი.  
ბავშვებსაც ასე ვერ დავტოვებ, იტირებს „მოლი“,  
ბებოს ნაქსოვი წინდასავით ირღვევა ფიცი.  
ვერ ვუძლებ, ღმერთო, როცა ძარღვში მიფეთქავს ლექსი,  
როცა ჩემსავით არსებობას ართმევენ მასაც.  
წუხელის დედის გამომცხვარი გადაამცდა კექსი,  
შენ კი უფრო მეტს მიხვდებოდი, ვერ გეტყვი რასაც.  
მომეშვა ცოტა, დანარჩენიც იქნება მერე.  
არ მტკივა, ისე განვიკურნე, მგონია, ერთობ.  
შენ დაწერამდე წაიკითხე, რაც ახლა ვწერე.  
შენს ჯვარცმულ სახეს რომ ვუყურებ, მრცხენია, ღმერთო.



# ზაზა ჰტელი (სოციალისტი)

ნამახალისებელი პრემიის ლაურეატი

●  
გამოიდარა, ცამ შეიხსნა ღრუბლების თასმა,  
პირველი კვირტი გაეპარა ხელიდან სეზონს...  
და ტყეებიდან გამოქცეულ იების თავსხმას  
შინდის ყვავილში დაემალა დამფრთხალი ეზო.

მზემ სოფლის ირგვლივ ამოხლართა სხივების წნელი,  
მერე დაიწყო მარტის თვეზე აპრილის მცნობა.  
ხოლო ალუბლის სატრფოსადმი გაგზავნილ წერილს  
ატმის ყვავილზე დაწერილი მოჰყვა თანხმობა.

ვაზის ფოთლებზე საქორწინოდ გაეწყო სუფრა  
(ალუბლის ტოტმა ვაშლებს ტოტი მოსტაცა მაინც!).  
პატარძალი კი - ნაყოფი რომ ეზრდებოდა უფრო,  
ვარდის კოკორში (ცხრა დღის თავზე) გააჩენს მაისს...

### ალაზნის მიღმა... საქართველოში!

რამდენჯერ ცრემლით დაუნყია თვალის გახელა,  
თუმცა ძარღვებში დარდმა გენი ჯერ ვერ ჩახუთა!  
ძნელია, როცა საინგილო ჰქვია სახელად  
და ვერ იბრუნებს ისტორიულ ჰერეთს – საკუთარს...  
დროის დინებამ ამოხია მატრიანედან,  
განგებამ დააკაბადონა, როგორც წიგნაკი.  
– იცით? – ინყება საქართველო სწორედ აქედან,  
ჰოდა, ვალია, გავეფრთხილდეთ! ამის მიღმა კი  
წყალს წაულია უდაბნო და მთები – ხრიოკი!  
მინდა სოფელში ბერიკაცი დილიგს\* ბარავდეს,  
მერე ბოსტნიდან (სალამო ხანს) პაპა იობის  
მეზობლის ბავშვი საზამთროს და კიტრებს პარავდეს.  
ლამით კი ლოცვით მიდიოდეს ბებო ხატებთან  
და უფალს მშვიდად გათენებას ეხვეწებოდეს...  
და ცხელი ცრემლი, ნაოჭიან, ფერმკრთალ ლანცებთან  
დაგუბებული, ჟონავდეს და მეწვეთებოდეს!  
სანატრელია! მენატრება სოფლის მთა-ველი,  
შორიდან მესმის მშობლიური კუთხის ნანინა.  
ქვეყნად გამჩენო, დაკარგული ყველა მტკაველი,  
ნეტავი, პეშვით სამშობლოში მომატანინა!

...  
ჭრილობებს სულზე ჩუმი ლოცვით გაიმთელებენ,  
დაუბრუნდება ბაირალი ჰერელ მედროშეს...  
იქართველებენ!.. ძველებურად იქართველებენ  
ალაზნის მიღმა... გასხვისებულ საქართველოში!

\*დილიგი – საკარმიდამო ნაკვეთი.



# ლოქსო ღმტყული

ნამახალისებელი პრემიის ლაურეატი

## უპანასკნელი გაელვება

*„პოეზია არის სისულელე!“*

*არტურ რემბო*

პოეზია –  
 გადახრუკულ უღრანებში  
 ამოსული ერთი ია...  
 ვისაც ქრისტეს ცრემლთა თქეში  
 ძარღვში სისხლად განუგრძენია!  
 ჯვარზე გაკრულ ღმერთებს ვისაც  
 აჭკიდებენ, როგორც ფრთეებს!  
 და ვინც სოფლებს, ნასულს სიზმრად,  
 მტრის ყიყინით დააფეთებს!  
 ჰკა მაგასა! ჰიო! ჰაე!  
 შიმალს შეჰყვა შავი რაში  
 და სიზმრები მიტოპავენ  
 მომწიფებულ გარიჟრაჟში.  
 არა! არა! პოეტებო,  
 არ დაუკრათ მგოსნებს ტაში!  
 აგვაოხრე, მტერო, თორო,  
 მტკვარო, მუხლებამდის დაშრი!  
 ჭანჭრობს ჭინკა-ჭილყვავები  
 ჭამენ ჭლექით ნაჭდევ ჭაბუკს;  
 ღართში ღამით ღვარი ღმუის,  
 უღრენს ღელეს ღრეჭა-ღრაჭუნს.  
 კვლავაც, კვლავაც დავისიზმრებ  
 თრთვილით თელილ თოთო ღექსებს!  
 აქაფებულ აისისებრ  
 სათიბს ბუქი მოაგეღვებს.  
 ადით მთებზე და იბღავლეთ  
 ჩემო თამარ, სხვისო თომა,  
 რომ სამშობლომ გასაჭირში  
 ღაწარვიით მიმატოვა!



# თბილისი კომლადი

ნამახალისებელი პრემიის ლაურეატი

## ლოცვა

მას ჟამსა შინა, რა ვსცან პირველად ღმერთი ჩემი  
მკრთალი სიცივით დამარხული ემბაზის ფსკერზე,  
ველოდი სიკვდილს, როგორც ახლა ნაძვის გირჩები  
ელიან თოვას... დაეკიდა კისრის სისქეზე

ჯვარი, რომელიც მამის ხელმა გულზე მომარგო.  
მამის, რომლისაც აღარ მახსოვს უკვე კეთილი  
თვალებიც. მერე იყო თოვა. არც ისე კარგი  
გამოდგა ხორცი სულისათვის და ასე თლილი

საარცერთფეხო ბილიკებით ვიარე. ახლა  
ფარვანებივით ემალება ჩემი თვალები  
ყველა სინათლეს და მათ შორის ამოსულ სახლებს  
იების მსგავსად. სახლი იყო მშვიდი და წლებიც

მარტივი, რადგან მარტივია, იცხოვროს სამმა  
ერთხორც და ერთსულ და თანდათან წარსულს მიწაში  
ვმარხავდით. მერე იყო ქარი და იყო დრამა,  
თან ისე კარგი, რომ ფოთლებმაც დამიკრეს ტაში

და კარჩაკეტილ თებერვალში ვიყავით ორნი,  
საერთო გვექონდა ხელები და ცივი მზე მრავლად.  
მე თუმცა ტკივილს დავატარებ შავ ფილტვებს შორის,  
თვალებში მაინც გაუმხელელ იმედებს ვმალავ.

მას ჟამსა შემდგომ, რა ვსცან პირველად ღმერთი ჩემი,  
ჩუმი სხივებით რომ დაეცა მზვინვარე ოლარს,  
ველი მას მარტო, როგორც ახლა ნაძვის გირჩები  
ელიან თოვას  
ელიან თოვას  
ელიან თოვას...

## ელი, გეძახით! (სამგზის)

ასე დაიწყო ეს ამბავი, ელი, შენც იცი,  
 შენც კარგად უწყი, რომ ყველაფერს ჰქონდა მიზეზი.  
 ჩვენი ბრალია, მხოლოდ ჩვენი, შენგან შერისხვა  
 დაბადებიდან რომ გვეწერა... ახლაც მიზერულ,  
 ისედაც უკვე ხორცადქცეულ სხეულებს ვგლოვობთ.  
 სამოთხის კართან ატუზული ვგავართ იმ ბავშვებს,  
 რომლებიც მამამ დასაჯა და ცრემლების გროვას  
 მუჭში მალავენ და სინანულს მინაში რგავენ...  
 ელი, გეძახით! გადმოხედე შენს შექმნილ მინას!  
 აგერ, შენს ფერხითი უსიცოცხლოდ გდია სამყარო.  
 ცრემლებით, ელი, ცხარე ცრემლით დავალბობთ იმ წამს,  
 როცა სულები სხეულიდან გარეთ გაეყარეთ,  
 როცა სიკეთეს ნითელ წიგნში მივეცი ბინა,  
 ყველა ოცნება გახდა გულში ცოდვის ვექტორი.  
 აპოკალიფსი რომც დავარქვათ (ან როგორც გვინდა),  
 ვერც ცალი ხელით მოგიტანეთ ჯვარი, ვერც ორით.  
 სამყაროს ყელში გავეჩხირეთ მწარე დარდივით  
 და მკვდრების ძვლებით ვაშენებდით ახალ ბაბილონს,  
 სულ თავიდანვე მოელოდა დანგრევა, მაგრამ  
 უბრალო სიოს ხომ ვერ ამჩნევს ყურის ბიბილო...  
 ჩვენი ბავშვობის თვალეში კი ნალექად დარჩა  
 ომი ატომურ-ქიმიური, ბიოლოგიურ  
 კატასტროფებთან აზელილი. ვექებდით სარჩოს  
 ჩვენი სულისთვის. შემოგვაკლდა მერე ლოგიკაც,  
 აღარ გვეჯეროდა არც სიმართლის, არც განაჩენის –  
 რომ პასუხს მოგვთხოვს ჩვენს ცოდვებზე ოდესმე ვინმე.  
 ჰოდა, დაგვსაჯა თვითონ მინამ და ანათემა  
 გამოგვიტანა, ყვითელ ფოთლებად რომ გავიფინეთ...  
 მერე რატომღაც გვაგონებდა იმედის ძაფებს  
 ჩვენს ქვეყნებს შორის გაჭიმული გაზის მილები,  
 ათასჯერ ვჭრიდით დედამინას მთელი ძალებით  
 მინას, შენ მიერ უნაკლოდ და ერთხელ გაზომილს...  
 აი ასეა, ეს ამბავი ასე დაიწყო  
 და დასასრულიც (სანყისივით) შენს ხელში არის...  
 ცამ ცისარტყელით ჩამოიხრჩო თავი და წყალიც  
 მზეს ჩასაქრობად გადაასხეს მუცელზე... ჩქარი  
 ნაბიჯით მიდის ჩვენი გზები უმისამართოდ  
 ან, უფრო ზუსტად, არსაითკენ არ მიდის გზები  
 და ასე ჩუმად, შიშნარევად უმი სამართლის  
 აღსრულებაა ჩვენი ბედი... დაგვცვივდა ფრთებიც...  
 ელი, გეძახით! ჩამოხსენი ჩვენს შორის ფარდა,  
 როგორც ბავშვები, გეხვევებით: გვეყო წვალემა!  
 ჩვენი სიცოცხლე არაფერი არ იყო, გარდა  
 მზადება ისევ საუკუნოდ გარდაცვალების...



# ნიკა ძვტიფიშვილი

ნამახალისებელი პრემიის ლაურეატი

●  
მითარია ზამთარმა თავი გაზაფხულამდე,  
მარტი ამ ორს შუაში ჩატეხილი ბონდია.  
დაჯექი და შვილიშვილს სინამდვილე უამბე:  
დრო რომ არსად არ მიდის, ეს ჩვენ მივდი-მოვდივართ.  
ჩემს სახლს ყოველდღიურად ემატება ბზარები  
და იმედით წგრევა რომ ახლის დასაბამია,  
ხმები ისმის ტკაცუნის, თითქოს ცეკვაეს კარმენი,  
ჩემი სახლი რომ არ იყოს, კარგი სანახავია.  
აქვე სახლის დაბზარვას ემატება გული და,  
ანუ გულის ფიცარზე აყრილი მაქვს პარკეტი,  
გოგომ გულის გასაღები თავის ნებით მაჩუქა,  
მერე – ასე სამ დღეში – შეუცვალა საკეტი.  
ამას გარდა ოცნება მმარხავს, მერე მაცოცხლებს.  
სხეულიდან გავდივარ, მაგრამ ცაში კი არა,  
ხორცის უსულოობა ყოველ ღამე მაცოფებს  
და ვყეფ, როგორც ყინვები უყეფავენ იანვარს.  
დაჯექი და უამბე, რომ იცოდეს სიმართლე,  
ის, რომ ჭეშმარიტება არასდროს დამტკიცდება,  
ჯვარმა ზურგზე მომიკიდა, გოლგოთაზე მიმართევს.  
ერთადერთი სანთელი ულოცველად მიქრება.  
წვიმა მინით სველია, ეშმაკი რომ ღმერთს ებრძვის,  
წვიმა-ზეცის ორკესტრი რეკვიემებს მღერიან  
ვიცი, გული ხანდახან ჯოჯოხეთურად გეწვის,  
ჰოდა, ადამიანი მათი ბრძოლის ველია.  
შემაჭერით ფრთები და, იქნებ, ველარც ვიფრინო,



მტვირნიან წიგნის საცავებს დაფუტოვებ ანაბეჭდს და უფრთებო ბელურას დამანიეთ მიმინო, სანამ ხელის გულეზე ლურსმანი არ ჩამარჭეს. არა, არც სტიგმატი ვარ, ფიქრში ვიხვევ გაზაფხულს. დაბზარული სახლიც კი ღვთის შედევრად აღვიქვი, არც დროს გადავაჭარბებ (დრო ხომ არსად არ მიდის), ანუ წამებს განსაზღვრულს,

პატიებას თქვენა გთხოვთ, პოეტი რომ დავირქვი...

დაჯექი და შვილიშვილს არ მოუყვე სიმართლე,

ის, თუ როგორ იცხოვრე – პოეტმა და აშარმა,

წაუკითხე ზღაპრები, ოცნებები მიქარგე,

მოატყუე, რომ დაგათრო ორმა ჭიქა მაჭარმა.

არ მოუყვე, არყით რომ დღესაც მალავ წარსულს და

ახლაც ძლიერ გეშინია შენი ლექსის წაკითხვის;

არ მოუყვე, რომ პოეტი ერთ ფურცელში დასრულდა,

არ მოუყვე, მასაც ელის დღე განკითხვის.

ეშმაკი ხომ ღმერთს ებრძვის?

ჰოდა, ადამიანი მათი ბრძოლის ველია.

არ მოუყვე შვილიშვილს, სტაფილო რომ ვერ გაზრდის,

არ მოუყვე სიმართლე, პატარისთვის ძნელია.


მე კი, ვისაც სასმელი დარდის გასაქარვებლად

მსურს და ოცდასამამდე უცეროზოდ მოვედი,

თითო კოცნა მაჩუქეთ ზღვაში ზურგის ქარებად

და მერე მაპატიეთ, რომ დავირქვი პოეტი.





# მინდია ცეცხლაძე

ნამახალისებელი პრემიის ლაურეატი

## Influenza

ნ.კ.-ს

მოკლე დღეების ყოველდღიურ, წვრილმან საზრუნავს დაძინებამდე სიზმარივით როცა მოვიღვეთ, დარჩენილ სიზმრებს ნამქერივით სისხლი აბრუნებს და ახდენილი ფანტაზია გემოსავს თოვლივით.

მერე იღვიძებ შუალამით – ჩემი ზარია, გეტირება და ხმანაკლული ცრემლებს ახველებ, სიცხემ ძალიან აგინია და მეც ძალიან, ავადმყოფურად მინდა, ვიყო შენი მნახველი.

რომ გამიცვივდი, ვერ გაგითბო სულმა სხეული, იმის ბრალია, რომ შორიდან გეაღერებ, რომ ჩვენ სადგურში განშორებამ დაგვასნეულა, რომ ჩვენ კი არა, დედამინას ტკივა რელსები.

ჩემი ბრალია – ჩავიხვიე სისხლში პათოსი ძალიან გვიან – არ მომსვლია მაშინვე აზრად, რომ ვერ გნახავდი, ალბათ, მერე სუსხით გათოშილს და ნაადრევი ყვავილივით საშინლად დამზრალს.

და ვერ გაგათბე, ვერ მოგხვიე მაგრად ხელები, რომ შენს ძარღვებში ჩამექცია ზამთრის მარაგი, ჩემკოცნანაკლულ ყელს იხვეე და კანრავ ხველებით... ბეტონის ძვლებში თებერვალი ამტვრევს ქალაქებს.

## ფარდობითობის თეორია

ფარდობითია ყველაფერი, ჩემო ჯიბრაილ  
 (ამ წერილს შენთან გამოვატან მისტერ გალაჰერს),  
 მე ჩემს ქალაქში საკუთარ თავს ვერ შევიბრალებ –  
 ჩემი ქალაქი ამინდებმა ისე გალახეს.

ფარდობითია სიყვარულის მკაცრი ლოგიკაც,  
 გულის სიღრმეში სიამოვნებს, თურმე ნუ იტყვი,  
 რომც არ უყვარდე, მთელი გულით, მაგრად რომ გიყვარს,  
 მაინც გიღიმის, თითქოს რაღაც ნორმის გულისთვის.

ფარდობითია ქორწინებაც, პროსტიტუციაც  
 (თუმცა ბიზნესი არის რისკი – მაინც არ ენდო),  
 ზოგს ფიცი მუდამ ერთგულების რომ მიუცია,  
 ზოგისთვის უფრო სარფიანი არის არენდა.

ფარდობითია რელიგიაც, ფილოსოფიაც,  
 რომ არ ემთხვევა ქადაგებას ქცევა ქადაგის,  
 მაგრამ ხანდახან ხდება, ლექსის ბოლო სტროფიდან  
 რაოდენობა თვისებაში როცა გადადის,

მაშინ სიცოცხლე ყველა პრიზმას ისე გიბრმავებს,  
 სიკვდილსაც კოცნი, ცივ თვალებს რომ შემოგანათებს,  
 წერილს გაგატან, გადაეცი მისტერ ჯიბრაილს,  
 ფარდობითია ყველაფერი, ჩემო გალაჰერ.



# თამთა ღმელიძე

წამახალისებელი პრემიის ლაურეატი

## პერნამღერი და პერთქმული

ნაწყვეტი

1. თვითმკვლელობის იაჰანანა  
(თოკისა და ყელის ამბავი)

რა შევნირეთ სიმშვიდეს,  
რა მივიღეთ  
ჩამოხრჩობილი პატიმრების, მტრების,  
საკუთარი თავების სანაცვლოდ.  
ასეთი რა ვუთხარით ადამიანებს  
ჩვენი ლურჯი სხეულების  
ბნელ ოთახებში ჩამოკიდებით.  
რამ დაამუნჯა ჩვენი სინდისი,  
რამ დაგვაძინა თბილ ლოგინში,  
თბილ სხეულში,  
ასე მაგრად რამ დაგვაძინა?!

მას მერე  
თვალეზე სხვადასხვა სიზმრებს მაზომებენ,  
მაგრამ მე მაინც ძველს ვხედავ,  
მშვიდ ზღვაში გასულს და ვერდაბრუნებულს.  
იმ სიზმარს,  
სადაც მოდიხარ წვიმაში მშრალი და მეფიცები,  
მე არ ამიღიაო ის სიყვარული,  
შენი მნათი კი თანდათან წითლდება, –  
შერცხვა და გაიღია,

შერცხვა და გაილია მზე,  
 რომელიც ვერაფრით დაღამდა,  
 იმედი კი,  
 შემოსწრებული მემანვნი ქალივით,  
 ღია ჭიშკართან  
 უხერხულად იფშენეტს ხელებს.  
 მე კი, გამდნარი თოვლივით არაფერი,  
 ვითხოვ:  
 – შემოდით და მიპატრონეთ!  
 მე, ცოცხალს მიპატრონეთ და  
 მომკალით!  
 ვზივარ და  
 ყველა ჩამოსართმევად გამონვდილ ხელს  
 ვეხვეწები...–  
 არაფრის მათხოვარი გავხდები.

მარტოკაცივით შემოვიდა ჩემი მოხუცი სიმშვიდე და  
 ხმადაბერებული სიტყვებით მანუგეშებს,  
 გამხმარ ყვავილს წყურვილს მეხვეწება,  
 სარკეში მახედებს, წყალში მახედებს,  
 საკუთარ თავში მახედებს და მეხვეწება,  
 მინას არ მისცეო.

ძილი ისედაც ნანატრია და დგას  
 თავისთვის,  
 მიყურებს და იცის,  
 ხელებს თუ გაშლის,  
 როგორც ბავშვი დედის დანახვისას,  
 უკანმოუხედავად გავიქცევი და ჩავეხუტები.

სიზმარი დამძიმდა და  
 ველარ ვზიდე შენი სინანული,  
 და მივხვდი, როდის ნებდებიან ადამიანები,  
 როდის ქრებიან ადამიანები,  
 მივხვდი და გავქერი.



# მინდია ატაბული

## გამოცხადება

მამაო ჩვენო, სუნთქვა დამძიმდა,  
ზემოთ ბინდია, ღამეა ზემოთ  
და გლოვის ლოცვა ისმის ტაძრიდან,  
ჩვენც გადმოგვხედე, მამაო ჩვენო!

ასე ლოდინით მზეც დაბერდება,  
ასე ლოდინი ქალაქებს წაშლის,  
ცამდე ვერ აღწევს ყველა ვედრება  
და, ვით პეპელა, ვარდება წყალში.

შეეხორცება მინას მუხლები,  
ამდენ ნიღბის და სიგიჟის შორის  
რალა დარჩება აქ ხელუხლები?  
რას არ წაეცხო ლორწო და შმორი?

წამებს ითელიან დასაბამითგან  
ათასწლეულთა ბოგინის მერე  
და დაფუძული ბურთი-პლანეტა  
წვალებით მიაქვთ ნაცრისფერ მწერებს.

რალა იქნება, რალა დარჩება,  
ამ სიჩუმისგან, თუ არა ავლი?  
რომ გაჭირდება ხორბლის გარჩევა  
და განიხარებს ოდენ ჯერკუალი.

პა, შეჰლალადონ მერე ბომონებს,  
 მერე დაღენონ კბილებით ხრემი,  
 შავი მთესველი როს დაიმონებს  
 და ნაზად ჩადებს მოლოქეს ხელში.

და ოდეს მითხრა, ნათლად ვხედავდი,  
 როცა გაიხსნა კარიბჭე ცათა,  
 მოაჭენებდა ოთხი მხედარი  
 და ყოველივე დასასრულს ჰგავდა!


ვხედავდი ნათლად, როგორ ავიდა  
 დიდი გოდება შავ ბოლთან ერთად,  
 ძნა ინებოდა ყანის ნაპირთან  
 და თავთავები მიჰქონდა მკრეფავს

და, სანამ ისევ ვდგავართ მიწაზე  
 და, სანამ გვახსოვს იმედის გემო,  
 ჩვენც შეგვენიე, ჩვენც შეგვიწყალე,  
 ჩვენც გადმოგვხედე, მამაო ჩვენო!

## ოულა

იყო დახშული ყველა კარიბჭე,  
 იკარგებოდა ბინდში შორეთი,  
 ჩვენ ფეხს ვადგამდით ერთის ნაბიჯებს,  
 ჩვენ მივდიოდით გზაზე თორმეტნი.  
 ჩვენ მივყვებოდით ერთის სწავლებას  
 და ყოველს გვენთო გულში ხანძარი,  
 მუღამ მწყურვალი – ჩვენი თვალეები,  
 ჩვენი ხელეები – მიწა, დამსკდარი...  
 და მივდიოდით ნელა და დიდხანს,  
 თითქოს ვიცოდით, საით მივყავდით.  
 ვენაფებოდით ჩვენ ყოველ სიტყვას,  
 ოდეს ამბობდა – მხოლოდ გიყვარდეთ!  
 და დავეძებდით ჭეშმარიტებას,  
 იდუმალებას სხვა სამყაროთა  
 და ყოველივეს სიტყვა იტევდა,  
 – მხოლოდ გიყვარდეთ! ოდეს ამბობდა.

.....  
 და მერე ჩაწყდა რაღაც სხეულში  
 და გვეკლავდა შიში – სიკვდილზე მეტი,  
 ჩვენ, დაკარგულნი და დამსხვრეულნი,  
 ჩვენ მივდიოდით გზაზე თერთმეტნი.



# მატიამ ადამაშვილი

## ● კლიოპატრა უკვე ითქვამს

შორიდან მოისმის ხარხარი,  
შორით ვეზიდები დიდ ქვას.  
რა გითხრა, რა გითხრა ახალი?!  
– უკვე ყველაფერი ითქვა.  
დაღლილმა დავხარე თვალები,  
ვერ შევძელ სამყაროს ტვირთვა.  
რალა ვთქვა? რალა ვთქვა ახალი,  
როცა ყველაფერი ითქვა?!

## მღუბარე ოთახი

ცამონმენდილზე დაინყებს თოვას,  
გაიმართება ფერხული თოვლის,  
აქ, ჩემს ოთახში კვლავ სიცივეა  
და მღუმარება, მომცველი ყოვლის.  
იქ, სიბნელები აჩრდილი შენი  
დაიარება, ისიც მღუმარი.  
ბინდისას ქარი უსტვენს სარკმელში,  
ჩემი უცვლელი ღამის სტუმარი.  
მაგრამ ხვალიდან ჩადგება ქარი,  
ცამონმენდილზე დაინყებს თოვას,  
აქ, ჩემს პატარა სევდიან სახლში  
აუცილებლად ვილაცა მოვა!..



# ანდრე ბუაჩიძე

## შეხება ცოცხალ ისტორიასთან

### გურამ რჩეულიშვილის

### „უსახელო უფლისციხელი“ და „ალავერდობა“

ერთ მწერალს უთქვამს, მე რასაც ოცნებით წარმოვისახავ, გურამ რჩეულიშვილი იმას რეალობაში ახორციელებსო. გურამი დგამდა სპექტაკლებს, რომლის მთავარი გმირიც თვითონვე იყო. ამის დასტურად ნებისმიერი მოთხრობა შეიძლება წამოტივტივდეს მესხიერებაში: „სიკვდილი მთებში“ (ალფრედ კურელა – გერმანელი მწერალი და მისი მეუღლე ამ ნაწარმოების პერსონაჟებად იქცნენ, ცხადია, ამბავიც ნამდვილია და ე.წ. „მატერული“ არა გამოწვანის, არამედ სხვა პირობითობის სიბრტყეშია განფენილი) „ალავერდობა“, „უსახელო უფლისციხელი“, „ირინა“, ზღვაზე და მთაში მოგზაურობის ციკლები და სხვა მისთანანი.

გურამი ყველგან იყო.

მისი ძლიერი, ცხოველყოფილი ფიგურა მოვეყნების შუაგულში ტრიალებდა. კრიტიკოსი ოტია პაჭკორია ამბობს, რომ ის მოქმედებით ცხოვრობდა და არა სიტყვებით. თუმცა არ ვიცი, მართლა ასეა თუ არა, რადგან რეალურ ცხოვრებაში ცხენისგამტაცებელ გურამ რჩეულიშვილს მოსაკლავადაც კი გამოეკიდნენ, მან კი ეს ამბავი ისეთი ლირიკული ენით, ისეთი პოეტური მგზნებარებით გადმოსცა, რომ ამ დეტალმა თავისთავადი შემზარაობის ელ-

ფერი დაკარგა. ეს იმიტომ მოხდა, რომ აქცენტითავიდანვე სხვა რამეზე გაკეთდა – უზილავის დანახვაზე, ისტორიის უჩინარი პლასტიკის განჭვრეტაზე, შეუცნობელის შეცნობაზე. ასეთ მაღალ მიზანთან მიხლოება კი რაღაც არსებობის დათმობის, სიკვდილთან შეთამაშების ხარჯზეა შესაძლებელი.

ის მოქმედიც იყო და სიტყვით მოთხრობელიც.

გურამ რჩეულიშვილის, მწერლის და შემოქმედის პიროვნება, როგორც ამას მისი მეგობრებიც იხსენებენ, ყოველთვის სიკვდილ-სიცოცხლეზე დაკიდულ ბენვის ხიდზე გადიოდა.

ყოველი მისი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ზღვრული სიტუაციების ხარჯზეა აღმოცენებული. ეს მოთხრობები ბუნებრივად არის დაბადებული, რადგან რეალურად არსებული ამა თუ იმ ზღვრული ვითარების „გაგრძელება“. მწერალი ყოველთვის „ცხელ კვალზე“ წერდა ამ მოთხრობებს, ამიტომაც გაკრული ხელით არის დაწერილი და უჩვეულო დინამიურობითაა აღბეჭდილი.

მწერლობა თავის ყველაზე უფრო ღრმა აზრით, იმის დანახვაა, რაც ცხოვრების ზედაპირზე არ ძეგს. იმას, რაც ზედაპირზე არ ძეგს, დამნახველი თვალი ესაჭიროება.



# უახლესი ქართული ლიტერატურა

ეს პრინციპი – უხილავის დანახვა, ე.ი. განჭვრეტა, მეტ-ნაკლები ხარისხით ყველა საინტერესო მწერლის შემოქმედებას ახასიათებს, გურამ რჩეულიშვილთან კი კლასიკური პირველქმნილებით არის წარმოჩენილი.

არსებობენ მწერლები, რომელთა თხრობა გაბმული ლირიზმით ნუსხავს მკითხველს. გურამ რჩეულიშვილის პროზა კი ლირიზმთან ერთად უხილავის განჭვრეტის სიმძაფრით არის ნიშანდებელი.

ზოგიერთ მოთხრობაში გურამ რჩეულიშვილი მართლაც უფრო მოქმედ კაცად წარმოჩნდება და ლირიზმი მინიმუმადეა დაყვანილი, ზოგან კი მოქმედება და შინაგანი განცდის ინტენსიობა თანაფარდია. ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნება „უსახელო უფლისციხელი“ და „ალავერდობა“. ეს ორი მოთხრობა შემთხვევით არ მიხსენდება ერთად. ორივე ერთ სათქმელს, ერთ პრობლემას უტრიალებს ირგვლივ: ეს არის ისტორიის გაგების პრობლემა, გაგება იმისა, რაც იყო და აღარ არის. მართლაც – როგორ უნდა გაიგო და განიცადო ის, რაც იყო და გაქრა, რაც იყო და აღარ არის?

● გურამ რჩეულიშვილი ისტორიული ადგილებიდან განჭვრეტს წარსულს. უფლისციხე და ალავერდი მისთვის არა მხოლოდ ისტორიული ძეგლებია, არამედ წარსულის სიმბოლური ნიშანვებებიცაა. გურამისთვის მნიშვნელოვანია არა ამ ძეგლების ხილვით აღძრული ესთეტიკური ტკბობა, არამედ მათი მემკვიდრეობით განჭვრეტელი ისტორია.

მწერალი ამბობს: „რამდენი ცოცხალი მკვდარ ისტორიაში, მხოლოდ ფანტაზია უნდა ოდნავ“.

ეს ოდნავი ფანტაზია, ამ შემთხვევაში, უკვე აქტივობაა, შეროვილი, უსიცოცხლო ფაქტების ამოძრავება და გაცოცხლება, „ვენების სიმძაფრვა“, ყოველგვარ შენებას, სულის შთაბერვას რომ ახლავს. ფანტაზია აქ იგივე წარმოსახვაა, რომელიც ოდესღაც ცოცხალი, ახლა კი მკვდარ ისტორიას ხელახლა აცოცხლებს.

მასხადამე, „უსახელო უფლისციხელის“ და „ალავერდობის“ უმთავრესი იდეა ისტორიის უშუალო წყვილია.

როგორ უნდა წედეს ისტორიას ადამიანი? რა უთქვამთ ამის შესახებ სხვებს?

ვინაიდან ეს ფართო და დაუსაზღვრელი მსჯელობის საგანია, ალბათ რღაცით უნდა შემოვიფარგლოთ. საინტერესო იქნება იმ ავტორთა თვალსაზრისები, რომლებიც საოცრად უახლოვდებიან გურამ რჩეულიშვილის მხატვრულ აზროვნებაში განვყენილ იდეას.

გერონტი ქიქოძე წერილში „ჩაქუჩიანი მამაკაცი წერს: „საჭიროა აგრეთვე ის ნიჭი განჭვრეტისა, რომლის შემწეობითაც ადამიანი ნაწილობით მთელს ხედავს, ხოლო ხილულში უხილავს. მხოლოდ იმას ვისაც ეს ნიჭი და ეს ფანტაზია აქვს, შეუძლია დაახლოვებით მაინც გაზომოს ის უტყუი ენერჯია, რომელიც სდულდა ძველ საქართველოში“.

ნაწილობით მთელის და ხილულში უხილავის წვდომა სწორედ მწერლის ნიჭის მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს. ამ ნიჭითაა მადლცემული გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები. ისიც ცხადია, რომ გერონტი ქიქოძე ფანტაზიაზე რომ საუბრობს, ინტუიციას და წარმოსახვას გულისხმობს.

გურამ რჩეულიშვილის ორივე მოთხრობის მთავარი პერსონაჟი თვითონ გურამია. ეს არის ინტელიგენტი კაცი, რომელსაც ღირებულებათა თავის სკალა, თავის სულიერ-ინტელექტუალური ორიენტაცია გააჩნია. გურამი კონკრეტულ დროში და სივრცეში ცხოვრობს – XX საუკუნის 50-იანი წლების საქართველოში. ეს არის ტოტალიტარიზმის მარნ-მუხებში მოქცეული, რთული ბედის და წარსულის მქონე ქვეყანა. გურამს ისტორიის წვდომისას მართლაც ერთი მიზანი ამოძრავებს: „გაზომოს ის უტყუი ენერჯია, რომელიც სდულდა ძველ საქართველოში.“ ათელის წერტილი „ძველი საქართველოა“. ამ ენერჯიას კი იმიტომ „ზომავს“, რომ მის თანადროულ ვითარებას გაეთანადოს და გაიგოს: ხომ არ დაირღვა „დროთა კეჟიში“? ხომ არ დაიძინდა ერის ერთიანი სხეული? ხომ არ დაიშორა ენერჯია?

ღვთაუნაღვანი გადასახედიდან სრულიად ბუნებრივად უღერს ეს კითხვა, 1924 და 1937 წლის რეპრესიების შემდეგ ამ საკითხით სხვა მრავალი ადამიანიც უნდა დაინტერესებულიყო. მითუმეტეს, რომ 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი ანაბეჭდები ჯერაც არ იყო თბილისის ქუჩებში ნაშლილი. „უსახელო უფლისციხელი“ დაინერა 1957 წელს, „ალავერდობა“ 1959 წლის 28 სექტემბერს.

ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მწერალს სურს ქვეყნის დაკარგული მავსიცემა მოსინჯოს.

● ისტორიის უშუალო წვდომა მხოლოდ ფაქტივ-გრაფიული მასალის მეშვეობით შეუძლებელია. გერონტი ქიქოძის აზრით, საჭიროა ნიჭი და ფანტაზია. ეს ზოგადი განაცხადია. გურამ რჩეულიშვილის გმირი ანუ თვითონ გურამი, უფრო შორს მიდის. ის ცდილობს ჯერ ფაქტები მოიპოვოს, ხოლო მერე გასაგნებულ – უფლისციხედ და ალავერდად ქცეულ – ისტორიას შეეხოს უშუალოდ. ამიტომაც დააბიჯებს უფლისციხის ტალანებში და ალავერდის შემოგარენში. მწერლის მიზანია ნებისმიერი

თავისუფალი ქმედების მემკვიდრეობით აღძრას საკუთარ თავში ის განწყობა, ის ირაციონალური ენერჯია, ინტუიცია თუ წარმოსახვა, რომელიც ისტორიის უშუალო წვდომას შეაძლებინებს. ეს წამიერი წვდომა მას განცდაში უნდა მიეცეს. ამიტომაც არის მინდობილი ორივე მოთხრობა თავის შინაგან ხმას, რომელიც განცდებს საღინარს გაუხსნის.

ფაქტობრივად ორივე მოთხრობა თვითრეფლექსიაა, გურამი არა მხოლოდ ზენოლას ახდენს საკუთარ თავზე (ექსტრემალურ ვითარებასაც ქმნის), არამედ აკვირდება კიდევ საკუთარ თავში აღძრულ განწყობას და განცდას. ეს ერთგვარი თვითდაკვირვებაა, ინტრისპექციაა, რომლის მემკვიდრეობაც ისტორიის ჭურჭელს უნდა გამოუმუშურდეს. ორივე მოთხრობა ამ შინაგანი მოდელაციების, შინაგანი პერიპეტეიების თვალისგაღწევაა. ორივე მოთხრობაში ჯერ გარეგნულ ვითარებას და შემდეგ უმთავრესს – იმ შინაგან მდგომარეობას აღწერს მწერალი, რომელმაც ისტორიის შეგარბენების წამიერ ექსტაზამდე მიიყვანა. ცხადია, ამ ექსტაზით გამოწვეული ხედვა თუ ხილვაა მოთხრობის ეპიცენტრი. ეს არის მიხედვრად, განჭვრეტა, ფაქტის მიღმა გადახედვა და ამავე დროს საკუთარი თავის როგორც ისტორიული არსების დროში განცდა თუ წვდომა. ე.ი. გურამი საკუთარი თავის დამკვირვებლად წარმოგვადგება და ეს ორი მოთხრობაც დაკვირვების პროცესს აღბეჭდავს.

არ შემიძლია აქ არ გავიხსენო XX საუკუნის გერმანელი მოაზროვნე ერიხ ფრომი, რომელმაც ყოფიერების ორი მოდუსი, ორი წესი, ორი ტიპი აღმოაჩინა და პირობითად „ფლობა“ და „ყოფნა“ უწოდა. ორი მოდუსი ადამიანის შინაგან წყობასაც ამჟღავნებს და ამისდაკადაა მის ღირებულებით ორიენტაციასაც. ეს ორი ტიპის ადამიანი სულიერი მოღვაწეობის თუ ყოველდღიური ყოფითი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ავლენს თავს.

წარმოვიდგინოთ ორი მწერალი.

პირველი „ფლობას“ ანიჭებს უპირატესობას და ისტორიული ნაწარმოების წერის დროს ფაქტებს და შეუფალობას სჯერდება. მეორე კი „ყოფნის“ ადამიანია, ექსისტენციური ყაიდის შემოქმედი და ამიტომაც ფაქტებს საკუთარი წარმოსახვით ამდღვრებს. ის ვერ ურიგდება ფაქტების ტყვეობაში გამოკეტვას და ცდილობს სტერეოტიპის ფარგლებს გასცდეს.

ერიხ ფრომი წერს: „მას („ყოფნის“ ადამიანს – ა.ბ.) ახალი იდეები ებადება, ვინაიდან მზამზარეული შტამბებს ვერ ეგუება, თუ „ფლობის“ ტიპის ადამიანს იმის იმედი აქვს, რასაც ის ფლობს, რაც მას შეიძინა, „ექსისტენციური“ ტიპის ანუ „ყოფნის“ ადამიანი იმითაა, რასაც ის თვითონ წარმოადგენს, რაც თვითონ არის. ის ცხოვრობს, აზროვნებს, მას რაღაც სიახლის შექმნა ძლიერებს“.

ე.ი. „ყოფნის“ ადამიანი საკუთარ თავში ჭვრეტს და ნახვის, შექმნის შემოქმედებით პოტენციის ატარებს.

იმთავიფვე ცხადია, რომ გურამ რჩეულიშვილის ორი მოთხრობის – „უსახელო უფლისციხელებს“ და „ლავერდობის“ – მთავარი გმირი „ყოფნის“ ადამიანია, „ექსისტენციური“ ტიპის მოაზროვნე და მოქმედი კაცია. არ სჯერდება უფლისციხის შესახებ არსებულ ფაქტებს და მიდის ფელიცი ციხე-ქალაქის სანახავად. მას არ უნდა ფაქტობრივი მასალის ტყვეობაში თუ სტერეოტიპში მოქცევა და ამიტომაც დააბოჯებს უფლისციხის ტალანებში. მას სურს საკუთარ თავში მიაკვლიოს ისტორიის განჭვრეტის ნიჭს.

და მართლაც, მოთხრობა უმთავრეს ფაზაში მამინ შედის, როცა მთავარი გმირის წარმოსახვას ეძლევა გასაქანი. ფაქტობრივად ამიტომ დაინერა კიდევ ნაწარმოები. „უსახელო უფლისციხელებს“ მსაფრი ინტუიციით მიგნებული პერსონაჟია. ის უფნია და ვერ წარმოთქვამს თავის სახელს. ამიტომაც არ რჩება ისტორიის მისი სახელი. არადა „აღბათ ვაჟა ერეკა, ან უბრალოდ, კაცებო, ან გურამი ან რატი, ქართველებს უმეტესად ეს სახელები ჰქვიათ“. მან ისხს ერი, გაამარჯვებინა, მაგრამ მატიაანში კი არ დატოვა თავის სახელი. ის მწერლის წარმოსახვის, უფრო კი განჭვრეტის ნაყოფია, რადგან ისტორიული კანონზომიერების პირმშოა. საქმე ისაა, რომ გურამი ციხეს არა მკვდარ, არამედ ცოცხალ ისტორიას, მას ცოცხალ მსტორიასთან შეხება სურს, რათა წარსულსა და აწმყოს რეალური ერთიანობა და განუყოფლობა იგრძნოს. ისტორიასთან შეხება სწორედ ამ არარსებულ გმირის არსებობაში ჩანს. ასეთი გმირი აუცილებლად უნდა არსებულებო. გურამი სიცოცხლის ფილოსოფოსად იქცევა და სიცოცხლის მემკვიდრეობით სიცოცხლისავე წვდომას ცდილობს.

ასევეა „ლავერდობაშიც“. მთავარი გმირი არ სჯერდება იმ ფაქტობრივ ცოდნას, რომელიც მას ლავერდობის შესახებ გააჩნია. ამიტომაც გადაწყვეტს მოსავლის აღებასთან დაკავშირებული ქრისტიანული დღესასწაული საკუთარი თვალთი იხილოს. და აქაც იგივე ხდება, რაც „უსახელო უფლისციხელებში“, ოღონდ გურამ რჩეულიშვილს არა მხოლოდ ევტოპიასაც ეს ხელშეწყობს ისტორიული სივრცე, არამედ მის შიგნით მოძრავი ხალხის მიმართ პროტესტის გრძნობაც უჩნდება. და აქაც, ისევე, როგორც „უსახელო უფლისციხელებში“ დგება მოთხრობის კულმინაციური მომენტები: აღძვრება წარმოსახვა, დგება ცოცხალი ისტორიის წვდომის ექსტაზური წუთები, მხოლოდ ეს უფლისციხის რომელიმე ტალანში კი არ ხდება, არამედ ლავერდის ლავარდანზე.

მთავარი ის არის, რომ ორივე მოთხრობაში აღბეჭდილია ისტორიის შესამცენებლად აღძრული

## საქალაქო მართლმადიდებლობა

ადამიანის თვითრეგულაციის რთული პროცესი. სწორედ პროცესი, დინამიკა და არა სტატიკა. დინამიკა სიცოცხლე, ინტელექტუალურ და ემოციურ ძალთა მოძრაობა, სტატიკა კი უსიცოცხლობაა. გურამს სურს როგორც უკვე ვთქვით, სიცოცხლიდან წედეს სიცოცხლეს. მას სურს თავის სიცოცხლისმიერი ცოცხარებით („ვნების სიმძაფრით“) ისტორიის მოღვაწეობა და გამოიწვიოს. საბოლოო მიზანი კი საკუთარი თავის განუყოფელი ისტორიის ორგანულ ნაწილად აღქმა და იმის გაგება, ცოცხალია თუ არა ერი.

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში გამოთქმული მსოფლმხედველობრივი მრწამსი თანხედება XIX საუკუნის გერმანელი მოაზროვნის, სიცოცხლის ფილოსოფოსის ვილჰელმ დილთაის (1833-1911) დამოკიდებულებას ისტორიაზე.

დილთაი ჰერმენევტიკოსია. მისი გაგების თეორია ისტორიის წვდომა-გაგებასაც მოიცავს. დილთაის თანახმად ადამიანი ისტორიული არსებაა. ადამიანის ბუნება რეალიზდება მხოლოდ და მხოლოდ ისტორიაში. ყოველი ინდივიდი ერთგვარი მკერცისმოსია, რომელშიც უკუფენილია ისტორია, ისტორიული პროცესი. ადამიანი საკუთარი იაყის შეცნობა ისტორიის მეშვეობით შეუძლია. ყოველ ისტორიულ არსებაში, ყოველ ადამიანში არის ისტორიის გარკვეული ნაწილი და ეს ანიჭებს მას შესაძლებლობას, უნარს, ჩანვდეს წარსულს. ისტორია მთლიანობაა, ცოცხალი ორგანიზმია, ადამიანი მისი ნაწილია. ადამიანს ძალუძს სიცოცხლისეული ირაციონალური საწყისის მეშვეობით საკუთარ თავში გააცოცხლოს ოდესღაც არსებული სიცოცხლე ე.ი. ისტორია. მას შეუძლია სიცოცხლის მეშვეობით ჩანვდეს სიცოცხლეს.

ადამიანისთვის ისტორიის წვდომა წარსულში გადასვლას, დიდი ხნის წინათ არსებულის ნიაღში გადასახლებას ნიშნავს. ისტორიის წვდომა ადამიანს განცედაში ეძლევა. მაშასადამე, ადამიანი ისტორიის გამგებია.

ასევეა გურამ რჩეულიშვილთანაც. ალავერდის გუმბათზე ავარდნილ გვირს ისტორიის დამწვევი მშენა გადაეხსენება. ამის დამწერმა გურამ რჩეულიშვილმა იცის ის, რასაც დილთაი აზრობს, მან იცის, რომ ადამიანი ისტორიული არსებაა და ამიტომაც თავისი ღრმა განცდის მეშვეობით ისტორიის გამგებია. მის თვალწინ იშლება ვრცელი პანორამა იმისა, რაც გამრჯე ხელს „წარსულიდან დღემდე შეუქმნია“:

„ტყისპირას გაგონილ, დაუნერულ, ერთად მოვარდნილ სიმფონიასავით იღვრება თვალწინ ძველი ციხეები, ეკლესიები, ბურჯები და ამ ეპოქაში

ნაშენი ხედები, სწორი, უგეგმიანესი ალენებით. ამ გეგმიანობიდან სინათლესავით მოდის შეუჩერებელი რაღაც ახალი, სიცოცხლისუნარიანი. მისი ეგზოტიკისთვის უწინობი ძალა იპყრობს გუმბათის თავზე მდგომის სხეულს: ახალი, შეუცნობლად კანონზომიერი, შეერთებული გრანდიოზულ, უსიტყვო შრომითან. ის ფიქრობს: საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა და პასუხობს: ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ ხალხშია“.

აქ წარსული და აწმყო შერწყმულია, რაღაც ძალა იპყრობს გუმბათის თავზე მდგომს – „შეუცნობლად კანონზომიერი“. ეს არის ისტორიის წვდომა და ამის საფუძველზე მისი გაგება. და დილთაი რომ მოვიშველიოთ, ვინაიდან „ალავერდობის“ გვირი ისტორიის გამგებია, ის დროსა და სივრცეში საკუთარ თავსაც მონიშნავს და შეიცნობს („ვინ ვარ მე“), არა მხოლოდ ინტროსპექციის, არამედ ისტორიის მეშვეობით. ე.ი. აქ ორი რამ ხდება: ისტორიის განცდა და მისი მეშვეობით საკუთარი თავის როგორ ისტორიული არსების შეცნობა.

გურამ რჩეულიშვილმა მას შემდეგ დაწერა „ალავერდობა“, რაც რეალობაში გათამამდა ეს დრამა. ამ დრამას თავისი სიუჟეტური კონსტრუქცია ჰქონდა, ჰქონდა მთლიანობაში თავის კომპოზიცია. ეს უკანასკნელი უკვე მხატვრული ქმნილების ნილხვედრი იყო და მწერალი მას ქვეცნობიერად, შინაგანი ირაციონალური იმპულსის კარნახით ქმნიდა. გურამი არა მხოლოდ რეალობაში, არამედ ნაწარმოების წერის დროსაც მინდობილი იყო თავის შინაგან ხმას (ეს უკვე მხატვრის ინტუიცია გახლდათ), ის თითქოს უსმენდა საკუთარ თავს და რაც ესმოდა, იმას იწერდა. ამ ნაწარმოებში ფსიქოლოგიურ თვითდაკვირვებას, მწერლის მთელ არსებაში აღძრული ფიქრების დინებას, მძადრი ლირიკულ-ემოციური დინება ერწყმის. ლირიკული ნაწარმოები, მოთხრობა იქნება ეს თუ ლექსი, თვითდენადია, წინასწარგანუჭყრეტულია, ნაშიერა. „ლირიკა არ ექვემდებარება ყოფილი პროზაულ ენაზე ვარდათქმას, ის ფრაგმენტულობა, მუდმივად მომენტალურია, მისი ნაკითხვა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც არ ეძებს ნაწარმოებში მხოლოდ სიუჟეტს და დამოიღვრას, ვინც ბუნებისგან არის დაჯილდოებული იდუმალების მოსმენის ნიჭით“.

მაგრამ აქ არ არის მხოლოდ ლირიკა.

„ალავერდობა“ ლირიკულ-ფსიქოლოგიური პროზის ნიმუშია. ეს ორი პლასტიკი არ ეწინააღმდეგება, არამედ ერწყმის და ავსებს ერთმანეთს. ნაწარმოების ლირიკულობაზე მეტყველებს ისიც, რომ მოთხრობა ერთი ამოსუნთქვით, მართლაც „ცხელ კვალზეა“ დაწერილი (ქვეშ მინაწერი აქვს: 1959 წლის 28 სექტემბრის ღამე. თელავი).

კიდევ ერთხელ მინდა გამოვკვეთო: „ალავერდობაში“ კონკრეტული, ხელშესახები სათქმელი ძეგს: „ცოცხალ“ ისტორიას ის შეიგრძნობს, ვინც თვითონ არის აღსავსე სიცოცხლის ცხოველმყოფელი, შემოქმედებითი ძალით ანუ ინტენსიური შინაგანი ცხოვრებით. გურამი ყოველივე ამას ასე გამოთქვამს: „*უნების სიმბაზრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკობაში*“. ის კი, ვინც „ცოცხალ“ ისტორიას შეიგრძნობს ანუ ვისაც შექსპირის დანიელი პრინციპის მსგავსად ნილზედება დარღვეულ დროთა კავშირის შეკვრა, იმასაც გაიგებს, რომ „ეროვნული ენერჯია“ არ დაშრეტოდა, ის ჯერ კიდევ მოედინება თაობიდან თაობაში „*შეუცნობელი კანონზომიერების*“ ძალით. „ალავერდობაში“ გმირმა სწორედ ეს იგრძნო და გამოთქვა, რითაც მან თავისი თავიც შეიცნო და წარმოაჩინა, როგორც ისტორიის ორგანული და განუყოფელი ნაწილი, როგორც ისტორიის აღმშენებელი სუბიექტი. ამ გმირში ზეგარბი ძაბვასავით გაიარა დროის მცირე მონაკვეთში მოძრავმა ისტორიულმა ცნობიერებამ და ბურუსი გაფანტა. ბურუსს ანუ ეჭვს წარმოშობს ალავერდობისეული ღრეობა, რომელიც მთავარი გმირის პროვოცირებას ახდენს. ამ ეჭვს თავის მყარი საფუძველი გააჩნია.

არ უნდა დაგვაინყდეს ერთი რამ: ჩემს მიერ ლიტმოტივად გაცხადებული აზრი თუ იდეა ისეა განფენილი „ალავერდობაში“, რომ ძნელია მისი გამოცალკევება. ეს ნაწარმოები რთული ორგანული მთლიანობაა.

გურამ რჩეულიშვილს საკუთარ თავში დაჰქონდა ეს უკვე მომხდარი დრამა (პირობითად ვუნოდებ ამ სიტყვას), თუმცა მაშინვე აუცილებელი შეიქნა მისი „*ფორმირება და ჩამოყალიბება*“ ე.ი. დაწერა. ავსტრიელი პოეტი რაინერ მარია რილკე (შეგნებულად მოვიხმობ, რადგან მეტაფიზიკოსად და ლირიკოსი) ამბობს: „*ხელოვნების ნაწარმოები მაშინ არის მაღალმატერული, როცა აუცილებლობა ბადებს მას*“. პოლ ვალერი კი – ლირიკის ანალიტიკოსი – დასძენს: „*ვაკილებით უფრო მიინტერესებს ქმნილებათა ფორმირებისა და ჩამოყალიბების პროცესი, ვიდრე საკუთრივ ქმნილებანი, და ამიტომ ჩვეუად თუ მანიად მეუქა, ისე ვაფასებდ მათ, როგორც მოქმედებებს*“. აკი კრიტიკოსი ოტია პაჭკორია ამბობდა, გურამ რჩეულიშვილი მოქმედების კაცი იყო. დიხაჯ იყო, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მისი მოქმედება მისსავე არსებაში როგორც დინამიური ლირიკულ-ფსიქოლოგიური დრამა, ისე გადატყდა. და აქ კი უკვე შემოქმედებას დაედო სათავე.

„ალავერდობის“ ექსპოზიციური ნაწილი ამ დრამის ერთი მინარსობრივად უღერესად ტყეა-დი ფრაგმენტია. ის ლირიკული კამერტონია, რომელზეც უნდა აენყოს მთელი მოთხრობა. გურამი ალავერდობისნინა საღამოს აღწერს, როცა როგორც იქნა, გამოიდარა:

„*ჩავიდა მზე.*

დადგა ის წამი, როდესაც სხივიან შუქს შეჩვეული თვალი ვერ ამჩნევს წერილ, უძღურს მსათობებს. იდეა მთლიანი სიბნელე და წყვილადი მოჩანდა საღდაც უსასრულო სიღრმეიდან მოზავალი უმანძილო მინდორი, ეს კი არ მოჩანდა, არამედ ინტუიციით ხედავდა მას ადამიანის თვალი და გრძნობდა მის არსებობას კახელი კაცის სტეული. მხოლოდ დაშვასით უსასრულოს შეიძლო ამ წყვილადის ასე შეცნობა.

შეუმჩვენელად, მიპარვით შეეჩვია თვალი სიბნელეს, საიდანაც უცებ უცნაური ძლით ამოხეთქეს ვარსკვლავებმა და მთლიანად დაიპყრეს კახეთის ცა“.

რაზე მეტყველებს და რას გვეუბნება ჩემს მიერ მოკლედ მოყვანილი, ისე კი ვრცელი ლირიკული ფრაგმენტი?

ამ პასაჟით გურამ რჩეულიშვილმა ნაწარმოების აზრობრივი სივრცის გარშემომხრეული და გამსაზღვრელი მთავარი დეკორაცია დადგა. აქ ჯერ არ არის წარმოჩენილი ექსტაზური მომენტი, ამითორი – ისტორიის დაშინახელი მზერის გახსნა. აქ არის ისტორიასთან შეხება, დროის და სივრცის უსასრულო პერსპექტივის გრძნობა. ისევე ლირიკოს რილკეს დავესებსებო: „*შემოქმედი საკუთარი თავისთვის მთელ სამყაროდ უნდა იქცეს და ყველაფერი საკუთარ არსებაში და ბუნებაში უნდა მოიძიოს, იმ ბუნებაში, რომელსაც ის შეუერთდა...*“

„ალავერდობის“ გმირი გრძნობს მარადისობას. ეს შარმონიის იმეათი წუთია. XX საუკუნის ურბანისტული გარემოს მკვიდრი ალანზის ველის და ალავერდის შემოგარენში დროსთან, ისტორიასთან შეხებას გრძნობს. ასე იწყება ქრისტიანულ დღესასწაულთან ზიარების პროცესი, ისტორიის განჭვრეტისნინა აქტი, რომელიც ექსპოზიციურ ნაწილიშვე აღბეჭდა. როგორც უკვე ვთქვით, ეს მოთხრობა მწერლის თვითრეფლექსიის ცოცხალ პროცესს აღბეჭდავს.

უნდა აღინიშნოს გურამ რჩეულიშვილის მხატვრული აზროვნების, მისი სტილის ერთი თავისებურება.

ბუნების სურათები „ალავერდობაში“ უჩვეულოა. მწერალი თითქოს კი არ აღწერს, არამედ შეიგრძნობს გარესამყაროს და ამ შეგრძნებაზე საუბრობს. არაჩვეულებრივად ზუსტია შეგრძნების

### შახლსი მართული ლიტმობა

აღწერა, როცა ის ამბობს: „შეუმჩნევლად, მიპარვით შეგრწევა თვალი სიბნელეს“. ბუნების ვრცელ სურათი ამ პასაჟში თითქოს რაღაც მეექვსე გრძნობის, „შინაგანი თვალის“ მეშვეობით არის აღქმული და დანახული, და შესაბამისად, მთავარი გმირის შინაგან განწყობას, შინაგან მდგომარეობას გადმოსცემს. ეს მდგომარეობა სრული გახსნილობა, ბუნებასთან პარამონიული შეერთის მცდელობა.

იქნებ უაღდგილო არ იყოს ამ ერით პარადილი. თომას მანის „ჯადოსნურ მთაში“ არის თავი, რომლის სათაურია „თოვლი“. ამ თავში სანატორიუმ „ბერგშოფიდან“ გასული და გზადაკარგული პანს კასტორიო თოვლში ეფლობა და გზას ვეღარ განაგრძობს. აქ აღწერილი ქარბუქი მთავარი გმირის მადიებლობას და ექსისტენციურ მოუსაფრობას გამოხატავს. ჩემს მიერ აღნიშნულთაგან, პირველ შემთხვევაში თუ სრული პარამონიის სურათია დახატული, მეორეში ქაოსია წარმოჩენილი. მთავარი კი ის არის, რომ საქმე გვაქვს აღწერის მრავალმნიშვნელოვნებასთან. ორივეგან – გურამ რჩეულიშვილთანაც და თომას მანთანაც – ჩანს, რომ ბუნების აღწერა რეალობას აღებჭდავს, მაგრამ ამავე დროს პირობითია, გმირის შინაგანი განწყობის გამოხატულება.

ამ პარამონიულად მყდრ პასაჟს მოსდევს ერთგვარი ინტერლუდია, რომელსაც ფარული დისპარამონიის ნაკადი შემოაქვს. ყოველივე ამას მწერალი აზრობრივად, შეკუმშული ფორმით ასე გამოთქვამს: „გრძობა, რომ ეს რელიგიური დღეობა მხოლოდ ინერციაა, მისული სასაცილოობამდე. შემზარავ ტრაგედიკომედიას ჰგავს მთლიანად გუმონდელო ლხინის ბოლო, ამას ემატება ისიც, რომ ის, საერთოდ, ისტორიულადაც ბოლო დღეა; ვინ წარმოიდგენდა, რომ ქრისტიანულ საყდარში, ზედ კანკელის ძირას, შეიძლება ვაგებოთ თავენაჭერილი მამალი და ცხვირის თავ-ფეხი“.

ეს მართლაც წარმოუდგენელია. ტაძარში უცხო ელემენტი იჭრება, საკრალური ყოფით მომენტი ჩნდება. ტაძრის გარეთაც სოუცხოვე სუფევს. ამ აჩრდილებივით აწერულ ადამიანებს არამცოვო რწმენა არ ამოძრავებთ, არამედ მოსავლის აღების მცირეოდენი რიტუალური სიხარულიც კი არ აღტყვიათ.

პირქუში ღრეობა მხოლოდ და მხოლოდ ინერციაა, ვინაიდან თავის პირველიმზეგს მონყდა და საზრისი დაკარგა.

ამ დისპარამონიულ ინტერლუდიაში ინერციას (თვითონ გურამ რჩეულიშვილი იყენებს ამ სიტყვას) უაღრესად მეტყველად განახაზოვნებს ორი „უმუსკოდ და უმაყურებლოდ“ დარჩენილი მოცეკვავე. ეს პატრონიმური სცენა მრავლისმთქმელაა. ისინი ცეკვავენ, მაგრამ რისთვის და რატომ არავენ ოცნის. მოთხრობის მთავარი გმირი უხომოდ უკრავს მათ ტაშს, მერე კი უახრობისგან ელიმება და ტაშისკვრას წყევტს.

ინერცია მწვერვალს აღწევს.

და სწორედ იმავე წუთის იბადება მთავარ გმირში არტისტული ინსტინქტით ნაკარნახევი სურვილი ყველას ყურადღება მიიპყროს. „მისი გონება უკვე გასვსა ამ შეგრძნებით, რომელსაც სჭირდება მოქმედების დაწყება“. მოთხრობის გმირი უკვე სხვაგვარი ენერგით იმუხტება, ის უკვე მხოლოდ მხარმობელი აღარ არის, მოქმედა. ამ მოქმედებით ახალი გავებისკენ ხსნის გზას. ჩნდება პროტესტი და მისი გვევობით ხალხის გამოფხიზლების სურვილი.

გურამს უჩუმრად გაჰყავს სხვისი ცხენი და არაჩვეულებრივია ეს ალავერდის შემოგარენიდან გასვლის ფრაგმენტო, ლირიკა ხომ ფრაგმენტულია და წინასწარგანუჭერტელი, ამიტომაც მთელი მოთხრობა ლირიკული ფრაგმენტებისგან შედგება, ეს ფაქტობრივად კონტრასტული ფრაგმენტებია და ოსტატური მონტაჟით არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

„არ დაუნახავთ მთვრალ პატრონებს, როგორ აუშვა გურამმა მთიულური, მკერდგანიერი ცხენი, რომელიც შეუმჩნევლად გაიყვანა ხალხიდან და უბელოს მოახტა ზურგზე. ტარებით მიჰყავს მტვრირანი გზის გასწვრივ მაღლა ტყისკენ, უკან რჩება ბუბუნი, ხმაური. მითოხარიკობს ცხენზე მკედომი, დარჩენილი საკუთარ ენებებთან, რომლებიც უფრო იტუნებთან იმ შეხლის ყინით, როდესაც ის გატყობული ცხენით მივარდება ისევ ხალხთან და რაღაც ვადამწვევტი მოხვება“.

იქნებ კომპოზიციის შეკვრის ამგვარმა ხერხმა, ცალკეულ ფრაგმენტებს თუ დეტალებს შორის უჩინარმა გადასვლებმა განაპირობა მოთხრობის კინემატოგრაფიულობა და აქედან გამომდინარე, გიორგი შენგელაიასეული კინოვერსიის წარმატება (ეს ფილმი ერთ-ერთი მაღალმხატვრული ეკრანიზაციაა, გუიდარ ფულავანიშვილი კი გურამის უაღრესად შთამბეჭდავ სახეს ქმნის).

ალავერდის შემოგარენიდან გასვლა მოთხრობაშიც ოსტატურად არის დახატული და ფილმშიც. მოთხრობის ექსპოზიციით აღძრულ პარამონიის ნოტი, – სამაყროსთან თანხმობა, ამ შინაკვეთშიც გაუღერდება, მერე კი წყდება და ფინალადე აღარ იჩნებს თავს. მაშასადამე, ეს მონაკვეთი მნიშვნელოვანია იმ იდუმალებით, დროის და სივრცის პერსპექტივის იმ შეგრძნებით, რომელიც თავიდანვე მოიწინა და მერეც უნდა გაუღერდეს ინტერლუდიათა და ფინალში, რათა არ დაირღვეს ნანარმოების მთლიანი ინტონაცია.

ლირიკულ კონტრასტებზე აგებულ დეტალებს ხმებიც ანიჭებს მნიშვნელობას. უკოდურესად დაძაბულ ვითარებაში ეს ხმებიც გმირის შინაგან ვიბრირებას გადმოსცემს: ეს არის გარკვეული ვითარებაში გარემოს პერსონაჟისეული აღქმა, იქნებ შეგრძნება, ინტუიტიური შეხება გარესამყროსთან.

„*ინუელა კოლომ. მონყვეტი ვაგარდა მხედარი სიგრილიდან გახურებულ მინდვრისაკენ, ფეხდაფეხ აიყოლა ცხენი, ათას ხმებად დაიშალა კოლოს წილი, აიშტვრა ჩალა, ალანუნდა ვამშმარი შალაფა, რგოლებად დაიყოლა დასიციხული შაერი. გახურდა მხედარი, გაუსწორდა ნაშონული ცხენი და თვალის დახამამებაში იქცა ერთ სხეულად ორივე.*“

აქაც გმირის სულიერი დინამიკა და გარემოს მისეული შეგრძნებაა გადმოცემული. აქაც კონტრასტია. ჯერ არის სული დემილი, სიჩუმე, გაურკვეველობა. მერე მოლოდინი დაიძლევა და გადანყვეტილების მიღების ნიშნად გარესამყარო ამტყვევდება, უმცირესი ბგერა იძვრის და შაერში დარჩეულ სხვა ხმებსაც ითრევს.

ზემოთ ინტონაცია ვახვეთი, ნიშნადობლივია ისიც ითქვას, რომ მწერალი მოთხრობის ექსპოზიციში, შუა ნაწილში და ფინალში იყენებს სიტყვებს „მუსიკა“ და „სიმფონია“. ალავერდის მიდამოებს გასცილდება თუ არა პერსონაჟი, ბუნების ნიშანში აღმოჩნდება: „*დვას გურამი და ამ სიჩუმეში, არარეალურობისგან რამდენჯერმე გაძლიერებული, ისმის მთლიანი, დიდებული სიმფონია გაურკვეველი სურვილისა – სად დაიწყო? სად დამთავრდება? რა უნდა მოხდეს, არაფერი არ ესმის მხმარებლის, ეს არის მუსიკა მთლიანი, ერთიანი, ყველა თავის ხმით, ნაწილებით.*“

რითია განპირობებული მთელი ამ ამბის, სულიერი თავგადასვლის სიმფონიად, მუსიკად აღქმა? ამ მოთხრობის მუსიკალურ-ლირიკულ ინტონაციას ის ფაქტორი განაპირობებს, რომ მიზანს, რომელსაც გურამი ქვეშეცენულად ისახავს (ისტორიის განჭვრეტა) მხოლოდ „რაციონი“ ვერ მიაღწევს, ირაციონალური ძალისხმევით უნდა მიხვდეს, ირაციონალურის გამოხატვას კი სწორედ მუსიკალურ და ლირიკულ ფერადობასთან მიახლოებული „ენა“ ესადაგება.

„ალავერდობაში“ არ არის ზეანულობის, მაღალფარდოვნების, პათეტიკის ნასახივო კი. მწერლისთვის ყოველი დეტალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ის ყველგან ესწრაფვის იმის ზუსტად გამოხატვას, რასაც აკვირდება. გურამ რჩეულიშვილი თანამიმდევრულად მიჰყვება გმირის (ანუ საკუთარი თავის) მოქმედებას და შინაგან მდგომარეობას და ცდილობს არ გამოეპაროს არცერთი ფესტი, ვიზუალური ხატი, დიალოგი, ბუნების სურათი, უბრალოდ გახმანებული ჩქამიც კი. მწერალმა თავის სახელი დაარქვა გმირს, ვინაიდან ფაქტობრივად ის თავგადახდენილ ამბავს ჰყვება, მაგრამ მხოლოდ ამბავს არ ჰყვება, ამბავი მისთვის მეორეული

მნიშვნელობისაა. ნერილის დასაწყისშივე ვთქვით, რომ მან ალავერდობაზე ცხენი გაიტაცა და ლეკები მოსაკლავდაც კი გამოეკიდნენ, მაგრამ მითავითვე ჩანს, რომ მწერალი ამის საამბობლად არ აღძროლა, უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, თუ რას ფიქრობდა, რას გარძნობდა და რას განიცდიდა, რატომ ავარდა ალავერდის გუმბათზე და რა დაინახა „შინაგანი თვალით“ ამ გადასახედოდა.

„ალავერდობაში“ დრამა თავიდანვე იმიტომ ვუნძოდ, რომ ამ ნაწარმოებში გმირის ხასიათის შინაგანი განვითარების ლოგიკა განსაზღვრავს გარგან ხდომილებებს და ამ ორპლანოვან თხრობას მწერალი სიზუსტის დაურღვევლად მიჰყვება. ამავე დროს, როგორც უკვე ითქვა, მოთხრობაში გურამ რჩეულიშვილი გვევლინება არა მხოლოდ საკუთარი განცდების ვამაზიარებლად, ლირიკოსად, არამედ ფსიქოლოგად, თვითდამკვირვებლად, და სწორედ მოვლენათა გადმოცემის ლირიკული და ფსიქოლოგიური სიზუსტე აქარწყლებს ყოველგვარ მაღალფარდოვნებას, ტრივიალურ პათეტიკას და ზეეროდ პოეტურობას. ყოველივე ეს ხომ იქ აღმოცენდება, სადაც სიღრმისეულობისკენ სწრაფვა გამქრალია. გურამ რჩეულიშვილი კი იმას მიესწრაფვის, რაც მოვლენათა ზედაპირზე არ ძეგს და სიღრმეშია განხვენილი. ეს მისი პიროვნებისული და მწერლისური ყინია.

და ეს თითქმის ყოველ ფრაზაში ჩანს.

მოვლენათა აღქმის და გამოხატვის სიზუსტე ფრაზებში მკაფიოდ გამოსჭვივის: „*დგება დილა... ნამდვილი კახური დღე, როცა მზე პირდაპირ შუა-გულში აჭერს დედამინას, სწოფს ნამის ნიშნასაც კი ყველაფერ გრილს, ოხშირისგან მტვრად ორთქლდება დედამინა.*“

აქაც აღწერა კი არ არის, ლოკალური ბუნების სურათის აღწერა, არამედ შეგრძნებაა, მუსურვალუბის, სვავტის შეგრძნება, რომელიც ბუნების ცხოველყოფელ ნიაღში ისადაგურებს და როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, გურამ რჩეულიშვილის ბუნების სურათები ემპირიულ-საგნობრივის ნაცვლად ინტროსპექციული ხასიათისაა.

კიდევ ერთი ზუსტად მიგნებული დეტალი. ცხენის გატაცების შემდეგ ტყეში გაჭრილი გურამი მალევე ბრუნდება უკან. მხედარი ბრბოში შეიჭრება და მის თვალწინ მსხვილი პლანით გაივლებს მისივე მომლოდინე ავისმომასწავებელი სახეები. აქ სხვებზე არიან: შოხანი ქალი, თქიპიანიერი გოგონა, რომელმაც ნამსვე შეწყვიტა ცეკვა, „*გუდალოყება მეზურნე და გამშმარი მდლოლე.*“ და აი ეს ვითარების ზუსტად ამსახველი ფრაზაც: „*დლოი ხელიდან უგარდება და მათხანის საკვად ჭკაშე.*“ აქ დროის გასვლა ნაღმის აფეთქების ტრეფასია, საშინელი შეჯახებისას რაღაც უნდა გასკდეს და სკდება კიდევ, რაც უკი-

### უახლესი ქართული ლიტერატურა

დურესად დამუხტული სიტუაციის ფეთქებადობას აღნიშნავს. ასეთი ზუსტი დეტალები მემგებობით გურამ რჩეულიშვილი ახერხებს ვითარების ერთგვარ დამიწვებას. თავის შინაარსით თვით ყველაზე ამაღლებული ეპიზოდებიც კი მოკლებულია ეგზალტაციის საფრთხეს. მწერალი თითქოს იქვე ამიწვება თხოვას. „გეგმატური თეთრი გემითი იზრდება მის წინ ულამაზესი და უდიდესი ტაძართა შორის ალავერდი და მიდის მისკენ საბედისწეროდ, როგორც ზღვაში მოულოდნელად ბურუსიდან გამოსულ მარტოებელა მენავეზე ხომალდი“.

„ალავერდობაში“ ეს ყველაზე უფრო პოეტური ფრაგმენტია, მაგრამ ამ პასაჟს თვითონ მწერლის პროზაული კომენტარი მოჰყვება: „ყველაფერი ეს გარედან მავრად პოეტურია და ამათ გრძნობას ის გაორკეცებით შიგნიდან“ ამგვარი დამიწვების შემდეგ ალავერდის მეტაფორა – „თეთრი გემი“ – ჰგარგავს თავის პოეტურ „ძალმოსილებას“ და პროზად იქცევა. მოთხრობის ექსპოზიციურ ნაწილში სხვა მეტაფორა – „თეთრი გედი“ – სხვაგვარ კონტექსტში იყო ჩაწერილი, თუმცა იქაც თხრობის საერთო მდინარებას ერთვოდა და ოდნავადაც არ ამოვარდნილა ამ კონტექსტიდან.

სივე ჩემს მიერ აქცენტირებულ და უმთავრეს ეპიზოდად შერაცხილ ალავერდის გუმბათზე ავარდნას მიიწვად მიგებურუნდე. რა თქმა უნდა, ეს ეპიზოდი უმთავრესია, მაგრამ მოთხრობაში არანაირად არ არის გამოყოფილი, და ხაზგასმული, და სწორედ ეს არის მაღალი ოსტატობის ნიშანი. გურამ რჩეულიშვილი გაურბის მშრალ რიტორიკას, მედიტაციას, გონებაჭერეტიობას. ინციდენტის შემდეგ გუმბათზე ავარდნილი გმირი მხოლოდ თავისუფადარჩენის ინსტიქტით არ არის შეპყრობილი, მისი გული და გონება განაგრძობს ერთხელ დაწყებულ, განწყვეტულ, თავდაუზოგავ ეშუაობას, ე.ი. სიმფონია განაგრძობს ფლერას. ოღონდ მწერალი ყოველივე ამას გადმოსცემს სადად, უბრალოდ, მთლიანი კონტექსტიდან ამოვარდნის გარეშე. აქ მთავარია რიტმიკა, ინტონაცია, ცოცხალი პროცესის შეგრძნება, თუმცა მაინც დგება მომენტი, როცა მწერალმა მოქმედების აღწერა უნდა შეწყვიტოს და ვითარება შეაჯამოს. ეს ადგილი ბუნებრივად არის ჩაწერილი „სიმფონიაში“, თუ არ დააკვირდი, ვერ შეამჩნევ.

„პირველ ნუთებში ეფექტი მთლიანი იყო, მას მოეწევა, რომ მიიღწია იმ რაღაც სურვილს, რისი საბელიც სიტყვებით აღარც კი ახსოვდა“. ეს ფრაზა ნიშანდობლივია: გმირი, რომლის შინაგანი ცხოვრება გარკვეული სურვილის გამო უკი-

დურეს დაძაბულობას აღწევს, ვერც კი ამბობს ამ სურვილს რა ჰქვია, ეს კი იმიტომ ხდება, რომ ის არა მხოლოდ „რაციოთი“, არამედ ირაციონალური იმპულსების კარნახით მოქმედებს. მან იცის, რაც სურს, მაგრამ ზუსტად ვერ გამოთქვამს და არც გამოთქვამს, რადგან ამგვარმა სახელდება შეიძლება მიზნის ან სურვილის მრავალმნიშვნელოვნება დააკნინოს. ნაწარმოების ავტორიც ამ გზას ადგას, არც ის ეძებს ზუსტ დეფინიციებს, რადგან მისი მხატვრული ამოცანა იმდენად რთულია, რომ მხოლოდ მიზნად რიტორიკას რომ მიჰყვეს, ემოციურ-მგრძობებლობით სადავე გაუსხლტება ხელიდან. იმიტომ ის სადად, უბრალოდ, ინტელექტზე ზეწოლის გარეშე, ემოციურად აგრძელებს თხრობას...

განვადგობ იმავე ფრაგმენტს: „და იმავე ნუთში ამ მისი მიზნი მოქმედების უმაღლეს ნერტილზე, სადაც გაქრა უსაზღვრო ვენებადქცეული სურვილი. ზედმეტი გრძნობისაგან დაცლილ აზროვნებას დაუბრუნდა სიცხადე“.

ეს უკვე მართლაც გასაკვირია: მიზანი, რომელსაც მთელი მოთხრობის მანძილზე მიეღვოდა გურამი, სადაც გაქრა. ნუთუ შეიძლება ერთი ნუთში გაქრეს „უსაზღვრო ვენებადქცეული სურვილი?“ როგორც ჩანს, შეიძლება. შეიძლება, თუ ალავერდის გუმბათზე ავარდნილი კაცი გახედავს სივრცეს, სადაც მიწის ერთი გოჯი, ერთი წერტილიც კი არ არის აუთვისებელი. ადამიანმა მთელ ამ სივრცეში თავისი ხელით შექმნილი სულიერი და მატერიალური მონაგარი დააგროვა. გურამმა ყოველივე ამის მიღმა იყურება, ის ისტორია განჭვრეტს და ხედავს იმ ენერგიას და სიცოცხლისუნარიანობას, რომელიც საუკუნეთა წიაღიდან მოედინება. სწორედ ეს ხილვა აქარწყლებს „უსაზღვრო ვენებადქცეულ სურვილს“ ე.ი. პროტესტს ალავერდის ირგვლივ შეკრებილი ბრბოს მიმართ. გურამი ხედება, რომ ალავერდობაზე მოსული ხალხის მოდუნება დროებითია, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც მან ალავერდის გუმბათიდან იხილა. „ჩვენ ორი დღით დავებნით, რომ ახალი ძალით გვეგრძნო ნამდვილი შემოქმედური სიამოვნება შრომისა, რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებელი ტკობაში“.

ასე რომ, ალავერდზე თავისი ფეხით ავარდნილი გურამი არა მხოლოდ ხალხს აფხიზლებს, არამედ თვითონაც თავისუფლდება პროტესტის გამოწვევი ეჭვისა და სექსისისაგან. თუმცა ამ პროტესტს თავის მყარი საფუძველი აქვს: დროებითი მოდუნებაც ისტორიის კალაპოტიდან ამოვარდნა და არ არის სასურველი.

გუმბათზე ზედასწარაფებული გმირი ზნეობრივ სიმაღლეს იძენს და აზრის სიცხადესაც იბრუნებს. გურამ რჩეულიშვილისეული ბუნების აღწერების მს-

გავსად ალავერდის გუმბათზე ავარდნის ეპიზოდზე ორპლანოვანია, ერთი მხრივ, ყოველივე ხელშესახებ რეალობაში ხდება, მეორე მხრივ, კი იგრძნობა სიმბოლური პლანი: ზნეობრივი სიმართლის მოპოვება.

ისტორიის განჭვრეტას რა აზრობრივი დატვირთვა ექვს უკვე დაძვინეთ – ეს არის ეროვნული ენერჯის და სიცოცხლისუნარიანობის მოძიების მიგნების და დადასტურების მომენტი. მაგრამ არის მეორეც, და ამის შესახებაც ვთქვით უკვე. რა არის ეს? ისტორიის განჭვრეტასთან ერთად საკუთარი თავის, როგორც ისტორიული არსების წარმოჩენა და თვითშეცნობა.

ვილჰელმ დილათის ნააზრევი – ისტორიასთან მიმართების შესახებ – პარალელად აქაც გამოგვადგება. მითუმეტეს თუ მისი თეორიის ზურამ კაკაბაძისეულ ინტერპრეტაციას მოვიხმობთ: „ადამიანის არსება და ისტორია დილთაისთვის თითქოს ტოლფასი ცნებებია. მე უბრალოდ კი არ მაქვს ისტორია, როგორც ჩემთვის გარეგანი რამ, არამედ მე ვარ ისტორია. მე ჩემი არსების გულში განსაზღვრული ვარ ამ ისტორიად ყოფნით. ამიტომაც თუ მინდა გავიგო, ვინ ვარ მე, რა არის ადამიანი, ისტორიას უნდა მივმართო“.

ასე რომ, გურამი ისტორიას როცა განჭვრეტს, საკუთარ თავსაც განჭვრეტს და პირუკუ. პარადოქსია, მაგრამ თვალნათლივი ფაქტია: დილთაის ნააზრევი გზას გვიხსნის გურამ რჩეულიშვილის მოთხრობის გასაგებად.

უფლისციხის ტალანებში, ისევე როგორც ალავერდის ტაძარში და მის შემოგარენში ისტორიის შეცნობის დრამა გათამაშდა. ამ სივრცეში გურამმა (მოთხრობის გმირმა) იხილა და შეიცნო ის, რისი ხილვა, შეცნობა და გაგება ჩვეულებრივ არ ხდება. რაღაც განსაკუთრებული განწყობა უნდა დაეუფლოს ერიზ ფრომისეულ „ექსისტენციორ“ „ყოფნის“ ადამიანს, რომ საკუთარი არსებიდან ამგვარი ხილვა „ამოხილოს“. ეს ხილვა, ისტორიასთან, როგორც ცოცხალ რეალობასთან შეხების მომენტი, ხანმოკლეა. ექსტაზური აგზნების და მერე უკვე გამოფხიზლების შემდეგ გურამს წამიერად შეცნობილი კულტურის ქმნილებანი – უფლისციხე და ალავერდის ტაძარი – უცხოდა და საშინადა იქცევა. ის თითქოს წამით დაუახლოვდა და შეერწყა ისტორიას, მისმა მზერამ თითქოს წამით გააპო ისტორიის გაუვალე კედელი და მერე ისე გაუცხოვდა მის მიმართ. საკვირველია, რომ ამ ორი მოთხრობის – „უსახელო უფლისციხელი“ და „ალავერდობა“ – ფინალში ერთნაირად იჩენს ეს აზრი თავს. ისტო-

რიის აღმნიშვნელად ორივეგან მეორდება ეპითეტი „საშინი“.

„ჩემს გარშემო კი ყველაფერი ძველია და საიდუმლო, ახალი მხოლოდ არქეოლოგთაგან დატოვებული მიწის ვასატის საკაცებები ყრია... ჩემს გარშემო კი ტილანია დიდი, ცარიელი, საშინი. აქ მხოლოდ ქვის სკამები და მაგიდები დგას, ძველი, ძალიან ძველი“ („უსახელო უფლისციხელი“).

„მის ფეხებზე დგას ალავერდი, სხვისი გრანდიოზული ენებისგან შექმნილი, თვითონ კი... დაბლა უკვე დაშლილი ხალხი და ის სულ მარტოა აქ, ამ საშინ ადგილას, ალვერდში მწყობრად ინთება სინათლეები“ („ალავერდობა“).

უფლისციხეც და ალავერდიც სხვა ადრინდელი კულტურის ქმნილებებია და ამიტომაც ეუფლება შიში და სიუცხოვე ავტორს. თვითონ ის თანადროული კულტურის წიაღში ცხოვრობს და ამ კულტურის „პრიზმიდან“ უყურებს წარსულს, თითქოს აწმყოს და წარსულის ცოცხალი გამაერთიანებელი რგოლია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ ადამიანი ისტორიული არსებაა და კულტურის კვალდაკვალ ისიც იცვლება.

რა შინაარსს იტევს ცოდნა, რომელსაც გურამი ალავერდზე ავარდნის და ერთგვარი ნათელხილვის შემდეგ მოიპოვებს? ეს არის ისტორიასთან შეხება. და ამ შეხებით მთავარი გმირი იპოვებს და ეუფლება არა იმდენად ცოდნას, რამდენადაც რწმენას. ამ რწმენასაც აქვს თავი შინაარსი, ეს არის რწმენა ცოცხალი ისტორიის არსებობისა, აწმყოს და წარსულის განუყოფლობისა, იმისა, რომ ადამიანს თავისი სიცოცხლის მეშვეობით შეუძლია გაიგოს ისტორია, რაც საკუთარი თავის, როგორც ისტორიული არსების და ისტორიის გამგების შეცნობაცაა. ყოველივე ეს კი ერთად იმის რწმენას ანიჭებს, რომ მისი ერი, მისი ქვეყანა, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით, ჯერ კიდევ არსებობს.

„სეზამ, გაიღე!“ – გაიღო ისტორიის კარი და კვლავ დაიხურა. გურამმა ტანჯვით მოიპოვა წარსულის წვდომის ნიჭი, მოიპოვა რწმენა, რომელიც მას ცხოველყოფელ ძალიან ანიჭებს, მერე კი დაღლილი და ფინდამცხრალი შერია სალაშოს მყუდროებას.

მოთხრობა ისევე მთავრდება, როგორც დაიწყო – ალაზნის ველის ნალექისმომგვრელი პეიზაჟით:

„სინათლეები კი სულ მატულობს და საოცარი პარამონით ერევა ალაზნის მდუმარე ველს, რომელსაც ის ფეხით მიჰყვება ალაზნისკენ“.



# თღმა ატაბული

რედაქციისგან:

დაიბადა და ცხოვრობდა სოფელ ბარისახოში (ხევსურეთი). პოლშევიკურ-კომუნისტურ რეჟიმთან დაპირისპირების გამო წლების განმავლობაში ტყვეში ყაჩაღად გაგარდნილი ტურბერკულიოზით დაავადდა და სრულიად ახალგაზრდა პოეტი 1952 წელს გარდაიცვალა.

ცხოვრება ცვალებადია...

ლექსი თქვი, ბუჩქისპირელო,  
მზიდველო მძიმე ტვირთისა,  
ცხოვრება ცვალებადია,  
ხომ ხედავ, როგორ მიდისა  
გაჩერდი, ის თუ გაჩერდა,  
გაიქეც, ის თუ მირბისა.  
რა სჯობს მხეცებთან ცხოვრებას,  
მწვანე ბალახის ბიბინსა,  
როს ქვეყნად არვის ეკუთვნი  
გარდა ცისა და მიწისა.  
შამჯავრდა, ხალხო, ცხოვრება, –  
ძალღური, ძალღის ჯიშისა, –  
ყველა ყველაფერს ჩად-მადის,  
სირცხვილ აღარვინ იცისა.  
ნახავ ნამუსის გაყიდვას,  
ნახავ გატეხას ფიცისა,  
არც სიყვარული არსებობს,  
ჰგავს ჩხრიალს მშრალი ქვიშისა,  
სჯობს წყალმა ჩაჭრას ქვეყანა,  
დავრჩე მდინარის იქითა...

ლექსი მოგვანოდა ბაბუა ალუდაურმა.



# ჩვენს წინაშე არსებობს მოვლენები

## კაცე ცინცაძე

### ჩემი მოგონებანი

თებერვლის 9-ს საღამოთი შესდგა შტაბის სხდომა. გამოირკვა, რომ ამის შემდეგ თავდაცვითი ბრძოლის წარმოება უგუნურება იქნებოდა. ნითელ-არმიელებს დარჩენოდა თითუღს 3-5 პატრონა, თითო პულემიოტზე 25-50-მდე პატრონა, ყუმბარა სულ 5-6. შტაბმა ერთხმად გადასწყვიტა ქალაქის დატოვება და ღამით, თებერვლის 9-ს, გამოვსულიყავით საქართველოს სამხედრო გზით; იქ მთებში, რამდენათაც შესაძლებელი იქნებოდა, გავგენია წინააღმდეგობა და შემდეგ დავმალუღიყავით ინგუშეთის მთებში. მაგრამ რალაც სამხედრო მოსაზრებით ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა გადადებულ იქნა 10 თებერვლის ღამისათვის. შტაბის წევრები იყვნენ: ამხ. პეტრე აღნიევი (სარდალი), მარტინოვი, მე და ოგურცოვი. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ვერ შევსძელით, რადგანაც თებერვლის 10-ს 10-11 საათზე მტერმა გაარღვია ჩვენი რკალი შალდონისა და კურსკის სლობოდეკის მხრიდან და ასე ჩვენ ნაჩქარევად მოგვიხდა ქალაქის დატოვება. მოვასწართ მხოლოდ შეიარაღებული ნაწილების გამოყვანა. წამოვიღეთ იარაღი, ზარბაზნები, ცხენები, ერთი ჯავშნოსანი ავტომობილი ლენინის სახელობისა (დანარჩენი გაუფუჭებული იყო), ზოგიერთი სურსათი, ძვირფასი ნივთები (ფული და სხ.) 10 თებერვალს საღამოთი ჩვენი ძალები უკვე გამოსული იყვნენ და ქალაქში შემოვიდნენ თეთრგვარდიელები.

საღამოთი ცნობები მივიღეთ, რომ თეთრგვარდიელებს გადაწყვეტილი აქვთ ჩვენივის გზის მოჭრა და სოფ. ბალტასთან უკანიდან შემოვლა. რედანტაზე () დარჩენა ჩვენივის მეტად სახიფათო იყო, რადგანაც ჩვენ არ შეგვენედა ძალა მტრის

წინააღმდეგ საკმაო ძალა გამოგვეყვანა. ნაშუალამევის 3-4 საათზე ჩვენ დავიძარით სოფ. ბალტასკენ და საათის 8-9-ზე უკვე იქ ვიყავით. მიუხედავით წინასწარ მიღებული ზომებისა, შეიარაღებულ ძალებს ქალაქიდან გამოყვა სახადით ავადმყოფნი ათასობით. ეს ავადმყოფები დიდათ გვიშლიდენ ხელს ყოველის მხრით. დემორალიზაცია შეჰქონდათ ჯანსაღ ნაწილებში, ჩვენი სურსათის დიდი ნაწილი მათ ხმარდებოდა, იკავებდენ ბინებს, ავრცელებდენ სახადს და სხ. მათი ალაღ-ბედზე მიგდება არ შეიძლებოდა. ბალტაში მათ ვუბრძანეთ ნაწუღიყვენ ღარსისაკენ და ასე რამდენიმე ჩვენი შეიარაღებული ძალები გავანთავისუფლეთ მათზე მზრუნველობისაგან.

ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ მხარს დაგვიჭერდენ მთიელი ინგუშები, მაგრამ ეს იმედი საცხებით არ გამართლდა. მცხოვრებნი სულითა და გულით ჩვენს მხარეზე იყო, მაგრამ ამავე ღროს მეტად დამინებული იყო. გაჩნდენ პროვოკატორები ინგუშ „კულაკებისა“ და აფიცრებისაგან, რომლებიც ნაკლებით შეგნებულ ინგუშებს უსისიანებდენ ნითელ არმიელებზე, კომუნისტებზე და ამათ მეთაურებზე. განსაკუთრებით დიდ პროვოკაციას ეწოდენ ცნობილი მდიდრები ღლანოევი. მდგომარეობა მეტად კრიტიკული შეიქმნა მთებში თავის შეფარება ჩვენი (3000-მდე კაცი ვიყავით ავადმყოფებთან ერთად) შეუძლებელი იყო. არც პოზიციების შენარჩუნება შეგვეძლო. ამ 3000 კაციდან შეიარაღებული იყო 500 კაცი, რომელთაც შეეძლო წინააღმდეგობის განევა, ამითგან ორი როტა მეტად საიმედო იყო. ეს როტები შესდგებოდა გროზნის მუშებისაგან. დაგვებდა აზრი გადავსულიყავით საქართველოს საზღვრებში. ამ აზრს დაეთანხმა ყველა

დასასრული. დასაწყისი „ცისკარი“ №3-4. 5. 6. 7-8. 9. 10. 11. 2011.

ცისკა

## ჩემას პირველი თავმჯდომარის მოგონებები

პასუხისმგებელი ამხანაგი. ბალჭამდე ჩვენთან ერთად მოდიოდენ ამხ. კესაევი, ტოგაევი და სხ; მაგრამ ბალჭამდე მათ დაიხიეს და მიომღუნ ოსეთში.

ჩვენ წინადადება მიეცემა ამხ. ს. ქავთარაძეს ნასულოყო ყაზბეგში და მოლაპარაკებოდა საქართველოს მთავრობას. დილით ამხ. ქავთარაძე გამგზავრა ყაზბეგში და შეეუდგეტი ჩვენც მზადებას, რომ საღამოთი გამგზავრებულიყავით ლარსისაკენ - 3-4 ვერსის მოშორებით დარიალის ზღვიდან (საქართველოს საზღვარი) 11 თებერვლის არავითარი პასუხი არ მოვიდა. 11 - საღამოთი ჩვენ დავიძარით ლარსისაკენ, ღამის 12 საათზე ჩვენ უკვე ლარსში ვიყავით. ყველა ბინები ჩვენმა ავადმყოფობა დაიკავეს. მცხოვრებთაგან იქ არც ერთი ქალი არ დარჩენილა. მდგომარეობა სამხედლო იყო. სურსათი გამოგველია, ვაზნები აღარ გვაქვს, არც ყუმბარები, ყინვა 15-20 გრადუსს აღწევს, ჰქრის სამხედლო მისი ქარი, ქუჩაში და სახლებში ჰყრია გაყინული ავადმყოფები და ზოგიერთი ჯანსაღი წითელ არმიელებიც. მკედარი რამოდენიმე ათეული იქნებოდა. ერთად ერთი იმედი იმისა, რომ შეიძლება ამხანაგების ფიზიკურად გადაარჩენა, - ეს იყო საქართველოში გადასვლა, მიუხედავად იმისა, საქართველოში ჩვენ არ მოველოდით ადამიანურ მოპყრობას, პირიქით. 12 თებერვლს დილით მივიღეთ წერილი ამხ. ს. ქავთარაძისაგან, ჟორდანიას მთავრობის პასუხთან ერთად. ხელს აწერდა თვითონ ჟორდანიას. ის პირდაპირი მავთულით იტყობოდა (სამწუხაროდ, ეს საუცხოვო დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებდა მენშევიკების სისაძაგლეს და დაცემას, არ შენახულა, თუმცა მისი შინაარსი სიტყვა-სიტყვით მახსოვს), რომ ის შეუშვებს საქართველოში მხოლოდ იმ ქართველებს, რომლებსაც დენიკინი სდევნის, დანარჩენი არავითარ შემთხვევაში არ შეუშვებს. განა შეიძლება პარტიის ამ ზომამდე გათახსირება? „სოციალისტმა“ ჟორდანიამ იცის, რომ როგორც ქართველს, ისე რუსს მოელის ერთნაირი უტოლურება, იცის, რომ ჩვენს შორის არ მოიპოვება არც ერთი ბურჟუა (თუმცა ბურჟუები და აფიცრები რომ ყოფილიყვნენ, რასაკვირველია, ჟორდანიას დასთანხმდებოდა მათ მიღებაზე, როგორც ის მოიქცა მაშინ, როდესაც დენიკინი იხევდა), ჩვენ კი მუშები და გლეხები ვართ, ჟორდანიას და მისი მთავრობა ამბავან „ხსნას“ პირდება მხოლოდ ერთ მუჭა ქართველებს, დანარჩენთ - რუსებს, სომხებს და სხვ. უტოლურება დასაძლევად თეთრ ჯარებს. ამაზე უფრო არ შეიძლება დაეცეს არა თუ „სოციალისტი“, არამედ უბრალო ადამიანი. წავიკითხეთ რა ჟორდანიას პასუხი, ყველამ ერთხმად წამოვიძახეთ - „ხალაფრის გულისხამთა“, მიუხედავად იმისა, რომ იხლმძღვანელთაგან დიდი უმრავლესობა შემთხვევით აღმოჩნდენ ქართველები. ეს წერილი ჩვენ წავიკითხეთ ვინორი წრეში და გადაწყვიტეთ არ გამოგვექვეყნება. გვეკმინოდა პროვოკაციის. მხოლოდ მიუცევი

განკარგულება ზოგიერთ საიმედო ამხანაგებს არც ერთი ქართველი საზღვართან არ გაეკარებინათ, რათა ვინმე არ მოტყულებულიყო და არ გაეკარულიყო საქართველოს ტერიტორიაზე. იმ წამსვე გავმართეთ თათბირი. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად სხვა და სხვა წინადადება წამოყო თავი. ერთნი ფიქრობდენ - შეძლების დავგვართა წინააღმდეგობა გაგვეწია თეთრგვარდიელებისათვის და შემდეგ რაც იქნებოდა, იქნებოდა. ეს არ იყო გამოსავალი, არამედ ჩვენ ასე უნდა მოვცეულიყავით, სხვანაირად არ შეგვეძლო. მეორენი წინადადებას იძლეოდენ დაეწინაღებულიყავით ვჯოფუგბათ და გავიზნულიყავით მთებში. ეს ისეთი წინადადება იყო, რომელიც აზრთა სხვა და სხვაობას არ იწვევდა, ვინაიდან სხვა გამოსავალი არ იყო, მაგრამ ჯარის ნაწილების სულიერი განწყობლება არ იყო ისეთი, რომ რომელიმე ამ წინადადებათაგანს გასავალი მჭირდა. ასე შეეძლო მოქცევა ამხანაგების მეტად მჭირე ვჯოფუს, დანარჩენი მასისთვის სულ ერთი იყო. მე შევიტანე მესამე წინადადება - კიდევ გაგვემართა მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან და რითმე ის დაგვეინტერესებია: სამხედრო მასალით, ფულით და სხვ. წინადადება მიღებულ იქნა და მოსალაპარაკებლათ გაგვავაზვნეს ამხ. ლადო დუმბაძე და მე.

საათის 10-11-ზე მე და ლადო გავემგზავრეთ ყაზბეგში. საზღვართან ხიდზე შეგვედა პოლკოვნიკი წერეთელი, რომელმაც შემდეგ დენიკინს გადასცა 35 კომუნისტს, საქართველოს ტერიტორიაზე გამომსუღლი. მან ჩვენ მივიღო და წავიყვანა ყაზბეგში პირდაპირ მავთულთან. პირდაპირ მავთულთან ტფილისში აღმოჩნდა თვით ჟორდანიას. ჩვენ ყველა ქართველებს და აგრეთვე პირადად ჩვენი სახელით გადავეციით, რომ არც ერთი ქართველი არ შემოდგამდა ფეხს საქართველოში, თუ არ იქნებოდენ მიღებული ყველა ისინი, რომლებიც ჩვენებრ მდგომარეობაში იმყოფებოდენ, ვაცნობეთ აგრეთვე, რომ ჩვენს გულის წერობის ვუცხადებთ საქართველოს მთავრობას მხოლოდ ქართველების მიღების გამო: მან თავი იმართლა იმით, რომ არ იცოდა, თუ მათთან ერთად რუსები და სხვები იყვნენ: ალვეითქვა საკითხის მთავრობის სხდომაზე დაყენება და პასუხის მოცემა ღამით. ჩვენ არ დავეთანხმეთ ამაზე და ვაცნობეთ, რომ შემდეგ გვიან იქნება, ვინაიდან დენიკინის ბანდები ფეხდაფეხ მოგვედინა და ჩვენ იძულებული ვიქნებით რამდენიმე საათის შემდეგ მას დავმორჩილდეთ ან დავტოვოთ მთელი ჩვენი ქონება და გავიქცეთ მთებში. როგორც ეტყობოდა, ის ქონებით დაინტერესდა და შეგვეკითხა - რა ქონება და რამდენი მოგეპოვებათო. ჩვენც ჩამოვთვალეთ - „ობოზი“ 1000 ცხენი, 8 ზარბაზანი, 90 ტყვიისმრქვეველი, საჯდომი ცხენი 200, ნიკოლოზის ფული 20 მილიონამდე და სხ. ამის შემდეგ ჩვენთან მან შესწყვიტა

ლაპარაკი და პოლიკენი წერეთელს აცნობა, რომ ჩვენ გამოვეშით განიარაღებული, მეთაურები კი თვითონში გაეგზავნა. წერეთელმა ჩვენ გვაცნობა ჟორდანიასთან ნალაპარაკები. ჩვენ შევთანხმდით წერეთელთან შემდეგში: გადმოვალთ საქართველოს ტერიტორიაზე ღამის 12 საათზე ასე: 12 საათზე მოსაზღვრე ჯარს ჩვენ ავუტყუებდით სროლას პარკში, ისინი ჩვენ გვიპასუხებდნენ სროლითვე, ამის შემდეგ იმ ადგილას, სადაც ჩვენ ვიქნებოდით, მოვლენ ქართველი ჯარისკაცები და თითქოს ჩვენ იარაღს აგვყრიან და ტყვედ წავიყვანენ. ასეთი წინადადება მოგვცა ჩვენ ჟორდანიამ, რომელმაც ლაპარაკში გვანშნა, რომ ინგლისელებისათვის „სასიამოვნო“ არ იქნება, თუ საქართველო პოლშევიკებს მიიღებს. რომ ჟორდანიას თავი გაეპარებოდა ინგლისელების წინაშე, ასეთი კომბინაცია ჩვენ შევსთავაზეთ, თითქოს ჩვენ გვდომებოდა საქართველოში ძალით შესვლა. ასეც მოვიქცეთ. ღამის 12 საათიდან დაიწყო სროლა. ჩვენ შემოუშეთ ქართველი ჯარისკაცების ერთი როტა, რომელთაც დაგვატყვევეს. მეორე დღეს სწორედ ასე იყო გაზეთებში გამოცხადებული.

ჟორდანიას განკარგულებას ჩვენ მაინც არ ვენდეთ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ მთავრობის სხდომაზე საკითხის გარჩევის შემდეგ უარს გვეტყვიან. ამიტომ მოველაპარაკეთ პოლკ. წერეთელს, განსაზღვრული ჯილდოც შევპირდით, რომ მას, თუ ასეთი რამ მოხდებოდა, დავამალა დეკემა, ვიდრე ჩვენ საქართველოს ტერიტორიაზე არ გადმოვიდოდით. ის დასთანხმდა. ჩვენ ყველა ამხანაგები ლარსში სიხარულით შემოგვეგებენ.

ამ სახით მთელი ჩვენი სამხედრო ქონება მენშევიკებს დარჩა. რაც შეეხება ფულს, ის ჩვენ ცოტა გვექონდა და რაც გვექონდა, გავუზღავნეთ ტფილისში არალეგალურ საოლქო კომიტეტს.

შუშუტვილია ყველა იმ უბედურების აღწერა, რაც ჩვენ „დემოკრატიულ საქართველოში“ შეგვემთხვა. არავითარი დახმარება არ გავცინიეს. არ მოუციათ არც ბინა, არც სურსათი, არც სანიტარული დახმარება. ამხანაგები იხოცებოდნენ სიცივით, ავადმყოფობით, არ მოგვეცა გადასაზიდი საშალები. დალილმა ნითელარმიელებმა 200 ვერსტი ტფილისამდე ქვეითად გაიარეს, გზაში მათ ძარცვავდნენ მთავრობის აგენტები; ნითელარმიელებს უკანასკნელ კაპიკებს ართმევდნენ, რომელიც ჩვენ დაურიტეთ. ტფილისში მათ უარესი დღე დაადგა. მთავრობა არც თითონ ეხმარებოდა, არც საოლქო კომიტეტს ანებებდა დახმარების აღმოჩენას დაავადმყოფებზე, ტიტყველი ამხანაგებისათვის. ჩვენ, 7 კაცი მეთაურები მივიყვანეს წაბეგში და გავუ-

ზავნეს ტფილისის ციხეში, სადაც გავატარეთ ერთი წელი, შემდეგ კი მოვანწყეთ გატყვევა 4 ამხანაგად: ფ. მახარაძემ, ლ. დუმბაძემ, ალ. მახარაძემ და მე.

საქართველოს მთავრობამ ციხეები კომუნისტებით აავსო, შემოიხიზნულ ნითელ არმიელებსაც კი აპატიმრებდნენ. გადარჩენილი ნითელ არმიელები გარბოდნენ დაღესტანში, სადაც უკვე გამართული იყო ნითლების ფრონტი თეთრების წინააღმდეგ და ასე განაგრძობდნენ ბრძოლას დენიკინთან.

1920 წლის გაზაფხულზე ნითელმა ჯარმა გაანთავისუფლა ჩრდილო კავკასია თეთრებისაგან. გასაბჭოება მოხდა აზერბაიჯანში, მე, ამხ. დუმბაძემ და ალ. მახარაძემ კვლავ ამოვყავით თავი საბჭოთა ტერიტორიაზე, სადაც შევედგეთ საბჭოთა მშენებლობას და ორგანიზაციულ მუშაობას. უნდა გენახათ, როგორ თბილათ შეხედენ მენშევიკები უკან დახეულ თეთრგვარდილებს. სრულიად წინააღმდეგ, ვიდრე ჩვენ.

ჩრდილო კავკასიაში – თერგის ოლქში – გაძლიერებული მუშაობა სწარმოებდა დარჩენილი თეთრგვარდიელთა განმუხრისა და საბჭოთა წყობილების მოწყობის საქმეში. დაარსდა მიიელთა ავტონომიური რესპუბლიკა.

საბჭოთა მშენებლობისა და პარტიულ მუშაობის მოწყობასთან ერთად ჩვენ, ქართველი ემიგრანტები, მხნედ ვანარმოებდით არალეგალურ მუშაობას საქართველოსათვის, ვანყობდით შიარაღებულ რაზმებს საჭიროებისათვის. ესეც ადრე დარჩა საჭირო. 1921 წლის იანვრიდან საქართველოში დაიწყო აჯანყება. ნითელმა ჯარებმა დახმარება აღმოაჩინეს აჯანყებულებს და საქართველოც გასაბჭოებულ იქნა 25 თებერვალს. თერგის საბჭოთა მთავრობამ და კომორგანიზაციამ დაუფასებელი დახმარება გაუწია საქართველოს გასაბჭოების საქმეში. გზავნიდნენ დახმარებას, იარაღს, ლიტერატურას და როცა სამხედრო მოქმედება დაიწყო, ნითელი არმიის მთელი პოლკები იქნა გამოგზავნილი – ცალკე რაზმები როგორც ქართველებისაგან, ისე სხვა მოხალისე ამხანაგებისაგან. განსაკუთრებით თავი ისახელეს ამხ. ოსებმა და... რომელთაც გაუვალი უღელტეხილი გადალახეს რაჭის მაზრაში. იმათ ხელმძღვანელობდა ძანძორ ტაკოევი. სხვა ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ ამხ. ვ. ნივინაძე, ჯუღელი, კარლანდაძე, ს. ჯატიევი, ს. გულაშვილი და სხვ.\*

ჩრდილო კავკასიის კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლა გაგრძელდა თერგზე მთელი 1918 წ. მეორე ნახევარი და 1919 წ. პირველი თვეები ბრძოლა იყო სასტიკი, დაუნდობელი. მუშები და გლეხები თავგანწირვით იბრძოდნენ საბჭოთა მთავრობის დასაცავათ, მაგრამ სხვა და სხვა სამხედრო ნაკლებლოვანების და მიზეზების გამო დენიკინელთა

\* ამხ. კ. ცინკაძის ზემოდ დაბეჭდილი მოგონების პირველი ნაწილი დაწერილია საგანგებო თერგის პარტიისათვის. მოგონების მეორე ნაწილი კი, რომელიც ექმოდ იმედობა, გაგრძელებული იმ მასალის, რომელიც დაბეჭდა „რევ. მატ.“ №4-5 (9-10) -1924 წ. ვხევდით ამ ნაწილსაც უცვლელად, თუმცა აქ ამხ. კოტე საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლის შესახებ არაფრისმეტყველებს მოკლედ იმეორებს იმასვე, რაც მას ზეით ვრცელად აქვს მოიხირობლი.

ც. ს. კ. ა.

# ჩეხოსლოვაკიის მემორანდუმის მოგონებები

ურდოებმა სძლია საბჭოთა ჯარებს და თერგის მოქიცი დაიკავა. თერგის ოლქის საბჭოთა ჯარების მიერ ნაწილი (ავთომყოფებიან 3 ათას კაცადნის) იძულებული იყო საქართველოს სამხედრო გზით უკან დახეულიყო, რადგან ყველა დანარჩენი გზები მოჭრილი იყო თეთრჯვარდიელების მიერ. ჩვენც დარიალისკენ დავიხიეთ. მაგრამ ვი ახეთ დახვევას. გატიტვლებული წითელი მოლაშქრენი, უმეტესობა ავთომყოფები, უიარალო, რადგან არც თოფების და ტყვიის მფრქვევლები ვაზნები, არც ზარბაზნების ყუმბარები აღარ გავაჩნდა. წინააღმდეგობის განევა შეუძლებელი იყო. თან მკაცრი სიცვი და უშეშობა, უსურსათობა და ავთომყოფობა კალთი აუნერგე საშინელ მდგომარეობას ჰქმნიდა. მართლა რევოლუციონური ცეცხლის სიდიადეა საჭირო, რომ ასეთ პირობებში მებრძოლებმა თავი შეინახონ და სიმაგრე შეინარჩუნონ! ალბათ ჩვენს მოლაშქრეთ არ აკლად რევოლუციონური აღტყინება, თორემ შეუძლებელი იყო რამეზე ფიქრი, რისიმე იმედების ქონა.

დენიკინის ჯარები კი ფეხ და ფეხ მოგვედევს: კარგათ ჩაცმულები, ზედმინეებით შეიარაღებულები (ამ შემთხვევაში ისინი ანტიანტის წყალბობას მოკლებულ არ იყო). ერთად ერთი საშუალებას ადამიანების გადასარჩენად დენიკინების ურდოებისაგან წინმოადგენდა საქართველოს საზღვრებში გადმოვილა. რაღა სხვა საშუალება არ იყო და წინააღმდეგობის განევა შეუძლებელი იყო - ჩვენ გადაწყვიტეთ მენშევიკების მთავრობასთან მოლაპარაკება გაეგეგმართა, თუმცა ჩვენი სულ და ვული, ჩვენი მთელი არსება რაღაც ზიზღს გრძობდა, როდესაც ამაზე ვლაპარაკობდით, მაგრამ რამოდენიმე ათასი კაცის სიცოცხლის შენარჩუნების საკითხმა სძლია პირად სიძულვილს და უხერხულობას (თუმცა, როგორც შემდეგ გამოირკვა, იმაზე მეტს, რაც მენშევიკებმა უყვეს ჩვენს ამხანაგებს არც დენიკინი უშამდა, მაგრამ ადამიანი ასეთ დროს მუდამ ძეხებს საშუალებას, ახდენს ცდას და შეცდომებს უშვებს მდგომარეობის დაფასებაში. ისე კი სწორი იყო მენშევიკებთან ლაპარაკი ასეთ მდგომარეობაში თუ არა, მკითხველისათვის მიმინდვია დაფასება).

გამოგზავნეთ ამხ. სერგო ქავთარაძე მოსალაპარაკებლად პირდაპირ მათუღით თბილისთან. მეორე დღეს მივიღეთ ნოე ჟორდანისა პასუხი, სადაც გვატყობინებდა, რომ გაუშვებენ საზღვარზე მხოლოდ ქართველებს.

აფსუს „სოციალისტური მთავრობა!“ ქართველად გადარჩეს - რუსის და სხვა ეროვნებათა მუშები და გლეხები დაულოტებ და ამოხიციონტრ-რევოლუციონერთა ჯალათებმა! ამას მხოლოდ მენშევიკური მთავრობა თუ მოიქმედებდა - თორემ სხვა მთავრობა არც კი იკადრებდა მგონი. ჩვენ რასაკვირველია ცივი უარით უპასუხეთ (მხედველობაში მყავს ქართველი ამხანაგები). მაგრამ

სხვა საშუალება არ იყო - ან უნდა ჩავბარებოდით გამხევიებო ყაზახებს, ან თავები დაგვეცოცა ყველა. სხვაბრთა თათბირი, რომელსაც დაგხწრო ამხ. ლადო დუმბაძე, მარტინოვი (სხვათა გვარები არ მასსოვს). თათბირზე გადაწყდა კიდევ ერთხელ მიგვემართა მენშევიკებისათვის. ავიკრიგეს ლადო დუმბაძე და მე. ჩვენც დაუყოვნებლივ გავსინეთ ყაზბეგში. გამოვიძახეთ თბილისი და შემთხვევით ნოე ჟორდანია იყო მათუღითან. ჩვენ გადავეციეთ მდგომარეობა, დავანტიერესეთ სიმღიდრით, რომელიც თითქო ჩვენ თან გვერდით და დაცხინეთ, რომ ყველაფერი ეს დენიკინს ჩაუარდება ხელში თქვა. იმაზე კი, რომ ქართველებს იპატყებდა კიდევ ერთხელ გაუმეორეთ, რომ ჩვენ არაფრამდის არ დავთანხმდებოდით. ალბათ სამხედრო მასალაზე და ნიკოლოზის ფულებმა დაინტიერესეს და მან გასცა ბრძანება დარიალის რაზმის უფროს ნერეთელზე ჩვენ გამოვეშეთ, მხოლოდ იარაღი ხიდზე აყვარათ ჩვენითვის. ხელმძღვანელი კი თბილისში წარედგინათ. როგორც იყო საზღვარს გადმოველით. საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნენ ჩვენი ჯარის კაცები. რაც რამ კი გვებადა მივეციეთ, მხოლოდ არ ყოფნინათ. საშინელ გაჭირვებით ჯარის ნაწილებმა თბილისს მიაღწიეს. ვინ იცის რამდენი სიმშინელი, რამდენი სიცვიით, რამდენი ავადმყოფობით დაიხივა ყინვიან მიწებში, სანამ თბილისში ჩამოვიდოდნენ. ჩვენ კი შვიდი კაცი, ვითომ ხელმძღვანელები, დაგვიჭირეს და თბილისს ჩამოვიყვანეს. ესენი იყვნენ ლადო დუმბაძე, სერგო ქავთარაძე, კოტე ცინცაძე, გახოკია მიხა, პეტრე აღინაშვილი, საშა ზუბკოვი და ზახტაძე. ამხ. ლადო განსაკუთრებულ რაზმის შენობაში ტიფით ავით განხდა და საავათმყოფოში გაგზავნეს დიდის ხვეწნითა და მუდამით. მორჩენის შემდეგ ლადო გაიპარა საავათმყოფოდან და ციხეს თავი დაახანია. აღინაშვილი, გახოკია, ზუბკოვიც იმავე ავთომყოფობის გამო თავდებობით განათიყიფულენ. შემდეგ ზახტაძეც გაუშვეს. დავრჩით მე და სერგო ქავთარაძე. ეს იყო უკვე 1919 წლის თებერვალი.

ამხ. ლადო და სხვა დაჭყრას გადარჩენილი ამხანაგები შეუდგენ მუშაობას. განსაკუთრებით ენერგიულად მუშაობდა ამხ. ლადო დუმბაძე, რომელიც თითქმის ერთად ერთი ხელმძღვანელი იყო ყოველგვარ პრაქტიკული მუშაობისა. გარდა ამის მუშაობდნენ ა. ნაზარეტიანი, სანდრო თუმანიოვი და სხვები. მთელი ზაფხული პარტიული მუშაობა სწარმოებდა. საოლქო კამიტეტი ბალშევიკების კვლავ აჯანყებისათვის ემზადებოდა. მუშებში და გლეხებში ფართო მოძრაობის წინააღმდეგ ერთად ერთი სასპეკულიაციო საკითხი მენშევიკებისათვის იმ დროს იყო ნაციონალური საკითხი, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. ამ შემთხვევაში მათ შესძლეს საქართველოს მუშებისა და გლეხების უმრავლესობისთვის ნაციონალისტური ტენდენ-

ციები თავზე მოეხვიათ. მაგრამ საგრძნობი ნაწილი მუშა-გლეხებისა მაინც ამ პროუკაციას არ გაჰყვა და დაცვა წინდა ინტერნაციონალური პოზიცია. შემოდგომის დასაწყისში ჩვენმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა მოეკლა გენერალი ბარათივი – დენიკონელების წარმომადგენელი საქართველოში. ამ ტერორისტულ აქტში მონაწილეობას იღებდნენ: არკადი ელბაქიძე, ვასიკო წიწვიაძე, ტიტე ლორთქიფანიძე, დანდუროვი და სხვები. ეს ის დრო იყო, როდესაც დენიკონელები რუსეთში მოსკოვს უახლოვდებოდნენ. ამავე დროს დაიწყო ჩვენი ორგანიზაციების მხრით გაფიცვებული მუშაობა გამოსვლების მოსაწყობათ. სწორედ იმ დროს, როდესაც თითქო საბჭოთა მთავრობას ამარცხებდა დენიკინი – აქ საქართველოს მუშები და გლეხები ლამობდნენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. საბჭოთა მთავრობის განხორციელებული საქართველოში ის მიისწრაფოდა ზურგდგან დახმარება გაენა რუსეთის მუშებისა და გლეხებისათვის. შემოდგომის მიწურულში გამოსვლები დაიწყო. გამოსვლებმა ფრიად სერიოზული ხასიათი მიიღო. (დანერვილებით ამაზე, ალბათ, ამხ. ლადო ღუმბაძე და სხვები დასწერენ, რადგან მათ უფრო კარგათ იციან მამინდელი მუშაობა). აჯანყება მოხდა: 1) გურიამი, სადაც ქალაქი ლინჩხუთი სამი დღის განმავლობაში აჯანყებულია ხელში იყო, გარეთვე სუფსა, ჯუმათი, ჩოხატაური და სხვები. 2) აჭრამი, სადაც მთელ მაზრაში თითქმის (გორს გარდა) ძალაუფლება აჯანყებულთა ხელში გადავიდა, 3) თელავში, 4) ლაგოდეხში, 5) დუშეთში, 6) სამხრეთ ოსეთში, 7) შორაპნის მაზრაში და სხვა. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი კუთხე, სადაც აჯანყებას არ ეფეთქოს. მხოლოდ სიღნაღის დიდი ნაწილი სტუმდა. იქაური ორგანიზაცია, რომელსაც ამხ. ვარამაშვილი ხელმძღვანელობდა, სუსტი გამოდგა.

ამ აჯანყებების მოწყობაში და გამოსვლებში აქტიურ და ენერგიულ მონაწილეობას იღებდნენ ცენტრიდან ამხანაგები: ვასიკო წიწვიაძე, ვიქტორ ცინცაძე, ჯეჯელავა, ტიტე ლორთქიფანიძე, დანდუროვი და სხვანი მრავალნი, რომელთა გვარები ძლიერ ძნელი მოსაგონარი ხდება დღეს (კარგი იქნებოდა, რომ თვით ის ამხანაგები დასწერდნენ თავიანთ მოგონებებს). ხელმძღვანელობდა ამ მუშაობას ამხანაგები: ლადო ღუმბაძე, ფილიპე მახარაძე (რომელიც ცოტა მოგვიანებით ჩამოვიდა თბილისში ინგუშეთიდან), ამაიკ ნაზარეტიაძე, სანდრო თუმანოვი, სამხა ბეგზაძეანი, ვარლამ ძნელაძე და სხვები. აჯანყება დამარცხდა მთავრობის ჯარების გამარჯვებით. უმთავრესი მიზეზი ამისა ის იყო, რომ თვით ქალაქ თბილისში ვერ შესძლო პროვინციასთან ერთად გამოსვლიც და მთელი მოძრაობისათვის ხელმძღვანელობა გაენია. თბილისში სწორედ გამოსვლების წინა დღით ჩავარდა სამხედრო ორგანიზაციები, რამაც შეუძლებლა გახადა გარნიზონის გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომ მთავრობას საშუალება მიეცა

პროვინციის წინააღმდეგ მაგარი სამხედრო მუშტი მოემზადებინა და ცეცხლითა და მახვილით გაესრისა აჯანყებული გლეხობა.

აჯანყების დამარცხების შემდეგ მენშევიკებმა ციხეები გაავსეს ამხანაგებით. თითქმის 2000-მდე კაცი იჯდა საქართველოს ციხეებში. დაიჭირეს ამხ. ლადო ღუმბაძე, ფილიპე მახარაძე, სანდრო თუმანოვი და სხვა საოლქო კომიტეტის წევრებიც. დაიჭირეს გაერთიანებული პრაქტიკული საუკეთესო მომუშავე ამხანაგები: ვასო წიწვიაძე, ტიტე ლორთქიფანიძე, პეტია აღნაშვილი, გაბოკია, რუდენ ჯღამაძე და სხვანი მრავალნი. მუშაობა დროებით შეწყდა. ამხანაგები მიიძღ-მიომიძღნენ: იჭერდნენ ყველას, ვისზედაც მხოლოდ ეჭვი ეპარებოდათ იჭერდნენ იმიტომაც, რომ რუსეთიდან ჩამოსვლები იყვნენ ზოგიერთები, იჭერდნენ ყველა რუს და სომეხ ამხანაგებს; მხოლოდ იმიტომ, ისინი თითქო აუცილებლად ბალშევიკები იქნებოდნენ. ასე დამთავრდა ეს გამოსვლებიც.

1919 წლის მიწურული იყო, როდესაც ჩვენ რამოდენიმე ამხანაგებმა ციხეში – მე, ლადო ღუმბაძემ, ფ. მახარაძემ, სანდრო მახარაძემ და სხვებმა განვიზრახეთ ციხიდან გაქცევა. ამ მიზნის განსახორციელებლად მივმართეთ სხვადასხვა საშუალებით, მაგრამ ბევრეტი გეგმები ჩაგვეშალა. შემდეგ იმავე მიზნისათვის გავრჩენეთ როგორც ავადმყოფები ციხის საავადმყოფოში, ამხ. ელურდოვის საშუალებით, რომელიც იმ დროს დაჭირალი იყო. ეს ამხანაგი ერთ-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელობის იყო უკანასკნელ გამოსვლების დროს მენშევიკების წინააღმდეგ და საავადმყოფოში იმყოფებოდა.

ამ მიზნით გადავედით საავადმყოფოში ოთხი კაცი: ლადო, ფილიპე, მე და სანდრო მახარაძე. კავშირი გარეთ ციხიდან გვექონდა არუსაყ ტერ-მეტროსოვის საშუალებით ორგანიზაციასთან, რომელიც საოლქო კომიტეტის ტენიკურ მომუშავეთ ითვლებოდა.

საავადმყოფოში საქმე მხოლოდ უფროსი მეთვალყურის მოყიდვით თუ გაკეთდებოდა. სხვა საშუალება თითქმის არ იყო. პირველ ხანებში საქმე გოქსაძესთან გვექონდა დაჭერილი, მაგრამ რალაც ეჭვი შეგვეგპარა და თავი დავანებეთ მასთან ლაპარაკს, მხოლოდ ისე კი, რომ მას არ გავგო ეს, თორემ გვეგონა გვიჯამებოდა და ჩვენ ისევ უკან მტეხში გადაგვიყვანდნენ.

სრულად შეტხვევით იქ აღმოჩნდა მეორე ჩემი ნაცემები უფროსი მეთვალყურე ამხ. ლეკვიძე. ეს ამხანაგი წინათ ბოლშევიკების ორგანიზაციაში მუშაობდა, მაგრამ ჩვენი ამდენი დამარცხებისა და დაქსაქვის შემდეგ ის დროებით ორგანიზაციას ჩამოშორებოდა და სამსახურისათვის მოეკიდა ხელი. ჩვენს დანახვაზე ციხეში ის ძლიერ შენუსხდა, მასში გაიღვიძა ძველმა ამხანაგმა და ჩვენს წინადადებაზე დახმარება გაენია გაქცევაში, სიხარულით დაგვათხანდა. „რათაც უნდა

## ჩეკას პირველი თავმჯდომარის მოგონებები

დამიჯდეს, თქვენ გაგანათავისუფლებო,“ ამბობდა ის. უმთავრეს მოლაპარაკებას მე ვანარმოვებდი, რადგან მე უკეთ ვიცნობდი მას. ძნელი იყო პასუხისმგებლობის აღება თავზე. მაგრამ „ურსისკოთ“ არაფერი კედებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამხ. ლეკვეიშვილი არავითარ ეჭვს არ ინეგვედა ჩვენში მისი გულწრფელობის მხრივ, ჩვენ მიანც ძლიერ ფრთხილად გვეჭორა თავი. (იმედია ეს არ ეწყინება ამხ. ლეკვეიშვილს). ამისთანა საქმეში ეჭვები ხშირი მოვლენაა. გეგმა ასეთი იყო: მას, როგორც უფროს მეთვალყურეს, უნდა გამოეძახა ჩვენ ოთხი ამხანაგისათვის ციხის კანტორაში, თითქო ციხის უფროსი გვეძახისო. საავადმყოფო არსებობდა მეორე ეზოში. საავადმყოფოდან კანტორაში სხვა გზა არ იყო, გარდა გარეთ ქუჩისა. როცა ის დაგვიძახებდა, ჩვენ თან გაგვეყვებოდა და კანტორაში შესვლის მაგიერ დაავადებოდით ყოვილ ვორინცოვის ქუჩას და იქ „ელდორადის“ ბაღთან ავტომობილი უნდა დაგვეხვედროდა. გარეთ ორგანოზაჩისა ჩვენ დაამალვისას ასრულებდა ვიქტორ ცინცაძე, არუსიაკ ტერ-პეტროსოვი, ანგია ელბაქიძე და გიგო ეკნაძე. მხოლოდ ამხ. ლეკვეიშვილს ასე უთხარით: გამოსვლის დღეს, გარდა ავტომობილისა, გვეყოლება 10 შეიარაღებული ამხანაგები – მათურებით და ყუმბარებით, ჩვენც თვითონ შეიარაღებული ვიქნებით. თუ ვინცობაა გაგვიგებს, მაშინ ძალით ვეცდებით გაქცევას თქვა. გადაწყვეტილი იყო, რომ თვით ამხ. ლეკვეიშვილი ჩვენთან ერთად უნდა გამოქცეულიყო. ასეთი გეგმა იმიტომ დაუხატე, რომ თუ გულში დალატი ვიქნებოდა ისიც ჩვენთან უნდა მომკვდარიყო. ჩვენ ასე ფიქრობდით: მისთვის სულ ერთი იყო ვინ მოკლავდა – მენშევიკები, თუ ჩვენ. ამგვარად კითხვის დასმით მას ან უარი უნდა ეთქვა (სროლის დროს სიკვდილის შემინდებოდა თუ გულში დალატი ჰქონდა) ან თუ უარს არ იტყოდა – მაშინ ჩვენ დავერწმუნებოდით ასე თუ ისე, რომ მისი ალთქმა გულწრფელია (კიდევ ვიფიქრებ, რომ ამხ. ლეკვეიშვილს არ უნდა ეწყინოს ჩვენის მხრივ ასეთი უნდობლობა იმ დროს და იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ, გამქცევი რევოლუციონერები ვიმყოფებოდით) რასაკვირველია, ჩვენ მაშინის მეტი არავინ გვეყოლა გარეთ იარაღით დახმარე. ეს გეგმა მხოლოდ გამოსაცდელად დაუხატეთ. საავადმყოფოდან კანტორაში გაძახების დრო საღამოს სრულ ექვს საათზე უნდა მომხდარიყო, რადგან დღეურად გამოსვლა მრავალ ფაქტორებთან იყო დაკავშირებული: ან ვინმე ნაცნობი შეგვეხვედებოდა, ან დამალვის დროს ვინმე თვალს მოგვევლებდა, ან კონსპირაციულ ბინაზე შესვლის დროს ვინმე დაგვიხანავდა და სხვადასხვა. დაგინიშნეთ გამოსვლის დღე 6 თებერვალს საღამოს ექვსი საათი 1920 წელი. ნასადილევს – ასე საათის 4-5 ყველას ნერვები დაჭიმულები გვაქვს. თვალ წინ მიდგას ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელიც ჩვენს, ხმა ამოულებელი კარიდორში დადის,

სანდრო მახარაძე, რომელსაც, როგორც ახლაც გავხარდას ნერვულობა ეტყობა და ჩქარი ფეხის ნაბიჯით მიდი-მიდის ერთ კუთხიდან მეორეში, ამხ. ლადო, რომელიც მშვიდად, კარიდორში უკვე მზათაა ნასავლელად პაპიროსი ხელში ვილაცს ემუსაიფება, მაგრამ ეტყობა, რომ სამუსაიფო თემაზე სრულებით არ ფიქრობს, არამედ ელოდება როდის დაგვიპოვებენ კანტორაში. ექვსის ნახევარი იყო, რომ ჩემთან კამერაში შემოდის – აღარ მახსოვს ვინ – და ნიშნის მაძლევენ მომზადებისას. მეც ვდგები, ვიცვამ შინელს, – ქუდს თიხურავ და გარეთ კარიდორში გამოვდივარ. ოთხთავანი ერთად ვართ, ყველა გამოვადვილი. ამოდის ზემოთ ამხ. ლეკვეიშვილი და გვეუბნება ეხლავ დაიძახებთო. მე საათის დახედე. ექვსის ნახევარია. ნახევარი საათით ადრე გამახსენდა, რომ ყველაფერი ერთი ექვსი საათისთვის იქნება მზათ: მაშინ, გზის მაჩვენებლები ბინამდის, ამას გარდა ექვსის ნახევარზე კიდევ დღის სინათლეა. არა, არ ივარგებს დაჩქარება. საჭირა კიდევ დაცდა ნახევარი საათით. ჩემი აზრი ამხანაგებს გაუზიარე. ისინი დამეთანხმენ. უთხარით ლეკვეიშვილს, რომელსაც აღელვება ეტყობოდა ცოტათი. ისიც დაგვეთანხმა, მხოლოდ შევატყვე, რომ ენსელებოდა გადადება: ხშირია ისეთი მოვლენა, როდესაც რაიმეს გადასწყვეტ შეასრულო და შეუდგები განხორციელებას, გაგიძნელებდა დაგვიანება ან საქმის გადადება. ამ შემთხვევაში ნერვების სიმაგრეს და სიმშვიდის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ წვედ-წამოვედით, ჩვენთვისაც, გამზადებულებისათვის ძნელი იყო ეს ნახევარი საათით გადადება და ლოდინი. მაგრამ სხვა გზა არ იყო. საქმისათვის ასე სჯობდა. ექვსს ხუთი წამი აკლია, გაისმა ამხ. ლეკვეიშვილის ხმა: „მახარაძე, ცინცაძე, დუმბაძე და მახარაძე კანტორაში, გეძახიან, გაემზადეთ. ჩვენც ყველა გავემზადეთ. ჩამოსასვლელ კიბეებთან თავი მოვიყარეთ და ერთად დავეშვით ძირს ნელის ნაბიჯით. კიბეებზე ამხ. ლეკვეიშვილი შემოგვხვდა, გაგვიძლევა ნინ და ალაფის კარებთან მეკარეს უბრძანა გავეჩქაროთ ჩვენ (ეს ჩვენს ნინ და ნინ ვიცოდით. ფორმისათვის იყო საჭირო). მეკარემ გაგვჩხრიკა, შემდეგ უბრძანა კანტორაში გავეშვით. მეკარემაც შეასრულა უფროსის ბრძანება. გარეთ გამოვდით ქუჩაში და კანტორისაკენ გავსწიეთ. ამხ. ლეკვეიშვილი თან მოვადევნე, როგორც დარაჯი.

გაზში კანტორამდის შემოგვხვდა ვილაც ციხეში მოსამსახურე მოხელე. ამხ. ლეკვეიშვილმა გააჩქრა და უთხრა: „ჩემს მოსვლამდის „პოვრკა“ არ მოახდინოთ. ამ ნამში დავებრუნდები ამითათ ერთად (უჩვენებს ჩვენზე) კანტორიდან“ო. იმანაც თავი დაუქნია და წავიდა. ამ დროს მე ამხ. სანდრო მახარაძეს ნავჭურჭული: „მიდი ამხ. ლეკვეიშვილს მკლავში ხელი გამოადვიე და ისე იარე თქვა“. ვიფიქრე არ გვიმუხბოლოს მეთქი. ასეთ დროს ყვე-

ლაფრის ფიქრი შეიძლება. კანტორაში მისკლამდის კიდევ შეგვხდა ერთი მოსამსახურე, რომელმაც გაკვირვებით შემოგვხედა, მაგრამ წავიდა. ალბათ არ სცალავა ჩვენზე საფიქრებლად. კანტორის კარებს მიუახლოვდით თუ არა, გაუხეხეთ მარჯვნივ და დავადეთ შარა გზას და მოვდივართ. მიუხედავად იმისა, რომ წინ და წინ მოვილაპარაკეთ გზაში არ ვიქჩართო, რომ ყურადღება არ მივაქცევია გამჟღავნების - პირველივე დასახლებაში. სანდრო მახარაძემ და ლეკვეიშვილმა დაარღვიეს: თითქმის სირბილით გაგვისწრეს წინ და წავიდნენ ერთად. იმათ მიყვა ამხ. ლადოც - საშუალო ჩქარი ნაბიჯით, შემდეგ ფილიპეს დაეყვინო ფეხების აჩქარება. მე ყველას ჩამოვრჩი კარგა მანძილით, ალბათ როგორც ავთომოციკლა მაშინ, ვერ შევსძელი ჩქარი სიარული. დაბნეიდა, სანამ მივადინე იმ ადგილს, სადაც ავტომობილი გვიცდიდა. ავტომობილიდან გვიცდიდნენ ამხ. ვიქტორ ცინცაძე, ანგია ელბაძე და გიგო კიკნაძე. მოფერის გვარი აღარ მახსოვს. რაღაც შემთხვევით წინ მიმავალი სანდრო, ფილიპე და ლადო ზემოთაღებულ ამხანაგებს აცდენოდათ და როდესაც მე გაფუსნორდი აღნიშნულ ადგილს, ისინიც მარცხნივ ქუჩიდან ჩამოდიოდნენ. მიცვენს. ერთმანეთს მივსალმეთ. ერთი გაიქცა (გიგო) მაშინის გამოსაყვანად ბალიდან. სწრაფად მაშინა გაჩნდა. ჩავჯექი, მხოლოდ სხვა ამხანაგების დარდი მანუხებს. უკვე კარგათ ბნელა. შოფერს უთხარი ნელა წასულიყო. მარცხნივ და მარჯვნივ ვათვალისწინებდი ლადოს, ფილიპეს, სანდროს, ლეკვეიშვილს. ავლაბრის ხიდიდან ლადოს მოვკარით თვალს. გავჩერეთ, ლადომაც მაშინის კარები არ გაიღო ისე გადმოალაჯა, ჩაჯდა. აგერ ფილიპეც. წინ მოდის. წავედი. მილიციონერმა გაგვანჩერა. ჩამოგვხედა. სამხედრო ტანისამოსში დადგინა. გაგვიშვა (იმ დროს ჩვეულება ჰქონდათ მილიციონერებს უტლებში და მაშინვე მჯდომარეთა დათვალისწინება). დავენიეთ ფილიპეს. ისიც ჩამოჯდა. მხოლოდ აღარ ვიცით სად წავიდნენ სანდრო და ლეკვეიშვილი. ჩვენ გინდა ავლაბრის ხიდი წასვლა. ისინი აღარ სჩანან. ხიდს კი უახლოვდებით. მეტი გზა არ იყო, ხიდზე გავედით და გავანჩერეთ. ვიქტორი და ანგია გავგზავნეთ მათ მოსანახვად. თითქმის ათი წამი ვიდევით. შეგვატყობინებს, რომ არსად სჩანან ისინი. მეტი ცდა აღარ შეიძლება. ისიც სისულელე იყო, რაც გავჩერდით. წავედით კახეთის მოედნისაკენ. იქ ფილიპე დავტოვეთ წინასწარ გამზადებულ ბინაზე. მე და ლადო ამხ. არაქელას ვესტყურეთ. არაქელას იმ ღამეს საიდუმლო სტამბის ბინაზე უნდა წავეყვანეთ. ამხ. არაქელამ ჯერ გადაგაკოცა, მერე კარგათ გაგვიანსპინძლდა და შემდეგ ვინორ ქუჩებით სტამბაში წავეყვანა. ძლიერ ვანუხდით სანდროზე და ლეკვეიშვილზე. ვერ მოვისვენეთ სანამ არ გავიგეთ მათი მშვიდობიანად გადარჩენა. ორი ღამე

და დღე სტამბაში ვინახავდით თავს. თან ლადო არალეგალურ ფურცლებსაც ბეჭდავდა. ორი დღის შემდეგ ერთი ღამე ამხ. არუთინ სოლოვიანთან ვავითიეთ. შემდეგ კი შესანიშნავი ბინა ვიპოვნეთ, მე და ლადომ ავლაბარში, სადაც (მანამდე ვიყავით) სანამ საბჭოთა მთავრობასა და მენშევიკების მთავრობის შორის ზავი არ შეიკრა.

თითქმის ციხიდან გამოსვლისთანავე არალეგალურ მუშაობას შეუდექით. ორგანიზაციასთან მუდმივი კავშირი არუსიაკ ტერ-პეტროსოვის საშუალებით გვექონდა. მთელი დღეები სახლში ვიჯექით. ღამ-ღამობით კრებებზე გამოვიდიოდი. თითქმის ყოველ ღამე ვნებოდა სხვა და სხვა კრებები. უმთავრესად საოლქო კომიტეტის და სამხედრო ორგანიზაციის სხდომებს ვესწრებოდი. ხან და ხან, თუმცა ძლიერ იშვიათად, ფილიპე კონსპირაციული კრებებში ჩვენს ბინაზედც ხვებოდა.

ეს ხანა ის ხანა იყო, როდესაც საბჭოთა წითელი ჯარები თეთრგვარდიელებს - დენიკინელებს ცხვრებებით ერეკებოდნენ და ჩრდილო კავკასიას იჭერდნენ, როდესაც აზერბაიჯანს უახლოვდებოდნენ საბჭოთა ჯარები.

ამ დროს საოლქო კომიტეტს დიდი ენერგიული და გაფაციცებული მუშაობა ჰქონდა შეთქმულების მოსაწყობად და ამასთან ერთად დიდ დახმარებას უწევდა დაღესტანის ფრონტზე აჯანყებულ გლეხებს. აგზავნიდნენ იქით რაზმებს, იარაღს, ფულს და სხვა სამხედრო მასალებს.

საოლქო კომიტეტში ამ დროს მუშაობდნენ: ამხ. ფილიპე მახარაძე, ლადო ღუმბაძე, სანდრო თუმანიოვი, კოტე ცინცაძე, სპაზ ბეგზადანი, ნაზარტინი (სხვები არ მახსოვს, მაგნი არც კი ყოფილა სხვა ვინმე). ბაქოში არსებობდა საოლქო კომიტეტის ბიურო.

გვემა შეთქმულებისა შემდეგი იყო: ორ მათს უნდა შემდგარიყო თბილისის მუშათა დემუტატების საბჭოს სხდომა. ამ სხდომაზე უნდა დასწრებოდა თითქმის მთელი მენშევიკური მთავრობა, ამ დღისათვის უნდა გვესარგებლან ყველა ჩვენი ძალებით, განსაკუთრებით მენშევიკური ჯარების ნაწილებით, რომლებიც ჩვენ თანავიგარნობდნენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჯარების თითქმის დიდი უმრავლესობა ბაქოში ვიკურად იყო განწყობილი, მით უმეტეს, რომ საქართველოს საზღვრებს წითელი ჯარები უახლოვდებოდა ბაქოს მხრიდანაც. უნდა ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ყველა ჯარის ნაწილებთან. განსაკუთრებული იმედი გვექონდა ოუზკრის სასწავლებლებში მდგომ ნაწილებს, ბრონე-დივიზიონის, არტილერიის ტიპის, რომელიც საბურთალოსზე იდგა. ჩვენ ვერაფერი მომუშავე ამხანაგებიდან საოლქო კომიტეტს დამკმაყოფილებელი ცნობები ჰქონდა ჯარების სულიერი განწყობილების შესახებ. უნდა გაგვეწინაღობინა ჩვენი ძალები შვიარდობული მუშებისა და გამოცდილ გულად მეგრძობებისა სხვა და სხვა ჯარის ნაწილებში. ნიშანი (სიგნალი) მოქმედების დაწყებისა არტ-

ც. ს. ა. ბ.



# ჩემპას პირველი თავმჯდომარის მოგონებები

ლერისტებს უნდა მოეცათ. ერთი ან ორი ზარბაზნის გასროლით გაცნობებდნენ, რომ ჯარის ნაწილები უნდა შემორტყმოდა ზუბალაშვილის სახალხო სახლს, სადაც საბჭოსა და მთავრობის სხდომა უნდა ყოფილიყო. ამიტომ საუკეთესო გამოცდილი და გულადი ამხანაგები რიცხვით 12 კაცამდის ოქრის სასწავლებელს მოუწინეთ ამხ. სანდრო მახარაძისა და ჯეჯელავას ხელმძღვანელობით. დანარჩენები დანაწილებული იყო სხვა და სხვა ყაზარმებში, რომლიდანაც ზოგი ტელეგრაფის დასაჭერად უნდა წასულიყო, ზოგი სასახლის, ზოგი ვაგზლის და სხვა და სხვა. საოლქო კომიტეტმა ჩვენ, მე და ლადოს, ნება არ მოგვცა თავიდანვე მოქმედებაში მონაწილეობა მიგვეცო: მხოლოდ, როდესაც მოქმედება დაიწყებოდა და რომელიმე ჯარის ნაწილი უკვე შეუდგებოდა სამხედრო ოპერაციებს, მაშინ ჩვენც უნდა მივსულიყავით და ხელმძღვანელობა გაგვეწია, ასე მაგალითად, მე ოქრის სასწავლებელში უნდა წავსულიყავი და სახალხო სახლში დამტყვევებინა მთავრობა მთლიანად. ლადოც მგონი არტილერისტებთან უნდა წასულიყო. სხვები კიდევ ციხეზე და სხვა და სხვა ადგილებზე. ორი მაისის წინა ღამით მთელი ჩვენი ორგანიზაცია ფეხზე იდგა. ჩვენი საიდუმლო ბინა სამხედრო შტაბით გადაიქცა. ამხ. სანდრო მახარაძე და ჯეჯელავა უკვე წასულები არიან თავ-თავის ადგილებზე. თბილისის ყველა რაიონებში წინასწარი ძალთა გამსესრიგებელი სხდომები ხდებოდა, ერთი სიტყვით, ნამდვილი ააშხდრო შეთქმულება ხდებოდა. უნდა გამოვტყდე, რომ შეთქმულებას ცოტა „აუბნობის“ სუნი უფიქრად. როგორც ყველა შეთქმულებას ამასაც იგივე ბედი ეწია; შეთქმულება სათაოვით აწყობილ გეგმაზე ხდებოდა. თუ ერთი ნამცეცი შეეფრებოდა მოხდა, ერთი ვინტი თუ ცუდათ გადატრიალდა, მთელი საქმე იფუშება. ამასთან ერთად სანამ შეთქმულებისათვის ემზადება რევოლუციონური ელემენტები, მომზადების პროცესში ის გატაცებულია, მას ყველაფერი ადვილად აქვს წარმოდგენილი, ის ყველაფერს ერთგვარ გმირობაზე ამყარებს, მაგრამ როდესაც დრო დაინიშნება, გადაწყდება მოქმედების დანყება, უმრავლეს შემთხვევაში გამოუცდილი და სუსტი, მრეკვეი ელემენტები დრეკებიან. მათ შობის ზარი მოიცავს. ასე მოხდა აქაც. მხოლოდ ფრიად გამოცდილი და გამოჭარბებული ამხანაგები არ შედრკენ. უმრავლესობა შედრკდა და მომავლის იმედები ეჭვი შეეპარათ. სხვა და სხვა რაიონებში დაიწყეს იმაზე ლაპარაკი, რომ ნაადრევია, ჯერ მომზადებული არა ვართ და სხვა და

სხვა. აბა ჯარებზე რა იტყობს. მათი სულიერი განწყობილება იყო მხოლოდ რევოლუციონური. მათთვის საჭირო იყო, რომ პირველი დარტყმით გაემარჯვა და შემდეგ ყველანი შემოგვიერთდებოდა. თუ ასეთ რევოლუციონურად განწყობილ ჯარებში ვინმე ერთიც უიმედობას გამოსიტყვამდა, შემდეგ შეუძლებელი იყო მათი ამოქმედება. ყოველ შემთხვევაში ინციდენტის თავზე ვერ აიღებს. თუ ასეთ დროს მონიწივე ჯგუფის ნაწილი შედრკა, საქმე გაფუჭებულად უნდა ჩაითვალოს. ასეთი სულიერი განწყობილება, რყევა დატყუარ ამოქმედების წამებში ზოგიერთ რაიონის მონიწივეთა ჯგუფების ნაწილს.

ამან იმოქმედა და ჯარების ნაწილებიც შედრკა. მხოლოდ ის ჯგუფი და რამელიც ოქრის სასწავლებელში მიდიოდა, მაგრამ იყო. ამ ჯგუფმა დააჩქარა და მოქმედება დაიწყო. ჩვენმა შტაბმა ვეღარ მოასწრო მათთვის დროზე შეტყობინება შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რომ თავდასხმა გადაედოთ. 10-15 ამხანაგი შევარდა ოქრის სასწავლებელში და სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაიმორჩილეს მთელი სასწავლებელი და შიგ მყოფი ნაწილები, მხოლოდ არც ერთი ნაწილი აშკარად, აქტიურად არ გამოვიდა და ბრძოლა არ განაგრძო. თავის პასიურ მოქმედებაში, წინააღმდეგობის გაუწევლობაში გამომხატეს იმათ თავისი თანაგრძობა გადატრიალებისადმი: განაგრძეთ თქვენ და ჩვენ ხელს არ შეგიძლიათ – ასეთი იყო მათი პასუხი ჩვენების მონიშნებაზე. ამ „თავხედურმა“ თავდასხმამ შეანარაღა მთელი მენ-შევიკები. სხვა რაიონებში არსად გამომხატებია არ მოხდა. მენშევიკებმა მთელი თავისი ძალები ოქრის სასწავლებელს მიაყარეს. ჩვენმა ამხანაგებმაც დაიხსნეს, რომ საქმე ცუდათ იყო და თავს უშველეს, მხოლოდ გვიანდა იყო!

სასწავლებელს უკვე ალყა ჰქონდა შემორტყმული. ცხადია, სროლით, ძალით მონიღომეს გამოსვლა და თავის შევლა. ოთხი ამხანაგის მტკმა ბრძოლით გზა გაიკაფეს და თავს უშველეს. ოთხი კი დაჭრილები დაატუსაღეს და დახრცილეს.

რისი იმედი გექონდა „პრევენცია“ ჩვენ ვფიქრობდით, რომ საკმარისი იყო ორი-სამი დღით ძალა-უფლებების ხელში ჩაგდება, რომ ჩვენივე მონიღომებით აუბრევიჯანში მყოფი საბჭოთა წითელი ლაშქარი შემოვიღოდა და ძალაუფლებას გაემაგრებდით. მაგრამ შეთქმულება დამარცხდა. ეს იყო უკანასკნელი შეიარაღებული გამოსვლა ჩვენი პარტიის საქართველოში 1921 წლამდის, ე.ი. საქართველოს გასაბჭოებამდის.

**PS.**  
აუცილებლად საჭიროა, რომ ყველა ამხანაგებმა თავ-თავის მოგონებები დასწერონ მენშევიკებთან ბრძოლის ისტორიიდან, რადგან მე ვგრძნობ, რომ ბევრი რამ დამიწყება და მისი აღდგენა კი საჭიროა

დასასრული

ს.ს.ს.

აი სამარცხვინო რეჟი

## გიორგი ქუჩიშვილი

### შრომის შრონტზე

ნაწყვეტი

გრგვინავს ქარხანა უზარმაზარი,  
როგორც ვერპარნის ფოლადის ხმები;  
ნიადაგს ისე გააქვს ზანზარი,  
თითქოს ძვრა იყოს ვულკანურ მთების!

არის ფერსული ხალისიანი;  
თითქოს ლხინია, და არა ჯაფა;  
გუგუნებს ჰიმნი ათასხმიანი,  
და საქმიანი სწრაფვაა, სწრაფვა!

აი აქ არის ნამდვილი ომი,  
აქ არის ფრონტი სოცშეჯიბრების;  
აქ ჭიდილია გაშლილი შრომის  
და ნაქეზება მეტყველ ციფრების!

აი განგაშებს მასა:  
მარჯვედ, ბიჭებო, მარჯვედ!  
ნუ ჩამოვრჩებით სხვასა!  
ვაშა, ვინც გაიმარჯვებს!

ნურც იბოგინებს ჩვენში,  
ვინც არღვევს დისციპლინას!  
დავცხოთ მავნებლებს წელში!  
დავცხოთ ლოთსა და მფრინავს!

ვაშა, ვინც მრეწველობას  
სდარაჯობს, გზას უკაფავს!  
დეზერტირებს-კი გმობა,  
ზიზღი და შავი დაფა!

ქუჩიშვილი „პროლეტარული მწერლობა“, 1931 წ.



25/10

# ახალი წიგნები



ISSN 0132-6023  
9 770132 602007

საქართველოს სახელმწიფო რედაქცია

საქართველოს სახელმწიფო რედაქციის გამომცემლობის მიხედვით: „საქართველო“-962 311; „მაცნე“-341 070; „საქართველო“-518 518; 515 905; მის „ელვა.ჯი“ ტელ: 238-26-73; 238-26-74 ინფორმაციისთვის: საქართველოს სახელმწიფო რედაქციაში მისამართზე: თბილისი, ათონელის (ხიდის) ქ. 29/1. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვირეკეთ რედაქციაში: 298-36-43